1. **Crowdsourcing:** The activity of getting a large group of people to contribute to a project or task, especially by using a website where people can make contributions; for example, online proofreading services.
2. **Noob:** Someone who is new to an online community or game.
3. **Chilax:** To calm down or relax, it is a slang term used when someone is starting to get uptight about something that is happening.
4. **Staycation:** A vacation at home or in the immediate local area.
5. **Cape** – a verb used to mean acting as a defender/supporter of someone/something. Presumably, this comes from the idea of a superhero.
6. **Quiet quit** – a term that means doing the bare minimum amount of work for your job, never exceeding expectations or volunteering for extra work.
7. **Hells cape** – a place or time that is hopeless, unbearable, or irredeemable.
8. **Northpaw** – an athlete, usually a pitcher or boxer, who is right-handed or competes as a right-hander.
9. **Petfluencer** – a person who gains a large following on social media by posting entertaining images or videos of their cat, dog, or other pet.
10. **Microtransaction** – a relatively inexpensive payment for part of a product or for an upgraded service or experience.
11. **Jugging** – Informal. a theft committed by a perpetrator who waits at a bank, near an ATM, or outside an expensive store, watches for customers who might be carrying a large amount of cash or goods, and then follows them to steal the money or goods from the customer or from their car.
12. **Crony capitalism** – an economic system in which success in business is obtained through relationships to people in political power rather than through competition.
13. **Chatbot** – a computer program designed to respond with conversational or informational replies to verbal or written messages from users.
14. **Neobank** – a digital bank, typically without a charter, that operates only online or on mobile platforms, providing some traditional banking services, such as checking and savings accounts, at low or no cost to customers.
15. **Pessimize** – to make less good, efficient, fast, functional, etc., especially in the context of computers or information technology.
16. **Coffee nap** – a short nap, usually 15-30 minutes, taken immediately after drinking a cup of coffee, the claimed benefit being that the energizing effect of caffeine may be bolstered by a sleeping body's drop in adenosine levels.
17. **Agelast** – a person who never laughs; a humorless person (often used attributively).
18. **Fexting** the act of fighting with someone by exchanging text messages rather than speaking on the phone or in person.
19. **Hometel** a hotel that is designed to make guests feel as though they are living in a comfortable home.
20. **Kniffiti** knitted or sometimes crocheted items that are left in public places as decoration.
21. **Romantasy** a type of book that is part romance and part fantasy.
22. **Anti-vaxxer** – a person opposed to vaccination.
23. **Bitcoin** – digital currency.

24. **Bizcation** – business trip with a vacation.
25. **Bleisure** – business trip with leisure.
26. **Boddler** – baby-toddler aged child who boddles around.
27. **Broadbandits** – cyber criminals threatening the health of an increasingly digital global economy.
28. **Frenemies** – a blend of friend and enemy.
29. **Lockdown** – the imposition of stringent restriction on travel, social interaction, and access to public spaces.
30. **Maskhol** – someone who refuses to wear a face mask.
31. **Neverundum** – a referendum the never ends.
32. **Smize** – to smile with your eyes.
33. **Trilemma** – three – way dilemma between dietary choice, human health and the health of the planet.
34. **Twitterati** – people who tweet on twitter a lot.
35. **Workcation** – a working vacation.

We can conclude that due to new discoveries, advancements, developments, and new technologies it has become essential to create new terms to properly describe things. As Former Chief Editor of OED John Simpson points out, "neologisms are a window both on language change and continuity" [4, 147]. Neologisms should be perceived as a normal linguistic phenomenon. They make communication more flexible. It's an obvious fact that global changes in the world community have led to the emergence of a large number of neologisms in many languages of the world. Neology as a branch of linguistics requires further and deeper study.

#### ***Literature:***

1. Crystal D., The Cambridge Encyclopedia of the English Language. Cambridge: Cambridge University Press, 2004;
2. Creese S., Lexicographical Explorations of Neologisms in the Digital Age. Tracking New Words Online and Comparing Dictionary Entries with 'Traditional' Dictionary Representations. PhD thesis. Coventry University, Coventry, UK, 2017;
3. Fischer R., Lexical Change in Present-Day English. A Corpus-Based Study of the Motivation, Institutionalization, and Productivity of Creative Neologisms. Tübingen: Gunter Narr Verlag, 1998;
4. Simpson J., Neologism: The long view. Dictionaries: Journal of the Dictionary Society of North America, 28 (1), (2007);
5. <https://northernlifemagazine.co.uk/neologism-2/>.

**მაია აღაია**  
**ინგლისური ნეოლოგიზმები და მათი როლი ენაში**  
**რეზიუმე**

ენა ეხმარება ადამიანებს აზრების გაზიარებასა და ურთიერთობის დამყარებაში და, შესაბამისად, ვერც ერთი საზოგადოება ვერ იარსებებს ენის გარეშე. ნეობისმიერი ენა ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული წყობის მუდმივ ცვლილებასა

და განვითარებას განიცდის. ენის ლექსიკური მარაგის ცვლილებასა და განვითარებას თან ახლავს ახალი სიტყვების [ნეოლოგიზმების] წარმოქმნა და ზოგიერთი მათგანის დამკვიდრებაც. ეს ყოველივე ხელს უწყობს ენის ლექსიკის გამდიდრებას. ახალი სიტყვები ინგლისურ ენაში მზარდი ტემპით შემოდის ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო საშუალებების მიღწევების, მრავალფეროვანი გამოგონებებისა და ინოვაციების ფონზეც.

21-ე საუკუნეში ნეოლოგიზმების შესწავლამ მკვლევრებში დიდი ინტერესი გამოიწვია და ის უფრო აქტუალური გახდა, რაზეც მეტყველებს ამ საკითხზე არსებული არაერთი ნაშრომი და სტატია. ნეოლოგიზმების ლექსიკალიზაცია და სოციალიზაცია ლექსიკის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ინგლისური ენის ნეოლოგიზმებზე ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ინგლისური ნეოლოგიზმების სწავლება სხვა ლექსიკურ ერთეულებთან ერთად სასარგებლო და ეფექტურია, რადგან ის დაეხმარება ენის შემსწავლელებს ინგლისური ენის ლექსიკის უფრო ღრმად გაცნობასა და მის უფრო საფუძვლიანად გაგებაში.

**Майя Агаиа**

*Английские неологизмы и их роль в языке*

**Резюме**

Язык помогает людям делиться мыслями и устанавливать отношения, поэтому ни одно общество не может существовать без языка. Любой язык испытывает постоянное изменение и развитие словарного запаса и грамматических структур. Изменение и развитие лексического фонда языка сопровождается созданием новых слов [неологизмов] и утверждением некоторых из них. Все это способствует обогащению словарного запаса языка. Новые слова вводятся в английский язык все чаще благодаря достижениям в области технологий и средств коммуникации, различным изобретениям и инновациям.

В XXI веке изучение неологизмов вызвало большой интерес у различных исследователей и стало более актуальным, о чем свидетельствуют многочисленные работы и статьи на эту тему. Лексикализация и социализация неологизмов является одной из важных частей изучения лексики. Результаты нашего исследования английских неологизмов показали, что обучение английским неологизмам вместе с другими словарными единицами полезно и эффективно, поскольку оно поможет изучающим языка лучше познакомиться со лексикой английского языка и более глубоко понять ее.

მანანა ღამბაშიძე  
(საქართველო)

ნაწილაკთა საპითხისათვის გერმანულ პროზაში

გერმანულ ენაში არის „პატარა სიტყვების“ მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც ისევე, როგორც სიტყვათა კლასები (ზმნიხედები, კავშირები, სუბიუნქტორები, წინდებულები, მოდალური სიტყვები, შორისდებულები და წინადადების ექვივალენტები) უფლექსიონი არიან. ეს სიტყვები – bloß, doch, eben, etwas, etwa, denn, erst, ganz, ja, schon, sehr, sogar, ziemlich – განსაზღვრულ გამოყენებაში, ჩვეულებრივ, ნაწილაკებია, ისინი არ არიან სხვა სიტყვებისგან სრულად ჰომოგენური და არც მათი მოცულობა არის ერთნაირად გაგებული სხვადასხვა გრამატიკებში. ხანდახან ეს კლასი ფართოდ განიხილება, როგორც საერთო ცნება უფლექსიო სიტყვების, მაშასადამე, გულისხმობს ზმნიხედების, კავშირების, სუბიუნქტორების და წინდებულების ჩართულობასაც, ხანდახან კი მეტისმეტად ვიწროდ – გულისხმობს ნაწილაკების ქვეკლასების, ემოციონალური „ძირეული სიტყვების“ შემოსაზღვრას.

თემის არჩევანი განაპირობა თემის სიახლემ და აქტუალურობამ, რადგან დიდი ხანი არ არის, რაც ნაწილაკები კვლევის სფეროში მოექცა და ასევე – განსაკუთრებულმა ინტერესმა გამოიკვლია, როგორ ფუნქციონირებენ ნაწილაკები გერმანულ პროზაში. კვლევაში გამოყენებულია შეპირისპირებითი ანალიზისა და განზოგადების მეთოდები.

ნაწილაკები, უპირველეს ყოვლისა, მოდალური ნაწილაკები, გერმანულ ენაში – სხვა ენებთან შედარებით, სხვადასხვა ტექსტებში და განსხვავებული ხერხით, განსაკუთრებით ხშირია.

ისინი გვხვდება როგორც ზეპირმეტყველებაში, ასევე წერილობით ენაში, სასაუბრო ენის ყოველდღიურ დიალოგებში და სალიტერატურო ენაში, დიალოგურ და მონოლოგურ ენაში: „მათ მაღალ სიხშირეს და კომუნიკაციურ მნიშვნელობას დიდი ხნის მანძილზე არ შეესაბამებოდა ადეკვატური ლინგვისტიკური ინტერესი. ნაწილაკებს ხშირად მიიჩნევდნენ ენის პერიფერიულ ელემენტებად, სტილისტიკის მიერ „მეტყველების საცობად“, „სარეველა სიტყვებად“, რომლებსაც უმჯობესია თავი ავარიდოთ. ამან კი მიგვიყვანა გრამატიკებსა და ლექსიკონებში ნაწილაკთა უგულვებელყოფამდე, გრამატიკებში ისინი უბრალოდ ზმნიხედებს მიაკუთვნეს, ლექსიკონებში ეტიკეტს – „საკუთარი მნიშვნელობის გარეშე“.

ეს სიტუაცია ბოლო ათწლეულის მანძილზე რადიკალურად შეიცვალა ნაწილაკთა კვლევის სწრაფი აღმავლობით. ნაწილაკთა კვლევის ეს უეცარი აღმავლობა იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმართულებებმა – მეტყველების აქტის თეორია, საუბრის ანალიზი, ტექსტის ლინგვისტიკა ნაწილაკები მიიღეს განსხვავებული პასუხებით და განსხვავებული კითხვებით ნაწილაკთა შესახებ, რომლებიც მხოლოდ ერთი მთლიანის განსხვავებულ ასპექტებს წარმოადგენენ, თუმცა ძალიან კომპლექსური ფენომენის. რათა ბევრ შეკითხვას პასუხი გასცემოდა, საჭირო იყო ორგვარი ნაბიჯი:

1) ნაწილაკების როგორც საკუთარი კლასის შემოსაზღვრა სხვა უფლექსიო სიტყვათა კლასებთან მიმართებაში;

2) ნაწილაკთა სუბკლასიფიკაცია.

ნაწილაკთა საკითხის შესწავლას გამოკვლევები მიუძღვნეს: დუდენმა, გ. ჰელბიგმა, ი. ბუშამ, უ. ენგელმა.

გრამატიკებში ნაკლებად მოცემულია ნაწილაკების ზოგადი დეფინიცია, ძირითადად ქვეტიპების ჩამონათვალია, რომლებიც ჰეტეროგენული არიან და აქედან გამომდინარე, განსაზღვრულ მომენტებში, საკუთარი სიტყვათა კლასის სიახლოვეს შეიძლება გადაინაცვლონ.

ცნება „ნაწილაკი“ (ლათ. "particula" – "Teilchen" – პატარა ნაწილი) აღნიშნავს ფუნქციურ სიტყვათა კლასს. ვიწრო აზრით, ნაწილაკები უფლექსიო სიტყვებია, რომლებიც არ მიეკუთვნება წინდებულების, ზმნიზედების, კავშირების სიტყვათა კლასს. ისინი წინადადების შიგნით დაირთვებიან, მაგრამ არ წარმოადგენენ წინადადების წევრებს, შემდგომში არც რაიმე გამავრცობლებს ითხოვენ და აქვთ შეწყობის, შეთავსებადობის ფუნქცია. როგორც წესი, არ აქვთ მორფოლოგიური შინაგანი სტრუქტურა [1].

ადრეულ ლიტერატურაში მოიპოვება ნაწილაკის ცნების განმარტება ფართო გაგებით, რომლებიც ენის ყველა უფლექსიო სიტყვათა კლასს მოიცავს, ანუ გულისხმობს ზმნიზედების, წინდებულების, კავშირების ჩართულობასაც. ასეთი განსჯა მოცემულია, მაგალითად, დუდენის გრამატიკის ადრეულ გამოცემებში.

გ. ჰელბიგი და ი. ბუშა ნაწილაკებად მიიხნევენ იმ მორფოლოგიურად უფლექსიო სიტყვებს, რომლებსაც არ აქვთ ანალოგიური სინტაქტუსი ნიშნები, როგორც სხვა უფლექსიო სიტყვებს. მათ არ აქვთ წინადადების ფუნქცია (წინადადების ექვივალენტების და მოდალური სიტყვებისგან განსხვავებით), წინადადების წევრის ფუნქცია (ზმნიზედებისგან განსხვავებით) და პირველადი კავშირის ფუნქცია (წინდებულების, კავშირების და სუბუნიქტორებისგან განსხვავებით) [2, 421].

უ. ენგელის განსაზღვრებით, ნაწილაკები უცვლელი სიტყვებია. გამონაკლისია ხარისხის მქონე ზმნიზედების მცირე ჯგუფი, რომელსაც უ. ენგელი ნაწილაკებს მიაკუთვნებს მათთან მსგავსი ქცევის გამო [3, 384]. „ნაწილაკები ფორმალურად დამხმარე სიტყვებია, რომლებიც დაერთვის ამა თუ იმ სიტყვას ან მთელ წინადადებას“ [4].

გ. ჰელბიგი და ი. ბუშა ასახელებენ თვისებათა 6 ნიშანს, რომელთა საფუძველზე ნაწილაკები განირჩევა სხვა სიტყვათა კლასებისაგან [2, 420]:

„1. ნაწილაკები არ წარმოადგენენ წინადადების დამოუკიდებელ წევრებს – განსხვავებით ზმნიზედებისგან და მოდალური სიტყვებისაგან, რომლებიც წინადადების წევრები არიან.

2. ამიტომ ისინი, როგორც წესი, არ იკავებენ პირველ ადგილს. ეს ნიშნავს თხრობით წინადადებაში, მთავარ წინადადებაში მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ზმნის წინ პოზიციის დაკავება – განსხვავებით ზმნიზედებისა და მოდალური სიტყვებისაგან.

Diese Kombination wurde allmählich zur fixen Idee → [5, 40] allmählich არის ზმნიზედა,

→ Allmählich wurde diese Kombination zur fixen Idee.

Diese Kombination wurde vermutlich zur fixen Idee → vermutlich არის მოდალური სიტყვა,

→ Vermutlich wurde diese Kombination zur fixen Idee.

Diese Kombination wurde fast zur fixen Idee → fast არის ნაწილაკი,

→ \*Fast wurde diese Kombination zur fixen Idee.

\*წინადადება არაგრამატიკულია.

3. ნაწილაკები, რამდენადაც მოკლებულნი არიან წინადადების წევრობის შესაძლებლობას, არ შეუძლიათ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ პასუხს შეკითხვებზე. ზმნიზედები ამის საპირისპიროდ პასუხობენ შეკითხვებს – კითხვითი სიტყვით. მოდალური სიტყვები – შეკითხვებს – კითხვითი სიტყვის გარეშე:

Haben Sie sich's notiert? [5, 227].

Gewiß \*heute \*nur. Gewiß არის მოდალური სიტყვა.

Wann haben Sie sich's notiert?

heute \*gewiß \*nur. heute არის დროის ზმნიზედა.

\*სიტყვები არაგრამატიკულია.

4. ნაწილაკები სემანტიკურად არ მოქმედებენ წინადადების შინაარსის შენარჩუნების პირობებზე:

Es könnte doch nicht wahr sein = [5, 60] doch არის მოდალური ნაწილაკი,

= Es könnte nicht wahr sein.

Zunächst bestand wirklich kein Grund = [5, 153] wirklich არის ვერიფიკატული ნაწილაკი,

= Zunächst bestand kein Grund.

5. ნაწილაკები სინტაქსურად შეიძლება ელიმინირებული იქნას ისე, რომ წინადადება ამით არ ხდება არაგრამატიკული.

6. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილაკები წინადადებების ნამდვილობის ღირებულებას არ ცვლიან და სინტაქსურადაც ელიმინირებადი არიან, განსაზღვრული ხერხით ახდენენ გამონათქვამის მოდიფიცირებას. როგორ ახდენენ ისინი გამონათქვამის მოდიფიცირებას, სემანტიკურად თუ კომუნიკაციურად, და გამონათქვამის რომელ ნაწილებს (წინადადებები, სიტყვები) ეხება ეს მოდიფიკაცია, არის სწორედ საკითხი, რომელშიც ნაწილაკების სუბკლასები ერთმანეთისგან განსხვავდება [2, 420].

ნაწილაკებს ენაში მეორეხარისხოვანი ფუნქცია აქვთ. ძირითადი ფუნქციები ზმნისა და ნომინალური სფეროს სიტყვებით ხორციელდება. ზმნები აღნიშნავენ მომხდარს ფართო აზრით, არსებითი სახელები, დეტერმინანტები, ზედსართავი სახელები და ნაცვალსახელები აღნიშნავენ და ახასიათებენ სიდიდეებს. ნაწილაკები მათთვის ახლო განმსაზღვრელებს წარმოადგენენ, აკავშირებენ სიტყვებს ან შესიტყვებებს ან ასრულებენ სხვა ფუნქციას.

ბირთვთან დამოკიდებულების თვალსაზრისით უ. ენგელი განასხვავებს ნაწილაკთა სამ კლასს [3, 384]:

1. განმმარტავი ნაწილაკები (näher bestimmenden Partikeln), რომლებიც მოვლენას ან სიდიდეებს განსაზღვრავენ.

ამ ჯგუფში შემოდის ნაწილაკები, რომლებიც ილოკუციას<sup>1</sup> განმარტავენ ან მოდიფიცირებენ *allerdings, übrigens, sogar*:

Der Blick *sogar* schwindelte [5, 43].

*Sogar* die Skatspieler in der Ecke waren verstummt [5, 43].

*Allerdings* bedeutete das Sirenenzeichen zehn Minuten vor Feierabend [5, 88].

*Übrigens* hatte er sich das Dorthingehen noch nicht völlig aus dem Sinn geschlagen [9, 315].

*sogar* არის სელექციური ნაწილაკი, რომელიც გეხვდება მხოლოდ კონსტრუქტურ და კითხვით წინადადებებში. ის ფაქტს სხვა ფაქტთან მიმართებაში აღნიშნავს, ირჩევს და გამოჰყოფს რა გამონათქვამის ნაწილს.

*Allerdings* და *übrigens* ორდინატული ნაწილაკებია, რომლებიც აღნიშნავენ აქტუალურ გამონათქვამს სხვა გამონათქვამთან, უმეტესად წინარე გამონათქვამთან მიმართებაში. ამავე დროს გამოჰყოფენ ხშირად გამონათქვამის ნაწილს.

2. შემაერთებელი ნაწილაკები (*verbindenden Partikeln*):

მათ მიეკუთვნება *wie* და *als* შედარების გამომხატველი ნაწილაკები:

Jene Handlungen hatten Kerzen genung gehortet, außerdem *bessere als unsere* [5, 92].

Es war so still hier, *still*er noch *als der Bahnhof*, der seltsamerweise abseits lag vom Geschäftszentrum [5, 97].

Er war *ernst wie ein Büffel* [5, 82].

*Ängstlich wie eine Schwalbe*, die das Umwetter ahnt [5, 81].

3. სხვა ნაწილაკები (*die sonstigen Partikeln*), როგორც წინადადების ექვივალენტები, ცვლიან გამონათქვამებს:

Hast du kein Vertrauen zu mir? [5, 23].

*Doch*

Ist das "*Ihre Tochter*"? "*Ja*" [7, 226].

ამდენად, გამონათქვამის სტრუქტურის თვალსაზრისით, ნაწილაკები მხოლოდ თანმხლები გამოვლინებებია. რაც შეეხება სემანტიკას, მიუხედავად ამისა, ისინი ხშირად ქმნიან გამონათქვამის ძირითად არსს. ეს კარგად ჩანს ნაწილაკის "*nicht*" გრადუირების მაგალითზე, რომელსაც შეუძლია გამონათქვამის შინაარსი მის დაპირისპირებულობაში ასახოს.

"*Verflucht*", rief der Fahrer zurück: "*verdunkelt ihr schon nicht mehr?*" [5, 49].

გ. ჰელბიგის და ი. ბუშას ერთ-ერთი პირველი ნაწილაკთა კლასიფიკაცია წარმოადგენს მათ დიფერენციაციას კომუნიკაციური და სემანტიკური ფუნქციების დომინირების მიხედვით. ავტორები გამოჰყოფენ:

1) ნაწილაკებს, რომლებშიც დომინირებს კომუნიკაციური ფუნქცია;

2) ნაწილაკებს, რომლებშიც დომინირებს სემანტიკური ფუნქცია [6, 477].

---

<sup>1</sup> ილოკუცია გამოხატავს გამონათქვამის მოქმედების ტიპს („მეტყველების აქტის ტიპიზაცია“), ანუ რა არის გადმოცემული: თხრობა, შეკითხვა, ბრძანება, მუქარა, წინააღმდეგობა. კომუნიკაციაში მისი გამოყენება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პროპოზიციის, რომელიც გადმოსცემს გამონათქვამის მნიშვნელობას ვიწრო აზრით, იმას, რაც უცვლელი რჩება, მაშინ როდესაც მოქმედების ტიპი იცვლება [3, 34].

შემდეგ გ. ჰელბიგმა და ი. ბუშამ გამოჰყო ნაწილაკთა 3 ძირითადი სუბკლასი, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება ზემოსხენებულ კლასიფიკაციას:

- 1) ელფერის ანუ მოდალური ნაწილაკები;
- 2) გრადუირებული, ფოკუსირებული ნაწილაკები;
- 3) ხარისხის, ინტენსიურობის ნაწილაკები, ხარისხის მოდიფიკატორები [2, 424].

ნაწილაკებში: aber, auch, also, bloß, denn, doch, eigentlich, einfach, etwa, gerade, halt, ja, mal, noch, nun, nur, schon, überhaupt, vielleicht, wohl დომინირებს კომუნიკაციური ფუნქცია [6, 477].

კომუნიკაციური ნაწილაკების უდიდეს ბირთვს ქმნის მოდალური ნაწილაკები: aber, auch, bloß, denn, doch, eben, etwa, halt, ja, mal, nur, schon, vielleicht [2, 421]. ნაწილაკი gerade-ს გამოკლებით, რომელსაც გ. ჰელბიგი და ი. ბუშა გრადუირებულ ნაწილაკებს მიაკუთვნებს [2, 423], ხოლო უ. ენგელი სელექციურ ნაწილაკად მოიხსენიებს, რომელიც ფაქტს სხვა ფაქტთან მიმართებაში აღნიშნავს, ირჩევს და გამოჰყოფს რა გამონათქვამის ნაწილს [3, 126].

- erfüllte mich gerade diese vollkommene Nutzlosigkeit meiner Bemühungen mit einer Freude [5, 98].

მოდალური ნაწილაკები გამოხატავენ მოსაუბრის დამოკიდებულებას ფაქტთან, საქმის არსთან. ისინი მიმართულია არა წინადადების ცალკეულ წევრებზე, არამედ შემასმენელზე და აქედან გამომდინარე, მთელ წინადადებაზე. მათ სხვადასხვა ფუნქციები აქვთ, რომლებიც არა სემანტიკურ, არამედ კომუნიკაციურ დონეზე რეალიზდება და რომელთა შესაბამისად მოდალური ნაწილაკები წინადადების სხვადასხვა ტიპებში – თხრობით, კითხვით, ძახილის წინადადებებში ფუნქციონირებენ და მათი მეშვეობით განსაზღვრულ ინცენციებს, შესაბამისად მეტყველების ტიპებს ბრძანება, შეკითხვა, სურვილი, მუქარა, გაფრთხილება გამოხატავენ [2, 421].

ამდენად, ისინი მცირედი გამონაკლისის გარდა, ზემოქმედებენ გამონათქვამის ილოკუციაზე („მეტყველების აქტის ტიპიზაცია“), აძლიერებენ ან ასუსტებენ მას ან ახდენენ მათ მოდიფიკაციას სხვა ხერხით, გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას ან უქმნიან პარტნიორს გარკვეულ განწყობას [3, 128].

საქმე ეხება ორ ათეულ ნაწილაკს, რომლებსაც არ დაესმის შეკითხვა. მათთან არ დგება უარყოფა, ისინი არ წარმოადგენენ პასუხს შეკითხვებზე, არ თავსდებიან წინაველში. მოდალური ნაწილაკების უმრავლესობა უმახვილოა.

Der Förster läßt sich eine umständliche Darstellung aber nicht nehmen [8, 28]; Das kann aber nicht euer Ernst sein! [8,57]; Es war auch noch dazu so viel Arbeit da [9, 313]; ამ წინადადებებში სამი ნაწილაკია auch და noch მოდალური ნაწილაკებია, so ხარისხის ნაწილაკი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

Im Kisten ist auch noch eine Decke [11, 254]; Zu diesen gehörten auch der Pfarrer und die Enkelkinder [5, 163]; Und lange Zeit ging es auch so ganz gut [9, 319] ამ წინადადებაში სამი ნაწილაკია, auch მოდალური ნაწილაკი, so და ganz ხარისხის ნაწილაკებია.

Ich hatte auch damals Angst [5, 38]; Er war doch nicht versprochen mit ihr. Es war doch alles nur Einbildung [9, 313]; Es gäbe doch Kilometer [9, 317]; "Aber sie sagen

doch" [8, 28]; "Geh, doch, schon!" ruft er [8, 36]; Es war schon spät [5, 118]; Das ist schon öfter vorgekommen [8, 49]; ...aber ich war schon aufgestanden [5, 49]; ამ წინადადებაში schon მოდალური ნაწილაკია, aber კავშირია და არა მოდალური ნაწილაკი.

Franz hat schon früh gewarnt [5, 145]; Aber wir fahren doch durch einen Tunnel [12, 65]; ამ შემთხვევაშიც aber კავშირია და არა მოდალური ნაწილაკი; doch მოდალური ნაწილაკია.

Die Nachtschwester stand schon an der Tür [5, 72]; "Mich interessiert bloß, warum Sie nicht früher abgehauen sind" [7, 215]. Er solle sich bloß nicht verstellen, sagte sie [14, 172]; Der Sohn..sagte bloß "Toll" [14, 170]; Er schädigte also seinen Besitz und sie zugleich [9, 313]; "Sie haben also die Gränze nicht überschritten? Sie befinden sich also nicht in diesem Land? Damit gehen Sie also zu", sagt der Kommissar [8, 50]; Eine Einsendung bleibt also da [8, 40]; Die Flur war nur schwach beleuchtet [5, 65]; Kenntnisse dienen nur noch dazu, dich... verdächtig zu machen [8, 51]; Das Kind schrie immer noch [5, 66]; Das King war nur so gräßlich mager [5, 69]; ამ წინადადებაში nur მოდალური ნაწილაკია, so ხარისხის ნაწილაკი. Man spürt nur, daß er da ist [5, 108]; Ich hörte nur mein Herz schlagen [5, 108]; ...und die goldenen Sterne darauf waren nur noch wie etwas hellere Flecken zu sehen [5, 109]; ამ წინადადებაში ხუთი ნაწილაკია nur, noch მოდალური ნაწილაკებია, etwas ხარისხის ნაწილაკი, wie – შედარების გამომხატველი ნაწილაკი, zu ინფინიტიური კონსტრუქციის (sein + zu + Infinitiv) ნაწილაკი.

Sie war ja doch nur ein Tier [9, 311]; ამ წინადადებაში სამი მოდალური ნაწილაკია: ja, doch, nur. Aber so ist das Leben ja nicht, so witzig, so vorlaut [8, 39]; ეს საინტერესო წინადადებაა, სადაც გვაქვს ნაწილაკთა ომონინია: ja არის მოდალური ნაწილაკი, aber არის კავშირი და არა მოდალური ნაწილაკი, პირველი so არის ზმნიზედა, სინტაქსურად ვითარების გარემოება, ბოლო ორი so (so witzig, so vorlaut) არის ხარისხის ნაწილაკი.

Ich weiß ja nicht, in der Strecke kommt es aufs gleiche heraus – so oder so [8, 27]; ja მოდალური ნაწილაკია, so არის ზმნიზედა, სინტაქსურად ვითარების გარემოება და არა ნაწილაკი ამ შემთხვევაში.

"Wieso haben Sie denn keine?" [8, 50]; "Wo wollen Sie denn hin?" [8, 26]; Was ist denn mit dir mein Kind? [13, 24]; Er müsse sich nun entschuldigen [12, 64]; Er war froh, als nun der Schaffner kam [12, 65]; Zwar leuchteten nun die Glühbirnen auf [12, 63]; Der Tunnel mußte nun jeden Augenblick aufhören [12, 63]; Dann essen wir eben alleine [13, 243]; Die Sonne hatte eben noch mit voller Kraft geschienen [12, 62]; "Ist die Frage etwa unverschämt?" [7, 226]; ..und sein Ton, wenn er Doktor sagt, ist nicht etwa höhnisch, sondern durchaus achtungsvoll [8, 51]; Habe ich etwa nicht einen Sitzplatz bezahlt? [10, 135]; ..er hat sich halt daran gewöhnt [8, 39]; Siehst du, Emil, wir hätten halt doch nicht heiraten sollen, wir hätten warten sollen [10, 132]; "Dann glaub doch mal, du seist ein Motorrad – ich brauche nämlich ein Motorrad" [14, 169]; Eine Weile bleibt er einfach stehen [8, 28]; "Warum gehen Si nicht einfach zurück?" [8, 26]; Wir glaubten einfach nicht, daß es so schnell gehen würde [7, 15], einfach მოდალური ნაწილაკია, so ხარისხის ნაწილაკი.

Ich weiß wohl, Emil, aber ...sind wir denn Schelme? Was ist denn Böses daran? Du weißt doch, Emil, die Mutter! Wir dürfen doch nicht [10, 128]; Es wird schon gehen, Emil! [10, 132]; Ich werde wohl nachzahlen müssen [10, 65]; ..und wenn ich nicht außergewöhnlich hohes Fiber hatte, stand wohl fest [5, 55]; ..und dann stimmte es wohl auch [5, 55]; Sie hatte wohl den Besuch verstanden und das Pfändchen Kaffee und den Zuckerhut [9, 18]; Du bist wohl besoffen [10, 134]; "Ich darf das wohl annehmen", versetzte Wyler [7, 225]; Ein Mann im Lodenmantel vielleicht ein Förster, der die Menge meidet [8, 25]; Margot wollte keinen Tisch, vielleicht doch eine Tablette und eine Tasse Schwarztees [13, 241]; ამ წინადადებაში ორი მოდალური ნაწილაკია vielleicht და doch. ..dämmert es, daß man bald überhaupt nichts mehr sieht [8, 24]; Aber wir müssen froh sein, daß ich überhaupt Arbeit habe [10, 132]. .. und wenn überhaupt jemals irgend etwas gestimmt hat ich zweifle daran [5, 148]. ამ წინადადებაში überhaupt მოდალური ნაწილაკია, etwas განუსაზღვრელი ნაცვალსახელია ამ შემთხვევაში და არა ხარისხის ნაწილაკი. "Was sind Sie eigentlich von Beruf?" [7, 215]; "Sagen Sie, wer bezahlt hier eigentlich das elektrische Licht?" [7, 215]; Er war diese Strecke schon manchmal gefahren, ..und hatte den Tunnel eigentlich gar nicht beachtet [12, 62]; .. aber ein wirklicher Freund eigentlich der einzige, wenn auch die Freundschaft etwas einseitig ist [8, 39]; eigentlich მოდალური ნაწილაკია, etwas ხარისხის ნაწილაკი.

მოდალური ნაწილაკების ცენტრალური ჯგუფი არ თავსდება წინადადებაში პირველ ადგილზე და აქვს ომონიმები სხვა სიტყვათა კლასებში:

Wo wollen Sie denn hin? [8, 26];

Was soll denn sein? [8, 35];

"Was ist denn los?" [8, 36];

"Wo bist du denn gewesen?" [8, 31].

ამ წინადადებაში denn მოდალური ნაწილაკია.

Denn die Wertbegriffe – so nannten es die Erwachsenen damals – waren erheblich verschoben [5, 122]; Denn ich muß nun immer weiteren Reisen machen, um wirkliche oder scheinbare Interessenten zu besuchen [5, 93]; ამ წინადადებაში denn კავშირია.

Dann essen wir eben alleine [9, 243]; Sie Sonne hatte eben noch mit voller Kraft geschienen [12, 62]; მოცემულ წინადადებაში eben მოდალური ნაწილაკია.

Man sei eben an Herzogenbuchse vorbeigefahren [12, 65]. ამ წინადადებაში eben ტემპორალური ზმნიხედაა.

"Sie sind ja so glücklich!" [5, 30]. "..es sind ja kaum anderthalb Seiten" [8, 42];

"Das sind Sie ja!" [8, 30]. მოცემულ წინადადებაში ja მოდალური ნაწილაკია.

"Schinz, Heinrich Gottlieb" – "Ja".

"Dotor jur" – "Ja".

"Rechstanwalt" – "Ja" [8, 46];

"Ist das Ihre Tochter?" – "Ja" [7, 26] მოცემულ წინადადებაში ja წინადადების ეკვივალენტია.

Und mitten darin, vielleicht in der Mehrzahl standen Tannen [9, 315]; Sie erinnerte ihn vielleicht an das Mädchen auf der Roßweide [9, 311]; მოცემულ წინადადებაში vielleicht მოდალური ნაწილაკია.

"Wie Ihr vielleicht wißt", schwatzte der Mönch [7, 220]; "Das ist vielleicht traurig für Sie?" [7, 215]; Vielleicht stellte es sich vor, daß er sie rauben konnte [9, 319]; მოცემულ წინადადებებში vielleicht არის მოდალური სიტყვა.

მოდალურ ნაწილაკებს არ აქვთ სრულად ფიქსირებული და სრულიად თავისუფალი ადგილი წინადადებაში. როგორც წესი, ისინი უღლებადი ზმნის შემდეგ თავსდება. უღლებად ზმნასა და ნაწილაკს შორის შეიძლება დადგეს რამდენიმე სხვა (უმახვილო) წევრი [2, 422];

Im Kisten ist auch noch eine Decke [11, 254]; Es war ja schon Dämmerung [8, 54]; Die Tiere schienen nur noch Freude zu sein [9, 324]; Sie war ja doch nur ein Tier [9, 19]; ამ წინადადებებში ორ-ორი (auch noch, ja schon; nur noch) და ბოლო წინადადებაში სამი მოდალური ნაწილაკი ja, doch, nur დგას ზმნის შემდეგ და ეს მოდალური ნაწილაკების ძირითადი პოზიციაა მხატვრულ ნაწარმოებებში. ზოგჯერ ნაწილაკი შეიძლება დისტანცირდეს უღლებადი ზმნისგან.

Der Förster läßt sich seine umständliche Darstellung aber nicht nehmen [8, 28];

Übrigens hatte er sich das Dorthingehen doch noch nicht völlig aus dem Sinn geschlagen [9, 315]; ამ წინადადებაში სამი მოდალური ნაწილაკი doch, noch, nicht დისტანცირებულია ზმნისგან. nicht ამ შემთხვევაში მოდალური ნაწილაკია და არა ნეგატივი.

გერმანულ ენაში არის მოდალური ნაწილაკების პერიფერიული ჯგუფი ფართო გაგებით, რომლებიც წინადადებაში პირველ ადგილზე თავსდება, თუმცა ისინი უპრობლემოდ წინადადების შიგნითაც განთავსდებიან, ისინი ამავე დროს არ გადადიან სხვა სიტყვათა კლასებში და არ აქვთ ომონიმები სხვა სიტყვათა ჯგუფებში. ასეთებია ნაწილაკები: immerhin, allerdings, eigentlich, überhaupt, jedenfalls [2, 421].

Immerhin schien ich wirklich in Bendorf zu sein [5, 55]; Immerhin dieses Erlebnis war, wenn auch überraschend, so doch nicht außergewöhnlich [5, 154]; ამ წინადადებაში სამი ნაწილაკია, immerhin, doch, მოდალური ნაწილაკებია, so ხარისხის ნაწილაკია, auch არის კავშირი.

Eigentlich wahr, denkt Schinz [8, 27]; Eigentlich sollte man uns dankbar sein [5, 127]; "Eigentlich nicht" [7, 214]; "Jedenfalls werden wir dich am Nachmittag wieder messen!" meint er [8, 35]; Jedenfalls hört man oft das Geflatter der Tauben [8, 53]; "Das Bild ist allerdings alt" [8, 51] ასევე შესაძლებელია Allerdings ist das Bild alt; ..und wenn überhaupt jemals irgend etwas gestimmt hat, ich zweifle daran [5, 148], ასევე შესაძლებელია Überhaupt wenn jemals irgend etwas gestimmt hat, ich zweifle daran. როგორც წარმოდგენილი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ნაწილაკები დიდი რაოდენობით რეალიზდება მხატვრულ პროზაში, განსაკუთრებით ეს ჯგუფი, მოდალური ნაწილაკები, და მით უფრო ხშირია მათი გამოყენება, რაც უფრო უახლოვდება ავტორისეული ტექსტი სასაუბრო ენას, დიალოგს. ამ მხრივ აღსანიშნავია მ. ფრიშის, ი. ფედერშილის, ი. ბიურერის ნაწარმოებები, რომლებშიც ავტორები აქტიურად იყენებენ დიალოგს, ტექსტი გადის სალიტერატურო ენიდან, იკარგება სალიტერატურო ენის ნიშნები: ესთეტიკა, ჩვეულებრივის ლამაზი ცნებებით გადმოცემა, ტექსტის ფორმისა და სტილის შეგრძნება და წინა პლანზე გამოდის სასაუბრო ენის ნიშნები: სპონტანურობა, ბუნებრიობა, აპოკოპების გახანგრძლივებული გამოყენება,

მოკლე ფრაზები, პარენტეზები, ელიზები (სიტყვათა შეკუმშვა, გამოტოვება), ლაიზმი (იმპროვიზაცია) და ნაწილაკთა განსაკუთრებული სიმრავლე.

გერმანულ პროზაში ნაწილაკთა მეორე გავრცელებული ჯგუფია გრადუირებული ნაწილაკები, ფოკუსირებული ნაწილაკები. ისინი მიემართება არა მთელ წინადადებაზე, არამედ წინადადების განსაზღვრულ წევრებზე (den Skopus). გ. ჰელბიგი და ი. ბუმა მნიშვნელობის მხრივ გამოყოფენ გრადუირებული ნაწილაკების შემდეგ სუბკლასებს [2, 425]:

1) რესტრიქციულ-ექსკლუზიური ნაწილაკები: nur, bloß, lediglich, allein, ausschließlich, einzig.

2) კოორდინაციული-ინკლუზიური ნაწილაკები: auch, ebenfalls, ebenso, gleichfalls.

3) სეგმენტაციური-ინკლუზიური ნაწილაკები: sogar, selbst, nicht, einmal.

4) სეგმენტაციური-ექსკლუზიური ნაწილაკები: gerade, genau, eben, ausgerechnet, insbesondere.

5) ტემპორალური ნაწილაკები: erst, schon, noch.

გრადუირებული ნაწილაკების ფუნქცია განისაზღვრება არა კომუნიკაციურ, არამედ სემანტიკურ დონეზე, რადგან ისინი წინადადებაში გამოხატულ გამონათქვამს (ასერციას)<sup>1</sup> რაოდენობრივ ან გრადუირებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და განსაზღვრული პირობების (პრესუპოზიციების)<sup>2</sup> მარკირებას ახდენენ [2, 422].

Auch er hat sich einmal der Poesie versucht [8, 23]; ამ წინადადებაში auch ნაწილაკის გარდა შეიძლება განთავსდეს, მაგ.: nur და sogar ნაწილაკები.

Nur er hat sich einmal in der Poesie versucht. Sogar er hat sich einmal in der Poesie versucht.

სამივე წინადადებაში ასერცია (წინადადება ნაწილაკის გარეშე) ერთი და იგივეა: er hat sich einmal in der Poesie versucht. განსხვავებულია პრესუპოზიციები, წინადადებების ძირითადი შინაარსი, რომელსაც რაოდენობრივ ან გრადაციულ მნიშვნელობას სწორედ ეს ნაწილაკები ანიჭებენ. პირველ წინადადებაში (ნაწილაკით auch) იგულისხმება სუბიექტის გარდა სულ მცირე ერთი ელემენტი (რაოდენობრივი მნიშვნელობა). წინადადებაში (ნაწილაკით nur) იგულისხმება მხოლოდ სუბიექტი და არც ერთი სხვა წევრი სუბიექტის გარდა. მესამე წინადადებაში (ნაწილაკით sogar) მოიაზრება სულ მცირე ერთი ელემენტი, რომელიც ჩვენი მოლოდინით კლასიფიკაციის შკალასთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე სუბიექტი. გრადუირებული ნაწილაკებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება გერმანულ პროზაში.

I. რესტრიქციულ-ექსკლუზიური ნაწილაკები გერმანულ პროზაში:

Nur Bimba hält sich großartig [8, 49]; Nur Bimba hält sie nicht aus, nicht einmal ihr Schweigen [8, 49]; ამ წინადადებაში nur რესტრიქციულ-ექსკლუზიური ნაწილაკია, nicht einmal – სეგმენტაციური-ინკლუზიური ნაწილაკია. ხშირად ერთ წინადადებაში სხვადასხვა სუბკლასის ნაწილაკი შეიძლება განთავსდეს. Der Weg ist

<sup>1</sup> ასერცია (Assertion) – წინადადება ნაწილაკის გარეშე, უნაწილაკოდ [2, 422].

<sup>2</sup> პრესუპოზიცია (Präsupposition) – წინადადების, გამონათქვამის ძირითადი შინაარსი, როგორც მოცემული პირობა [15, 1235].

durchaus sichtbar, nur die Lichtung nicht [8, 22]; "Nur das Nachdunkeln", sagte er "das Nachdunkeln hat seine Tücken" [11, 225]; "Woher bloß die Kartoffeln kommen?" [7, 212] "Wie bloß die Kartoffeln in das Kippbecken kommen?" [7, 213]; Das eine und andere ist auch geblieben, nicht nur gewisse Kenntnisse [8, 23]; In diesem Dorf kann keiner allein in der Himmel gelangen [7, 230]; Die versammelten Damen entflohen, einschließlich der Hausfrau [5, 171]; Einzig meine Tante Milla, „ist wohl und heiter [5, 147]; „und einzig die Schönheit der Einfachheit ist ihnen eigen [5, 92]; Und nachher würden sie ihn zu seiner Großmutter schicken, wo er aufgezogen würde und vielleicht doch noch eine schöne Jugend hätte, auch in einem Blockhaus mit Freunden und Tieren, wenn bloß dieser Tag einmal lange genug vorbei war [17, 283]. ამ წინადადებაში ხუთი ნაწილაკია: vielleicht doch noch მოდალური ნაწილაკებია, auch გრადუირებული, კოორდინაციულ-ინკლუზიური ნაწილაკია, bloß გრადუირებული, რესტრიქციულ-ექსკლუზიური ნაწილაკია.

II. კოორდინაციული-ინკლუზიური ნაწილაკები გერმანულ პროზაში:

Auch seine Kinder bemerkten es nicht [5, 175]; Auch er lächerte, auch er war erleichtert und sang mit [5, 159]; Auch das Zimmer war ruhig [5, 104]; Auch diese Generation „taugt nichts, und wenn je eine Generation etwas getaugt hat – ich zweifle daran [5, 157]; Auch eine gute Zeit, Schinz denkt gern daran [8, 23]; Die Brücke war ebenso breit wie der Schienenstrang [5, 44]; Eine Weile bleibt er einfach stehen, ebenso der Hund mit schwitzenden Zunge [8, 22]; „denkt er, während der Kommissar sich ebenfalls erhebt und trocken lächelt [8, 47]; „sein Beruf als Rechtsanwalt, teilweise eine Entscheidung seines Vaters, der ebenfalls ein namhafter Rechtsanwalt gewesen ist, bringt ihm bald die üblichen Erfolge [8, 21]; Der Bettumbau war ebenfalls geschnitzt, das einzige Massive im Zimmer [11, 253]; „ein wenig herrischer darf sie sein, etwas stattlicher von Wuchs, aber ebenso dunkel und vor allem mit den großen Augen [11, 153]; ამ წინადადებაში ebenso გრადუირებული კოორდინაციულ-ინკლუზიური ნაწილაკია etwas – ხარისხის ნაწილაკია, aber – კავშირია და არა მოდალური ნაწილაკი.

III. სემანტიკური-ინკლუზიური ნაწილაკები გერმანულ პროზაში.

Aber sogar für meinen Onkel Franz, „war die Beschaffung von Marzipanfiguren.. unmöglich [5, 153]; Sogar der als internationale Kapazität bekannte Dr. Bless hatte sich „wieder in sein Studierzimmer zurückgezogen [5, 163]; Er holte sogar eine Uhrkette hervor [9, 314]; Selbst die Familienmitglieder waren nur mit äußerster Strenge zu veranlassen, pünktlich zu erscheinen [5, 163]; Die eigentliche Feier war zwar kurz, aber selbst diese kurze Zeremonie sei auf die Dauer nicht durchzuhalten, behauptete der Pfarrer [5, 163]; Onkel Franz selbst, „soll geäußert haben, er sei Lebensmüde [5, 147]; Dieses Ereignis selbst war so geringfügig, daß uns das Ausmaß der Folgen erschreckt [5, 145]; Ich fühlte mich hart; nicht einmal eine Stunde hatte ich vorzuwissen, das einzige, was ich besaß, war mein Herz [5, 109]; Ich darf nicht einmal mehr Zigaretten verkaufen, sie machen jetzt schon Schwierigkeiten [5, 34]; Man spricht nicht einmal mehr darüber [5, 148]; "Nicht einmal ein Anruf!" [8, 31]; Ich hatte übrigens nicht einmal einen Stock bei sich [9, 322]; ამ წინადადებაში übrigens მოდალური ნაწილაკია, nicht einmal გრადუირებული სემანტიკური-ინკლუზიური ნაწილაკია.

Nicht einmal zu einem Spottpreis wurden unsere Kerzen gekauft, sie waren zu schlecht um in der Konkurrenz zu bestehen, und wahrscheinlich würden wir sie nicht einmal geschenkt loswerden [5, 95].

IV. სეგმენტაციური-ექსკლუზიური ნაწილაკები გერმანულ პროზაში:

Das fehlte gerade noch! sagte die Mutter [13, 241]; „lag ich für ein paar Schritte gerade auf meiner Bahre [5, 51]; Da blieb eine Hirschkuh vor ihm stehen, weit weg, aber genau auf der Mitte des Fahrwegs zu ihm hin [9, 315]; მოცემულ წინადადებაში genau გრადუირებული ნაწილაკია, weit ხარისხის ნაწილაკი, aber არის კავშირი და არა ნაწილაკი.

Etwas angetruken wie der Bursche war, war diese Mondnacht gerade recht für ihn [9, 319]; მოცემულ წინადადებაში gerade გრადუირებული, სეგმენტაციური-ექსკლუზიური ნაწილაკია, etwas ხარისხის ნაწილაკია.

Sie suchte genau die Adresse auf [5, 118]; - erfüllte mich gerade diese vollkommene Nutzlosigkeit meiner Bemühungen mit einer Freude [5, 398]; Das Gesicht des Majors, eben noch rosigrund, wurde lang [16, 397].

V. ტემპორალური ნაწილაკები გერმანულ პროზაში:

„dann merkte man erst, was für ein Riesentier da ist [8, 26]; Erst hinter Mühlheim sah ich, wie es anfang, hell zu werden [5, 111]; „scharf sprang ein Turm.. aus dem Dämmer heraus und ich sah, daß es erst sechs war [5, 111]; Er war erst vier Wochen Soldat [5, 35]; Der nächste Zug fuhr erst in einer Stunde [5, 119]; „schon am zweiten Tage befand sich die Familie in völliger Auflösung [5, 156]; „zumal die Bäume schon angefangen hatten, auszuschlagen [5, 160]; „doch schon beim ersten Vers des erstgenannten Liedes machte meine Tante ...ein finsternes Gesicht [5, 161]; Schon nach zehn Tagen konnte der Arzt riskieren [5, 171]; Nach einigen Tagen schon begann sie aufzublühen [5, 171]; Schon in seiner Jugend „ging er früh auf Bahnen [5, 145]; Aber immer war der Mond noch auf der weithin sichtbaren Landstraße [9, 319]; Im Flur spielte ein Kind in einer Pfütze, die noch vom letzten Regen her dort stand [5, 115].

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, გრადუირებულ ნაწილაკებს აქვთ ომონიმები მოდალური ნაწილაკების ჯგუფებში, განსხვავებული ფუნქციებით და განსხვავებული მნიშვნელობებით. მოდალურ ნაწილაკებში დომინირებს კომუნიკაციური ფუნქცია, ისინი წინადადებაში ზმნის შემდეგ თავსდება და ნაკლებად აქვთ საკუთარი მნიშვნელობები. გრადუირებულ ნაწილაკებში დომინირებს სემანტიკური ფუნქცია და ისინი ქვემდებარის ჯგუფში, წინდებულის ჯგუფებში ან დამოკიდებულ წინადადებასთან თავსდება.

Das Kind war nur so gräßlich mager [5, 69]; nur მოცემულ წინადადებაში მოდალური ნაწილაკია. Nur Notizbuch und Bleistift dienen uns [5, 111]; nur ამ წინადადებაში გრადუირებული ნაწილაკია. Mich interessiert bloß, warum Sie nicht früher abgehauen sind [7, 215]; bloß ამ წინადადებაში მოდალური ნაწილაკია. Wöher bloß die Kartoffeln kommen [7, 212]; bloß ამ შემთხვევაში გრადუირებული ნაწილაკია. Es war auch noch dazu viel Arbeit da [9, 313]; ამ წინადადებაში ორი მოდალური ნაწილაკია auch, noch.

Auch eine gute Zeit, Schrinz denkt gerne daran [8, 23]; Aber immer war der Mond noch auf der weithin sichtbaren Landstraße [3, 319]; auch და noch მოცემულ წინადადებებში გრადუირებული ნაწილაკებია, auch კოორდინაციული-ინკლუზიური ნაწილაკია, noch ტემპორალური ნაწილაკი.

Das ist schon öfter vorgegangen [8, 49]; მოცემულ წინადადებებში schon მოდალური ნაწილაკია. Schon vom ersten Tage an erfüllte mich sein Appetit mit großer Sorge [5, 122]; schon ამ შემთხვევაში გრადუირებული ტემპორალური ნაწილაკია.

Dann essen wir eben alleine [13, 243]; ამ წინადადებაში eben მოდალური ნაწილაკია. Das Gesicht des Majors, eben noch rosigrund, wurde lang [16, 397]; მოცემულ წინადადებაში eben და noch გრადუირებული ნაწილაკებია.

ხარისხის ნაწილაკების ადგილი განიზღვრება წინადადების წევრებთან მიმართებით [3, 423]. ისინი შეიძლება უშუალოდ წინადადების წევრის წინ ან მის შემდეგ განთავსდეს, იშვიათად ძლიერი აქცენტის დროს დისტანცირდეს წინადადების წევრისაგან:

Auch die Witze ..sind immer dieselbe [5, 53];

"Nur das Nachdunkeln, sagte er, das Nachdunkeln hat seine Tücken" [11, 255];

Der Blick sogar schwindelte [5, 43];

Dieses Ereignis selbst war so geringfügig, daß uns das Ausmaß der Folgen erschreckt [5, 145]; ..aber Hans war selbst sehr schwach und weinte beim geringsten Anlaß [5, 73]; Das Keuchen der Dogge, das dazu da ist, daß die Stille zwischen den Stämmen noch dichter wird [8, 84];

გრადუირებულ ნაწილაკებს არ აქვთ შეზღუდვები მეტყველების – და წინადადების ტიპთან დაკავშირებით, მაგრამ აქვთ შეზღუდვები წინადადების წევრებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება იყოს ქვემდებარის ჯგუფი, წინდებულიანი ჯგუფი, დამოკიდებული წინადადება.

Auch der Hund kennt ihn [8, 22];

Nur Notizbuch und Bleistift dienen uns [5, 111];

Schon in seiner Jugend ..ging er früh auf Bahnen [5, 145];

Der nächste Zug fuhr erst in einer Stunde [5, 119];

Erts als der Motor anspring, glaubte er Lichter in den Fenstern zu sehen [7, 222];

Nur wenn er an die Kleinen dachte, weinte er aus Herz [5, 73].

შემდეგი ჯგუფის ნაწილაკები, რომლებიც ფართოდ გავრცელებულია გერმანულ პროზაში, არის ხარისხის ნაწილაკები (ინტენსიურობის ნაწილაკები, ხარისხის მოდიფიკატორები). მათი ფუნქცია განისაზღვრება არა კომუნიკაციურ, არამედ სემანტიკურ დონეზე. გ. ჰელბიგი და ი. ბუშა გამოჰყოფენ ნაწილაკებს, რომლებშიც ღომინირებს სემანტიკური ფუნქცია: sehr, etwas, ganz, höchst, eben, ziemlich, fast, nahezu, außerordentlich, recht, so,überaus, viel, durchaus, weit, weitaus, zu [6, 477];

სემანტიკური ნაწილაკების ძირითად ბირთვს ქმნიან ხარისხის ნაწილაკები: sehr, ganz, höchst, recht, fast, so, überaus, ziemlich, viel, weit, etwas, weitaus, wenig, völlig, kaum, außerordentlich [2, 423].

ხარისხის ნაწილაკები არ მიემართება მთელ წინადადებაზე და არც წინადადების სხვადასხვა წევრებზე. როგორც წესი, ისინი თავსდება ზედასართავ სახე-

ლებთან და ადიექტიურ ზმნიზებებთან. ხარისხის ნაწილაკები ზედსართავი სახელით აღნიშნული თვისებების კლასიფიკაციას ახდენენ იმპლიციტური ხარისხის შკალასთან შესაბამისად, გადმოსცემენ რა ამ თვისებების ხარისხს [2, 423]; ხარისხის ნაწილაკები მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება გერმანულ პროზაში.

Ich ging sehr langsam zum Bahnhof zurück [5, 120]; Sein erstaunen, ..ist nicht gering, aber durchaus gelassen [8, 22]; Der Weg ist durchaus sichtbar, nur die Lichtung nicht [8, 22]; das alles ist sehr poetisch [8, 24]; Tante Milla war, wegen ihrer Vorliebe für Ausschmückung des Weihnachtsbaumes bekannt, eine harmlose... Schwäche, die in unserem Vaterland ziemlich verbreitet ist [5, 148], ..drei Ringseile sind heruntergelassen, daran je ein ziemlich dünner Strick mit einer Schlaufe [8, 57]; Auf der Treppe ..erscheint ein Mann ohne Uniform, ein ziemlich junger Bursche [8, 56]; Obschon ihm der Schweiß auf der Stirn steht, ist er ganz ruhig [8, 26]; Er kaufte auch am nächsten Abend mit Pauline beim Uhrmacher zwei Trauringe, sehr schön blank, sehr schön breit, ganz neu und blitzend [18, 222]. auch ამ წინადადებაში მოდალური ნაწილაკია, sehr, ganz ხარისხის ნაწილაკი.

Der Pfarrer erschien etwas abgehetzt und erstaunt [5, 160]; ..ein sattes, fast bleiernes Sediment [5, 108]; „brach meine Tante in so heftiger Geschrei aus, daß man den Zwerg sofort wieder komplettierte, die Kerzen anzündete und etwas hastig, aber sehr laut in das Lied ausbrach [5, 161]. ამ წინადადებაში სამი ხარისხის ნაწილაკია so, etwas, sehr, aber კავშირია და არა მოდალური ნაწილაკი.

Völlig unbewegt und unbeteiligt stand der junge Mann dort [5, 108]; ..immer stieg ein ferner, kaum sichtbarer Rauchfaden von der Kerzen auf [5, 107]; Die Zwerge ein wenig phosphoreszierend, bleiben starr in der Dunkelheit stehen [5, 167]; Es war so still hier [5, 97]; In der vordesten Bank kniete die junge Frau vor einer alten steinernen Madonna, die auf einem völlig unbenutzten ...Altar stand [5, 109]; ..und es gab so unheimlich viele Leute auf der Treppe und so unheimlich viele Enttäuschungen für die Kleinen [5, 73]; So geht es weiter, alles etwas komisch, etwas kleinlich, etwas übertrieben [8, 40]; ამ წინადადებაში etwas ხარისხის ნაწილაკია, so არის ზმნიზება, სინტაქსურად ვითარების გარემოება. Der Mensch hat sie so sehr nötig [11, 256]; მოცემულ წინადადებაში ორი ხარისხის ნაწილაკია so, sehr. Das ist ganz gleich [9, 302]; Ihm wurde ganz warm und eifrig zumute [9, 317]; Die Dogge ..reißt ihn fast um, so daß Schinz kaum zum vernünftigen Sprechen kommt [8, 26]; ამ წინადადებაში kaum არის ხარისხის ნაწილაკი, fast ამ შემთხვევაში არის ზმნიზება ვითარების გარემოების ფუნქციაში, so არის კოპულა მთავარ წინადადებაში და არა ნაწილაკი.

Rudenz blieb vor der Tür stehen, immer noch ganz benommen vor Freude [14, 171]; მოცემულ წინადადებაში immer სემანტიკური ფუნქციის ნაწილაკია, noch არის გრადუირებული ტემპორალური ნაწილაკი, ganz ხარისხის ნაწილაკია. Viel bittere Geschichten, aber schön [8, 55]; Er braucht viel wenige Dinge [19, 187]; Es schneit, aber nicht so mächtig [8, 22]. Ihm war ganz wohl zumute [9, 315]; Und lange Zeit ging es auch so ganz gut [9, 319]; ამ წინადადებაში სამი ნაწილაკია, auch მოდალური ნაწილაკია, so და ganz ხარისხის ნაწილაკებია. Es war auch noch dazu so viel Arbeit da [9, 313]; მოცემულ წინადადებაში სამი ნაწილაკია. auch, noch მოდალური ნაწილაკებია, so არის ხარისხის ნაწილაკი. Da waren zwei Zweitklasswagen völlig leer [10, 135]; Jetzt

brauchte er nur noch einen Kran, der dann auch seine Kleider ... auf den Wagen laden konnte, damit es nicht zu viele Wagen braucht [19, 187]; ამ წინადადებაში ოთხი ნაწილაკია: nur და noch მოდალური ნაწილაკებია, auch გრადუირებული, კოორდინაციული-ინკლუზიური ნაწილაკი, zu ნორმირებული, ხარისხის ნაწილაკი. Er hatte sie nur einmal gesehen, so blaß und bescheiden [9, 314]; ამ წინადადებაში nur მოდალური ნაწილაკია, so ხარისხის ნაწილაკი. Da blieb eine Hirschkuh vor ihm stehen, weit weg. [9, 115]; ..von hinten beleuchtet sah er fast lebendig aus [9, 119]; Etwas angetrunken wie der Busche war, war diese Mondnacht gerade recht für ihn [3, 319]; ამ წინადადებაში etwas არის ხარისხის ნაწილაკი, gerade არის გრადუირებული სეგმენტაციური-ექსკლუზიური ნაწილაკი, recht ზედსართავი სახელია და არა ხარისხის ნაწილაკი, wie შედარების გამომხატველი ნაწილაკია. Beinahe so schnell wie ein Hirsch sprang er über den Graben [9, 319]. მოცემულ წინადადებაში so ხარისხის ნაწილაკია, wie შედარების გამომხატველი ნაწილაკი. Oder er blieb gar selben stehen, weil ihm das Wandern so neu war [9, 315]; Alles ganz alltäglich [8, 27]; ..und es schmeckte ihm köstlich auf der Zunge, so köstlich, wie nie etwas im Leben [5, 73]; მოცემულ წინადადებაში so ხარისხის ნაწილაკია, wie შედარების გამომხატველი ნაწილაკი, etwas არის განუსაზღვრელი ნაცვალსახელი და არა ნაწილაკი.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ერთ წინადადებაში შეიძლება განთავსდეს სხვადასხვა სუბკლასის ნაწილაკი მოდალური, გრადუირებული ხარისხის, რამდენიმე ხარისხის ნაწილაკი ერთად: Jetzt brauchte er nur noch einen Kran, der dann auch seine Kleider.. auf der Wagen laden konnte, damit es sich nicht zu viele Wagen braucht [19, 187]; მოცემულ წინადადებაში ოთხი ნაწილაკია, nur, noch მოდალური ნაწილაკებია, auch გრადუირებული ნაწილაკი, zu ნორმირებული ხარისხის ნაწილაკი. Und lange Zeit ging es auch so ganz gut [9, 319]; მოცემულ წინადადებაში სამი ნაწილაკია, auch მოდალური ნაწილაკია, so, ganz ხარისხის ნაწილაკებია.

ხარისხის ნაწილაკებს აქვთ ომონიმები სხვა სიტყვათა კლასებში – ზედსართავ სახელებში, ნაცვალსახელებში, ზმნიზედებში.

Ihm wurde ganz warm und eifrig zumute [9, 317];

ganz ხარისხის ნაწილაკია მოცემულ კონტექსტში.

Es ist jeder Zeit möglich, daß Bäume verschwinden, ganze Gruppen [8, 22]; ამ წინადადებაში ganz ზედსართავი სახელია.

Völlig unbewegt und unbeteiligt stand der junge Mann dort [5, 108]; völlig არის ხარისხის ნაწილაკი.

..schon am zweiten Tage befand sich die Familie in völliger Auflösung [5, 156]; völlig არის ზედსართავი სახელი მოცემულ კონტექსტში.

Es war so still hier [5, 97]; so ამ წინადადებაში ხარისხის ნაწილაკია.

So geht das weiter, alles etwas komisch, etwas kleinlich, etwas übertrieben [8, 40]; მოცემულ წინადადებაში so არის ზმნიზედა, სინტაქსურად ვითარების გარემოების ფუნქციაში, etwas არის ხარისხის ნაწილაკი.

..und es schmeckte ihm köstlich auf der Zunge wie nie etwas im Leben [5, 73]. etwas არის მოცემულ წინადადებაში განუსაზღვრელი ნაცვალსახელი, wie არის შედარების გამომხატველი ნაწილაკი.

Es braucht viel wenige Dinge [19, 187]; ამ წინადადებაში viel არის ხარისხის ნაწილაკი. ..und es gab so unheimlich viele Leute auf der Treppe und so unheimlich viele Enttäuschungen für die Kleinen [5, 73]; მოცემულ წინადადებაში viel არის ზედსართავი სახელი, so არის ხარისხის ნაწილაკი.

მნიშვნელობის მიხედვით ხარისხის ნაწილაკებში გ. ჰელბიგი და ი. ბუმა გამოყოფენ ორ ქვეჯგუფს: 1) ინტენსიფიკატორებს, რომლებიც ემსახურება თვისების გაძლიერებას: sehr, höchst, außerordentlich; 2) დეინტენსიფიკატორებს, რომლებიც ემსახურება თვისების შესუსტებას: ziemlich, fast, nahezu [2, 424];

ნაწილაკთა ეს ქვეჯგუფები აქტიურად გვხვდება გერმანულ პროზაში, განსაკუთრებით ნაწილაკი: sehr.

Auf dem Amt waren sie sehr nett [5, 33]; ..aber die eigentliche Heilung ging nur sehr langsam vor sich hin [5, 171]. ამ წინადადებაში nur მოდალური ნაწილაკია, sehr ხარისხის ნაწილაკი, ინტენსიფიკატორი.

Die Kabine war sehr eng und fast kahl [5, 23]; Hin und wieder hört man auch das Hupen von Wagen, aber ziemlich ferne [8, 54]; auch მოცემულ წინადადებაში არის მოდალური ნაწილაკი, ziemlich ხარისხის ნაწილაკი, დეინტენსიფიკატორი.

..eine zarte Frau, fast mädchenhaft ging an seinem Arm [20, 10]; ..war ich fast froh, offenbar keines Lohnes würdig zu sein [5, 98]; Die Illustrierte war fast drei Wochen alt [5, 117]; In der Schweiz gebe es eben viele Tunnel, außordentlich viele [12, 64]; eben მოცემულ წინადადებაში მოდალური ნაწილაკია.

ხარისხის ნაწილაკებს არ აქვთ შეზღუდვები წინადადების და მეტყველების ტიპთან დაკავშირებით და არც განსხვავებული სემანტიკური მიმართებების სფეროსთან დაკავშირებით, მაგრამ აქვთ შეზღუდვები ზედსართავი სახელის სხვადასხვა ხარისხის ფორმასთან შეთანწყობის თვალსაზრისით. ზოგი ხარისხის ნაწილაკი დგას მხოლოდ ზედსართავი სახელის დადებით ხარისხთან: sehr, ganz, höchts, recht, so, überaus ziemlich.

Und lange Zeit ging es auch so ganz gut [9, 319]; auch ამ წინადადებაში მოდალური ნაწილაკია, so და ganz ხარისხის ნაწილაკები ზედსართავი სახელის დადებით ხარისხთან.

Er kaufte auch am nächsten Abend ..beim Uhrmacher zwei Trauringe, sehr schön blank, sehr schön breit, ..ganz neu und blitzend [18, 222];

ზოგი ნაწილაკი დგას ზედსართავი სახელის მხოლოდ უფროობითი ხარისხის წინ (viel, weit, viel interessanter), ზოგი დგას ზედსართავი სახელის უფროობითი და აღმატებითი ხარისხის წინ (weitaus, weitaus schönste) [2, 423]. წინადადებაში ხარისხის ნაწილაკების ადგილი მყარია, ყოველთვის ზედსართავი სახელის ან ადიექტიური ზმნიზედის წინ.

Грузинская интеррогативная мелодия аналогична немецкой общим движением тона, однако, восходящий тон здесь сопровождается удлинением последнего гласного (или гласных) [6, 4]. Помимо этого следует отметить некоторые особенности интонации грузинского вопросительного предложения. Для грузинской вопросительной интонации не является релевантным наличие и отсутствие вопросительного слова в предложении, как это свойственно большинству языков, т.е. предложениям с вопросительным словом сопутствует нисходящий тон, а предложениям без вопросительного слова восходящий. Релевантным для грузинского вопросительного предложения является место глагола-сказуемого во фразе, создающее интонационный центр и имеющее нестабильное место. Оно может стоять в начале, в середине и конце предложения. Анализируя научную литературу по грузинской вопросительной мелодии, можно заключить, что грузинская интеррогативная мелодия имеет два движения тона в зависимости от места глагола-сказуемого во фразе. Если глагол-сказуемое стоит в конце фразы, фраза кончается резко восходящим движением тона с удлинением последнего гласного. Если глагол-сказуемое находится в начале или в середине предложения, за восходящим тоном следует нисходящий затакт [3, 7-8].

В русском языке интеррогативная мелодия как будто бы не различается от прогредидентной мелодией данного языка, характеризующейся восходяще-нисходящим тоном [2, 38]. Такой же вывод следует из экспериментальных данных, в которых при изолированном восприятии неконечной синтагмы, информанты отмечали почти полное тождество её мелодии с мелодией переспроса. Однако возможна и постепенно восходящая реализация интонационной структуры в неполном вопросе [11, 7].

В английском повествовательном предложении первый ударный слог имеет самый высокий тон: тон следующего слога медленно опускается, а интонация самого низкого тона приходится на последний ударный слог. Противоположное происходит в грузинском языке, где первый ударный слог имеет средний или низкий тон, а последний безударный слог выражает интонацию. В грузинском языке нет резкого понижения интонации в конце повествовательного предложения. Интонация постепенно угасает, постепенно исчезает. Англоговорящий произнес бы это грузинское предложение с внезапным понижением тона на последнем ударном слоге, понижением безударного слога и интонационным контуром родного языка (английского языка).

Повествовательное предложение в английском языке выражается нисходящим тоном, а вопросительное предложение – восходящим тоном. Общий вопрос (Yes/No-question) произносится с повышающимся тоном, специальный вопрос (Wh-question) с нисходящим тоном. Одно и то же слово может выражать разные значения с разной интонацией. Например, Don't I ↗ know it? (общий вопрос) – на повышенных тонах, Don't I ↘ know it! (восклицательный - exclamation) – при высоком падении. Вопросительная фраза (Tag-question или question tags) в разделительном вопросе (Disjunctive question) – с нисходящим тоном в первой части и нисходящим тоном (если говорящий уверен в положительном ответе) или произносится восходящим (если говорящий не уверен в положительном ответе и задает вопрос) тоном. Например, а) They know about it, ↘ don't they? и б) They know about it, ↗ don't they? Альтернативный вопрос (alternative question) – наиболее распространенное произношение вопросов следующее: первая часть произносится с восходящим тоном, а вторая часть – с нисходящим тоном. Последний нисходящий тон означает, что это единственный выбор и список исчерпан. Would you like ↗ tea or ↘ coffee?.

Наиболее распространенными интонационными контурами в английском языке являются высокий нисходящий, низкий восходящий и нисходящий-восходящий. Для речи молодых британцев характерна интонация «upspeak» – употребление восходящего тона в предложениях, в которых обычно употребляется нисходящий тон.

Вышеизложенное даёт нам право заключить, что интонационные характеристики сравниваемых языков имеют некоторые общие и различительные признаки.

Общим для мелодии всех языков является:

1) движение основного тона голоса, мелодическое выражение законченности и незаконченности мысли: нисходящий тон выражает законченную мысль, восходящий – незаконченную;

2) реализация интонационных структур в основных коммуникативных типах предложения: терминальная мелодия используется в повествовательном, побудительном предложениях и при частном вопросе; прогрессивная – в неконечных синтагмах простых и сложных интонационных структур; интеррогативная – в общем вопросе;

3) при терминальной мелодии часть диапазона падения тона приходится наконец предложения. Темп замедляется.

Отмечаются следующие различия:

1) терминальная мелодия немецкой фразы характеризуется либо восходящей и резко нисходящей мелодией, либо ступенчатообразной, чисто нисходящей мелодией, в то время как грузинская и русская мелодии такого же типа допускают чисто нисходящий тон: в грузинском языке – с постепенным спадом, в русском – более резким, по сравнению с грузинским. Затакт немецкой и грузинской фразы достигает самого низкого уровня, тогда как русская фраза заканчивается выше, ниже среднего уровня;

2) в немецкой и русской фразах тональную вершину (интонационный центр) создаёт первый ударный слог, который может быть вообще первым во фразе. В грузинском языке тональную вершину создаёт первый ударный слог вместе с последующим, который обязательным образом имеет заударный подъём тона (ЗПТ), всегда находящийся на втором слоге с начала и являющийся особенностью грузинской фразы. Место интонационного центра в грузинской фразе нестабильно;

3) в немецком и русском языках понижение тона связано с первым ударным слогом фразы, в то время как в грузинском языке оно начинается со смыслового предиката;

4) прогрессивной мелодии немецкого языка свойственен ровный или восходящий тон с сохранением уровня предакта. Однако в грузинском и русском языках данной мелодии соответствует преимущественно восходяще-нисходящее движение тона. Возможен и восходящий тон;

5) немецкая интеррогативная мелодия отличается нисходяще-восходящей мелодией бóльшего диапазона с сохранением восходящего тона в затакте. Грузинская мелодия того же типа характеризуется либо чисто восходящим движением тона с обязательным удлинением последнего гласного, либо восходящим тоном с последующим нисходящим затактом. Выбор мелодии зависит от места глагола-сказуемого во фразе. Русская вопросительная мелодия аналогична прогрессивной мелодии этого же языка;

6) в немецком и русском языках тональные и силовые изменения реализуются в пределах одного слога, они более тесно связаны друг с другом по сравнению с грузинским языком, в котором более релевантными являются тональные изменения в нескольких (двух-трех) слогах, в чём заключается его своеобразие. Соответственно, данное явление будет выступать в качестве одной из причин интерференции в области интонации.

7) в английском языке, как во всех выше сравниваемых языках, различают три основных вида мелодии, но в английском языке существует шесть типов интонации: high fall – высокая нисходящая, low fall – низкая нисходящая, high rise – высокая восходящая, low rise – низкая восходящая, fall-rise – нисходящая-восходящая и rise-fall – восходящая-нисходящая. Каждая из этих интонаций несет широкую эмоциональную нагрузку, меняющуюся в зависимости от контекста.

### **ლიტერატურა:**

1. არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2005;
2. Брызгунова У. А., Звуки и интонация русской речи. М., Русский язык, 1977;
3. Gamkrelidze T., Kotetishvili Sh., Lezhava I., Lortkipanidze L., Javakhidze L., Phonetic Analysis of Georgian Normative and Dialektal Speech. Tb., Tsu, 2006.  
[http://www.tsu.edu.ge/data/fi le db/faculty\\_humanities/fonetika%201.pdf](http://www.tsu.edu.ge/data/fi%20le%20db/faculty_humanities/fonetika%201.pdf);
4. Зиндер Л. Р., Общая фонетика. Л., Изд-во Ленинград. ун-та, 1960;
5. Mehlhorn G., Trouvain J., Sensibilisierung von Lernenden für fremdsprachliche Prosodie. In: Zeitschrift für Interkulturellen Fremdsprachenunterricht, 12:2. Darmst.: Sprachenzentrum;
6. Нишнианидзе Л. К., Вопросительные предложения в современном русском и грузинском языках: автореф. дис. на соис. учен. степ. канд. филол. наук. Тб., 1966;
7. Норк О. А., Милукова Н. А., Фонетика немецкого языка. М., Просвещение, 1977;
8. Nolfi R., The Melody of English Intonation, 2014;
9. Подольская Т. Е., Богомазова Т. С., К вопросу о фонетической интерференции. Иностранные языки в школе, №1, 1979;
10. Pompino-Marschall B., Einführung in die Phonetik. Brl., Walter de Gruyter, 2009;
11. Richter N., Prosodie neutraler und nicht neutraler Äußerungen der russischen Standardsprache im Kontext des Fremdspracherwerbs. In: Zeitschrift für Interkulturellen Fremdsprachenunterricht, 12:2. Darmst., Sprachenzentrum der TU, 2007;
12. შელია მ., ინგლისური ენის თეორიული და პრაქტიკული ფონეტიკა, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2010;
13. Stotzer Ur., Deutsche Phonetik. Leipz.: Enzyklopdie, 1974;
14. Wells John C., English Intonation, 2006.

**სოფიო მუჯირი, მადონა შელია**  
**გერმანული, ქართული, ინგლისური და რუსული**  
**ენების პროსოდიული სტრუქტურა**  
**რეზიუმე**

წარმოდგენილი სტატია არის მცდელობა გერმანული, ქართული, ინგლისური და რუსული ენების ინტონაციის კონტრასტული აღწერისა. ინტონაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც მეტყველების გამაერთიანებელი მელოდიის, წინადადების მახვილის, ხმის ტემპისა და ტემპრის ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს მოლაპარაკეს, ადეკვატურად გამოხატოს წინადადების მნიშვნელობა და თავისი ემოციები. ამჟამად განსაკუთრებული ინტერესია ენის პროსოდიული საშუალებების შესწავლისადმი. ინტონაციის სწავლება სულ უფრო მეტად განსხვავდება ცალკეული ბგერების სწავლებისგან და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თანამედროვე მეთოდოლოგიასა და დიდაქტიკაში უცხო ენების სწავლებისას.

**Sophie Mujiri, Madona Shelia**  
***Prosodic Structure of German, Georgian, English and Russian Languages***  
**Summary**

This article is an attempt of contrastive description of the intonation of German, Georgian, English and Russian languages. Intonation can be defined as a combination of speech melody, sentence, tempo and timbre of the voice, allowing the speaker adequately express the meaning of the sentence and his emotions. At the present there is a special interest in the study of prosodic means of the language, and the teaching of intonation is increasingly distinguished from the teaching of individual sounds and occupies significant place in the modern methodology and didactics of teaching foreign languages.

**ქრისტიანე თოფურია**  
(საქართველო)

**პოლიტიკური დისკურსი – მსმენელზე ორიენტირებული  
მანიპულაციური ხელოვნება**

პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს დისკურსის ერთ-ერთ უანრს, ამიტომაც, ლოგიკური იქნება თუკი საუბარს დისკურსის განმარტებით დაეიწყებო.

ვინაიდან დისკურსი მრავალგანზომილებიანი ფენომენია, მისი ერთგვაროვანი განმარტება არ მოიძებნება აკადემიურ სივრცეში. სხვადასხვა აკადემიური კულტურა სხვადასხვაგვარად განმარტავს მას. დისკურსს გამოყენების ფართო სპექტრი აქვს, მას ვხვდებით: სოციოლოგიაში, ფილოსოფიაში, ლინგვისტიკაში, სემიოტიკაში, ანთროპოლოგიაში, ეთნოლოგიაში ა.შ.

ზოგან იგი განიხილება, როგორც ტექსტების ერთობლიობა, ზოგან – როგორც კომუნიკაციური მეტყველების სახეობა, როგორც დისკურსულ „პრაქტიკებში“ განხორციელებული ურთიერთობა ან ყველაფერი, რაც გამოხატულია წერიით და ზეპირი ფორმით.

ხშირად დისკურსი და რიტორიკა ერთი პრიზმის ქვეშ შეისწავლება. არისტოტელესეული მოსაზრებით, რიტორიკა არის პრაქტიკული დისკურსი. უფრო ზუსტად კი, რიტორიკა არის დისციპლინა, რომელიც დაინტერესებულია ზეპირი ან წერილობითი დისკურსის გამოყენებით [4, 12].

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ-ცნობარში კი ვკითხვლობთ: დისკურსი არის ურთიერთდაკავშირებული ცნებების ან დებულებების ერთობლიობა, ერთგვარი ენა, რომელიც განსაზღვრავს სოციალური სამყაროს ელემენტებს შორის კავშირს. სოციალური მოვლენები კი ყოველთვის არსებობს მხოლოდ გარკვეული დისკურსის ფარგლებში. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ იგი არა მხოლოდ ქმნის სოციალურ ურთიერთობებს, არამედ იყენებს ცოდნას ძალაუფლების შესაქმნელად [8, 63].

დისკურსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბებაში. უფრო მეტიც, მას ძალუძს სტერეოტიპულ-იდეოლოგიური დამოკიდებულებების დანერგვა და ნორმალიზება სოციუმში.

ყველა ის ზეპირი კომუნიკაცია, წერილობითი ტექსტი, რომელიც შინაარსობრივად დაკავშირებულია პოლიტიკასთან, გარდაიქმნება პოლიტიკურ დისკურსად. პოლიტიკური დისკურსი იმით განსხვავდება სხვა დისკურსებისგან, რომ მასში ასახულია წინასწარგანაღიზებულები, განზრახული, ნაფიქრი კომუნიკაცია.

პოლიტიკურ დისკურსს განსაზღვრავს თავად მისი მოქმედი პირები (პოლიტიკოსები). პოლიტიკური დისკურსი არის პოლიტიკურად იმპლიციურული დიალოგი პოლიტიკურ აქტორებსა და პოლიტიკურ ინსტიტუციებს შორის. მას ქმნიან არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ პოლიტიკური პროცესები (მაგ., „პერესტროიკა“), სისტემები (მაგ., კომუნიზმი), იდეოლოგიები (მაგ., ლიბერალიზმი), ჯგუფები (კოალიციის) [9, 12, 15].

პოლიტიკური გამოსვლა ყოველთვის აუდიტორიის დარწმუნებისკენ არის გამოზნული. პოლიტიკური აქტორი თავის გამოსვლაში აქტიურად იყენებს ენობრივი ხეგავლენის სტრატეგიებსა და საშუალებებს. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ სტრატე-

გიად შეიძლება ჩაითვალოს ლოზუნგის სიტყვები. ცირა ბარბაქაძე მათ შემდეგნაირად გვიხასიათებს: **ლოზუნგის სიტყვებს** (თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, დემოკრატია, მშვიდობა, ტოლერანტობა და სხვა) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის იდეოლოგიზაციაში. ისინი ტექსტის ფიდეისტურ (მაგიურ) ფუნქციასაც კი ასრულებენ. ამ ტიპის ლექსიკას იმთავითვე ახასიათებს დადებითი ემოციური შეფერილობა [1].

მოსაზრების მხატვრულად გადმოსაცემად, პოლიტიკურ გამოსვლებში ხშირად ვხვდებით **პარემიებს (ანდაზებს)**. პარემია – უნივერსალური ენობრივი ერთეულია, რომელიც აირეკლავს ნაციონალური კულტურის მრავალფეროვნებას, ერის მენტალიტეტს, მსოფლმხედველობას. საკუთარ დისკურსში ანდაზის გამოყენებით მოსაუბრე ხაზს უსვამს საკუთარ ერუდიციას და ამავდროულად ცდილობს ადრესატს აგრძნობინოს, რომ მათ საერთო ინტერესი და ღირებულებათა სისტემა აქვთ.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ **ექსტრალინგვისტური ფაქტორები** და მათი გარდამტეხი როლი პოლიტიკურ ყოფაში. ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს განეკუთვნება: კომუნიკანტებს შორის არსებული ფონური ცოდნა, საერთო კულტურული სივრცე, ერის იდეოლოგია, კონკრეტული დრო-სივრცული მოცემულობა და სხვა. პოლიტიკური დისკურსის შესწავლა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ტექსტითა და მეტყველებით, გარდაუვალია **კონტექსტის** გათვალისწინებაც [6].

სტატიაში „მანიპულაციის ენობრივი საშუალებები პოლიტიკურ დისკურსში“, ვკითხულობთ, რომ პოლიტიკოსებს ახასიათებთ **ავტორიტეტების**, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების მოხმობა, ციტირება. ასევე, ხშირად მიმართავენ ისეთ ლინგვისტურ ხრიკს, როგორცაა გამეორება. **გამეორება** იდეოლოგიის შელამაზების კარგი საშუალებაა. მის შედეგად ნათქვამში ინდივიდუალურობა ბუნდოვნდება და იქმნება კოლექტიური სტილი. თუ სათქმელს რამდენჯერმე მოისმენს მსმენელი, როგორი რთულად აღქმადიც არ უნდა იყოს ის, აუცილებლად დაიმახსოვრებს. **რიცხვებისა და სტატისტიკის გამოყენება** – ამ მეთოდის გამოყენების დროს მსმენელი უძლურია მყისიერად გადაამოწმოს იმ ციფრების სიზუსტე, რომელსაც მანიპულატორი იყენებს. იძულებულია მიიღოს იმგვარი ინფორმაცია, როგორსაც სთავაზობენ.

ამასთან, აღსანიშნავია, პოლიტიკურ არენაზე წარმატებით ადაპტირებული კომუნიკაციურ-პრაგმატიკული სტრატეგია, რაც კირვალდესთან მოხსენიებულია, როგორც **აზრობრივი გაურკვეველობა და ეზოთერულობა**. იგი მიზნად ისახავს: არასასურველი ფაქტების ნეიტრალიზაციას და შენიღბვას; სიმართლის დამალვას და მასებში დაბნეულობის, შიშის შეგნებულად გამოწვევას; ანონიმურობას და დეპერსონალიზაციას პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად; საკუთარი რეიტინგის გადარჩენას; დისკურსის მსვლელობისას უკიდურესობების და კონფლიქტების თავიდან აცილებას [3, 113].

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური დისკურსი იზიარებს იაკობსონის მიერ შემოთავაზებულ ენის ფუნქციურ კლასიფიკაციას. შესაბამისად, პოლიტიკური სიტყვა თავისი ფუნქციით არის ექსპრესიული, კონატიური, ფატიკური, რეფერენციული, მეტალინგვისტური და პოეტური [7]. ყველა ამ ფუნქცია-კომპონენტის ერთობლიობა ემსახურება საერთო მიზანს, რასაც მსმენელზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა და მისი მანიპულირება ჰქვია.

რა არის მანიპულაცია? და არის თუ არა პოლიტიკა მანიპულაციის ერთ-ერთი გამოხატულება? მანიპულირებაში მოიაზრება წინასწარ დაგეგმილი შედეგების მისაღწევად ვინმეზე მიზანმიმართული ზემოქმედება. ეს არის ადამიანების ქცევის მართვის ტექნოლოგია – საზოგადოებრივი აზრის, მასების მისწრაფებებისა და განწყობების იმგვარად დაპროგრამება, რომლის შედეგადაც მიიღწევა ისეთი ქცევა, როგორც სჭირდება მანიპულირების საშუალებების მფლობელს [5]. ამრიგად, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკა თავისი ბუნებით მანიპულაციურია, რადგან სავსებით აკმაყოფილებს მანიპულაციის დეფინიციაში ჩადებულ ყველა კრიტერიუმს.

პოლიტიკური დისკურსი არის უწყვეტი ტექსტების ერთიანობა, პოლიტიკოსის ქმედება კი დასახული მიზნის – ძალაუფლების მოპოვებისა და სამოქალაქო განწყობილების შეცვლისაკენ სწრაფვის განხორციელებაა. პოლიტიკური მეტყველება საზოგადოებრივი ცნობიერების ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტია. იგი ყოველთვის ფაქტებზე და საქმეზე ორიენტირებული ვერ იქნება. ხშირად მოიცავს ირაციონალურ და ემოციურ კომპონენტებს. პოლიტიკურ დისკურსს არ ეკუთვნის აბსოლუტური ჭეშმარიტება და ჭეშმარიტი საუბარიც არ არის მისი უმთავრესი მიზანი. მისი მიზანია დარწმუნება და არგუმენტირება, რაც ამას შეუწყობს ხელს, ის იქნება მთავარი პოლიტიკოსთვის და არა თავად ჭეშმარიტება [2, 27, 30].

ამ ყველაფერთან ერთად, აუცილებლად უნდა ვახსენოთ მედიის როლი პოლიტიკაში. კერძოდ კი ის, რომ მედიის განვითარებამ ხელმისაწვდომი გახადა პოლიტიკური დისკურსი ფართო მასებისთვის. პოლიტიკოსების ერთგვარი ვალდებულება გახდა, რომ გაეთვალისწინებინა ყველა სოციალური ფენა და გამხდარიყო მარავლადრესატზე ორიენტირებული.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დისკურსი აყალიბებს საზოგადოებრივ სინამდვილეს. საერთო კოლექტიურ მეხსიერებაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება კი ქმნის მას. უფრო მეტიც, დისკურსის ფლობა, ძალაუფლების ფლობასთანაც კი შეიძლება გაავიგივოთ. რაც შეეხება პოლიტიკურ დისკურსს, იგი დისკურსის ერთ-ერთი ნიშა მეცნიერებაა, რომელიც სხვა არაფერია თუ არა რიტორიკული ხელოვნება, რომლის დანიშნულებაა მსმენელი აუდიტორიის მანიპულირება უკვე კარგად ნაცადი მეთოდებით, როგორცაა სლოგანურობა, საუბრისას პარემიების, რიცხვებისა და სტატისტიკის გამოყენება, აზრობრივი გაურკვეველობა და ეზოთერულობა, გამეორება, ავტორიტეტის ციტირება ა.შ.

### **ლიტერატურა:**

1. ბარბაქაძე ც., პოლიტიკური დისკურსის ანატომია, 2017; <https://mastsavlebeli.ge/?p=15953>;
2. ბახტაძე ნ., მანიპულაციის ენობრივი საშუალებები პოლიტიკურ დისკურსში, 2021;
3. კირვალიძე ნ., პოლიტიკური დისკურსი, როგორც ინტერდისციპლინური და ინტერპარადიგმული კვლევის საგანი, 2010;
4. ქებურია მ., დარწმუნების ლინგვოპრაგმატული მახასიათებლები და პრაქტიკული არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში, დისერტაცია, თბ., 2019;

5. ჯიქია დ., მანიპულაციის ხერხები: ხელისუფლება და საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება, 2010; [http://socpoldigest.blogspot.com/2010/03/blog-post\\_28.html](http://socpoldigest.blogspot.com/2010/03/blog-post_28.html);
6. ჯღარკავა გ., „რატომ იყენებენ ანდაზებს პოლიტიკოსები?“, 2021; <https://www.alia.ge/ratom-iqheneben-andazebs-politikosebi/>;
7. იაკობსონის სქემა. wikipedia.org; [https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1\\_%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90)
8. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბ., 2004;
9. Dijk V., What is political discourse analysis? Belgian Journal of Linguistic, 1997.

**Kristine Tophuria**  
***Political Discourse – Audience Oriented Rhetorical Art***  
**Summary**

Politics is inseparable element of human life. Consciously or unconsciously people become the part of politics or even create the political discourse themselves. This fact indicates that political discourse is hegemonic with its nature and easily takes the reins over the society.

Language is represented as the main tool for discrediting of your political foe on super competitive political arena. Slogans, proverbs, numbers and statistics, thought obscurity and esotericism, repetition, citing prominent persons' names are among those effective manipulative techniques which are successfully implemented for audience management-manipulation-monitoring in politics.

**Кристина Топурия**  
***Политический дискурс – риторическое искусство, ориентированное на аудиторию***  
**Резюме**

Политика является неотъемлемым элементом человеческой жизни. Сознательно или неосознанно люди становятся частью политики или даже сами создают политический дискурс. Этот факт свидетельствует о том, что политический дискурс гегемонен по своей природе и легко берет на себя бразды правления обществом.

Язык представлен как главный инструмент дискредитации вашего политического противника на конкурентной политической арене. Лозунги, пословицы, использование цифр и статистики, неясность мысли и эзотерика, повторение, цитирование имен выдающихся личностей относятся к числу тех манипулятивных приемов, которые успешно применяются для управления-манипуляции-мониторинга аудитории.

**კობა წურწუშია**  
(საქართველო)

**შერეულ ანდერსონის ნოველების კომპოზიცია და  
მნატვრული თავისებურება**

შერეულ ანდერსონი ლაპიდარული, სხარტი, მოკლე, უსიუჟეტო ნოველების დიდოსტატია. მართალია, მისი ნოველების სიუჟეტური ქარგა ძალზე შეკუმშულია, მაგრამ ამით მისი ნოველების დეკორი არ ირღვევა. მისი ნოველების კომპოზიცია მრავალგვარი წაკითხვის საშუალებას იძლევა. ხშირია ფიგურალური მეტყველება, ღრმა სემანტიკური აქცენტები, „ამობრუნებული მეტაფორები“ (ბორხესი) და სიმბოლოები. ანდერსონი გროტესკის, ირონიისა და სარკაზმის უბადლო ოსტატია. საოცარი ოსტატობით უთავსებს ერთმანეთს კომიკურ, ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ თემებს. ხშირად პარადოქსული და სარკასტულია მისი პერსონაჟების („კვერცხი“, „სიკვდილი ტყეში“) ბედი. ანდერსონი თითქოს წყვეტს კავშირს ადრეული პერიოდის ამერიკულ ნოველასთან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, მთლიანად ემიჯნება „წარსულს“. მისი ნოველები უხვად საზრდოობენ წარსული გამოცდილებით. მიუხედავად ამისა, მისი წერის სტილი რადიკალურად განსხვავდებოდა ადრეული პერიოდის ამერიკელი მწერლებისაგან (ნათანიელ ჰოთორნი, ბრეტ ჰარტი, ედგარ პო და სხვ.).

შ. ანდერსონის ნოველების არქიტექტონიკა მყარი, ლაკონური და ტევადია. ისინი იტყვენ ადამიანური ყოფის უმნიშვნელოვანეს ფრაგმენტებს, ზოგჯერ მთელ ისტორიას. მწერლის მთავარ, სტილურ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ უკიდურესად შეკუმშული თხრობა, სხარტი და მოკლე დიალოგები, სიტყვის ეფექტური გამოყენება. ამავე დროს, ანდერსონთან უმთავრესია ექსპრესიული თხრობა. მისი მოკლე მოთხრობები ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

შ. ანდერსონთან მთელი სიმძაფრითაა გააზრებული აწმყო, მძიმე ეგზისტენციალური გარემო. მწერლის პროტაგონისტი პერსონაჟები ეჯიბრებიან დროს, ეპოქას, დეგრადირებულ სისტემას, ავტორიტარულ რეჟიმს. ისინი დროის ნაკადიდან ამოვარდნილი პერსონაჟები არიან. მწერლის ტრაგიკული სახეები და ნიღბები ეპოქის სინამდვილეს ქმნიან. ანდერსონის პერსონაჟები ეწირებიან ძალადობას, კაპიტალიზმის უხეშ მარწუხებს, საზოგადოების ზეწოლას. მათ ყველაზე მეტად ადამიანური რესურსების სიმწირე და ჰუმანიზმის ნაკლებობა აღელვებთ. ცხოვრებისაგან წელში გატეხილი პერსონაჟები გაუსაძლის რეალობაზე გვესაუბრებიან. ყოველივე ეს შეუწყნარებელი ეპოქის კონვულსიებია.

შ. ანდერსონთან უმთავრესია მეტაფორული აზროვნება. მისი მცირე ტექსტები იმაზე მეტს ამბობენ, ვიდრე ეს ზედაპირზე დევს. მისი პერსონაჟები ხშირად აფსურდულ სიტუაციაში იმყოფებიან. შეიძლება ითქვას, მწერალი ერთი საკითხის გარშემო – დაუცველი ადამიანების მოკლე ისტორიებს გვიყვება, მაგრამ ეს ისტორიები და ეპიზოდები განზოგადოებულ სახეს იძენენ. რაც მთავარია, შერეულ ანდერსონთან ვერსად ნახავთ ფსევდომეტაფორებს, შელამაზებულ-შეთითხნილ პერსონაჟებს, სიმულაციებს, უხესიტყვაობას.

ზოგჯერ მწერალი სკრუპულოზურად გვამცნობს გარემოს, ანტურაჟს. პერსონაჟების ფსიქოლოგიურ პორტრეტებს. მათ უმრავლესობას ხშირად ნერვიული შე-

ტევა ემართებათ, ისინი ფიზიკურ ტანჯვაზე მეტად სულიერ ტანჯვას განიცდიან, აუტანელ მარტობასაც და ნებაყოფლობით იზოლაციაში ყოფნასაც. ხშირად მათი საექვო მიდრეკილებანი დაფარულია გარშემო მყოფთათვის („ხელები“). ხშირია თავისუფლებისაგან გაქცევაც. მისი პერსონაჟები ხშირად ქალაქს სოფლის პასტორალურ გარემოს ამჯობინებენ. მათი ადგილი ქალაქში არაა. ისინი უფრო მყუდრო, მშვიდ, ერთფეროვან ცხოვრებას ამჯობინებენ, ვინემ ხმაურიან ქალაქს. ისინი ქალაქიდან ხშირად გამორბიან („ტენდი“).

შერვუდ ანდერსონის სამწერლო ასპარეზზე გამოჩენით ამერიკული ნოველის განვითარების ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება. მან თვისობრივად და ჟანრობრივად ახალი ლიტერატურული პროცესების დაწყება-დაჩქარებას შეუწყო ხელი; ნიადაგი მოუშადა ამერიკულ მოდერნისტულ პროზას. მის ნოველებში ხშირია მოდერნისტული „ჩანართები“; მოდერნისტული „მდეღვარება“. ისიც უნდა ითქვას, რომ მისმა სტილმა გავლენა იქონია ბევრ ამერიკელ და ევროპელ მწერლზე. ანდერსონის წერის სტილში იყო რაღაც ისეთი, რითაც ის განსხვავდებოდა სხვა ამერიკელი მწერლებისაგან. მისი ნოველების „ინტერიერი“ – უსიუეტო კომპოზიციები გვიყვება მარტოსული და დაუცველი პერსონაჟების ცხოვრებაზე, რომლებსაც არც აწმყო გააჩნიათ და არც მომავალი. მათი ცხოვრება დრამატიზმითაა სავსე.

შერვუდ ანდერსონთან თვალშისაცემია სტილისტური ძიებანი. მწერალმა თავისი ძალები მოსინჯა ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრში, მაგრამ მისი სახელი უმთავრესად დაკავშირებულია ამერიკულ ნოველასთან. ანდერსონმა სამწერლო კარიერა გვიან დაიწყო. ღარიბი ფერმერის ოჯახში დაბადებულ მწერალს სისტემეტიური განათლება არ მიუღია. მიუხედავად ამისა, დაუღალავად იბრძოდა თვითგანვითარებისათვის. ანდერსონი სულაც არ ყოფილა ბედის რჩეული! არც ლიტერატურული ბედი ყოფილა მისი ადგილი და არც მეტად იღბლიანი მისი პირადი ცხოვრება.

ოდითხური ეპოქა არავის ინდობდა!

არც შერვუდ ანდერსონი დაინდო!

ანდერსონის ნოველებში ყველგან იგრძნობა ცხოვრებით დაქანცულობა. კარიკატურული პერსონაჟებიც ბევრია და გროტესკულიც; მორალურად და ზნეობრივად კასტრირებულ პერსონაჟებსაც შევხვდებით („მასწავლებელი“, „ღვთიური ძალა“, „თაგადასავალი“ და სხვა). ამავე დროს, მწერალი საოცარი სიზუსტით ძერწავს ცხოვრებიდან ამოვარდნილი, გამოფიტული ხელოვნების წარმომადგენლებს, ხელოვნებას ამოფარებულ პერსონაჟებს (ენოქ რობინსონი, ნოველიდან „მარტობა“); ხშირად აბსურდი და რეალიზმი გადაჰკვეთს მის ნოველებს. პირქეში იუმორიც ხშირად მეორდება.

შერვუდ ანდერსონი ადამიანის ფსიქიკის არაცნობიერი მხარეებითაა დაინტერესებული. მას ადამიანის ქვეცნობიერი, დაფარული შრეები აინტერესებს. აქვე შეუძლებელია არ ვახსენოთ ფსიქონალიზის ფუძემდებელი ზიგმუნდ ფროიდი, რომელიც თავის შრომებში დიდი ადგილს უთმობს ქვეცნობიერ ფსიქიკურ მოვლენებს. მკითხველს უჩნდება განცდა, რომ ანდერსონის პერსონაჟები რაღაცას მაღავენ. მათი შინაგანი განცდები ბოლომდე ბუნდოვანი ან დაფარულია. მის ტექსტებში მუდამ ტივტივებს არაცნობიერი. მწერალი ცდილობს ეს „არაცნობიერი“ ბოლომდე

ბუნდოვანი დარჩეს. თითქოს მკითხველს ანდობს „ამოხსნას“. ანდერსონის ნოველები გვესაუბრებიან ადამიანის სულის ფარულ შრეებზე, ქვეცნობიერ სურვილებზე, ინსტინქტებზე, კოგნიტურ ქცევებზე. ადამიანის ამბივალენტურ ბუნებაზე. ხშირად მწერლის პერსონაჟების კოგნიტური აზროვნება (მაგ., „ტენდი“), რაციონალური მსჯელობიდან გადახრის მცდელობაა. იგივე შეიძლება ითქვას „კვერცხის“ პერსონაჟზე. ეს პერსონაჟები ქმნიან სუბიექტურ (გნებავთ, სოციალურ) რეალობას. ცხადია, ეს ტრანსცენდენტალური რეალობაა. ამით მწერალმა ეპოქის განწყობა, ხასიათი, საწუხარი გადმოქცვა.

მწერალი კონტამინაციის ხერხსაც მიმართავს. მის ნოველებში ხშირად ორზე მეტი ამბავია გაერთიანებული. „ორაზროვნება“ მისი უსიუჟეტო ტექსტების უმთავრესი მახასიათებელი თვისებაა; ანდერსონთან მოულოდნელი ეფექტები და ოქსიმორონებიც ხშირად გვხვდება (ოქსიმორონი პარადოქსის ერთ-ერთი სახეა). დაკვირვებული მკითხველი უთუოდ იმასაც შეამჩნევს, რომ ანდერსონის ნოველების კონგლომერატი არაა მარტივი. პირობითად, ესაა ერთი დიდი ნოველა, ერთი დიდი მოთხრობა. მიუხედავად ამისა, ისინი ერთ მთლიან ანსამბლეს ქმნიან. შეიძლება ითქვას, ეს არის ერთი დიდი ჯოისისეული შინაგანი მონოლოგი, „ცნობიერების ნაკადის“ კომპოზიციური სქემა, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან მსგავსი, იდენტური პერსონაჟები. მათ რაღაც აკავშირებთ ერთმანეთთან. ალბათ, ეპოქა, გარემო, სოციალური პრობლემები, კაპიტალიზმის ძლიერი სუსხი.

შ. ანდერსონი თავისი გროტესკული პერსონაჟებით იმ მწვავე საკითხებზე გვესაუბრება თუ რა შეიძლება მოჰყვეს უსამართლო წეს-წყობილებას, ძალადობას, გაუცხოებას, ცრუ ფასეულობების მიღებას. ამ მხრივ საყურადღებოა შერვუდ ანდერსონის ესეების კრებული „საგონებელში ჩავარდნილი ამერიკა“ ("The American County Fair", 1930). ანდერსონმა თავისი შემოქმედებით გვიჩვენა ეპოქის განწირულობა, მშფოთვარე თანამედროვეობა. საოცარი ოსატობით არია ერთმანეთში კომიკური და გროტესკული ნიღბები. შეიძლება ითქვას, ანდერსონი ამერიკული ყოფის ამსახველი მწერალია; ამერიკული ცხოვრების ქრონიკებს მთელი სიზუსტით გადმოქცევს. ცრუ დაპირებებით დაბრმავებულ საზოგადოებას მწერალი აფრთხილებს სულიერი ნგრევისა და დამარცხების გარდაუვალ შედეგებზე. მეტიც, მწერალმა მკაფიოდ გვიჩვენა ამერიკული საზოგადოების კომერციული ინტერესები და მარადიული იდეალების გაუფასურება.

1920 წლიდან შერვუდ ანდერსონი ევროპაშია. პარიზში ის ხვდება ცნობილ ამერიკელ მწერალ ქალს, ფემინისტსა და ხელოვნებათმცოდნე გერტრუდ სტაინს (1874-1946). სტაინის პარიზში მდებარე ლიტერატურული სალონი მრავალი ხელოვანისა და მწერლის თავშეყრის ადგილი იყო. მასი სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ ევროპელი და ამერიკელი მწერლები. სწორედ პარიზს შეფარებული ამერიკელ მწერლების – შერვუდ ანდერსონის, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის და ერნესტ ჰემინგუეი მიმართ გამოიყენა სტაინმა თავისი ცნობილი ფრაზა: „აი, რა ხართ თქვენ ყველანი! ომში ნამყოფი ახალგაზრდები, – მითხრა მისს სტაინმა, – თქვენ დაღუპული თაობა ხართ“ [6, 24]. გერტრუდა სტაინის ამ ფრაზამ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ევროპული და ამერიკული კრიტიკის ისტორიაში.

ოჰაიოს შტატში დაბადებული მწერლის შთაგონების წყარო ოჰაიოს მობინადრეები, „პატარა ადამიანების“ ცხოვრება, მათი ყოველდღიური რუტინი გახლდათ.

მაგრამ ყოველივე ამან ანდერსონთან განზოგადოებული სახე შეიძინა. ოჰაიო მარტო ერთი შტატი როდია. ის „მთელი სამყაროა“, საიდანაც დასაბამს იღებს ანდერსონის ნოველების ქარბა. ანდერსონთან ლოკალიზება პირობითია, როგორც ბრეტ ჰარტთან (ბრეტ ჰარტი „კალიფორნიული მოთხრობების“ ავტორია). ოჰაიოში „მოგზაურობა“ ძლიერი „ჩანართია“ ანდერსონთან. მისი პერსონაჟები უსასრულოდ მოგზაურობენ ოჰაიოს შტატში. ცხადია, მწერალს მშობლიურმა კუთხემ შესძინა მდიდარი შთაბეჭდილება, რაც მწერალმა ოსტატურად გამოიყენა. ამ მხრივ საყურადღებოა ნოველების კრებული „უინსბერგი, ოჰაიო“ ("Winesburg, Ohio", 1919).

შერეუდ ანდერსონს დიდად არც კრიტიკა წყალობდა. მისი ნოველების კრებული „უინსბერგი, ოჰაიო“ სასტიკად იქნა გაკრიტიკებული. და არამარტო ეს კრებული! მწერალს ბრალს სდებდნენ თამამი, „ხორციელი“, ნატურალისტური თემების პროპაგანდაში. „საზიზღარ“ და „ბინძურ წიგნს“ უწოდებდნენ. რეცენზიებში ლანძღავდნენ ავტორს და „სექსის პრობლემებით ავადმყოფურად გატაცებულ ადამიანად თვლიდნენ“ [5, 24]. მართალია, ანდერსონის ნოველებში ეს თემები ალაგ-ალაგ წამოწეულია, მაგრამ კრიტიკა შეგნებულად არ დაინტერესებულა ამ თემების გამომწვევი მიზეზებით. ფსიქოლოგიური და ფროიდისეული თემების სიჭარბე შემთხვევითი როდი იყო! საზრიან მკითხველს უნდა დაენახა ამ თემების საფარქვეშ რა მწვავე პრობლემები იყრიდა თავს. რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკის პანიგირიკული შეფასებები ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა.

ერნესტ ჰემინგუეი საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს შერეუდ ანდერსონზე. ის მაღალ შეფასებას აძლევდა ანდერსონის ნოველებს, რომანებს კი მკაცრად აკრიტიკებდა: „ზოგი მისი ნოველა მართლაც ძალიან მომეწონა. უბრალოდ წერდა, ზოგჯერ დიდებულადაც, იცნობდა იმ ხალხს, ვისზედაც წერდა, და ძალიან უყვარდა“. იქვე, ჰემინგუეი დასძენს: „იმავე ხანებში დაწერა ანდერსონმა ერთი რომანი, რომელსაც საბოლოოდ „შავი სიცილი“ უწოდა – იმდენად უბადრუკი, ხელოვნური და ყალბი, რომ თავი ვერ შევიკავე და პაროდია დაეწერე“ [6, 20]. ამასობაში ანდერსონი შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში შედიოდა. მისი ნოველების კომპოზიცია, ფორმა და შინაარსი მეტ აზრსა და სიცხადეს იძენდა.

შერეუდ ანდერსონის ნოველებს აერთიანებს ახალგაზრდა ჯორჯ უილარდი. ის ნოველებში ხშირად ჩნდება როგორც მთხრობელი, როგორც ავტორის ნიღაბი. ჯორჯ უილარდი პროფესიით რეპორტიორი და ჟურნალისტი. მწერალმა მას მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკისრა. ამოუწურავია მისი თვისებები. ის მაშინ გამოჩნდება ტექსტში, როდესაც ყველაზე მეტად მისი გამოჩენაა აუცილებელი. მისი მახვილი თვალი ყველაფერს ამჩნევს და აკონტროლებს. ის დინჯი და აუჩქარებელი მთხრობელია. დეტალურად აღწერს „ფაქტებს“. ამ მეთოდს იყენებს ანდერსონის თანამოძმე და თანამოკალმე ჯეკ ლონდონი, როდესაც თავის პროზაში მთხრობელად გამოჰყავს მეილმუტ კიდი (ასევე, სმოკ ბელიუ). ანდერსონის მსგავსად იქცევა ბრეტ ჰარტი. ისიც ხშირად იყენებს „ნიღაბს“. ჰარტის ნოველებში ხშირად ჩნდებიან ჯონ ოუკერსტი და მისი პროფესიული თანამოძმე ჯეკ ჰელმინი და სხვა პერსონაჟები. ანალოგიურ მეთოდს მიმართავს კიდევ ერთი ამერიკელი მწერალი, ამჯერად ჯერომ დევიდ სელინჯერი, როდესაც „გლასების ოჯახის“ ქრონიკებს თხზავს. მწერალს აქ მთხრობელად ბადი გლასი გამოჰყავს. ამდენად, ჯორჯ უილარდსა და ნოველის დანარჩენ პერსონაჟებს შორის განსაკუთრებული კავშირი

მყარდება. ყველაფერი რაც ოპიოს მოსახლეობას თავს გადახდება, თითქოს ის გვიყვება. ის თითქოს არბიტრის როლს კისრულობს, ესარჩლება და მფარველობს ყველას.

სარკასტული რეალობა გვიჩვენა მწერალმა ნოველაში „სიკვდილი ტყეში“. მოხუცი დედაკაცი, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძის თავსაფრიანი დედაკაცის არქტიპად აღიქმება, სოფელში, ქმარ-შვილთან მდინარის პირას ცხოვრობდა. ტექსტში გარემო ირეკლავს პირველქმნილ უმანკობას, რომელშიაც მთელი მოქმედება ვითარდება. ნოველის ექსპოზიციის ჩანს, რომ მოხუცი დედაკაცი ტრავმირებული და საკუთარ თავში ჩაკეტილი გროტესკული პერსონაჟია. მას ყველამ ხელი ჰკრა! მანაც დანარჩენ საზოგადოებასთან გაწყვიტა კავშირი. ის გარიყული, ამაყი და მარტოსული ქალია, რომელიც არავისგან ელოდება თანაგრძნობას. ისიც შეეჩვია თავის ერთფეროვან ყოველდღიურობას. სამდურავი არავის მიმართ წამოცდებოდა. და, ქალი მარტო იყო ამ სევდიან წუთისოფელში.

ნოველაში უსტის ხელოვნება მაღალ რანგშია აყვანილი. მწერალი ადამიანის ტკივილის გადმოსაცემად ყველა მეთოდს მიმართავს. ანდერსონის „ჟესტს“ ძალუქს განწირული ადამიანის საიდუმლოებების გამხელა, ვინემ სიტყვებს. თოვლში სიკვდილით ანდერსონმა ყველაფერი გვითხრა – სიკვდილთან ადამიანი მარტოა!

იქნებ ეს უკეთესიცაა!

ტყეში სიკვდილი გაფილტრული რეალობაა, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება. ეს პატარა ნოველა ადამიანის უმწეობის მთელ ისტორიას იტევს. ძაღლების „ტყე-ნა“, „ჟურიამული“, „წკმუტუნ“ მოგვაგონებს ველური ტომის გამარჯვებას ადამიანურ საწყისებზე. ამ უსიუჟეტო პატარა ტექსტში იკითხება მარტოხელა ადამიანის ტრაგედია, რომელიც ყველასაგან მიტოვებული ბუნების წიაღში მიიცვალა.

ქალი ყმაწვილობიდან სიბერემდე მდუმარედ, მორჩილად იტანდა დამცირებას, მძიმე ყოველდღიურობას. მდუმარება და მორჩილება არის ქრისტიანული აქტი. ამავე დროს, პროტესტის ფორმაც – მაინც არაფერი შეიცვლება! ტრანსცენდენტურია მისი მთელი ყოფითი საქმიანობა (უფლის ფრინველებსა და ცხოველებს. მათი გამოკვება მისი უმთავრესი მოვალეობაა).

„მოხუცი ქალი თვალს არაფრით მოგტაცებდათო“, – გვეუბნება მწერალი, მაგრამ მთლად ასე როდია! ქალი რეალურ ცხოვრებას სარკესავით ირეკლავდა.

თოვლში სიკვდილი ღრმა კონოტაციების შემცველია. თეთრ სიწმინდეში ქალი ეზიარა პირველქმნილ უმანკობას. თოვლის მრავალი სემანტიკა მოგვეპოვება. თოვლი სისპეტაკის, სიწმინდის, უმანკოების სიმბოლოა. „თოვლში დამარხვა“ სიწმინდესთან დაბრუნებაა. ტომარას, რომელიც ქალს ზურგზე წამოკიდებული აქვს, მეტაფორული დატვირთვა აქვს. ზოგადად, მეტაფორებითაა სავსე ტექსტი. ყოველ ადამიანს თავისი ტვირთი სატარებელი აქვს. ამ ტომარაში თავმოყრილია კაცობრიობის მთელი „სნეულება“. ის ერთგვარი პანდორას ყუთია, მაგრამ „პანდორას ყუთს“ ძაღლები ხსნიან და კაცობრიობა ერთ წრეზე ტრიალებს. გამოსავალი არ ჩანს!

ნოველაში იგრძნობა ჯეკ ლონდონის მოთხრობის ნარატივი („წინაპართა ძახილი“). პატრონის სიკვდილის შემდეგ ძაღლებში წინაპართა სისხლი იღვიძებს და, ცხოვრება თავისი ჩვეული გზით მიდის, ბრუნავს და არ იცოდებს თავსაფრიანი დედაკაცის მსგავს ადამიანებს. „დიდებული ადამიანები უძველოდ იკარგებიანო“, – სევდიანად დასძენს ნიკო ლორთქიფანიძე.

„უძღურება“ ედგარ პოს ნოველების ქარგას გვაგონებს. ანდერსონმა აქ გვიჩვენა ცხოვრების ფსკერზე მოქცეული ადამიანის უმძიმესი ყოფა. გონება არეული მამაკაცი, ჩამოკონკილი და მტვრიანი სამოსით, ნაწვეტ-ნაწვეტ გვიყვება თავის მძიმე ისტორიას. ედგარ პოს პერსონაჟების მსგავსად მასაც ხელი ჰკრეს, ახლობელმა ადამიანებმა ზურგი აქციეს: „ფულს არ მოგცემ, ჩემგან თავისუფალი ხარ“, – მითხრა მამამ. „ფული არ გვქონდა. ქორწინება ოცდაერთი დოლარი დაგვიჯდა. ცოლი მომიკვდა“, – ელვის სისწრაფით გვიყვება თავის ისტორიას ცხოვრებისაგან დაუძღურებული და დაჩაჩანაკებული ლირიკული გმირი. ამ პროზაული სტრიქონების მიღმა თავსდება ადამიანის მთელი ტრაგიკულობა. გონებაარეული მოხუცი ჭეშმარიტებას დაჟღერებს, მაგრამ მისი მოსმენა არავის უნდა, რადგან ის ცხოვრებისაგან გარიყული და მიუსაფარია. ის ამ უზარმაზარ კოსმიურ სამყაროში სრულიად მარტოა, სულისშემძვრელ წარსულთან და მძიმე რეალობასთან. ისიც ედგარ პოს პერსონაჟივით ამაყია, „თავს არავის წააკითხვინებს“, თავის სამყაროში ადვილად არავის შემოუშვებს, რადგან ოჯახმა და საზოგადოებამ ზურგი აქცია და ბრბოს კაცად აქცია. მთელი ნოველა ლაკონურად მოგვითხრობს პიროვნების ტრაგედიას. ამ და სხვა ნოველებში მწერალმა გვიჩვენა ცხოვრებისაგან დაბეჩავებული ადამიანების ფსიქოლოგია, მათ უმძიმესი ყოფა. მათი ადგილი კაპიტალისტურ სამყაროში არაა.

ანდერსონის ნოველებიდან საყურადღებოა „ღვთიური ძალა“. სიუჟეტი ნაცნობია. არაერთგზის წაგვიკითხავს, ან მოგვისმენია. ამ თემით დაინტერესებული იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ნათანიელ ჰოთორნი, გუსტავ ფლობერი, ემილ ზოლა, მიგელ დე უნამუნო. პრესვიტერიანული ეკლესიის ახალგაზრდა პასტორი მარცხდება ღვთის წინაშე, რადგან რწმენის ნაკლებობას განიცდის. პასტორი გაორებული და დაუსრულებელი ფსიქოლოგიური სახეა. ის ბოლომდე სიმულაციურ სამყაროში ცხოვრებას ამჯობინებს; საკუთარ ადგილს ვერ პოულობს ვერც საზოგადოებაში და ვერც მრევლში. მას გაცნობიერებული აქვს თავისი შეცდომები, მაგრამ მაინც ვერ ეღვევა ანაფორას, მრევლს, ტაძარს; ყველაზე მეტად იმ მისტიკურ ნიღაბს, რომელსაც შეგნებულად ამოეფარება.

ახალგაზრდა პასტორის სულიერი წონასწორობა ირღვევა მაშინ, როდესაც სარკმლიდან ახალგაზრდა მასწავლებლის ნახევრად შიშველ სხეულს იხილავს. პასტორის სულში ნამდვილი ბრძოლა იწყება. სურვილი აქვს კიდევ ერთხელ იხილოს ქალის შიშველი სხეული. ის სულიერად და ზნეობრივად ისე ეცემა, რომ სარკმლის მინას ქვით ჩაამსხვრევს.

პასტორი ამ ამოტეხილი ხვრელიდან იმზირება; მისი სულიერი სივრცე დაგმანულია. მისი სულის სარკმელი – დავიწროვებული; ის ისევე მარცხდება, როგორც ილიას განდევილი; მიგელ დე უნამუნოს ღირსი მამა მანუელი („წმინდა მანუელ სათნო, წამებული“). ცხადია, მამა ჰარტმენი მოწოდებით სულიერი მამა არაა. ის მერყევი და რწმენა დანგრეული მოძღვარია, რომელიც ბნელი გზით დაიარება (პირდაპირი მნიშვნელობითაც მთელი ტექსტის მანძილზე ღამით დაეხეტება). მისი მჭვრეტელობითი სივრცე ამოტეხილი სარკმლიდან იწყება და იქვე მთავრდება. ამის იქით ის ვერაფერს ხედავს. ის ჩაკეტილ წრეში ტრიალებს. ის გროტესკული პიროვნებაა – ფართო გაგებით. სამრეკლოში მხოლოდ იმიტომ ადის, რომ იქიდან მასწავლებლის შიშველი სხეული დაინახოს. მან იხილა საკუთარი ამოყირავებული

სულის ტაძარი, მაგრამ მაინც აგრძელებს მდებარე ფიქრს, რომელიც სამუდამოდ ანგრევს მის პატარა სენაკს.

ელის ჰაინდმენის ისტორია თითქმის არაფრით გამოირჩევა („თავგადასავალი“). ქალისა და მამაკაცის იდეალურ ურთიერთობას ნდობა წარმოშობს, მაგრამ ანდერსონთან ასე როდი ხდება! ქალი მძიმე მდგომარეობიდან ვერაფრით გამოდის, რეალობის გრძნობას კარგავს, ეწყება ჰალუცინაციები, უსულო საგნებთან იწყებს საუბარს. მისი ფანტაზია დრამატულად იშლება და ვითარდება. მისი კოგნიტური ქცევები წარსულში მომხდარი ტრავმის შედეგია. ქალს თავისი ფანტაზიით შექმნილი სამყარო „გარეთ“ გააქვს და ამით მისი გროტესკული პერსონა უფრო მკაფიო სანახაურო ხდება. აქვე დავძენთ, რომ ეს ტექსტი შიო არაგვისპირელის ნოველას („მელოს დღიურიდან“) გვახსენებს.

ანდერსონის პერსონაჟების ცხოვრება ხშირად მასკარადს ემსგავსება. კომერციულმა გარემომ ბევრს იმედის სხივი ჩაუსახა. ამ გარემოში ან წააგებ, ან მოიგებ! წაგებულები უფრო ჭარბობენ მოგებულებს. მისი პერსონაჟები მძიმე რეალობის შედეგად აუტსაიდერები გამხდარან. ბოლოქარი ბაზრის კანონების შედეგად მათ სურვილებს ახდენა არ უწერიათ. ამ მხრივ საყურადღებოა ანდერსონის ნოველა „კვერცხი“, სადაც ხელმოცარული კაცის ტრაგიკომიკურ ისტორიას ვეცნობით. ნოველას გასდევს ფილოსოფიური ძიებანი, პიროვნების ტრაგიზმი. კვერცხისადმი ფილოსოფიურმა მიდგომამ ანდერსონის პერსონაჟი ტრაგიკულ პიროვნებად აქცია. ტექსტში გამოკვეთილია მთავარი ქრისტიანული სიმბოლო. კვერცხი სამყაროს ცენტრს, მის სუბსტანციას წარმოადგენს, მაგრამ აქამდე მისასვლელი გზა გროტესკული და აფსურდულია. მთავარმა გმირმა ოჯახი თეატრს დაამსგავსა, უფრო ცირკს, სადაც თავს იყრიდნენ მხოლოდ სეირის მაყურებლები.

კომიზმი და გროტესკი იყრის თავს ნოველაში „გროტესკის წიგნი“ (ამ ნოველით იხსნება „უინსბერგი, ოჰაიო“). სამოც წელს გადაცილებული მოხუცი მწერალი თავისი ახირებული სურვილებით ნამდვილი გროტესკული სახეა. ანდერსონმა მას უიშვიათესი გროტესკული ნიღაბი მოარგო. მოხუც მწერალს არ მოსწონდა, რომ მისი ოთახის ფანჯრები მალლა იყო განლაგებული. მას კი დილით გაღვიძებულს სურდა ხეები დაენახა. ერთ დღეს დურგალი დაიბარა, რომ საწოლი ფანჯრის დონემდე აემადლებინა. ამის შემდეგ, როდესაც მწერალს ძილი მოუნდებოდა, საწოლთან სკამი უნდა მიედგა... გროტესკული სიუჟეტია, არა?!

ანდერსონის სათქმელი მხოლოდ ეს როდია!

ნოველაში გაცხადებულია კულტურისა და ხელოვნების კრიზისი. „ადრე სამყარო ახალგაზრდა იყო, ქვეყნად უთვალავი აზრი არსებობდა...“ მოხუცი მწერალი დაშორდა „ადრეულ პერიოდს“, რასაც ძლიერ განიცდის. ადრეული ხანა მის ცნობიერებაში დრამადაა დაღეკილი. „წარსულს“ მასში დრმა ფესვები გაუდგამს. ის ვერ ელევა წარსულს, ადრეულ პერიოდს. სამყარო კი მეტისმეტად შეიცვალა! ადამიანები გაუცხოვდნენ! „ღმერთ მოკვდა!“ სამყარო აპოკალიფსურ ზღვარზეა! ანდერსონმამა ამ ნოველაში ექსცენტრიული პერსონაჟის კარიკატურული დახასიათება მოგვცა. ის კრებითი სახეა, ტრაგიკული და მიტოვებული, რომელიც შეგნებულად გაექცა რეალობას და გროტესკად იქცა. მკითხველი გრძნობს, რომ ყოველივე ეს ტრანსცენდენტალური რეალობაა; ანდერსონისეული მწარე რეალობაა, საიდანაც ადამიანებს თავის დაღწევა უჭირთ.

ზიგმუნდ ფროიდის თეორიის კონცეპტი გამოკვეთილია ნოველაში „ტენდი“. მწერალი აქ კონტამინაციის ხერხს მიმართავს. თხრობისას აქ ორზე მეტი ამბავია გაერთიანებული. ტექსტში მწერლის პოზიცია უკიდურესად შენიღბულია. მოქმედება უინსბერგში ხდება. აქაც ფიგურირებს ჯორჯ უილიარდი – ავტორის სახე-ნიღაბი. ნოველას არ აქვს მარტივი სიუჟეტი. ახალგაზრდა მდიდარი ვაჭრის შვილი ხმაურიან ქალაქს გამოქცეული სამკურნალოდ სოფელში ჩამოდის და უღრმავდება თავის ქვეცნობიერ სახიფათო შიშებს. ლოთობამ და მარტობამ სასოწარკვეთილებადად მიიყვანა. ქალაქს გამოქცეული კაცი სოფელურ გარემოში ცდილობს თავი უსაფრთხოდ იგრძნოს, მაგრამ ამოდ. უსაქმურობისაგან უფრო მეტს ლოთობდა.

სოფელი – პირველქმნილ გარემოში დაბრუნებაა. ახალგაზრდა ჭაბუკი შეგნებულად განუდგება ცივილიზირებულ სამყაროს, რადგან იცის, რომ პირველქმნილი უმანკობის დაბრუნება მხოლოდ ამ გარემოშია შესაძლებელი. მთელი ნოველის მანძილზე მარტოსული ჭაბუკი დაკარგული სულიერი საწყისების ძიებაშია. ჭაბუკის შფოთვები, მოჭარბებული ემოციები, ფსიქიკური სტრესის შედეგია. ის კრიტიკულ მდგომარეობაშია. მისი ინტიმური ველი მთლიანად დარღვეულია. ეს ჩანს მისი „მონოლოგიდან“. ჭაბუკი ცდილობს ჩაახშოს თავისი ქვეცნობიერი სურვილები, მაგრამ ამოდ. მისი წუხილი პიროვნულს აღემატება, ამიტომაც აღსარებასავით გვანდობს: „მარტო ლოთობით არ ვარ შეპყრობილი. სხვა რაღაც მაწუხებს. მე მიჯნური ვარ. მაგრამ სატრფოსთვის ვერ მიმიგნია ჯერაც. ეს უბრალო საქმე როდია. თუკი გესმით რას ნიშნავს. ეს მე დამღუპავს, გამანადგურებს! ეს ყველას არ ესმის!“ [2, 165].

ამრიგად, შერვუდ ანდერსონი გროტესკული სახეებისა და ნიღბების უბადლო ოსტატია. მისი გროტესკული პერსონაჟები გვიყვებიან შემზარავ სინამდვილეზე. ცხადია, ანდერსონის პერსონაჟები არ არიან სქემატური და ხელოვნური. ისინი რეალობას ქმნიან. რაც მთავარია, ანდერსონმა თავისი ნოველებით მოდერნისტულ ლიტერატურას ერთგვარი წინაპირობები შეუქმნა. ასეთია ჩვენ მიერ დანახული შერვუდ ანდერსონი და მისი ნოველების კომპოზიცია, მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება, კულტურული პარადიგმა, მეტაფორული აზროვნება.

### **ლიტერატურა:**

1. ამერიკული ნოველა, ორ ტომად, ტ. 2, შემდგენელი ც. თოფურიძე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1968;
2. ანდერსონი შ., უინსბერგი, ოჰაიო, თარგმანი გ. სართანიასი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2015;
3. ანდერსონი შ., სიკვდილი ტყეში, თარგმანი მ. ცერცვაძის, ჟურნ. „ლიტერატურული პალიტრა“, N10, 2011;
4. ლამანი ჰ. მ., ზიგმუნდ ფროიდი, თარგმანი მ. ასათიანის, გამომცემლობა „პეგასი“, თბ., 2008;
5. ჭკადუა ვ., შერვუდ ანდერსონი, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1972;
6. ჰემინგუეი ე., განუყრელი დღესასწაული, თარგმანი ვ. ჭელიძის, გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1996;
7. Townsend K., Sherwood Anderson, A Biography. Boston, 1987.

**Koba Tsurtsunia**  
***Composition and Artistic Features of Sherwood Anderson's Novels***  
**Summary**

The purpose of the presented publication is critical analysis, interpretation and connotative searches of the novels of a great American writer Sherwood Anderson. From this point of view, the work discusses Anderson's short, plotless novels and their composition. Writer's writing style, environment, criticism of the era, crisis of culture and art, philosophical and psychological topics are shown as well. The architectonics of Sh. Anderson's novels is solid, concise and capacious. They contain the most important fragments of human existence, sometimes the entire history.

Discursive thinking, connotative searches, interpretation, meditations, multi-dimensionality of thought, critical analysis, judgment, confrontation, understanding of metaphors and symbols, methodological searches follow the presented texts.

**Коба Цурцумия**  
***Композиция и художественные особенности романов Шервуда Андерсона***  
**Резюме**

Целью представленной публикации является критический анализ, интерпретация и коннотативные поиски романов великого американского писателя Шервуда Андерсона. С этой точки зрения в произведении рассматриваются короткие бессюжетные романы Андерсона и их композиция. Показаны стиль письма писателя, среда, критика эпохи, кризис культуры и искусства, философские и психологические темы. Архитектоника Ш. Романы Андерсона цельны, лаконичны и вместительны. В них собраны важнейшие фрагменты человеческого существования, иногда вся история.

За представленными текстами следуют дискурсивное мышление, коннотативные поиски, интерпретация, размышления, многомерность мысли, критический анализ, суждение, конфронтация, понимание метафор и символов, методологические поиски.

**Лала Ахмедова**  
(Азербайджан)

## **ПРОБЛЕМЫ ЛИЧНОСТИ, ОБЩЕСТВА И СОЦИАЛЬНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ СРЕДА В РОМАНАХ ЧИНГИЗА АЙТМАТОВА**

Между азербайджанским и кыргызским народами, имеющими одни этногенетические корни, с древнейших времен и до наших дней существовали тесные историко-культурные и общественно-политические связи. Общие литературно-философские, этнографические, художественно-эстетические и другие гуманистические ценности всегда объединяли эти два народа и зарабатывали им собственное положение в тюркском мире. Несмотря на запреты, давление и преследования советского правительства, азербайджано-кыргызские литературные связи никогда не разрывались, они постоянно развивались и обогащались. После достижения национальной независимости, как и во всех областях, начался новый этап в направлении изучения литературных и культурных связей.

В современную эпоху выдающийся писатель Чингиз Айтматов внес исключительный вклад в укрепление азербайджано-кыргызских литературных связей. Различные социально-философские проблемы, поднимаемые писателем в его рассказах и романах, носят национальный и человеческий характер. Однако эти проблемы – личность и общество, нравственная свобода личности, отношения природы и человека, причины человеческих катастроф и другие важные проблемы, требующие всестороннего исследования, особенно в его романах, которые он пытается решить художественно.

В творчестве Чингиза Айтматова национальный фактор проявляется в виде высоких и глубоких человеческих качеств, рожденных из общетюркского духа, кыргызской этнической мысли.

В произведениях Чингиза Айтматова мы видим оригинальное художественное решение проблем, важных для человечества в целом, в форме образа или народа. Хотя отражение единства народности и человечества в мировой литературе не является новым явлением, Чингиз Айтматов создал свою собственную модель в этой области. В творчестве писателя национальное и человеческое понятия объединены гуманистическим мышлением в широком смысле. Чингиз Айтматов нашел в своих произведениях идеальный баланс национальных ценностей и человеческой мысли. Хотя писателя волновали проблемы человечества, созданные им образы были носителями исторической памяти. Сам Адиб никогда не позволял духовному миру народа разрушиться, исчезнуть, медленно раствориться, и был пропагандистом и защитником национального фольклора и традиций.

В сегодняшнем глобализованном мире, где сталкиваются политические интересы, важно продвигать национальные идеи. Об этих вопросах писал Чингиз Айтматов во время существования советской империи и после обретения независимости. Из четырех романов, являющихся предметом исследования, два были написаны писателем во вре-

мена правления Советской империи, а два – в период независимости. Проблемы, с которыми мы сталкиваемся в каждом из романов, предостережения, которые должны волновать личность и общество, актуальны и сегодня. Турецкое единство, самопонижение, возвращение к своей идентичности, познание своих предков и передача их будущим поколениям – актуальная проблема современного мира. В этом плане важно изучить творчество Чингиза Айтматова.

Первый роман Чингиза Айтматова – «День равен веку. И дольше века длится день». «К этому роману писатель пришел через 40-летний путь. Вот что такое настоящее творчество» [1, 372].

В произведении Чингиз Айтматов создал художественный портрет Едигея, трудолюбивого человека. Этот образ – воплощение мечты писателя о трудолюбивом человеке. Когда мы говорим о тружениках 20-го века, многие из них просты по натуре, заняты повседневным трудом; а под этим подразумевается человек, который пашет землю, держит скот или работает на заводах и фабриках, для Чингиза Айтматова настоящими работягами были Едигей, Газангап, Укубала, Абуталиб и Зарифа. По его мнению, литературный герой: «Степень личности трудолюбивого человека, стоящего перед вечной и изменчивой жизнью, степень богатства его духовного мира должна измеряться тем, насколько в нем сосредоточены основные характеристики его времени» [2, 15].

როდესმე გამოიღვიძოს და შესაფერისი სურვილი წაუყენოს რუსეთსო. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მას, როგორც რუსეთის პირველი დუმის დეპუტატს, სურდა საქართველოსთვის ავტონომიური უფლებები მოეთხოვა. ამიტომაც ზემოხსენებულ სტატიაში ილია არ შემოიფარგლა ზოგადი მიმოხილვით და ვრცლად გააცნო ქართულ საზოგადოებას ეროვნული იდეის გაღვივება სხვადასხვა ხალხებში, განსაკუთრებით კი ირლანდიაში. ეს, მისი აზრით, აუცილებელი იყო, რათა თანდათანობით ქართულ საზოგადოებაშიც მოეკიდა ფეხი ამგვარ განწყობილებებს.

ირლანდიის ბედი ბევრგვარად ემსგავსებოდა საქართველოს ბედს. ქართველი მწერლებისთვის ირლანდიაზე წერა შეფარვით თავიანთი ქვეყანის შესახებ განსჯას ნიშნავდა. ირლანდიაზე საუბრისას ილია ჭავჭავაძე ეყრდნობა გლადსტონის მოღვაწეობას და აღნიშნავს, რომ ავსტრიამ დაამტკიცა უკვე, რომ სხვადასხვა ერებს შეუძლიათ ერთ სახელმწიფოებრივ ჭერქვეშ ცხოვრება, თუ ყველა ერს მიეცემა განვითარების თანაბარი საშუალება. არ შეიძლება, კანონები იქმნებოდეს ისე, რომ ერთი ერი განავითაროს, მეორე კი მოაშთოს, – ასეთია ილიას მტკიცე შეხედულება. ამიტომაც ის აღფრთოვანებულია გლადსტონის პიროვნებით და ამბობს, რომ, თუ პარლამენტარმა შეძლო ამ საქმეში გამარჯვება, „განცვიფრებულს ევროპას და ისტორიას ძველის მოყვარე ინგლისის წარმოუდგენს ერთს იმისთანა დიდ საქმეთაგანს, რომელიც კაცობრიობას თავის დღეში მუქთად არა რგებია“ [10, 9-11].

აუცილებლობად მიმაჩნია, გავიმეორო ჭავჭავაძის მიერ გლადსტონის მისამართით აღტაცებით ნათქვამი სიტყვები და თვითვე შევამკო ის იმავე წინადადებით: დაბერებული, მაგრამ „გულით და მხნეობით კი ჭაბუკი“ ილია მუდამდღე თავის ქვეყანაზე ფიქრსა და დარდში ატარებდა დროს. გვაკვირვებს მისი შორსმჭვრეტელობისა და ღრმად გააზრების, საქმის სწორად დანახვისა და პირუთვნელი დასკვნების გამოტანის უნარი. შევხედოთ, როგორ ძირისძირობამდე განიხილავს ის ინგლისის ეკონომიურ წყობას და ამბობს, რომ ირლანდია ამ მხრით „დიდს იარას წარმოადგენს ინგლისის სახელმწიფოს ტანზედ“ [10, 10]. დიდი მწერალი გამოწველილვით სწავლობს ამ თემას და მკითხველს აცნობს, რომ ეს საკითხი, ჯერ ერთი, დაგვანახებს ინგლისის დღევანდელობას და, მეორეც, არაფერი ადამიანური არ უნდა გვეუცხოებოდესო. ეს, თითქოს, ერთგვარი მინიშნებაა ქართველებისადმი: დავაკვირდეთ, ჩავუღრმავდეთ და, იქნებ, ჩვენთვის მისაბაძი რამე ვიპოვოთ სხვა ერთა ცხოვრებაში, მათს დაუცხრომელ ბრძოლასა თუ დაუდგარ სულში, მათს მოუსვენარ ფიქრში სამშობლოსა და მშობელი ხალხის განვითარებაზე.

მართლაც, ილია ჭავჭავაძეს ღრმად შეუსწავლია ინგლისის მიწათმფლობელობის საკითხი და დაუწვია ის იმ დროიდან, როცა „ნორმანები შეესივნენ ინგლისს“ [10, 10]. მანამდე ისინი, თურმე, ორგვარ წყობას მისდევდნენ: ერთი იყო აზატი, რომელიც მიწას ფლობდა, და მეორე – მონა, რომელიც მიწათმფლობელს ემსახურებოდა. როცა ნორმანებმა დაიპყრეს ინგლისი, გამარჯვებულებმა, რა თქმა უნდა, მიწები გაიყვეს და დაინაწილეს. ამან კი შეცვალა წინანდელი სახე მიწათმფლობელობისა ინგლისში. ილიას ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ნორმანების მიერ 1086 წელს გამოცემული საერთო სამამულო სიგელი (Domesday book), რომლიდანაც ჩანს, რომ მიწათმფლობელობა ინგლისში ამ დროს ქმნის შემდეგ სურათს: „60. 215 საბატონო მამული ყოფილა დაარსებული კოროლის მიერ. აქედამ ეკლესი-

ას და სამღვდელეობას ჰპოძებია კოროლისაგან 28. 115 მამული და დანარჩენი 32.100 რაინდებსა, იმ პირობით, რომ ამ წყალობის სამაგიეროდ კოროლს სამსახური გაუწიონ და სამხედრო ბეგარა იხადონ. ამ მებატონეებს ლორდებს ეძახდნენ“ [10, 12-13].

ძალაუნებურად იბადება ასოციაცია „მგზავრის წერილებიდან“: „აწინა? ...ერობა სად არის? რუსობაჩი ვართ. აწინა ყველაი გაცუდღის, ყველაი გაუქმღის. სამეზობის ძირში სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთა მეფეს შეუთქვეს დარაჯობაი, მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭის სრულ სოფელს, გუჯარიც მიგსცის საშვილი-შვილოდ... ადრიდა... **ერთგულ ვაჟათა ჩუქებაც დიდ იყვის: ადგილ-მამულ ებოძვის, თარხნობაი მიეწყებოდის...**“ [12, 18]. ე. ი. ქართველ მეფეთაც ჰქონიათ ასეთი ჩვეულება: ერთგული ყმები დაესახუქრებინათ მიწით.

შემდეგ მკითხველი იგებს, რომ ლორდები თანდათან იგდებენ ხელში მიწების უმრავლესობას ინგლისში. ისინი პირდაპირ უხდიან ხარკსა და სამხედრო ბეგარას მეფეს. ამასთანავე, არიან წვრილი მემამულენი და მიწათმოქმედნიც, რომელნიც, თავის მხრივ, ხარკს უხდიან მსხვილ მემამულეებს და მეფის წინაშე არავითარი ვალდებულება არ გააჩნიათ. ამგვარმა მოქმედებამ ინგლისელ ლორდებს ხელში ჩაუგდო მთელი მიწა და, რაც უნდა გასაკვირი იყოს, თურმე დღესაც დიდი მიწათმფლობელების რიცხვი თითქმის იგივეა, რაც ზემოთ ნახსენები 1086 წლის სიგელის მიხედვით. თუ მაშინ მათი რიცხვი იყო 32.100, ახლა ეს რიცხვი 30.766 წარმოადგენს.

ადგილ-მამულის ფლობის ასეთი წესრიგი შეარყიეს 1845 წელს ცნობილმა ადამიანებმა – რობერტ პილმა და ბრაიტმა. მათ მხარი დაუჭირეს გლადსტონს, რომელიც აკრიტიკებდა მიწის იჯარით გაცემის კანონებს და ამბობდა, რომ არც ერთ ნორმალურ და ჯანსაღ სახელმწიფოში არ უნდა მიეცეთ კერძო პირებს განუსაზღვრელი ძალაუფლება და თვით ამ კერძო პირებს კი არ უნდა ჰქონდეთ უფლება, თავიანთი ნებასურვილისამებრ დადონ საიჯარო ხელშეკრულებები: „ადგილ-მამული იჯარით გასაცემად უნდა ემორჩილებოდეს რაიმე კანონსაო და არ უნდა იყოს ან ერთის მძლავრობაზედ, ან მეორის უილაჯობაზედ დამოკიდებული“ [10, 19], – უხსნის ილია თავის მკითხველს.

ამ სტრიქონების წაკითხვისას ქართველ კაცს არ შეიძლება, კვლავ არ გაახსენდეს ილიას „მგზავრის წერილები“ და ლელთ ღუნის საჩივარი: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკეთ. ადრიდა ერი ერობღის, გული გულობღის, ვაჟაი ვაჟაბღის, ქალაი ქალაბღის. ადრიდა?! ქვრივობოლთ ვიფარევედით, შინ მიწრიდეს, გარედ მავნეს დაეულავმნდით, ერთ-ურთს ლალ მტერთან ჩავეფარვნიდით, დაცემულ ვიურვებდით, ატიროლმიდს ვიხოიშნიდით და ესრეთ იყვის ბრალეა კაცისა...“ [12, 18]. ამ სიტყვებში ხაზგასმულია რუსების ძალადობის შედეგები – ერის სულიერი და ზნეობრივი დაცემა, რაც ყოველთვის თან სდევს ხოლმე „გათიშე და იბატონეს“ დამპყრობლურ პოლიტიკას.

რა თქმა უნდა, ჭავჭავაძე იმას, რასაც თავის პუბლიცისტურ წერილებში მიუთითებდა, შემდეგ მხატვრულ ნაწარმოებებში შეასხამდა ხოლმე ხორცს და ამ გზით ავითარებდა თავის აზრებსა თუ მკითხველთა გონებას.

რა მდგომარეობა იყო მიწათმფლობელობის მხრივ ირლანდიაში? ჭავჭავაძეს ეს საკითხი ღრმად აქვს შესწავლილი. მას მოჰყავს ციფრები, რომლებიც კარგად

გვიჩვენებენ ამ ქვეყნის ფერმერთა მძიმე ყოფას. აქაც, ინგლისის დარად, მიწა ხელში ჩაუგდია არისტოკრატისა და სულ რაღაც ხუთი ათას ოთხასი კაცი მამულების სამ მეოთხედს დაუფლებია. ამას ზედ დართვია მეცნიერთათვისაც კი აუხსნელი ფაქტი: ირლანდიის მოსახლეობა, მიუხედავად ეკონომიკური სიდუხჭირისა, 1766 წლიდან 1801 წლამდე 1.871.725-დან 5.216.331 სულამდე გაზრდილა. ამას კი უფრო გაუძვირებია მიწის ფასი და გადასახადები. ასე, მაგალითად, ორ დღიურ მიწაში ორ თუმნამდე ღალას აძლევდნენ თურმე. თან, ინგლისისა და შოტლანდიისაგან განსხვავებით, სადაც უმიწო გლეხს შეეძლო უამრავ ფაბრიკასა თუ ქარხანაში დაეწყო მუშაობა, ირლანდიის ფერმერს ეს არ ხელეწიფებოდა, რადგან აქ მრეწველობა არ იყო განვითარებული და ამიტომაც არც ფაბრიკა-ქარხნები ჰქონდა. გლეხთა გაჭირვება უკიდურესად გაამძაფრა საოცარმა მოუსაველიანობამ. ამ მხარეში ხალხს თავი კარტოფილით გაჰქონდა, მაგრამ 1847 წელს გაჩნდა რაღაც სენი, რომელმაც მთლიანად იმსხვერპლა კარტოფილის მოსავალი. ეს სენი ერთ წელიწადში არ გამქრალა და დიდი ზიანი მიაყენა ირლანდიას, ისეთი, რომ მას ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია მისი შედეგებით, – გვიხსნის ილია ჭავჭავაძე და შემდეგ განაგრძობს, რომ ამ მიზეზით ირლანდიის მოსახლეობის დიდ ნაწილს თავის გადასარჩენად მიუშურებია უცხო ქვეყნებისთვის და გაუწევია საფრანგეთისა თუ გერმანიისკენ. განსაკუთრებით ბევრი წასულა ამერიკაში და იქედან ეხმარებოდა თავისიანებს.

ასეთი სურათის დახატვის შემდეგ გასაგები ხდება მწერლის პუბლიცისტური წერილის, „ერი და ისტორია“, მიზანი, რომელშიც ის დაჟღერებს, რომ, თუ ჩვენ არ შევიძინეთ ცოდნა და არ დავეუფლეთ თანამედროვე ტექნოლოგიებს, ერი დასაღუპავად იქნება განწირული და აღვიგვებით „პირისაგან მიწისაო“. ამის საბუთს მწერალი ირლანდიის გლეხობის ბედკრულ მაგალითზე ხედავდა. შემდეგ ილია გვიყვება ირლანდიელთა შეუპოვრობაზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მიუხედავად უამრავი თავსდატეხილი უბედურებისა, ირლანდიელები არასოდეს წყვეტდნენ ბრძოლას თავიანთი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. სადაც არ უნდა წასულიყვნენ, მათ მუდამ ახსოვდათ თავიანთი მეობა, თავიანთი ქვეყანა, თავიანთი გაუბედურებული და დაბეჩავებული ხალხი. ამაზე მიუთითებს ის, რომ მათ 1791 წელს, საფრანგეთის რევოლუციის დღეებში, შეადგინეს ე.წ. „კავშირი შეერთებულთა ირლანდიელთა“, რომელიც იბრძოდა ირლანდიისათვის და რომელმაც მოითხოვა ინგლისისაგან გათანასწორება კათოლიკებისა და პროტესტანტებისა. ინგლისელებმა ჯერ კი ვითომ ცოტა რამ დათმეს, მაგრამ მერე მოუტრიალდნენ და ძალმომრეობით ყველაფერი გააუქმეს. ირლანდიამ საშველად მიმართა საფრანგეთს, მანაც 25 ათასი კაცი შეაშველა, მაგრამ აქედანაც არა გამოვიდა რა. 1798 წელს ხელახლა აჯანყდა ირლანდია, მაგრამ ინგლისმა უფრო უარესი დღე დააყენა და მალე სრულებით შეიერთა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა 25 წლის ადვოკატი, დანიელ ოკონნელი, რომელმაც დააარსა საზოგადოება „კავშირი კათოლიკეთა“ [10, 37]. ამ საზოგადოებამ მალე დიდი სახელი მოიხვეჭა და 1830 წელს, როგორც კი დანიელი გახდა ინგლისის პარლამენტის წევრი, მოითხოვა ირლანდიის განცალკევება. რა გასაკვირია, რომ ეს წინადადება „პარლამენტმა უარყო 532 ხმით წინააღმდეგ 38-სა. 1843 წელს ამ ადამიანმა 68 დიდი თუ წვრილი მიტინგი გამართა, 8 ოქტომბრისთვის ცდილობდა, ირლანდიის პარლამენტი აღედგინა, მაგრამ ინგლის-

მა ჯარი მიუსია და გაუქარწყლა მამულიშვილური წადილი. „ასეთმა ყოფა არყოფამ ირლანდიელები აიძულა, შეედგინათ ირლანდიის გარეთ საზოგადოება, რომლის წევრთ „ფენიები“ ეწოდებათ“ [10, 37]. ეს საზოგადოება დიდ გასაჭირს და ფიქრს აძლევს დღეს ინგლისსო, – ამატებს ილია ჭავჭავაძე.

აქ უნდა გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის წერილი ეპისკოპოს ალექსანდრესადმი, რომელშიც ის თითქოს შესჩივის მას: „უღონობა ქვეყნისა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, როგორც ესლა ბევრსა ჰგონია, არამედ, უფრო ისა, როცა სათნოებიანი, კეთილ-მოქმედი, მაღალ-ზნეობის კაცი არა ჰყავს, სიმაგრე ქვეყნისა...“ [13, 24]. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, ჭავჭავაძეს ძალიან აღელვებდა საკუთარ ქვეყანაში შექმნილი ვითარება და გული უკვნესოდა, როცა ვერ ხედავდა ქართველებში ვერც ირლანდიისდარ შემართებას და ვერც დანიელ ოკონნელის მსგავს ადამიანებს.

ამ წერილში ავტორი შოტლანდიის შესახებაც საუბრობს და საზოგადოებას ამცნობს, რომ მიწის მფლობელობის მხრივ აქ კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა. ქვეყანაში, რომელსაც 20 მილიონზე მეტი აკრი მიწა აქვს და 3 მილიონზე მეტი მცხოვრები ჰყავს, მამულს სულ რაღაც 7.273 კომლი ფლობს.

როგორ მოხდა ეს? – კითხულობს ილია და ქართველ მკითხველს უხსნის, რომ აქაც ისეთივე მიზეზები იყო, როგორიც ირლანდიაში, თუმცა აქ კიდევ უფრო მეტი სიდუხჭირე იყო მიწისა, რადგან შოტლანდიაში, მეტწილად, მესაქონლეობას მისდევდნენ და ეს კი უფრო დიდი ტერიტორიების ხელში ჩაგდებისაკენ უბიძგებდა ლორდებს. თან ინგლისის მეფენი მათ უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებდნენ ამ საკითხში, რადგანაც უნდოდათ, რომ მომადლიერებული ჰყოლოდათ ისინი. „ეს საქმე წარსულს საუკუნეში ისეთის გამარჯვებით დაგვირგვინდა, რომ დიდკაცობამ ხელთ იგდო მთელი მამულები, გლეხთა მიერ ნაჭერი, და გლეხკაცობა მამულებიდან აჰყარა“ [10, 20-21].

საქართველოში მიწათმფლობელობის საკითხს ილია შეეხო სტატიაში „ცხოვრება და კანონი“ [10, 57], რომელშიც აღნიშნა, რომ ჩვენში ვერც ერთმა წოდებამ ვერ მიისაკუთრა მიწისმფლობელობა ასე ერთიანად და გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი ან გლეხიო, თუმცა რუსეთმა აქაც თავისი მსახვრალი ხელი ჩარია და შეცვალა მდგომარეობა. ამიტომაც კითხულობს ილია გაკვირვებით ზემოაღნიშნულ სტატიაში: „ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასთვის?... ამიტომაც (რუსები) დიდად სცოდავენ ქვეყანასაც და ხალხსაც...“ [10, 21].

აი, რა მიზეზები აიძულებდა ილია ჭავჭავაძეს, განეხილა „სახელოვანი კანონი გლადსტონისა“, რომელსაც ინგლისში ეძახიან "Irish Land-bill"-სო – გვამცნობს ავტორი და ქართველ მკითხველს უხსნის მის მნიშვნელობას. ეს კანონი შოტლანდიელთა ერთი ჩვეულებიდან მომდინარეობდა თურმე. მას ფეხი აუდგამს შოტლანდიის ერთ პატარა სოფელში – ოლსტერში – და სახელწოდებაც შემდეგში აქედანვე მიუღია. ფერმერი, რა თქმა უნდა, მებატონესთან შეთანხმებით, იკავებდა მიწას, შემდეგ ამუშავებდა მას და სიტყვიერად ურიგდებოდა ფასზე. მას ნება ჰქონდა, როცა უნდოდა, აყრილიყო და წასულიყო, მაგრამ ასეთივე უფლება ჰქონდა მიწის მესაკუთრესაც: ე.ი. მას შეეძლო, როცა მოუნდებოდა, დაეთხოვა ფერმერი, თუმცა კი აძლევდა ამ უკანასკნელს იმის ფასს, რაც იმუშავა ამ ფერმერმა მის მი-

წახე. ამ ფასს ფერმერი იღებდა არა მემამულისაგან, არამედ იმისგან, ვინც მის ნაცვლად დაიქირავა.

გლადსტონის კანონის სათავეც ამ ჩვეულებას დაყრდნობია, მაგრამ, რა თქმა უნდა, დიდი ცვლილებებიც შეუტანია მასში და, მისი ინიციატივით, პარლამენტმა დაამტკიცა რამდენიმე კანონი. აი, რა ცვლილებები აისახა აქ:

1. პირველი გახლდათ ის, რომ მემამულეც და ფერმერიც კანონით შემოღებულ წესებს უნდა დამორჩილებოდნენ. ამას კი არეგულირებდა მომრიგებელი მოსამართლე და ახალი, განსაკუთრებული სასამართლო.

2. ფერმერის მიერ მიწის მფლობელობის ვადად დადგინდა 31 წელი.

3. მემამულეს აეკრძალა თვითნებურად იჯარის ფასის მომატება.

4. მემამულეს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, აეკრძალა ფერმერის დათხოვნა; მასვე, საჭიროების შემთხვევაში, დაეკისრა ზარალის გადახდაც.

5. ფერმერს მიეცა მამულის შესყიდვის უფლება, თუ ამას მემამულე დათანხმდებოდა და სახელმწიფო ფერმერს ამ საქმეში შეღავათიანსა და გრძელვადიან სესხს მისცემდა.

„მაგ კანონს, თუმცა სიფრთხილით, მაგრამ აშკარად დიდმნიშვნელობიანი საგანი უდევს სარჩულად – არა მარტო ინგლისისთვის, არამედ მთელ დასავლეთ ევროპისათვისაც“, – ასკენის ილია ბოლოს [10, 44-45].

ილია ამის შემდეგაც მუდამ ყურადღებით ადევნებდა თვალს გლადსტონის მოღვაწეობასა და ინგლის-ირლანდიის ურთიერთობებს. ასე, მაგალითად, 1886 წლის 16 მაისის სტატიაში ილია ჭავჭავაძე მკითხველს უყვება იმის შესახებ, რომ, რაც უფრო დიდი დრო გადის, მით უფრო მეტ მომხრეებს იძენს გლადსტონი, თუმცა მან თავის კანონპროექტში ირლანდიის შესახებ ერთი ისეთი მუხლი შეიტანა, რომელსაც მისმა მომხრეებმაც ვერაფერი გაუგესო. ეს ეხება იმას, რომ ირლანდიელებს ეძლევათ უფლება, გამართონ საკუთარი პარლამენტი დუბლინში და საერთო ინგლისის პარლამენტიდან კი დათხოვნილ უნდა იყვნენ. ე.ი. საერთო საიმპერიო საქმეების წარმართვაში მათ ხმის მიცემის უფლება არ ექნებათო. გამოჩენილი რადიკალი ჩამბერლენი სწორედ ამ მუხლის გამო გადაუდგა გლადსტონს. იმის გასაგებად, თუ რატომ მოიქცა ეს უკანასკნელი ასე, კარგად უნდა იცნობდეთ ინგლისის პარლამენტს. ინგლისს მართავს ორი დასი: ვიგებისა და ტორებისა. ყოველ არჩევნებზე ერთი ებრძვის მეორეს პარლამენტში მეტი ადგილის მოპოვების მიზნით და თითქმის ყოველთვის ერთმანეთთან ახლო პოზიციებს იკავებს ისე, რომ უმრავლესობას ვერაფერს აგროვებს. ამიტომაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვის მიუდგება მესამე დასი, რომლებსაც ირლანდიელები წარმოადგენენ თავიანთი 86 დეპუტატით, რომელთა მეთაური პარნელია. თან ინგლისში ისეთი კანონები მოქმედებს, რომ თუ სამინისტროს კანონპროექტი არ მოუწონა პარლამენტმა, ის უნდა გადადგეს. ე.ი. გამოდის, რომ ირლანდიელების ხელშია ინგლისის მინისტრთა გადაყენება-არგადაყენების საკითხი. ამიტომაც გადადგა გლადსტონი ბოლოს და მინისტრობა დაუთმო სალუსბერს, თუმცა ეს უკანასკნელიც მალე იძულებული გახდა, გადამდგარიყო და დაეთმო მინისტრობა კვლავ გლადსტონისთვის. რა თქმა უნდა, ამისთანა ყოფა არ მოსწონს ინგლისს. სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა გლადსტონმა საქმე ასე, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას შეხვდა ჩამბერლენისგან და თვითონაც გადაიხარა იმ აზრისკენ, რომ ირლანდიელებს შეიძლება მიენი-

ჭოს უფლება, იყოლიონ საერთო-საიმპერიო პარლამენტში თავიანთი წარმომადგენლები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირლანდიის საქმე იხილებაო, თუმცა ჩემბერლენი ამასაც არ დაეთანხმა და გადაუდგა მას. როცა ჩვენ ვკითხულობთ ილიას პუბლიცისტიკას, ვხვდებით, თუ როგორი ყურადღებით და გამოწველილვით სწავლობდა ის თითოეულ საკითხს და რა ღრმად იცოდა განსახილველი მასალა. რა თქმა უნდა, ჩვენი დიდი მოღვაწე აკვირდებოდა მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს, რათა მათი გამოცდილება შემდეგ საქართველოში გადმოეტანა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ, როცა რუსეთის სახელწიფო ღუმის დეპუტატად აირჩიეს, განაცხადა: მე არა თავადაზნაურობის წარმომადგენელი ვარ, არამედ მთელი საქართველოსიო. ვინ იცის, ფიქრობდა, თავისი გამოსვლებით ისევე „დაეპყრო“ ღუმა, როგორც პარნელმა „დაიპყრო“ პარლამენტი.

**1886 წლის 19 მაისს** „ივერიაში“ ილია აგრძელებს საუბარს ამ საკითხზე და ამბობს: გლადსტონის პროექტი თანდათან უფრო მეტ მომხრეებს პოულობს ინგლისში. ინგლისელი ხალხი ეჩვევა ამ კანონის დედაარსს და ის შიში, რომელიც მან გამოიწვია პირველ ხანებში, თანდათან მინელდა. სანაცვლოდ, მას გზა დაუთმო საღმა აზრმა. თუმცა ინგლისელები ჯერ კიდევ ორ ნაწილად არიან გაყოფილნი. ერთი იბახის, სამართალი ძალააო, მეორე კი – ძალაა სამართალიო. ილიას მიანია, რომ ასე დაყენებული საქმე მარტო ინგლისს არ შეეხება, ის მთელ კაცობრიობას აღეგებს, რადგან მისი ბედი სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ ამ ორში რომელი გზა გაიმარჯვებს და რომელი დაედება საფუძვლად კაცთა ცხოვრებასა და მათ ერთმანეთში მოთავსებას.

ჭავჭავაძის აზრით, გლადსტონის პროექტის დედააზრი სწორედ ესაა: რომ სამართალი არის ძალა და რომ სწორედ ეს აზრი უნდა გიძღოდეს ადამიანს წინ მუდამ. ღობე, მარტო იმიტომ, რომ დაბალია, არასდროს უნდა გადალახო, არსებობის უფლება ყველას აქვს და ამას არავინ უნდა უშლიდეს ხელს, აქაოდა, მე ღონიერი ვარ და ის კი – უძღურიო. გლადსტონის მოწინააღმდეგე სალუსბერი კი ამბობს, ირლანდია ჩვენი იარაა და ის უნდა ამოიჭრას. მათ წინააღმდეგ მხოლოდ მუშტი და ძალადობა თუ შეიძლება გამოიყენო. თუ საჭირო გახდა, მთელი ირლანდია აყაროთ და კანადაში გადავასახლოთო. ამაზე შორს მიდის მისი პარტიის წევრი ჩერჩილი. ის ამბობს, რომ თუ პარლამენტმა დაამტკიცა გლადსტონის კანონი, ინგლისელმა ერმა მას ომი უნდა გამოუცხადოსო. ამ ორი დასის ბრძოლის შედეგს დიდი მოუთმენლობით ელის მოწინავე კაცობრიობაო, – ასკენის ილია სტატის ბოლოს.

**1886 წლის 20 ივნისს** ილია „ივერიაში“ კვლავ აქვეყნებს სტატიას „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობების გარშემო“, რომელშიც წერს: დღეს ინგლისი არის დიდებული სახე ერისა, რომელსაც წინ უდევს გადასაწყვეტად ერთი დიდი ამოცანა. ეს არის მე-19 საუკუნის ერთ-ერთი ისეთი საქმე, რომელიც მას შარავანდებს დაადგამს თავზე და დიდების სხივს კიდევ უფრო შემატებს, რადგან მას სათავედ სიმართლე და კაცთმოყვარეობა აქვს, რომელიც წარმოადგენს ქვაკუთხედს ადამიანის მშვიდობიანობისა და ბედნიერებისათვის. სამოცდათექვსმეტი წლის მოხუცი გლადსტონი იბრძვის იმისთვის, რომ განადიდოს თავისი ქვეყანა და ერი. მას სწამს, რომ თუ მისი ერი ირლანდიის სასარგებლოდ იტყვის სიტყვას, მაშინ მთელი ქვეყნიერება მოიღხენს და გაიხარებს.

**1886 წლის 18 ივლისის** სტატიაში ისევ გრძელდება საუბარი „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობების გარშემო“. ამ დროს გლადსტონის წამოწყებული საქმე პარლამენტში დამარცხებულია, მაგრამ არა საბოლოოდ. ამიტომაც ილია უკვე მოგვითხრობს თვით ირლანდიელთა განწყობებზე და აღნიშნავს, რომ ამ ერს ნატვრის ასასრულებლად ორი გზა უდევს წინ: კანონიერი საპარლამენტო, რაც გულისხმობს უსისხლო, მშვიდობიანი გზით სიარულს. მას სათავეში პარნელი უდგას. მისი მოწინააღმდეგენი კი ამბობენ, რომ ასეთი გზა დიდხანს გასტანს, ბევრ ხარჯს მოითხოვს, მანამდე კი ჩვენ ჩვენი დაგვემართება, ამიტომ უნდა ავირჩიოთ წინააღმდეგობისა და ბრძოლის გზაო. მას შემდეგ კი, რაც გლადსტონის პროექტი ჩაიფუშა, მეორე დასმა მთელი ძალით მოითხოვა ამ თავისი იდეის განხორციელება. მისი რიცხვი მატულობს როგორც ირლანდიაში, ასევე ამერიკაში, სადაც ირლანდიელები ბლომად არიან. ამბობენ, რომ სწორედ აქ ფენიებმა (ირლანდიელებმა) გამართეს კრება, რომელსაც დაესწრო ფენიების ყველასთვის ცნობილი წინამძღვარი ოდონოვან როსსი. მისთვის უთხოვიათ აზრის გამოთქმა და მას უბრძანებია: პატიოსანი ადამიანები, რომლებიც იბრძოდნენ ირლანდიის სასარგებლოდ, დღეს დამარცხდნენ, მაგრამ ყოველთვის ასე არ იქნება. ირლანდია მაინც მიიღებს თავისას და ამას დიდი ხნის ლოდინიც არ სჭირდება. გლადსტონს უნდოდა, დაესწა ირლანდია მშვიდობიანად, მაგრამ ვერ გამოუვიდა. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ფენიებთა შორის მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც კეთილად დაასრულებენ წამოწყებულ საქმეს და ამერიკელებიც თანაგრძნობით მოეკიდებიან მათ გასაჭირსო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ირლანდიელები თუ მეორე გზას დაადგენ, დიდ გასაჭირში ჩააგდებენ სალუსბერის სამინისტროს, თუმცა, ერთი მხრივ, მან ეს ამბავი, შეიძლება, ხელზე დაიხვიოს კიდევ: ამისთანა ჯიუტ ხალხთან, ხომ ხედავთ, არავითარი ღმობიერება არ შეიძლებაო, თუმცა, მეორე მხრივ, ძალადობრივი გზა სალუსბერის სამინისტროს ხელ-ფეხს შეუკრავს საგარეო საქმეთა პოლიტიკაში. ეს კი მის ისედაც ბეწვზე დაკიდებულ სამინისტროს კიდევ უფრო დაასუსტებს, – ასეთია ილიას ვერდიქტი.

**ჭავჭავაძის 1889 წლის 24 თებერვლის სტატია „ივერიაში“** ისევ „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობების გარშემო“ ტრიალებს. ის აქ ისევ უამბობს მკითხველს, რომ ინგლისში ირლანდიის საკითხთან დაკავშირებით ორი დასი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ერთი არის ლიბერალური გლადსტონის მეთაურობით (რომლებსაც ვიგებს ეძახდნენ წინათ), რომელიც მოითხოვს ირლანდიის საკითხის გადაჭრას ამ ქვეყნის სასარგებლოდ და მეორე – ახლანდელი სამინისტრო სოლუსბერისა, რომელიც კონსერვატორთა (ძველი სახელწოდებით – ტორები) სახელითაა ცნობილი და ამბობს, რომ მხოლოდ ძალის ჩვენებით თუ არის შესაძლებელი ირლანდიის დაშოშმინებაო. მასვე მიემხრნენ ნაწილნი ლიბერალებისა, რომლებიც წინათ გლადსტონის გვერდით იდგნენ. თუმცა სულუსბერის, როგორც მინისტრის, მიერ ჩატარებული ღონისძიებანი გულს უმღვრევს როგორც ირლანდიას, ასევე ინგლისელი ერის კარგა მოზრდილ ნაწილს. ამიტომაც ირლანდიელთა საქმე უფრო და უფრო მეტ თანაგრძნობას პოულობს ინგლისელ ერში. დამარცხებული გლადსტონიც თავს არ ზოგავს და დღედაღამ ქადაგებს თავის მოძღვრებას. მას სწამს, რომ მისი ერი, ბოლოს და ბოლოს, გაიგებს, ვის მხარეზეა სიმართლე და მიემხრობა მას. ამის საბუთიც მალე მიეცა. მრავალი მიტინგი და ცალკე არჩევნები უწ-

ვენებს, რომ ერი გლადსტონს მხარს უჭერს. ამან შეაფიქრიანა კონსერვატორები და მათ მიმართეს უღირს ხერხს ხალხის გადასაბირებლად და საზოგადოების აზრის შესაცვლელად. უეცრად გაზეთ "Times"-ში გამოტყვერა ვიღაც ვითომ პარნელი, რომელიც, თითქოს, იწონებდა და აქეზებდა თავის ხალხს კაცისკვლასა და ძალადობისკენ. 1882 წელს ირლანდიაში მოკლეს სტსტს-სეკრეტარი კავნდიში და მისი თანაშემწე ბორკი. "Times" ამტკიცებდა, რომ ამ მკვლელობისთვის თითქოს მადლობა შეეთავლოს პარნელს თავისი ხალხისთვის. ეს, რა თქმა უნდა, სახელს უტეხდა როგორც პარნელს, ასევე მის სამართლიან და მშვიდობიან ბრძოლასაც. პარნელმა მაშინვე გამოაცხადა, რომ ეს წერილები ყალბია და მოითხოვა პარლამენტის კომისიის დანიშვნა და ამ საქმის გამოძიება. მართლაც, კომისიამ გამოიკვლია ყველაფერი და გაარკვია, რომ გაზეთს ეს წერილი უყიდა ვიღაც პიოტისაგან. პარნელმა თავისი ვეჭილის საშუალებით ხელში დაიკავა ამ უკანასკნელის მიერ დაწერილი განცხადება, რომელშიც ის აღიარებს თავის სიცრუესა და სიყალბეს. თუმცა ეს ადამიანი სადღაც გააპარეს, მიუხედავად იმისა, რომ სამი კაცი ჰყავდა მიჩენილი თვალყურის სადევნებლად. პარნელის ადვოკატმა კი მოითხოვა, გამოძიებას თავისი გზა და დასასრული მისცემოდა. ამ სახით, გამოდის, რომ კონსერვატორები არაფერს ერიდებიან, არაფერს თაკილობენ, თუმცა თავიანთ გათხრილ ორმოში კი თვითონ ჩაცვივდნენ. გაზეთს კი, ამბობენ, ეს საქმე ნახევარ მილიონად დაუჯდაო.

ილიას მიაჩნია, რომ ეს საზიზღარი საქმე კონსერვატორებს ძირს გამოუთხრის და გზას მისცემს ლიბერალებს.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძეს სწამდა, რომ ინგლისის პარლამენტში გაიმარჯვებდა სამართლიანი საქმე. ახლა ვნახოთ, როგორ უყურებდა ის ამ საკითხს რუსეთის იმპერიასთან მიმართებით. იაკობ მანსეტაშვილი თავის „მოგონებებში“ იხსენებს ჭავჭავაძის ოჯახის ჩვეულებას, მოეწვია წელიწადში რამდენჯერმე თავისი მეგობრები შინ. ეს ხდებოდა ახალ წელს, მისი მეუღლის, ოლღას, დაბადების დღეს ან აღდგომის კვირის რომელიმე დღეს. აქ თავს იყრიდნენ „ივერიის“ თანამშრომელნი და ვახშობამდე საუბრობდნენ და კამათობდნენ სხვადასხვა საკითხზე. ერთ-ერთ ასეთ წვეულებაზე, თურმე, მათ დიდი კამათი მოუხდათ ილიასთან. სიტყვა ჩამოვარდნილა ახალ მეფეზე, ნიკოლოზ მეორეზე. იმ დროისთვის დიდი მითქმა-მოთქმა იყო იმაზე, თუ როგორ მოტყუვდა რუსი საზოგადოება, როგორ გაუცრუვდა მას იმედი რეჟიმის შეცვლისა საკონსტიტუციო სივრცით. თვითონ იაკობ მანსეტაშვილს, კიტა აბაშიძესა და ილია ნაკაშიძეს გული უჯერებიათ თვითმპყრობელობის გინებით და იმედი გამოუთქვამთ, რომ რუსეთში რევოლუციური მოძრაობა გაძლიერდება, დაამსობს იმპერიას და რომანოვების ბატონობას ბოლო მოეღება და მის იმპერიაში შემავალ ხალხებსაც ეშველებათო. მაგრამ ილიას სრულიად საპირისპირო აზრი გამოუთქვამს: – მე საერთოდ არაფერი მწამს რუსეთის რევოლუციისა. რუსეთი გლეხობის ქვეყანაა ჯერჯერობით და დიდხანს დარჩება ასეთად. მისი გლეხობა თავყანს სცემს თავის მეფეს და მტრად ის კი არ მიაჩნია, არამედ ჩინოვნიკობა და ინტელიგენცია. ამიტომაც რევოლუციის გზით მისი შეცვლა სრული უპერსპექტივობაა. თან, თვითმპყრობელობის მოსპობა და საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება ჩვენთვის, ქართველებისთვის, სახეირო სრულიად არ იქნება. თქვენ რომ ოცნებობთ, იმისთანა თანასწორობის, ერთობისა და ძმობის,

უმაღლესი სამართლიანობის სამეფო ჯერ შორს არის არა თუ რუსეთში, არამედ ისეთ მოწინავე ქვეყნებში, როგორც ინგლისი და საფრანგეთია. დასავლეთ ევროპის საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება რუსეთში ჩვენ, ქართველებს, დიდ საფრთხეს გვიქმნის. რუსულ საზოგადოებასა და ხალხში დიდი პოტენციური ძალაა, რომელსაც დღეს სძინავს. ამიტომაც გვაქვს ჩვენ შესაძლებლობა, ვიარსებოთ და ვისუნთქოთ. ახლა რუსეთი ძლიერ ვერ გვისწრებს წინ, ჩვენ ვახერხებთ და უკან მივსდევთ, მას ახლა იმდენი პოლიტიკური და ეკონომიური ძალა არ შესწევს, რომ გადაგველაპოს. თუ ბორკილს მოიშორებს და თავისუფლებას მოიპოვებს, ის ძლიერი სიჩქარით წავა წინ, ჯერ ეკონომიურად დაგვიპყრობს და მერე ან გაგვარუსებს, ან დედამიწის პირისაგან აღგვევის. პოლონელებსა და ფინელებს ვერ მოერევა, რადგან ისინი ძლიერნი არიან ეკონომიკურად და ეროვნული შეგნებით, ისინი შეძლებენ, მეტოქეობა გაუწიონ რუსებს, ჩვენ კი ამ მხრივ იმდენად სუსტნი ვართ ეკონომიკურადაც და ეროვნული თვითშეგნებითაც, რომ თავისუფალი რეჟიმით წათამამებული და წახალისებული რუსეთი თავის ქერქში ვერ ჩაეტევა, „სამხრეთ მდიდარ ქვეყანას გადმოხეთქავს და ჩვენც ადვილად წაგვლეკავს“ [5, 82].

როგორც ვხედავთ, ილია სიღრმისეულად იცნობდა რუსი ერის თვისებებს და, სხვებისგან განსხვავებით, ჰქონდა უნარი, შორს, გაცილებით შორს, გაეხედა და განეტკვრიტა მომავლი. ის, რაც ჭავჭავაძემ იწინასწარმეტყველა, ახლა კიდევ: რუსეთის თვისობრივად ახალმა სახელმწიფომ კვლავ გადაყლაპა საქართველო.

ახლა გავარკვიოთ, რატომ გააცნო ილიამ ირლანდია და ინგლისის (ასევე, გაკვრით შოტლანდიისაც) ურთიერთობა ქართველ მკითხველს?

ჯერ კიდევ 1880 წელს ჭავჭავაძე საუბრობს ძველი საქართველოს აგრარული მოწყობის შესახებ სტატიაში „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“ [10, 9] და აღნიშნავს, რომ ჩვენს ერს ათასწლეულები უცხოვრია, უთვალავი ომი გამოუვლია, მაგრამ დღემდე მოუღწევია. ილიას უკვირს, თუ როგორ აიტანა ეკონომიკურად ამ პატარა ქვეყანამ ასეთი ცხოვრება. ის აკვირდება ჩვენს სამეურნეო წესს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩვენში ეს საქმე სამართლიანად ყოფილა მორიგებული, რამეთუ უმიწო გლეხი იშვიათობა გახლდათ საქართველოში. შემდეგ, იხილავს რა ამ მდგომარეობას, ილია ამბობს, რომ მის მიერ ნახსენები წესის ძარღვი გახლდათ ის, რომ ქართველი კაცი მისდევდა მიწათმოქმედებას, რომელიც აძლევდა მას მუდმივ საზრდოს საზოგადოებისა და საკუთარი თავის გამოსაკვებად. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ჩვენს ეკონომიურ წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო: „ერთი სასოფლო და მეორე საკომლო“ [10, 11]. პირველი გულისხმობდა იმას, რომ თავისუფალ მიწებს, მიწდორს, ტყეს საზოგადოება მოიხმარდა, ხოლო საკომლოს – თვით გლეხის ოჯახი. ორივე თანაბრად იყო და არც ერთი მეორეს არ გადასწონიდა თურმე.

მაგრამ მეფის რუსეთის შემოსვლის შემდეგ საქმე შეიცვალა. აი, რას წერს ილია ამის შესახებ: „... ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიური წყობისა ყური არ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლუელობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც... არიან ისეთი სოფლებიცა, ოთხი-ხუთი კომლია, და ხუთას-ექვსასი დღის სასოფლო მამულები აქვთ, მაშინ როდესაც მათ გვერდით სხვა სოფელია, საცა მიწა ენატრებათ და არ იციან ვიწროობისა გამო, რა ქნან“ [10, 11-12].

გავიხსენოთ ლელთ ღუნია, რომელიც ილიას შესჩივის: „რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვად, ტყეი სასყიდვად, გზაი სასყიდვად, სამართალ სასყიდვად...“ [11, 19].

ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის ჩვენებით ილია ჭავჭავაძემ ქართულ საზოგადოებას დაანახა, რომ მოწინავე ქვეყნების მოაზროვნე ადამიანები ხედავენ თავიანთი კანონების უსამართლობას და ცდილობენ, თვითონვე გამოასწორონ საქმე, მაშინ, როცა საქართველოში ამ მხრივ დალაგებული მეურნეობა, პირიქით, სხვა ქვეყნის კანონებმა არივ-დარიეს და ქართველ გლეხს, წაგებისა და სიღატაკის გარდა, არაფერი მოუტანეს. უფრო უარესი მდგომარეობაა ამ მხრივ 1905 წლისთვის. ეს ჩანს ილიას სიტყვიდან, რომელიც მან თავადაზნაურობის კერძო თათბირზე წარმოთქვა. „სახელმწიფოს ბევრი ადგილ-მამული აქვს, რომელიც მთავრობამ ჩვენს ქართველ გლეხს წაართვა, სხვა ტომის ხალხს მისცა და ზედ დაასახლა. ქართველი გლეხკაცისთვის მიწა არ არის, ხოლო ნემეცისთვის, ფრანგისთვის, რუსისთვის და სომეხისთვის ბევრია“. ეს გახლავთ ჭავჭავაძის სიტყვის მოკლე ჩანაწერი თავადაზნაურობის კერძო თათბირზე 6 მარტს, რომელიც 1905 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 21-ე ნომერში [10, 264-266].

საყურადღებოა ისიც, რომ ჭავჭავაძე ცდილობდა საქართველოს მდგომარეობის შესახებ უცხოეთშიც გაქვეყნებულიყო სიტყვა. ამაზე მიუთითებს ის წერილი, რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა ქუთაისის სალიტერატურო ჟურნალ „მწვანე ყვავილაში“, რომელშიც ბატონი გენრი დოლიძის სტატიას დაბეჭდილი [3, 90-91].

ეს სტატია მოგვითხრობს ნორა დრეჰურსტზე (ნამდვილი სახელი ჰანა ენ რობინსონი), რომელმაც საქართველოს ორი ფასდაუდებელი სამსახური გაუწია თურმე. ირლანდიელი ქალბატონი თავისუფლად საუბრობდა ფრანგულ, გერმანულ და ირლანდიურ ენებზე, ხატავდა ბრწყინვალედ; ის ილია ჭავჭავაძეს მარჯორი უორდროპმა გააცნო. სწორედ ამ უკანასკნელის ზეგავლენით ჩამოვიდა ნორა საქართველოში და მთელი გულით შეიყვარა ეს მხარე. მან იმოგზაურა ჩვენს ქვეყანაში, ფეხით მოიარა ბევრი კუთხე და სულითა და გულით შეიყვარა ის. ასე რომ, გარდა მშობლიური ირლანდიისა, ის აქტიურად ქომაგობდა საქართველოსაც ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში. 1906 წელს, გახდა რა საქართველოს მხარდამჭერთა კომიტეტის წევრი, იყენებდა ყველა ტრიბუნას ქართველების სასარგებლოდ. აქვეყნებდა რეგულარულად სტატიებს „მისთვის გეოგრაფიულად შორეულ, მაგრამ შინაგანად ახლობელ, თუმცა, დაუჩოქებელ კავკასიური სახელმწიფოს შესახებ, რომელიც იმ პერიოდში რუკაზეც არ იძებნებოდა. მომდევნო წელს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე საკმაოდ ემოციური და შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად... შემდეგ (1930-ში აღესრულა) კიდევ ერთი უდიდესი სიურპრიზი მოგვიმზადა ქართველებს: ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გამოიფინა მისი მოგზაურობისას საქართველოში შეგროვილი უნიკალური ფოტომასალა“ [3, 90-91].

ასე რომ, ილია ჭავჭავაძე არა მარტო საქართველოში აღუგზნებდა ქვეყნის სიყვარულით გულებს მამულიშიდღოთ, არამედ თავის გარშემო იკრებდა იმ უცხოელებსაც, რომელთაც შეეძლოთ, ჩვენი ქვეყნისთვის სიტყვა შეეწიათ. მისი ოცნებაც ხომ, გრიგოლ ორბელიანისა არ იყოს, გახლდათ ქართველთა მყარად დადგომა

„სხვა ერთა შორის“. ამისთვის კი აუცილებელი გახლდათ, მოძებნილიყო გზები. ამ გზათაგან უპირველესი იყო პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა. 1906 წლის 6 მარტს ქართველ თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე ილიამ გამოაცხადა, რომ ჩვენი ქვეყნის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს, ჩვენ მიერვე არჩეული წარმომადგენლებისაგან. როგორც გ. აბაშიძე აღნიშნავს, ეს იყო ქართულ სინამდვილეში პირველად საჯაროდ გამოთქმული მოთხოვნა საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების შესახებ და ეს გახლდათ ქართველი ერის სასიცოცხლო მოთხოვნა [1, 90]. ილიასვე ინიციატივით ეს მოთხოვნა 1905 წლის 1 აპრილს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ გაიზიარა და მასზე დაყრდნობით დაიწერა პეტიცია, რომელიც გაეგზავნა იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს და რომელშიც ეწერა: „სახელმწიფოს საერთო სარგებლობა და საჭიროებანი აიძულებს თავადაზნაურობას, გამოთქვას თავისი რწმენა, რომ ქართველი ხალხის კულტურული განვითარება იქნება შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რომელმაც ნებაყოფლობით შეუერთა თავისი ბედი რუსეთის ბედსა, მიენიჭება უფლება, იქონიოს საკუთარი მართვა-გამგეობა და კანონები, წარმომადგენელთა ადგილობრივ კრებისაგან შემუშავებული და გამოცემული, და ამ კრებისათვის წარმომადგენლები საყოველთაო, პირდაპირის, საიდუმლო და ყველასთვის თანასწორ კენჭისყრით თუ იქმნებიან ამორჩეულნი“ [1, 92]. იმავე ხანებში ილია აქტიურად მონაწილეობს ახალი პოლიტიკური პარტიის დაარსებაში, რომელიც რეფორმების გზით სწორედ პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებას განიზრახავს. მაგრამ, საუბედუროდ, რუსეთს არ ჰყოლია გლადსტონისთანა მოღვაწე, ლობიერება რომ გაეწია ქართული აზრისთვის და აეხდინა ჩვენი მამულიშილის მრავალწლიანი ოცნება.

საინტერესოა გავეცნოთ, თუ როგორ უყურებს ჩვენი ქვეყნის განვითარებას ამ კუთხით დღევანდელი მოწინავე საზოგადოება. მოცემულ საკითხზე თავისი წერილი აქვთ გამოქვეყნებული მღვდელ-მონაზონ იოანეს (კალანდია), გიორგი შიხაშვილსა და მამუკა შიხაშვილს სათაურით: „წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფცია“.

სტატიის ავტორები ასკვნიან, რომ „წმ. ილია მართლის სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება დღევანდელი საქართველოს ძირითად საჭიროებებს ესადაგება და გვაძლევს სწორ გეზს ქვეყნის ჰარმონიული ღვთივსულიერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის“ [7, 184-191].

დიდი გამოკვლევა უძღვნა ილიას ეკონომიკურ შეხედულებებს მ. კვარაცხელიამ – „ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა“. მკვლევარი ამბობს, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში დიდი ეკონომიკური ცვლილებები ხდებოდა. ჭავჭავაძეს კი ქვეყნის მაჯისცემის პულსზე ხელი ედო. ის კარაგად გრძნობდა, თუ რა მოვლენები ხდებოდა და გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ეს ცვლილებები არ ხდებოდა ქართული საჭიროებებიდან გამომდინარე, არამედ უცხოური კაპიტალის დიქტატით. ნამდვილად ილიასეული ფილოსოფიური გააზრება იყო მიმდინარე პროცესისა მისი სიტყვები, რომ ხმლით მოსულმა მტერმა ვერა დაგვაკლო რა და შრომითა და გარჯით მოსული კი, თუ ჩვენც იგივე არ დავუხვედრეთ, გაგვიტანსო. დიდი როლი ეკისრება საზოგადოების გათვინობიერების საკითხში ილიას წერილს „ცხოვრება და კანონი“. აქ, მკვლევრის თქმით, მთელი ფილოსო-

ფიაა „კაცთა ცხოვრების უკეთ მოწყობისა“ [6, 11]. ბატონმა მურმანმა თავისი წიგნის დასასრულს თეზისების სახით ჩამოგვიყალიბა ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებები, რომლებშიც მთავარი როლი მიანიჭა მწერლის „საერთო ნიადაგის“ თეორიას, რომელსაც დაეყრდნო შემდეგ, განავითარა და დაამკვიდრა კიდევ არჩილ ჯორჯაძემ.

აი, ასეთი იყო ილიას ეკონომიკური შეხედულებები და მკვლევართა მტკიცებით, რომელთაც სიტყვა ეთქმით ეკონომიკურ საკითხებში, ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს არც დღეს დაუკარგავთ მნიშვნელობა და ისინი ქართველებმა სახელმძღვანელოდაც კი უნდა გამოიყენონ.

### **ლიტერატურა:**

1. აბაშიძე გ., ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2005;
2. ბედიანიძე დ., ილია ჭავჭავაძე და იანიშ არანი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2008;
3. დოლიძე გ., საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ირლანდიელი მწერალი, ჟურნ. „მწვანე ყვავილა“, ქუთაისი, 2020, №5;
4. თვალავაძე ვ., ილია ჭავჭავაძე საზღვარგარეთის ახალი ისტორიის საკითხების შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2008;
5. მანსვეტაშვილი ი., მოგონებანი, ტფ., ფედერაცია, 1936;
6. კვარაცხელია მ., ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა, თბ., 2001;
7. მღვდელ-მონაზონი იოანე (კალანდია), გიორგი შიხაშვილი და მამუკა შიხაშვილი, წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) სამეურნეო-მმართველობითი მოძღვრება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2008;
8. ჩიტაური ნ., ორნაირი სწავლება, ლიტერატურული ძიებანი, XXX, თბ., 2009;
9. ჩხეიძე რ., „მუხა უდაბნოში“, გამომც. „ჩვენი მწერლობა“, თბ., 2020;
10. ჭავჭავაძე ი., ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ, 1880 წ., თხზულებათა ანტომეული, ტ. IV, საქართველოს სახ. გამომც., თბ., 1957;
11. ჭავჭავაძე ი., რჩეული, ექვსტომეული, ტ. 1, გამომც. „პალიტრა“, თბ., 2012;
12. ჭავჭავაძე ი., „ქართველი მწერლები სკოლაში“, ნაწ. მეორე, გამომც. „საქართველოს მაცნე“, თბ., 2007;
13. ჭავჭავაძე ი., წერილი ეპისკოპოს ალექსანდრესადმი, „აზრები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.

**Aza Qadaria**  
***Ilia Chavchavadze's Letters About Abroad,***  
***the Writer's Literary and Political Economic Views***  
**Summary**

In the article "Ilia Chavchavadze's letters on foreign countries, his literary connections and political-economic views", this great figure tells what path Georgia should take in order to develop its politics and economy. With this purpose, he informs the society on the state of Ireland, and explains to them which course England has taken, in order to fairly approach the demands of Ireland in some way on another, and to determine those ways which will not interfere with the unity of its state. That's why he publishes articles on foreign affairs in the pages of "Iveria" newspaper in 1877-1898 years, the title of which is "Ireland and England - the historical and economic essay", the main point of which is that "the second half of the nineteenth century brought two great things to its feet. Both of them are such that the political and economic structure of Europe is being shaken from the old foundations and it is necessary to replace the old with the new one. Objectives of these two are ancient, they have been active for a long time and have put their stamp on the progress of Europe, but this was not enough for second half of our century. Those two things have extended to such an extent, stood up to such an attention that require the solved, settled word, not meddling, neither senseless mixing for unburdening as it was before".

These articles clearly show what is Ilia Chavchavadze driven by: he wants to show to Georgians the processes taking place in the world, the ways of the national liberation movement, and, most importantly, to make his compatriots feel like they are the children of the united country and, at the same time, to awake the national feelings. Imbued with this purpose, the great figure describes in details the "national" as he calls it, process of awakening the feelings, consolidation and fusion of nations in Europe, for this purpose he tells the reader that if a German was the first in Germany and it was not surprising, in Austria we had a different case. Several nations lived here side by side. The "Nemecs" who were numerically more, had the upper hand here as well, the Prussians looked at this with envy. "Hungary" also tried to be the leader, as politically it was more mature than others.

i.e. Ilia was proving that, if there was the will of the Russian king, he could choose this path of development and allow all the nations in his multi-national empire to express themselves, if he did not wish these nations to turn against him.

The article also contains references to the world-class Hungarian poet Janis Aran, because he has a lot in common with Ilia himself, both in terms of his views and the theme of his works. This was undoubtedly caused by the common historical events in Georgia and Hungary, which were manifested by the national liberation struggle. At the turn of the 18th and 19th centuries, there was a special historical situation in both countries, and these two writers were given the special mission by the Lord: to lead both their nation and the formation of new literature. The article also talks about Mrs. Nora

Drehurst, a woman whom Ilia met through the brother and sister Wardropes who fell in love with our country, became the member of Georgia's Supporters' Committee and tried to inform to whole world about the condition of this small but beautiful country.

Finally, the article contains information about how modern Georgian economists look at Ilia's views and what assessment they give them.

**Аза Кадария**

***Письма Ильи Чавчавадзе о зарубежных странах, литературных  
связях и политико-экономических взглядах***

**Резюме**

В статье «Письма Ильи Чавчавадзе о зарубежных странах, литературных связях и политико-экономических взглядах» великий деятель рассказывает, по какому пути должна идти Грузия, чтобы развивать свою политику и экономику. С этой целью он информирует общественность о состоянии Ирландии и объясняет, какой путь прошла Англия, чтобы так или иначе справедливо подойти к требованиям Ирландии и определить пути, которые не мешали бы единству государства. Поэтому в 1877-1898 годах на страницах газеты «Иверия» Чавчавадзе опубликовал статьи по вопросам внешней политики, название которых «Ирландия и Англия – историко-экономический очерк», суть которых состоит в том, что вторая половина XIX века ознаменовалась двумя великими событиями. Эти события показали, что политическая и экономическая структура Европы расшатывается и необходимо заменить старую структуру новой. Причины этих двух великих событий давние, и они препятствуют прогрессу Европы. Политическая и экономическая структуры требовали принятия незамедлительного решения, а не блуждания в потемках и политической близорукости, как это было раньше.

В этих статьях хорошо видно, что движет Ильей Чавчавадзе: он хочет показать грузинам текущие процессы в мире, пути национально-освободительного движения и, самое главное, дать возможность своим соотечественникам почувствовать себя детьми единого народа, страны и в то же время пробудить национальные чувства. Именно для этого великий писатель и общественный деятель подробно описывает «национальный», как он его называет, процесс пробуждения чувств, консолидации и слияния наций в Европе, для этого он сообщает читателю, что если в Германии на первом месте были немцы, и это неудивительно, в Австрии было совсем по-другому. В Австрии бок о бок жили несколько народов. Немцы, которых было по численности больше, и здесь одержали верх, пруссаки смотрели на это с завистью. Венгрия тоже стремилась к самостоятельности, поскольку политически была более зрелой, чем другие государства Европы.

Илья Чавчавадзе утверждал, что, если бы была воля русского царя, он мог бы выбрать этот путь развития и позволить всем народам своей многонациональной империи проявить себя, дабы эти народы не восстали против него.

В статье также есть упоминания о венгерском поэте мирового величия Янисе Аране, у которого было много общего с самим Ильей, как по взглядам, так и по тематике произведений. Эта общность взглядов, несомненно, была вызвана общими историческими событиями в Грузии и Венгрии, нашедшими отражение в национально-освободительной борьбе. На рубеже XVIII-XIX веков в обеих странах сложилась особая историческая ситуация, и этим двум писателям была дана Богом особая миссия: руководить как своей нацией, так и формированием новой литературы. В статье также рассказывается о Норе Дрехурст, женщине, с которой Илия Чавчавадзе познакомился через брата и сестеру Уордроп, Нора влюбилась в Грузию, стала членом Комитета сторонников Грузии и попыталась проинформировать весь мир о состоянии этой маленькой, но прекрасной страны.

В конце статьи содержится информация о том, как современные грузинские экономисты оценивают политико-экономические взгляды Ильи Чавчавадзе.

**ნანა ოლქიშვილი**  
(საქართველო)

**ეგზეგუტივის დარგობრივი სახეობანი**

სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი, ეგზეგეტიკა, გულისხმობს ბიბლიური ტექსტების განმარტებას. სწორედ მასზე იყო დამოკიდებული მორწმუნე რაოდენ ჯეროვნად გააცნობიერებდა ქრისტიანულ რელიგიასა და მორალს. ამიტომაც წმიდა წერილის თარგმნა-კომენტირება პირველივე საუკუნეებიდანვე დაიწყო.

განმარტებითი თარგმანება, უპირველეს ყოვლისა, გახლავთ საკუთრებითი ანუ თვისებითი, საგნის, მოვლენის შინაგანი თვისების გამხსნელი. სახისმეტყველებითი თარგმანება, განმარტება შესაძლებელია „არა ერთ სახედ ოდენ, არამედ მრავალ სახედცა“.

ქრისტიანული მწერლობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ეგზეგეტიკის დარგობრივი სახეობანის მრავალგვარობა. ეგზეგეტიკური ტექსტის განმარტების თავისებურებებზე საუბრისას, სხვა უამრავ საკითხთან ერთად განმარტების სამგვარი სახე განიხილება კ. კეკელიძის გამოკვლევაში – „თარგმანებად ეკლესიასტისად მიტროფანე ზმვირნელ მიტროპოლიტისად“: 1. ტექსტის მარტივად და უბრალო ენით გადმოცემა; 2. მისი გააზრების გამარტივება კომენტარის მეშვეობით; 3. ერთი ენიდან მეორეზე გადმოღება. ეს ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ ძველ ქართულ მწერლობაში თარგმანება სამივე ზემოხსენებული ტიპის განმარტებას აღნიშნავდა. მაგალითად მოჰყავს: „თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისათვის“ [1, 786]. აქ „თარგმანება“, „თარგმანი“ აღნიშნავს როგორც გადმოთარგმნას, ასევე კომენტირებას. „თარგმანი“ გამოიყენება, აგრეთვე, მთარგმნელ-კომენტატორი პირის აღსანიშნავადც. მაგალითად, ექვთიმე თარგმანი. ამ მნიშვნელობით ხმარობს აღნიშნულ ტერმინებს ეფრემ მცირეც.

წმიდა ეფრემის მიერ „კიდესა ზედა“ წარწერილ კომენტარებში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი ეგზეგეტიკური ხასიათის სახისმეტყველებით თარგმანებს უჭირავს. ეიკონური განმარტებანი ძირითადად მიემართება ისეთ სახეებს, რომლებზე მსჯელობაც შესაძლებელი და დასაშვებია მხოლოდ მიახლოებითი მინიშნებით, „თეორიულ დონეზე“. ამ აზრს ასე აყალიბებს წმიდა ეფრემ მცირე: „შეისწავე, რამეთუ ყოველთა მხედველად ბერძენთა ენითა ითქუმის ღმერთი, ვინადთგან ხედვასა თეორია ჰქვიან და ღმერთსა თეონ. ამისთვის ხედვად თარგმანებენ სახელსა ღმრთისასა წესითა ეტწმალოგიობისა, ესე იგი არს მზაპასუხოებისადთა“ [4, 220]. წმიდა ეფრემ მცირე ტექსტის განმარტებებს ძირითადად ორგვარად ყოფს: განმარტებითი და სახისმეტყველებითი თარგმანება: „რომელიმე განმარტებით თარგმნის მუხლსა და რომელიმე სახის მეტყუელებით“ [12, 82]. განმარტებათა ასეთი ფორმები თავად განსაზღვრავენ „შეისწავესა“ და სხვა სპეციალურ ტერმინთა ფუნქციასა და დანიშნულებას: „შეისწავე ესე დაწესებულ არს ადგილთა, რომელთა შინა იპოვებოდეს უცხოდ რაიმე, ანუ სჯულები-

თი, ანუ მოთხრობითი, ანუ გამომეტყველებითი, რომლისად უხმდეს შესწავებად მკითხველსა“ [4, 206].

წმიდა ეფრემ მცირე, განმარტებითი და სახისმეტყველებითი კომენტარების გარდა, „შეისწავენში“ იძლევა შემდეგი ხასიათის თარგმანებებსაც: „უცხო რაიმესას“, „სჯულებითისას“, და, როგორც გამოკვლეულია, ეტიმოლოგიურს, ლექსიკურს, გრამატიკულს, სალექსთწყობოს, „გამოსაძიებელ და ღრმათა სიტყვათა“ თუ სხვა ხასიათის განმარტებებსაც.

ქრისტიანობის მომდევნო მოღვაწეები, განსაკუთრებით კი, ეგზეგეტიკი, იძლევიან ბიბლიის ტექსტის ოთხგვარ და უფრო მეტ აზრობრივ გაგებას. მაგალითად, აგუსტინე განიხილავდა ოთხ ხერხს წმიდა წერილის „განმარტებისა“: ისტორიულს, ალეგორიულს, ანაგოგიურსა და ეტიმოლოგიურს, რომელთა გარდა, იგი მიმართავდა სხვა სახის განმარტებებსაც [15, 248-278].

სახისმეტყველებითი თარგმანების მრავალგვარობასთან ერთად საინტერესოა ეგზეგეტიკის ისტორიის პერიოდებად დაყოფა და ამ ეპოქების შემქნელი მწერლები. კ. კეკელიძე და სხვა მეცნიერნი ეგზეგეტიკის ისტორიას სამ პერიოდებად ყოფენ: დასაწყისი (I-III საუკუნეები); კლასიკური (IV-V საუკუნეები) და ბიზანტიური, რომელიც VI საუკუნიდან იწყება და თითქმის XV საუკუნემდე (კონსტანტინოპოლის დაცემამდე (1453 წ.) გრძელდება.

მკვლევართა დაკვირვებით, პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ეგზეგეტიკამ განვითარება ვერ პოვა ქრისტიანთა დევნილობის გამო. ამ დროს უფრო მეტად სააპოლოგეტიკო მწერლობას აქცევდნენ ყურადღებას. ამ პერიოდიდან შესაძლოა ეგზეგეტიკური თხზულების შემქნელი ოთხი მწერლის დასახელება: იპოლიტე პრომაელი (+236 წ.), ორიგენი (+254 წ.), დიონისე ალექსანდრიელი (+246 წ.) და მეთოდი ოლიმპიელი (+310 წ.).

ქრისტიანობის ნებადართულ რელიგიად გამოცხადების შემდეგ ქრისტიანულმა მწერლობამ და, კერძოდ, ეგზეგეტიკურმა მწერლობამ ფართო ასპარეზი მოიპოვა. ამ საუკუნეებში შეიქმნა ეგზეგეტიკური შედევრები, რომლებიც სანიმუშო გახდა მომავალი საუკუნეების ქრისტიანული ლიტერატურისთვის.

IV-V საუკუნეები ქრისტიანული მწერლობის კლასიკურ, ოქროს ხანად არის აღიარებული. IV საუკუნიდან ქრისტიანული ეგზეგეტიკა განსაკუთრებულად განვითარდა, გამოირჩევა ალექსანდრიული და ანტიოქიური სკოლები, რომელთაც, ბიბლიურ ტექსტთა კომენტირების სხვადასხვა პრინციპი შეიმუშავეს. ქრისტიანული ღვთისმეტყველების ალექსანდრიული სკოლა იყენებდა ბიბლიური „წმიდა ისტორიის“ ალეგორიული ანუ სახისმეტყველებითი ინტერპრეტაციის მეთოდს, რომელიც საღვთო ტექსტებში ეძებდა უადრესად საიდუმლო, მისტიკურ აზრს. ძველი აღთქმის ყველა ეპიზოდი განიხილებოდა, როგორც ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ალეგორიები.

ალექსანდრიული და ნაწილობრივ აპოლოგეტური კომენტირების მეთოდის საპირისპიროდ ანტიოქიელებმა ბიბლიის სიტყვასიტყვით – ისტორიულ („განმარტებითი თარგმანება“ – წმიდა ეფრემ მცირის სიტყვათშეხამებაში) შინაარსზე გაამახვილეს ყურადღება. ანტიოქიური სკოლა უფრო რეალისტური მეთოდით ხელმძღვანელობდა, რომელიც ალეგორიას უარყოფდა და იმას ხედავდა, რისი დანახვაც ადამიანის გონებას შეეძლო.

ამ პერიოდის ცნობილი ეგზეგეტები იყვნენ: ეფრემ ასური (+373 წ.), ათანასე ალექსანდრიელი (+373 წ.), ბასილი დიდი (+379 წ.), დიოდორე ტარსელი (+392/394 წწ.), აპოლინარი ლაოდიკიელი (+390 წ.), გრიგოლ ნოსელი (+394 წ.), ეპიფანე კვიპრელი (+401 წ.), იოანე ოქროპირი (+407 წ.), ევსუპი იერუსალიმელი (V ს.), კირილე ალექსანდრიელი (+444 წ.), თეოდორიტე კვირელი (+466 წ.) და სხვა.

კულტურულ-ისტორიულმა პირობებმა ბიზანტიური პერიოდის (VI-XV) ეგზეგეტიკური მწერლობის დონე საგრძნობლად დააქვეითა: დაიწია საგანმანათლებლო დონე, საღვთისმეტყველო ინტერესები შესუსტდა. სასულიერო მწერლობა არსებობას ძირითადად მონასტრებში განაგრძობდა. ეგზეგეტიკაშიც, ისევე როგორც სასულიერო მწერლობის სხვა დარგებში, თავი იჩინა IV-V საუკუნეების ეგზეგეტთა ავტორიტეტმა, მათი ნაშრომების დებულებათა ზუსტად განმეორებამ. მსგავსი შინაარსი ასახულია VI მსოფლიო კრების მე-19 კანონში [5, 380-381].

აღნიშნული ეპოქის გამორჩეულ ეგზეგეტებს შორის მოიაზრებიან: პროკოპი დახელი (VI), ოლიმპიოდორე ალექსანდრიელი (VI ს.), მაქსიმე აღმსარებელი (+662 წ.), ანდრია კესარიელ-კაბადუკიელი (+820 წ.), ფოტი პატრიარქი (891 წ.), მიქაელ პსელოსი (1078 წ.), თეოფილაქტე ბულდარელი (XI ს.), ექვთიმე ზილაბენი (XII ს.) და სხვ. ამ ეგზეგეტთა თხზულებანი, კ. კეკელიძისა და სხვა მეცნიერთა მტკიცებით, წარმოადგენენ, უმეტესწილად, „კომპილაციას და კლასიკური ეპოქის ეგზეგეტთა აზრების განმეორებას“. ეგზეგეტიკური მწერლობისადმი ამგვარი მიდგომის შედეგად გაჩნდა საეგზეგეტიკო კატენები ანუ კრებულები [2, 181].

კატენები იქმნებოდა შემდეგნაირად: ფურცლის შუაგულში წერდნენ ბიბლიურ ტექსტს, რომელსაც ქართულად კიმენი ეწოდებოდა, ხოლო არშიებზე ამ ტექსტის განმარტებას, ან სქოლიოს, რომელიც ამოღებული იყო მწერლის ეგზეგეტიკური თხზულებიდან ავტორის სახელის მოხსენიებით.

საეგზეგეტიკო კატენების მამამთავრად პროკოპი დახელი (VI ს.) მიიჩნევა. ცნობილია, აგრეთვე: ანდრია ხუცესი (VII ს.), იოანე დრუნდარი (XI ს.), ნიკიტა სერონელი (XI ს.), ნიკოლოზ მუხალონი (XII ს.), ნოფიტე ეკლესიისტი (XII ს.), მარკოზ ქრიზოკეფალი და სხვ. ბევრია უავტორო, ანონიმური კატენები, რომლებიც ჯერ შესწავლილი არაა [2, 210-216].

კატენები VI საუკუნეში ჩნდება ბიზანტიაში, მაგრამ სასულიერო მწერლობის ამ დარგმა განსაკუთრებული განვითარება პოვა XI საუკუნეში ნიკიტა სერონელის დროიდან. სწორედ ამ პერიოდიდან, XI საუკუნეში, კატენები შექმნილა ქართულ ენაზეც.

პირველი ქართული თარგმანი მოგვეპოვება ქართულ ორიგინალურ ძეგლში „ეესტათი მცხეთელის წამება“ (VI ს.), მასში გადმოცემული ძეგლი და ახალი აღთქმის წიგნების შინაარსი არ ემთხვევა ამ წიგნების კანონიკურ ტექსტს. თარგმანება სამუელისა მდგომარეობს ბიბლიური ისტორიის თავისუფლად და თავისებურად გადმოცემაში, იგი ხან აკლებს, ხან უმატებს ან ცვლის ამა თუ იმ ადგილს. კ. კეკელიძის აზრით, აქ საქმე გვაქვს „თარგუმების“ ადრე

არსებული თარგმანის გამოყენებასთან ან ბიბლიის წიგნების შინაარსის ავტორისეულ თავისუფალ გადმოცემასთან, ე. ი. ორიგინალურ თარგუმებთან, ანუ ამ „თარგამებაში“ ჩვენ გვაქვს ერთგვარი ქალდეურ-არამეული თარგუმისებური ნაწარმოები, რომელსაც ქართული თარგუმი შეგვიძლია ვუწოდოთ [3, 458-459].

უძველესი საეგზეგეტიკო თხზულებანი მოთავსებულია ე. წ. შატბერდის კრებულში. აღნიშნული თხზულებები იპოლიტე რომაელსა და ეპიფანე კვიპრელს ეკუთვნის.

არაუგვიანეს IX საუკუნისა ქართულად არის ნათარგმნი ათანასე ალექსანდრიელის თხზულებანიც, X საუკუნემდეა ნათარგმნი გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის, რომელი მიუწერა ძმასა თვისსა პეტრეს, ეპისკოპოსსა სებასტელსა“ – ეს თხზულებაც მოთავსებულია „შატბერდის კრებულში“, რომელშიც ის გადმოუწერიათ „დედითა იშხნისადთა“. ამავე ეპოქაშია ნათარგმნი ბასილი დიდის ეგზეგეტიკური თხზულება „ექუსთა დღეთათვის“.

II პერიოდში ქართულ ეგზეგეტიკა ნუსხა იწყება ექვთიმე ათონელით. ქართული ეგზეგეტიკის ისტორიაში ექვთიმეს შემდეგ თვალსაჩინო ღვაწლი გიორგი მთაწმინდელს მიუძღვის. მათი შრომა გააგრძელა წმიდა ეფრემ მცირემ XI საუკუნეში.

XI-XII საუკუნეში უნდა თარგმნილიყო კირილე ალექსანდრიელის ეგზეგეტიკური თხზულებანი. პეტრიწონის სალიტერატურო სკოლაში შესამჩნევად გაბიდრდა ქართული ეგზეგეტიკური მწერლობა XII საუკუნეში. ამ სკოლას ეკუთვნის ბერძნული ენიდან გადმოდებული თეოფილაქტე ბულგარელის თხზულებათა კრებული, რომელიც გადმოუთარგმნია ფილოსოფოსს, იოანე ჭიმჭიმელს.

ნათარგმნი ეგზეგეტიკური თხზულებებიდან შემორჩენილია წმიდა ეპიფანე კვიპრელის, წმიდა ანდრია კრიტელის, წმიდა კირილე ალექსანდრიელის, წმიდა ბასილი დიდის, წმიდა დიონისე ტარსელის, წმიდა გრიგოლ ნოსელის, წმიდა იოანე ოქროპირის, წმიდა თეოფილაქტე ბულგარელისა და სხვათა ნაწარმოებები. ნაწილი ამ წმიდა მამათა თხზულებებისა შეტანილია „შატბერდის კრებულში“.

ეფრემ მცირემ კატენების სახით შექმნა „თარგმანებად დავითნისად“, რომლის შესანიშნავი წინასიტყვაობა გამოცემულია [6, 243-269]. ამ წინასიტყვაობაში ეფრემი ამბობს, რომ მას აუღია გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი ტექსტი „დავითნისა“, რომლისთვისაც დაურთავს განმარტება ან ახსნა, მაგრამ ეს განმარტება მისი საკუთარი, ორიგინალური არაა: „რაოდენიცა იყვნეს წიგნის-საცავსა სვიმეონ წმიდისა, – გვამცნობს ავტორი, – თარგმანი დავითნისანი, ყოველივე დედად მქონდეს და ფრიადითა შრომითა მან ყოველთაგან ერთად შევაერთე, რომელნი ოდენ იპოებოდა მათ შინა მართლმადიდებელთა მიერ თარგმანებულიო“ [6, 247].

ეფრემის ცნობით, „მართლმადიდებელი თარგმანნი“ არიან დავითნის განმარტების აღმწერენი: ათანასე და კირილე ალექსანდრიელები, რომელთაც ორ-ორი რედაქცია შეუქმნიათ „დავითნის“ განმარტებისა: ვრცელით და შემოკლებულით; ბასილი დიდი, ევსუქი იერუსალიმელი, ასტერი ამასიელი და იოანე ოქროპირი.

ეფრემ მცირე „დავითნის თარგმანების“ წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „რომელიმე განმარტებით თარგმნის მუხლსა და რომელიმე სახისმეტყველებით; და არა ხოლო ორნი და ორგან, არამედ თვით იგივე ერთი და ერთსა შინა ადგილსა განმარტებსცა და სახისმეტყველებსცა მასვე და ერთსა მუხლსა... ყოველსავე მუხლსა სახისმეტყველებად შესაძლებელ არს არა ერთ სახე ოდენ, არამედ მრავალსახედცა“. ეფრემ მცირეს „სახისმეტყველება“ ალევგორიად აქვს ნაგულისხმევი. ეფრემს მოაქვს ნიმუშები სახისმეტყველებითი თარგმანებისა, მაგალითად: „გესმოდინ რად ხელი და ფერხნი ღმრთისანი, თუალნი და გული, უწყოდე, რამეთუ ამისსაცა გულისხმის ყოფასა სახისმეტყველებად უხმს და არა განმარტებად, ვინაითგან არარად ხორციელთა და ზრქელთაგანი იპოების“...

ეფრემის შრომა არის დამოუკიდებელი რეცენზია დავითნის კატენებისა, მნიშვნელოვანი არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ, ზოგადად, საეკლესიო ლიტერატურის ისტორიაში (ეფრემის აღნიშნული შრომა შენახულია 4 ხელნაწერში: 1. მარტვილისაში, რომელიც XI საუკუნეშია გადაწერილი; 2. ჯრუჭისაში და 3. საეკლესიო მუზეუმის №14, რომელნიც XIX საუკუნისანი არიან და 4. გელათისაში №№29, XII-XIII ს.).

ქართული კატენების მეორე შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს დიდი წიგნი, ქადაღზე გადაწერილი, in folio, XIII საუკუნის ნუსხა-ხუცურად, რომელშიც საკმაოდ გამოსტკვივის ელემენტები მხედრული ანბანისა. ეს ყოფილა ისეთი მთლიანი და სრული კატენები, რომელთა მსგავსი ბიზანტიის მწერლობაშიც არ მოიპოვებოდა. როგორც ირკვევა, თავდაპირველად ის შეიცავდა კომენტარებს ძველი აღთქმის თითქმის ყველა წიგნისა, რომელთაგან დღეს დარჩენილა მხოლოდ ლევიანიდან რუთამდე და წინასწარმეტყველები, სხვა ტექსტები დაკარგულია. ეს ხელნაწერი იპოვა თ. ჟორდანიამ ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში [8, 36-37].

კ. კეკელიძის აზრით, აღნიშნული კატენების ტექსტიცა და სქოლიოც ერთსა და იმავე პირს ერთსა და იმავე დროს უნდა ეთარგმნოს. აღნიშნული სკოლიდან გამოსული მწერლები საეკლესიო თხზულებათა თარგმნის დროს სქოლიოსთან ერთად ბიბლიურ ტექსტსაც თარგმნიდნენ და მზა ტექსტით არ სარგებლობდნენ, როგორც ამას ეფრემ მცირე იქმნდა; ასე მოიქცა, მაგალითად, იოანე ჭიმჭიმელი თეოფილაქტე ბულგარელის თხზულებათა თარგმნისას [2, 178; 9, 67-68].

სადგომო წერილის პირდაპირ განმარტებასთან ერთად VI საუკუნიდან მოყოლებული წარმოიშვა ახალი ეგზეგეტიკური ცდები. წმიდა წერილის განმარტებისას ეგზეგეტი არ ცდილობს, დედანი განიხილოს პირდაპირი აზროვნების საშუალებით, საკუთარ მსჯელობაზე დაყრდნობით. იგი თითქოს გაურბის ამგვარად დამოუკიდებელი გზით სვლას და გვეუბნება: „არა არს თავით ჩემით ვიტყვდი, არამედ... ვემსგავსო სახეობასა ფუტკრისასა და უცხოთაგან თვისნი მსგავსნი ნივთნი ჭეშმარიტებასა შემოუკრიბნეო“ [10, 191].

ს. გიორგაძის მსგავსად მკვლევარი ა. ალექსიძეც შუა საუკუნეთა ლიტერატურისათვის დამახასიათებელ აღნიშნულ გარემოებაზე საუბრობს: „უდიდესი პატივი, რომელიც შეიძლება მიეგოს წინამორბედს, არის არა მისი ნაწარმოე-

ბით ტკობა, მისი ხელუხლებლად შენახვა, არამედ მისი გაცოცხლება ახალ ნაწარმოებში, ცოცხალ შემოქმედებაში გადამუშავება ეს არის გამდიდრება, ამავე დროს, ეს არის უზენაეს რეალებთან, მარადიულ იდეებთან ზიარების პირდაპირი გზა, რადგან ეს იდეები მოიპოვება ძველ მწერალთა ნაწარმოებებში“ [11, 262].

საგნის ნებისმიერი თვისების სახისმეტყველებითი გააზრება, რაც ესთეტიკურ აღქმასაც გულისხმობს, პირველ რიგში, რწმენაზე დამოკიდებული: პირველი საფეხურია, თუ შეიძლება ასე ითქვას, „თეოფილონი“ (ღვთის სიყვარული), მხოლოდ შემდეგ იწყება სახის „თეორიული“, „ხედვითი“, აღქმა. საგანს გააჩნია ორგანო აზრი – პირდაპირი, თვისებითი და ბუნებითი, სულიერი არსის შემცველი. საგანს პირველადი თვისება ჩამოშორდება და დარჩება მხოლოდ სულიერი მხარე. ამ საკითხს წმ. იოანე დამასკელი ასე განმარტავს: „ამის მიერ ვეზიარებით ღმრთეებასა ქრისტესსა, ესე იგი არს, ჭამითა და სუმიითა ამისათა. ხოლო მერმისა მას საუკუნესა არღარა ესრეთ, არამედ მხოლოდ ხედვითა ოდენ მისთა ზიარ მისსა ვიქნებოლით“ (რ. მიმინოშვილი).

ძირითადი თეოლოგიური სახეებია გადმოცემული წმიდა ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანების შესავალში“. ფაქტობრივად, ესაა ქრისტოლოგიური სახეთა სისტემურად მოაზრებული განმარტებითი შინაარსის საძიებელი ანუ „ლექსიკონი“.

საძიებელი იწყება იმის ახსნით, თუ რომელია ღვთის ადგილი, ესენია: 1. ცა, 2. ეკლესია, 3. ქალწული, 4. ადამიანის სხეული. ამას მოსდევს მსგავსი ასოციაციური რიგის: აღდგომა-აღმსობის-ამადლების განმარტებანი; რომელთაც, ასევე, შეიძლება დაუკავშირდეს აღმოსავალ-აღმოსოქუმა. აქ იგულისხმება უზენაესის ძალის ჩვენება ქველმოქმედებით თუ ტანჯვის გადატანით. ეს ადამიანისათვის საცნაური ხდება ღვთაების მიერ შექმნილ ხილულ საგანთა და მოვლენათა მეშვეობით და არა უშუალოდ. აღდგომა-აღმოსოქუმაში გაიზრება ძე ღმერთის განხორციელებაც, რაც მიმართული იყო ადამიანის ხსნისაკენ, ე. ი., „ერთი მხრივ, ქრისტეს პირველი განხორციელება და, მეორე მხრივ, მისი მეორედ მოვლინება განკითხვის დღეზე, თუმცა ეს მოვლენა ყოველდღიურადაც ხორციელდება სასწაულთა მეოხებით“ [12, 83-84].

სიმბოლოს მიერ მიწიერისა და ზეციურის დაკავშირება მისი ძირითადი და, ამასთანავე, წმინდა რელიგიური (ანუ შემაკავშირებელი) ფუნქციაა. შუა საუკუნეების სიმბოლო სინამდვილის გამოხატულებაა. მედიევიზმი ორივე მხარეს, ემპირიულსა და ირაციონალურს, სინამდვილეში თანაბრად ხედავს. საგანთა და მოვლენათა სულიერ შეუცნობლობას სიმბოლოს ზედა ზღვარი – აბსოლუტი განაპირობებს.

მთელი ქრისტიანული მსოფლხედვა, თავად აბსოლუტი ანტინომიზმის ნიშნითაა მოცული. ამ შინაგანი შეუსაბამობის მოხსნას აზროვნება საუკეთესოდ ახორციელებს სიმბოლოში, რომელიც რეალურთან ერთად ირეალურს ნიშნავს. სიმბოლოს შინაარსი ახლოსაა ქრისტიანული სამების ტრანსცედენტურ-იმანენტურობიდან გამომდინარე ანტინომიზმთან. სიმბოლო – რეალური, ემპირიული სინამდვილის საგანი ან მოვლენა, იმავე ძალით ასახავს ირეალურ, ზეგრძნო-

ბად სინამდვილეს. ამდენად, სიმბოლო ურთიერთგამომრიცხავ ბუნებათა შენაერთია.

შუა საუკუნეების აზროვნებისათვის ნიშანდობლივია ღვთაების აბსოლუტური ხასიათი. თუ ღმერთი აბსოლუტიზმის ნიშნითაა, სხვა ყველაფერი მასთან რელატიურ დამოკიდებულებაშია. ასევე, სიმბოლო, როგორც მიწიერისა და ზეციურის მთლიანობა, შეფარდებითია შინაგანად (ორი ბუნების შეერთების გამო) და გარეგნულად (აბსოლუტთან მიმართებული ონტოლოგია). ეს შეფარდებითი-მიმართებითი დამოკიდებულება ზეციურისა მიწიერთან ასახავს შუა საუკუნეებისათვის ნიშანდობლივ იერარქიას. ზეციური და მიწიერი ძალები იერარქიული დაქვემდებარების პრინციპს ემყარებიან. მასვე ემორჩილება სიმბოლო, ერთი მხრივ, იერარქიულად მოაზრებული სამყაროს ელემენტი, მეორე მხრივ, თავადაც იერარქიული მიმართების შედეგი. ასე რომ, საგნისა თუ მოვლენის სიმბოლურობას შუა საუკუნეებში განაპირობებს ურთიერთგამომრიცხავ ბუნებათა იერარქიული შეერთების (ანტინომიზმი) მიმართება აბსოლუტთან.

ანტინომიზმი, პ. ფლორენსკის განმარტებით, ესაა კანონის შინაგანი წინააღმდეგობა და არა კანონის დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიაში ტერმინი კანტმა შემოიტანა, ანტინომიზმის იდეა ბევრად ადრე არსებობდა. ქრისტიანული ღვთაების ტრანსცედენტურ-იმანენტური ხასიათიც ანტინომიაა. ეს უკანასკნელი, ს. ბულგაკოვის სიტყვებით, „იბადება აზროვნების შემეცნებული შეუსაბამობით შესამეცნებელ საგანთან“ [13, 96].

იერარქიის ცნება განსაზღვრავს, უპირველეს ყოვლისა, „გონიერ არსებათა საერთო მდგომარეობასა და მნიშვნელობას უნივერსუმში“, – ვკითხულობთ ვ. ბიკოვის წიგნში [14, 44].

სადვთო წერილს, მასში გადმოცემულ მოძღვრებას, ქრისტიანის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. სწორედ მასზე იყო დამოკიდებული მორწმუნე რაოდენ ჯეროვნად გააცნობიერებდა ქრისტიანულ რელიგიასა და მორალს. ამიტომაც წმიდა წერილის თარგმნა-კომენტირება პირველივე საუკუნეებიდანვე დაიწყო. შესაბამისად, ეგზეგეტიკოსთა ნაშრომები, თუნდაც კომპილაციური ხასიათის, გზამკვლევა, სახელმძღვანელოა, საუნჯეა ჭეშმარიტების მძიებელთათვის.

### **ლიტერატურა:**

1. ქართლის ცხოვრება, ტფ., 1906;
2. კეკელიძე კ., თარგმანებად ეკლესიასტისად მიტროფანე ზმვირნელ მიტროპოლიტისად, ეტიუდები, ტ. XI, თბ., 1972;
3. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980;
4. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984;
5. დიდი სჯულისკანონი, თბ., 1975;
6. ძველი საქართველო, ტ. III, გან. I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1913-1914;

7. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები I, თბ., 1979;
8. ჟორდანიას თ., ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897;
9. კეკელიძე კ., „იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან“, პრომეთე, №1, 1981;
10. გიორგაძე ს., იოანე დამასკელის მთავარი თხზულება, 1926;
11. ალექსიძე ა., ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო, XIII-XIV სს., თბ., 1976;
12. შანიძე მ., შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა (ტექსტი და შენიშვნები), თსუ-ის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 11, 1968;
13. Булгаков С., Свет невечерний М., 1917;
14. Бычков В. В., Византическая эстетика, М., 1977;
15. Бычков В. В., Эстетика поздней античности, М., 1981.

**Nana Olkishvili**  
*Field Types of Exegetics*  
**Summary**

The Holy Scriptures, the teachings conveyed in them, have a special place in the life of a Christian person. It depended on him how well the believer would understand the Christian religion and morality. That is why the translation and commentary of the Holy Scriptures started in the first centuries. Accordingly, the works of exegetes, even if they are of a compilation nature, are a guide, a manual, and a source for those who seek the truth.

**ნანა ოლქიშვილი**  
*Отраслевые виды Екзегетики*  
**Резюме**

Учение Священного писания занимает особое место в жизни христианина. Именно от его верного понимания зависело, настолько правильно верующий человек осмысливал христианскую религию и мораль. Поэтому, толкование Священного писания началось уже с первых веков (христианства). Соответственно, труды экзегетов, пусть даже и компиляционного характера, являются путеводителем, руководством и сокровищем для ищущих истину.

**ხათუნა ამაღლობელი, თამუნა ლიპარტელიანი**  
(საქართველო)

**ქართული კინო, როგორც სოციალური ცვლილებების ილუსტრაცია**  
**საქართველოში – „ნატვრის ხიდან“ ჩცდლ-მდე**

თანამედროვე – ელიოზისეულ „კონტროლის საზოგადოებაში“, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ, აქსიომაა, რომ ჩვენ – ადამიანები – აზროვნებაში ინკორპირებული იდეოლოგიური კონცეფციებით ვხელმძღვანელობთ, რისთვისაც, იდეოლოგიის სხვა აპარატებთან ერთად, გლობალიზაციის პირობებში, ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ იარაღად პოპულარული კულტურა გამოიყენება. გლობალიზაცია კულტურაზე სიღრმისეულ გავლენას ახდენს. სწორედ ამ გავლენის შედეგია პოპულარული კულტურის აღზევება, რომელიც როგორც ინსტრუმენტი, თანამედროვე სამყაროში ამკვიდრებს ღირებულებათა ერთიან სისტემას და ამით ხელს უწყობს სოციუმში ახალი და ერთიანი მნიშვნელობათა სისტემის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას. ამ მისიას ემსახურება პოპულარული კულტურის ერთ-ერთი ფორმა – კინოსერიალ(ები), რომლის მნიშვნელობაზეც სწორედ წარმოდგენილ სტატიაშია საუბარი. ავტორების აზრით, კინო და კინო-სერიალი ენაა, რომელიც წარმოშობს ღირებულებათა სისტემას, ფასეულს მაყურებლისთვის. მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ პოპულარული კულტურა თავადაც წარმოადგენს არსებული სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური (და ა.შ.) რეალობის ანარეკლს, ან, ასე ვთქვათ, საზოგადოებაში ამ კუთხით არსებული პრობლემების მოგვარების გზების ერთგვარ ძიებას. ამიტომ, თუ დავეყრდნობით ანტონიო გრამშის ხედვას, მაყურებელსა და კინოს/სერიალის ტექსტს შორის ურთიერთთანამშრომლობის ის მოდელი ყალიბდება, რომელსაც „მოლაპარაკება“, „დიאלოგი“ შეიძლება ეწოდოს [2]. სწორედ ამ უკანასკნელით სთავაზობს პოპულარული კულტურის ინსტრუმენტი – კინო და სერიალი საზოგადოებას მსჯელობას მისთვის სენსიტიურ საკითხებზე.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს გააანალიზოს, თუ როგორ აისახა ქართულ კინოში ქართული საზოგადოების სოციალური ცვლილება კონკრეტულად მოდელატე ქალის კონცეპტთან მიმართებით – თენგიზ აბულაძის საკულტო ფილმის, „ნატვრის ხის“, მთავარი პერსონაჟის – მარიტასა და პოპულარული თანამედროვე ქართული სერიალის – „ჩემი ცოლის დაქალების“ (რეჟისორი – გიორგი ლიფონავა) ქეთის ისტორიების, „ხვედრისა“ და საზოგადოებრივი აღქმის შედარებით – იმ პარალელთა, რომ ორივე მათგანი საკუთარ სოციუმში მოდელატე ქალადაა აღქმული 70-იანი წლებისა (მარიტა) და 21-ე საუკუნის (ქეთი) ქართულ საზოგადოებაში.

მსჯელობისთვის, პირველ რიგში, უნდა გავაანალიზოთ, საერთოდ, რა არის კინო ადამიანის გონებისთვის – კინო, ერთგვარად, ტექსტის ნაირსახეობაა და იგი

---

<sup>1</sup> „ჩემი ცოლის დაქალები“ – პოპულარული ქართული სერიალი.

ამ კუთხითაც უნდა გავიაზროთ. შვეიცარიელი ლინგვისტის, ფერდინანდ დე სოსიურის (Ferdinand de Saussure) მიხედვით, ენა იყოფა ორ კომპონენტად – „აღსაღნიშნად“ და „აღმნიშვნელად“, რომელთა ერთობაც ქმნის მესამეს – „ნიშანს“ [1]. ენობრივი ნიშანი დაკავშირებულია ადამიანის აღქმასთან და მის შესაძლებლობასთან – კონკრეტული გზით გადმოსცეს შეხედულება, ცნება – ესე იგი, ენა განაპირობებს ადამიანის აზროვნებას [1; 2], აქედან გამომდინარე, თუ ფილმის ტექსტს აღვიქვამთ ნიშნების ერთობლიობად, რომელიც ჩვენს აზროვნებაში ინკორპირირდება და გვაიძულებს მისი საშუალებით ვიფიქროთ და, ამავდროულად, ამ თვისებას ჩვენი აღქმიდან გამომდინარე იძენს, უკვე ცხადი ხდება, როგორ მუშაობს კინო, როგორც პოპულარული კულტურის ნაირსახეობა და რაოდენ დიდია მისი გავლენა საზოგადოებაზე, სოციუმის ქცევის მოდელის, ქცევის პრაქტიკების ფორმირებაზე. საკვლევ საკითხთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ მარიტას ეპოქაში კოლექტიური ცნობიერების მხრიდან ღალატად (როგორც ნიშანი) იქნა აღქმული ფაქტი, რომ მან სხვა ადამიანების მიერ შერჩეული ქმარი, იძულებითა და უძღურებით შექმნილი ოჯახი ვერ შეიყვარა იმ წინაპირობით, რომ მისი გული ბავშვობიდან სხვას ეკუთვნოდა. თავად ქმარი კი, ისევე, როგორც საზოგადოების უმრავლესობა, ემოციური ინტელექტის ქონით ნამვილად არ გამოირჩეოდა. საბოლოოდ, ცილისწამებისა და კოლექტიური აზროვნების შედეგად, მარიტა შეირაცხა მოღალატედ, რომელსაც საჯაროდ უნდა ეგო პასუხი თემის წინაშე. რაც შეეხება ქეთის პერსონაჟს, რომელიც ჩვენს დროში ფორმირდა, იგი წლების განმავლობაში ითმენდა ჩაგვრას, დამცირებას, ღალატს თავისივე არჩეული ქმრისგან, რომელიც უყვარდა; თუმცა ამდენმა უარყოფამ იგი მარტივად ჩააგდო სხვა ადამიანის მკლავებში, რომელიც, სინამდვილეში, არაფრით გამოირჩეოდა მისივე ქმრისგან, გარდა იმისა, რომ ღამაზად საუბრობდა და ქეთის, წლების განმავლობაში პირველად, საშუალება მისცა თავი ღამაზ და, რაც მთავარია, სასურველ ქალად ეგრძნო. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს არა უბრალოდ პლატონური, არამედ ფიზიკური ღალატი, რომლის გასაჯაროებას ამჯერადაც ქალის გარიყვა მოჰყვა საკუთარი სოციუმიდან. აქ შეგვიძლია პარალელი გავავლოთ მრუში ქალის ბიბლიურ პასაჟთან იმ გაგებით, რომ სოციუმი ამ შემთხვევაშიც თავის საკუთრებად აღიქვამს ქალის სხეულსა და „პატიოსნებას“ და, მათი სტანდარტებისთვის მიუღებელი ქმედების შემთხვევაში, თავს მოვალედ მიიჩნევს, თავადვე აგებინოს პასუხი დევიანტს გარიყვით, მოკვეთით, ან სულაც ჩაქოლვით, რითიც, ასევე, ვასკენით საკითხის აქტუალურობის სიძველესა და მნიშვნელობას.

ზემოთქმულს შეგვიძლია მივუსადაგოთ ლევი შტრაუსის თეორია, რომლის მიხედვით, მითი მუშაობს როგორც ენა, იგი წარმოაჩენს ერთგვარ წესების კრებულს („გრამატიკა“), რომლის საშუალებით გადმოიცემა საზოგადოების სოციო-კულტურული მდგომარეობა, აღქმა და მათი დამოკიდებულება პრობლემებისადმი [3], ანუ როგორ წყვეტენ პრობლემას, როგორც ინდივიდი და როგორც საზოგადოება. უილ რაითმა კი, სოსიურისა და შტრაუსის თეორიების შერწყმით, კინო, კონკრეტულად – ვესტერნი, გაიაზრა, როგორც მითი და ნიშნების ერთობლიობა, რომელშიც, მაგალითად, ეკონომიკური ურთიერთობების შესაბამისად იცვლებოდა ჟანრისთვის დამახასიათებელი ისეთი მოცემულობები, როგორებიცაა დამოკიდებულება გმირისა და ანტიგმირის მიმართ, ან სულაც თავად ანტიგმირის კონცეფცია,

რომელიც რაღაც ეტაპზე, თავად საზოგადოებას გამოხატავდა და არა მათი დაცვის აუცილებლობას [3]. ჩვენს განხილვის საგანს რომ დაეუბრუნდეთ, პრობლემის მოგვარების კუთხით, პირველ შემთხვევაში, საზოგადოებამ მარიტას აპატია, თუმცა აპატია საჯარო დამცირების, ფიზიკური ძალადობისა და მისი სიცოცხლის წართმევის ხარჯზე. ესე იგი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში, კოლექტიური მენტალიტეტის საქართველოში, ქალს საკუთარი გრძნობები, შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა, რის გამოც, გაილაშქრა კიდევ, გიორგი ლეონიძემ<sup>1</sup> ამ მახინჯი ტრადიციების წინააღმდეგ. მეორე შემთხვევაში, თანამედროვე მოღალატე ქართველი ქალის პროტოტიპი ქეთი დაისაჯა კვლავ უარყოფითა და გარიყვით (როგორც სიუჟეტში, ასევე – მაყურებლის მხრიდან); თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პერსონაჟებიცა და მაყურებელთა უმეტესობაც უგებდა მოღალატე ქალს და, სოციალური ქსელების საშუალებით, მისთვის, როგორც პერსონაჟისთვის, პატიებას მოითხოვდა. საბოლოოდ, ყველას გასაოცრად, ქეთის მიეტევა საკუთარი დანაშაული თავად ქმრისგანაც კი, რომელიც იმ დროისთვის ტოქსიკური მასკულიზმის უბადლო პროტოტიპს წარმოადგენდა. ქეთიმ, მარიტასგან განსხვავებით, როგორც სიუჟეტურად, ასევე – მაყურებელთა მხრიდან, პატიება და თანაგრძობაც კი დაიმსახურა არა საკუთარი სიცოცხლის დათმობით, არამედ დალატის, როგორც ამორალური საქციელის გააზრებითა და მონანიებით. და მართალია, გამომხატვრებში ყოველი შემჩვენებელთა წამოძახილებიც, რომლებიც ქეთის პერსონაჟის სამაგალითო დასჯას ითხოვდნენ, თუმცა სწორედ აქ ჩანს ის სოციალური ცვლილება ქართულ საზოგადოებაში, რომლის გაანალიზებასაც ამ სტატიის საშუალებით ვცდილობთ – მაყურებლის მაღალი ჩართულობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რამდენად მნიშვნელოვანი და სენსიტიური საკითხია ქალის დალატი ქართული საზოგადოებისთვის იმ მორჩილების, დედობის, სისპეტაკისა და ქალისთვის მიწერილი სხვა მრავალი მსგავსი მახასიათებლის პარალელურად, რომელიც ასე გამჭვდარია ჩვენს მენტალიტეტში, თუმცა მივადწიეთ იმ სოციალურ განვითარებას, სადაც, ამჯერად, უმრავლესობას არა ჯალათები (როგორც მარიტას შემთხვევაში), არამედ ის ადამიანები წარმოადგენენ, რომელთაც რაღაც დონეზე მაინც აქვთ მიმღებლობა და ემპათია დევიანტი ქალის მიმართ.

დასასრულისთვის, ჩვენ მიერ გამოტანილი დასკვნები გავიაზროთ ფემინისტი ავტორის, ლაურა მაღვის თეორიულ ჭრილში, რომლის თანახმად, ქალები კინონდუსტრიაში წარმოადგენენ ობიექტებს და მათი ტექსტები, კამერის ობიექტივი, სიუჟეტი – ყველაფერი მიმართულია მამაკაცის სურვილის დასაკმაყოფილებლად. მეორე მხრივ, მამაკაცი ფროიდისეული კასტრაციის კომპლექსის დაძლევის, ამავე თეორიაზე დაყრდნობით, ცდილობს ქალის დასჯით ან მისი გაფეტიშებით, სექსუალიზირებით [3]. ჩვენს საკვლევ მასალასთან მიმართებით, ეს თეორია, ცალსახად მართებულია მარიტას შემთხვევაში, ოღონდ არა იმ გაგებით, რომ რეჟისორის მიზანი მამაკაცი მაყურებლის სიამოვნება იყო – სწორედ რომ პირიქით – ეს იყო წინააღმდეგობის აქტი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაწარმოები ქართულ რეალობას ასახავდა, რომელშიც თემის ადათებისა და, განსაკუთრებით, მამაკაცთა ტოქსიკური დომინაცია აშკარად იგრძნობა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფილმში ასახულია სწორედ ის, რაც მამაკაცის სურვილს შეესაბამებოდა. რაც შეეხება ქეთის

<sup>1</sup> ავტორი წიგნისა „ნატვრის ხე“.

პერსონაჟთან მიმართებით მიღებულ საზოგადოებისა და გადაძვლები ჯგუფის საერთო გადაწყვეტილებას, შეიძლება ითქვას, დასჯის სახით მისი გარიყვითა და შემდეგ პატიებით, ქეთი დევდარიანმა<sup>1</sup> დააკმაყოფილა არა კონკრეტულად მამაკაცთა ან ქალთა სურვილი, არამედ მთლიანი საზოგადოების მოთხოვნილება, რომ დაღატი, როგორც ამორალური საქციელი, როგორც ტკივილის მომტანი ეგოისტური გადაწყვეტილება, რაღაცნაირად დასჯილიყო, თუმცა დაეტოვებინა სივრცე ემპათიისა და თანაგრძნობისთვის.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულმა საზოგადოებამ ნამდვილად განიცადა გარკვეული ევოლუცია, რაც ნათლად გამოიხატა კულტურაში, კერძოდ – კინოში. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი მოცემულობები კონკრეტულ საკითხში ემთხვევა დასავლეთის დინამიკას და, ჰუმანურობის კუთხით, აშკარა პროგრესს განვიცდით, თუმცა, მიუხედავად ემპათიის ზრდისა, ადამიანის პირადი ცხოვრებისა და საზღვრების დაცვასთან დაკავშირებით არსებული განწყობები კვლავ კოლექტიური საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს და ჯერ ისევ აქტუალურ პრობლემად რჩება.

#### **ლიტერატურა:**

1. სოსიური ფ., ლინგვისტიკა და სემიოლოგია, გამომცემლობა PEG, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2010;
2. ქურდიანი მ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება: ენობრივი ნიშნის მორფმატიკული თეორია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 2008;
3. ოზიაური ლ., კინო ყველაზე ახალგაზრდა, ყველაზე პოპულარული, ყველაზე გავლენიანი ხელოვნება, თბ., 2014;
4. Gramsci A., Selections from the Prison Notebooks. Elec Book, 1999;
5. Storey J., Cultural Studies and the Study of Popular Culture. Edinburgh University Press. Edinburgh, 2003.

**Khatuna Amaglobeli, Tamuna Liparteliani**

### ***Georgian Cinema as an Illustration of Social Changes in Georgia – from the "Wishing Tree" to the MWF ("My Wife's Friends")***

#### **Summery**

Mass media facilities, in fact, continuously inculcate specific values in society. However, on the other hand, they also represent a kind of reflection of existing social reality themselves. This article investigates this particular phenomenon and aims to scrutinize the social transformations experienced by Georgian society concerning the archetype of an adulterous woman. To accomplish this, we employ the method of comparative analysis between the stories of Marita, the principal character in the 20th-century film "The Wishing Tree" and Katie, one of the central figures in the contemporary Georgian TV series, "My Wife's Girlfriends".

---

<sup>1</sup> სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტი.

**Хатуна Амаглобели, Тамуна Липартелиани**  
*Грузинское кино, как иллюстрация социальных изменений в Грузии*  
*(от «Дерево желания» до сериала «Подружки моей жены»)*  
**Резюме**

Средства массовой информации, по сути, постоянно прививают обществу определенные ценности. Однако, с другой стороны, они также представляют собой своеобразное отражение существующих социальных условий. В данной статье исследуется именно это явление и анализируются, какие социальные изменения пережило грузинское общество в связи с концепцией женщины-предательницы и как эти изменения отразились в грузинском кино, для чего использован метод сравнительного анализа историй и последующих событий Мариты, главной героини фильма XX века «Дерево желаний», и Кэти, одной из главных героинь современного грузинского сериала «Подружки моей жены».

**Тани Айсулу**  
(Казахстан)

## **МУЗЫКАЛЬНОЕ НАСЛЕДИЕ КАК ФАКТОР КУЛЬТУРНО-ПАТРИОТИЧЕСКОГО ВОСПИТАНИЯ В СОВРЕМЕННОМ КАЗАХСТАНЕ**

Каждая историческая эпоха ставит перед человечеством определенные задачи. На сегодняшний день процесс глобализации и стремительной интеграции Казахстана в мировую политику, экономику и культуру, поднимает важный вопрос сохранения идентичности, формирования мировоззрения общества на основе национальных ценностей. Так, в декабре 2012 года в Послании Главы государства народу Казахстана была представлена Стратегия развития Республики Казахстан до 2050 года. Ее главная цель – создание общества благоденствия на основе сильного государства, развитой экономики и возможностей всеобщего труда, вхождение Казахстана в тридцатку самых развитых стран мира. Для достижения этой цели «Стратегия «Казахстан-2050» предусматривает реализацию семи долгосрочных приоритетов, одним из которых является Новый казахстанский патриотизм как основа успеха многонационального и многоконфессионального общества [1].

В этой связи перед Казахстаном стоит ряд глобальных вызовов, некоторые из которых возможно разрешить с помощью грамотной культурной политики. В рамках предлагаемой статьи рассмотрим потенциал музыкально-эстетического наследия казахского народа и его возможность стать основой построения культурной политики страны.

Такая идея не нова. Ряд исследователей уже обращали внимание на большую значимость музыки в формировании идеологии и мировоззрения. Сопровождая человека с самого рождения, испокон веков музыка имела возможность влиять на сознание людей, формировать картину мира и давать направление человеку в жизни. Еще Адорно Т. Заметил, что «музыка превратилась в политическую идеологию с середины XIX века благодаря тому, что она выдвинула на первый план национальные признаки, выступала как представительница той или иной нации, и повсюду утверждала национальный принцип» [2]. В то же время Мельник В. считает, что «для оценки музыкально-эстетического наследия в контексте определенной идеологии необходимо обратиться к осмыслению сути тех общественных идей и ценностей, которыми вдохновлялся создатель музыкального произведения и которые выражаются им специфическим языком музыки» [1].

Так как любая идеология прочно связана с культурой, музыкальной в том числе, следовательно, произведения искусства являются вкладом как в художественную культуру, так и в государственную идеологию.

Потенциал музыкально-эстетического наследия Казахстана богат и разнообразен. Проследим, насколько глубоко реализуется данный потенциал в условиях независимого Казахстана. Рассмотрим музыкальное наследие с нескольких ракурсов: композиторское

наследие, деятельность театров и театральных коллективов, концертные организации, конкурсные и фестивальные движения.

С начала XX века музыка Казахстана развивалась в двух направлениях: традиционная музыка дописьменного периода и академическая музыкальная культура западноевропейского типа. С середины века добавилась новая ветвь – эстрадная. Последняя, в свою очередь, на определенном этапе стала преобладать и на сегодняшний день является мощным фактором идеологического воздействия на общество. Все эти направления находят поддержку и развитие со стороны государства.

Народная музыка представлена в стране творчеством народных оркестров и сольных исполнителей, чьи традиции, уже почти сто лет сохраняет и развивает Казахский государственный академический оркестр народных инструментов имени Курмангазы.<sup>1</sup> Этот легендарный коллектив был основан в 30-х годах прошлого столетия как домбровый ансамбль, в составе которого было всего 11 музыкантов. Позднее в оркестр его преобразовал музыковед, композитор и дирижер Ахмет Жубанов. В 1944 году оркестру было присвоено имя великого казахского народного музыканта, композитора и автора кюев Курмангазы. В 1967 году оркестр был признан заслуженным коллективом Казахстана, а в 1978 году ему присвоен статус «академический». Сегодня Казахский государственный академический оркестр народных инструментов имени Курмангазы имеет в репертуарном фонде более 4000 произведений и знакомит ценителей музыки с бессмертными произведениями Курмангазы, с музыкой современных казахстанских и зарубежных композиторов, исполненных на народных инструментах.

Другим крупным коллективом народных инструментов является Казахский государственный академический фольклорно-этнографический оркестр национальных инструментов имени Н. Тлендиева<sup>2</sup> «Отырар сазы».<sup>3</sup> Оркестр создан в 1980 году при Казахской филармонии. Художественный руководитель и главный дирижер «Отырар сазы» Нургиса Тлендиев изначально создал небольшой ансамбль, который в 1982 году получил статус оркестра.

В оркестре помимо наиболее известных и распространенных народных инструментов домбры и кобыза используются такие казахские музыкальные инструменты, как жетыген, шертер, шанкобыз, мескобыз, сырнай, сазсырнай, сыбызгы, асаяк, дауылпаз, туяктас, конырау и другие. Репертуар «Отырар сазы» включает в себя как фольклорные произведения, так и сочинения казахстанских композиторов в стиле национальных легенд, летописей и кюев. Кроме того, репертуар оркестра пополнен музыкой из кинофильмов, инструментальными произведениями в исполнении солистов. Коллектив не только сохраняет наилучшие труды казахского музыкального фольклора, но и расширяет репертуар обработками современной классики и эстрады.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Курмангазы – казахский народный музыкант, композитор, домбрист, автор кюев (пес для домбры). Оказал большое влияние на развитие казахской музыкальной культуры.

<sup>2</sup> Нургиса Тлендиев – казахский, советский композитор, дирижер, домбрист, педагог. Народный Герой Казахстана (1998). Народный артист СССР (1984).

<sup>3</sup> В переводе с казахского – музыка Отырара (древний казахский город).

<sup>4</sup> Кроме вышеупомянутых народных коллективов в стране активно работают филармонические народные оркестры, обширный обзор данных творческих коллективов может стать отдельной статьей.

Как известно, весьма широко представлено песенное наследие казахского народа. Поэтому и в музыкальной культуре современного Казахстана велика роль профессиональных певцов-исполнителей. Ведь именно они способствовали сохранению и распространению бессмертных образцов традиционного музыкального искусства, передавая их из поколения в поколение и бережно сохраняя для потомков<sup>1</sup> [3]. Творческая деятельность современных исполнителей традиционного пения Ерлана Рыскалы, Сауле Жанпейсовой, Гульмиры Саринной, Елмуры Жанаберген и других украшают казахстанские сцены и являются связующим звеном между прошлым и настоящим, между музыкальным наследием традиционного искусства и современной эстрады.

Отечественная эстрада, взявшая начало в Советский период, на протяжении многих лет подвергалась всесторонним видоизменениям. С одной стороны, наблюдается тотальное упрощение: когда музыкальное содержание все больше уступает ритмическому началу, а глубокий поэтический текст заменяется облегченными фразами, когда в погоне за «хитом» авторы стремятся облегчить смысловую нагрузку, отдавая предпочтение трендам. С другой стороны, среди звезд казахстанской эстрады появляются профессиональные композиторы. Так, профессиональная композиторская музыка Б. Кыдырбек, С. Абдинурова, А. Токсанбай, Б. Далденбая и др. получает международное признание и активно исполняется на серьезных сценах страны.

Более того, ярким примером связи традиционной, академической и эстрадной музыки является Гимн Республики Казахстан. В истории независимого Казахстана государственный гимн страны утверждался дважды – в 1992 и в 2006 годах. После обретения республикой государственного суверенитета в 1992 году был объявлен конкурс на музыку и текст гимна Казахстана. По итогам конкурса было принято решение сохранить музыкальную редакцию гимна Казахской ССР. Таким образом, авторами музыки первого казахстанского гимна стали «аксакалы»<sup>2</sup> казахской музыки, первые профессиональные академические композиторы – Мукан Тулебаев, Евгений Брусилковский и Латиф Хамиди. В конкурсе на лучший текст также победил авторский коллектив, представленный известными казахскими поэтами: Музафаром Алимбаевым, Кадыром Мырзалиевым, Туманбаем Молдагалиевым и поэтессой Жадырой Дарибаевой.

В 2006 году был принят новый государственный Гимн. В основу легла широко известная в народе патриотическая песня Шамши Калдаякова «Менің Қазақстаным» [4]. Песня была написана композитором в 1956 году на стихи Жумекена Нажимеденова. Для придания песне более торжественного звучания Первый Президент Казахстана – Нурсултан Назарбаев доработал первоначальный текст и стал соавтором гимна. Так, 6 января 2006 года Парламент Казахстана внес соответствующие поправки в

---

<sup>1</sup> В казахской народно-певческой музыке существуют две великие исполнительские традиции, которые можно считать двумя разновидностями жанров домбровых песен. Это западно-казахстанский стиль и стиль «арка» (в переводе с казахского – степь). Специфическими различиями между этими видами были музыкальные формы, характер музыкальных образов, манера звукоизречения, форма пения. Данные музыкальные закономерности были сформированы в средние века. Поэтому специфика музыкальных принципов пения состоит в том, что они не сопоставимы с музыкальными принципами европейской музыки XVIII-XIX веков.

<sup>2</sup> Аксакалы – в переводе с казахского – старейшины, корифеи.

Указ «О государственных символах» и утвердил новый государственный гимн страны. Музыка Гимна проникнута духом патриотизма, при этом обладает характерной для казахской музыки мелодичностью.

*Maestoso*

1. Ал - тын күн ас - па - ны, Ал - тын дән да - ла -  
 2. Ұр - пақ - қа жол аш - қан, Кең бай - тақ же - рім -

сы, Ер - лік - тің да - ста - ны, Е - лі - ме қа - - ра -  
 бар. Бір - лі - гі жа - рас - қан, Тө - уел - сіз е - - лім -

шы! Е - жел - ден ер - - де - ген, Даң - қы - мыз шық - ты  
 бар. Қар - сы ал - ган уа - қыт - ты, Мәң - гі - лік до - сын -

гой, На - мы - сын бер - - ме - ген, Қа - за - ғым мық - - ты гой!  
 дай. Біз - дің ел ба - - қыт - ты, Біз - дің ел о - - сын - дай!

Интонационная и ладовая основа гимна соответствуют закономерностям казахской народной песни. Об этом свидетельствуют квартовые скачки, общепринятые для казахской музыки, натуральный лад (ми эолийский), метрическая переменность – сочетание триолей и пунктирного ритма, что создает ощущение метрической свободы, характерной для казахской песни.

Ме - нің е - лім, ме - - нің е - лім, Гү - лің бо - лып

е - - гі - ле - мің, Жы - рың бо - лып тө - гі - ле мің, е - лім!

Ту - ган же - рім ме - нің – Қа - зақ - с - та - ным!

Припев Гимна – восходящим секвентным движением вариантных звеньев мелодии расширяет диапазон мелодии на полторы октавы, что придает музыке патриотический воодушевляющий характер.

Символичен и текст, в котором отражены духовные ценности и мировоззренческая картина казахов. Кратко разберем текст Гимна:

*Алтын кун аспаны, Небо золотого солнца*  
*Алтын дән даласы степь золотого зерна.*

В казахском языке слово «алтын» (в переводе «золотой») часто подменяет желтый цвет (на казахском «сары»), в тоже время придает символу особую значимость.

*Ерліктің дастаны, дастан /поэма/ героизма,*  
*Еліме қарашы обрати взор на мой народ!*

Дастан – это традиционное эпическое сказание казахов. В данном контексте «сказание о смелости, доблести народа».

*Менің елім, Мой народ,*  
*Менің елім, мой народ,*  
*Гүлің болып*  
*Егілемін! я цвету в твоих цветах!*  
*Жырың болып, Песней твоей*  
*Төгілемін елім, разливаюсь,*  
*Туган жерім менің, родная земля моя,*  
*Қазақстаным! мой Казахстан!*

В контексте гимна «Жырың болып төгілемін» можно перевести как «разольюсь песней твоей, Родина» с одной стороны, с другой «жыр» у казахов это стихотворный размер, часто употребляющийся в эпическом и лиро-эпическом жанрах.

Слова гимна целиком и полностью отражают картину мира казахов и выделяет особую символику народа, призывают народ чтить свои традиции, уважать дух предков и трудиться на благо своего государства.

В целом, с темой любви к стране связаны многие страницы вокального творчества казахстанских авторов. Своеобразной визитной карточкой Казахстана стала песня Гарифуллы Курмангалиева<sup>1</sup> «Елим менин»,<sup>2</sup> а песня Ескендира Хасангалиева<sup>3</sup> «Атамекен»<sup>4</sup> на слова Кадыра Мырзалиева написанная композитором в 1970 году, по сей день исполняется в финале концертных проектов. Песня Жанботы Туякбаева на слова Шомишбая Сариева «Атамекен» знаковая в творчестве примадонны казахской эстрады Розы Рымбаевой, песня Кенеса Дуйсекеева<sup>5</sup> «Салем саган, туган ел»<sup>6</sup> имеет ряд современных ремейков в исполнении звезд казахской эстрады. Песни, посвященные родному краю известного казахского лирика-композитора Толегена Мухамеджанова – это целый

---

<sup>1</sup> Гарифуллы Курмангалиев – популярный оперный певец (тенор), композитор, актёр, музыкальный исполнитель и педагог. Народный артист Казахской ССР (1954), лауреат Государственной премии Казахстана (1978).

<sup>2</sup> В переводе с казахского – мой народ.

<sup>3</sup> Ескендир Хасангалиев – советский и казахский композитор-песенник, певец (лирический баритон), народный артист Казахской ССР (1984). Один из основоположников казахской современной песни.

<sup>4</sup> В переводе с казахского – отечество.

<sup>5</sup> Кенес Дуйсекеев – советский и казахстанский композитор, Заслуженный деятель искусств Республики Казахстан.

<sup>6</sup> В переводе с казахского – привет тебе, родной народ.

пласт творчества автора. Песня «Кус жолы»<sup>1</sup> на слова Улыкбека Есдаулетова украсила репертуар Розы Рымбаевой, песни «Астана кеши» на слова Конысбая Абилова, «Город мой!» на слова Нурсултана Назарбаева воспевают красоту юной столицы Астаны.

В современном казахстанском обществе народная и эстрадная музыка представлены в различных формах, наиболее распространенной из которых является концерт. «Специфика концерта заключается в кратковременности действия, концентрированности музыкально-пластических, художественно-выразительных средств, четко выявляющих творческую индивидуальность исполнителя» [1].

Активной концертной деятельностью в Казахстане занимается исторически сложившаяся организация культуры – Государственная концертная организация «Казак-концерт имени Розы Баглановой»<sup>2</sup> Комитета культуры Министерства культуры и спорта Республики Казахстан. Это самая крупная музыкальная организация Казахстана, которая напрямую взаимодействует с филармониями страны.

Цель Казакконцерта – популяризация лучших образцов музыкальных произведений, создание высококачественных, художественно-музыкальных концертных программ, обеспечение общедоступности концертных мероприятий для всех слоев населения и регионов страны, способствование дальнейшему развитию казахстанской культуры. Казакконцерт ведет свою деятельность на базе уникального и самого значимого архитектурного сооружения страны – в Центральном концертном зале «QAZAQSTAN». Здесь проводится множество социально значимых и культурных мероприятий различного уровня, в том числе масштабные мероприятия и концерты с участием первых лиц государства, фестивали, конкурсы, выставки, кинофестивали и мероприятия, посвященные юбилейным и памятным датам. Регулярно проводятся выступления ведущих симфонических и камерных оркестров, казахстанских и зарубежных дирижеров и солистов, известных эстрадных исполнителей, театральные постановки, премьеры мировых мюзиклов и кинофильмов. Данная организация представлена практически всеми жанрами творчества – это фольклор, классика, эстрада, театр мюзикла. В творческом составе коллектива-государственный фольклорный ансамбль «Астана сазы»,<sup>3</sup> государственное трио Республики Казахстан «Forte trio», Казахский государственный симфонический оркестр, государственный театр «Astana Musical», отделы творчества «Классическое искусство», «Халык қазынасы»,<sup>4</sup> ВИА «Saz&Soul», популярные эстрадные исполнители и группы. Концертная организация «Казакконцерт» ежедневно вносит свою лепту в сохранение и пропаганду музыкально-эстетического наследия страны.

Продолжая музыкально-патриотическую тему, нельзя не отметить интенсивное развитие в Казахстане театров оперы и балета. Именно в них активно развивается академическое направление музыкальной культуры республики. На сегодня в Казахстане

---

<sup>1</sup> В переводе с казахского – путь птицы.

<sup>2</sup> Рóза Тажибáевна Багланóва – советская, казахская оперная и эстрадная певица. Народный артист СССР. Народная артистка Республики Казахстан. Народный Герой Казахстана.

<sup>3</sup> В переводе с казахского – музыка Астаны.

<sup>4</sup> В переводе с казахского – наследие народа.

три оперных театра, которые регулярно радуют зрителя отечественными постановками на музыку профессиональных композиторов Казахстана.

Казахский Национальный театр оперы и балета имени Абая в городе Алматы – жемчужина казахского оперного искусства. Именно на его сцене прошли все исторические премьеры первых опер и балетов отечественных композиторов. 13 января 1934 года на сцене театра состоялось первое публичное исполнение музыкальной комедии «Айман - Шолпан», поставленной силами музыкальной студии по пьесе М. Ауэзова, ознаменовавшее, в соответствии с решением Наркомпроса, рождение первого «Казахского музыкального театра оперы и балета». Продолжая пропаганду музыки отечественных авторов в 1938 году на сцене театра состоялась премьера первого казахского балета «Калкаман - Мамыр» на музыку В. Великанова. Буквально через год театр отметит 90-летний юбилей и сегодня в репертуаре театра казахская опера представлена творениями Е. Брусиловского «Кыз Жибек»,<sup>1</sup> А. Жубанова и Л. Хамиди «Абай», М. Тулебаева «Биржан - Сара», С. Мухамеджанова «Айсулу», Е. Рахмадиева «Абылайхан», Г. Жубановой «Енлик-Кебек». Казахский балет живет на сцене в прозведении Т. Мынбаева «Фрески», Г. Жубановой, Т. Кажгалиева, М. Мангитаева, М. Сагатова, А. Серкебаева, Н. Глендиева, А. Бестыбаева «Легенды Великой степи». Сегодня Казахский Национальный академический театр оперы и балета имени Абая это флагман музыкального искусства Казахстана.

В 2013 году по инициативе Первого Президента Республики Казахстан Нурсултана Назарбаева в столице Казахстана распахнул двери новый Оперный театр «Астана Опера». На открытии театра Н. Назарбаев сказал: «Страна, которая сооружает заводы и дороги, создает твердую опору на годы вперед. Страна, которая строит школы и больницы, заботится о будущем нации на десятилетия. Страна, которая возводит театры, смотрит через века вперед...». Одним из главных направлений театра является сохранение и пропаганда наследия отечественных композиторов. Национальная опера представлена творениями Е. Брусиловского «Кыз Жибек», А. Жубанова и Л. Хамиди «Абай», М. Тулебаева «Биржан - Сара», Е. Рахмадиева «Камар - Сұлу». Нельзя не отметить и стремление театра ставить новые отечественные спектакли. Так, в конце 2022 года на сцене состоялась премьера оперы Балнур Кыдырбек «Калкаман - Мамыр». Казахский балет представлен творением Г. Жубановой «Қаракөз», а также «Зов степи» на музыку Т. Кажгалиева, К. Шильдебаева, Р. Гайсина, Т. Момбекова и Карлоса Кино-Пинтана. В этом году театр празднует первое десятилетие, запланирован ряд тематических мероприятий.

Третьим оперным театром в Казахстане является Шымкентский городской оперный театр. Кроме национальных оперных постановок в репертуаре театра отечественный мюзикл «Махаббат мунарасы»<sup>2</sup> а также детский балет Рената Салаватова «Снежная королева».<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Кыз – в переводе с казахского «девушка», Жибек – казахское женское имя, значение имени-шелк.

<sup>2</sup> В переводе с казахского – минарет.

<sup>3</sup> Дабы подчеркнуть музыкально-эстетическое наследие Казахстана, в статье мы указываем лишь отечественные постановки, обходя стороной репертуар шедевров мировой классики, которые также занимают значительное место в репертуаре всех театров.

Нужно отметить, что ряд театральных спектаклей и проектов, номинированы на театральные премии и ярко заявляют о себе в международном конкурсно-фестивальном движении, которое также интенсивно развивается и в современном Казахстане.

Как известно, наиболее популярной формой презентации музыкального искусства является *фестиваль*. Остановимся на данной форме подробнее. Первым в историю Независимого Казахстана вошел фестиваль «Азия дауысы».<sup>1</sup> Цель фестиваля – объединение творческих сил близких по культуре стран и создание мирного сообщества. Фестиваль проводился ежегодно с 1995 по 2005 год в Алматы. В фестивале принимали участие исполнители поп, рок, джаз и фолк-музыки из разных стран Азии, Европы и Америки. В разные годы хэдлайнерами фестиваля были звезды мировой музыки, среди которых Глория Гейнор, Джимми Самервилл, Алла Пугачева, Тото Кутуньо, Патрисия Каас, Space, Eruption, Сьюзи Кватро, Boney M, Лайма Вайкуле, Митхун Чакраборти, узбекская группа «Ялла». За годы проведения фестиваля на нем выступили исполнители из 100 стран мира. В июле 2023 года планируется восстановить проведение «Азия дауысы», и вновь на высокогорной площадке «Медеу» зазвучит музыка.

Одним из крупнейших в Казахстане ретро-фестивалей является «Алма-Ата – моя первая любовь!».<sup>2</sup> Фестиваль проходит в рамках Дня города Алматы с 1999 года. Главной идеей Фестиваля является сохранение духовной связи поколений алматинцев, поддержка статуса Алматы как культурного центра страны. В 2008 году прошёл 10-й юбилейный фестиваль. К этому времени в Казахстане появились аналоги в Караганде («Караганда – город юности моей») и Усть-Каменогорске («Юность моя – Усть-Каменогорск»). Постоянными исполнителями конкурса являются Роза Рымбаева,<sup>3</sup> ансамбль «Дос-Мукасан»<sup>4</sup> и другие корифеи отечественной эстрады. В разные годы Фестиваль менял формат проведения: музыкальный спектакль, вокальный баттл и др.

Визитной карточкой юной столицы Казахстана Астаны является Международный фестиваль тюркской традиционной музыки «Астана-арқау».<sup>5</sup> Фестиваль основан в 2008 году, за 9 лет в фестивале приняло участие более 800 участников со всех тюркоязычных стран и регионов. На сегодняшний день это самое представительное мероприятие традиционной тюркской музыки в мире.

Казахстанский международный фестиваль современной этнической музыки The Spirit of Tengri<sup>6</sup> проводится ежегодно с 2013 года поочередно в Алматы и Астане. За 10 лет Фестиваль сформировал свои неизменные ценности: уникальность, живой звук, аутентичные мотивы и мультикультурность, приправленные гостеприимством казахской

---

<sup>1</sup> В переводе с казахского – голос Азии.

<sup>2</sup> Алма-Ата – это старое название города Алматы.

<sup>3</sup> Роза Куанышевна Рымбаева – советская и казахстанская эстрадная певица, киноактриса, педагог, профессор.

<sup>4</sup> Советско-казахский вокально-инструментальный ансамбль, созданный студентами Казахского политехнического института в 1967 году в Алма-Ате.

<sup>5</sup> В переводе с казахского – лейтмотив Астаны.

<sup>6</sup> В переводе с английского – Дух Тенгри.

земли. Цель Фестиваля – соединение народов и культур в единое целое под шаныраком The Spirit of Tengri.<sup>1</sup>

В данной статье мы не преследуем цель перечислить все казахстанские музыкальные фестивали, а лишь выделяем наиболее крупные, которые несомненно, вносят вклад в развитие музыкально-эстетического наследия, формируют патриотизм, тем самым влияя на социально-политическую жизнь в Казахстане.

Вместе с наиболее популярной формой презентации музыкального искусства – фестивалем, – имеют место развиваться композиторские и вокальные *конкурсы*. Уровень мастерства тех и других оценивается высококвалифицированным составом жюри, а лучшие композиторские работы пополняют репертуар концертных организаций страны.

Яркий пример – ежегодный казахстанский конкурс молодых исполнителей эстрадной песни «Жас канат».<sup>2</sup> Конкурс проводится с 1992 года: сначала в Алма-Ате, а с 2001 года в Астане. «Жас канат» открыл для казахской эстрады не одно поколение молодых певцов. Среди лауреатов и дипломантов конкурса – Медеу Арынбаев и Ерлан Кокеев, группа «Ұркер», Бахыт Шадаева, Нурлан Абдуллин, Руслан Тохтахунов, группа «Яшлык», Майра Даулетбак, Бахытжан Хаджимуканов, Бауржан Исаев, Курмаш Маханов, Ангелина Александрова, Пётр Шарипов, Жанна Саттарова, группа «Аян», Мадина Садвакасова, Димаш Кудайберген и др.

Еще одним исторически сложившимся конкурсом является международный конкурс творческой молодежи «Шабыт»<sup>3</sup> [5]. Конкурс проводится на базе Казахского национального университета искусств с 1998 года. Автором идеи и руководителем конкурса является Народная артистка Казахской ССР, Герой Труда Казахстана, ректор Казахского Национального Университета Искусств, профессор Айман Мусахаджаева. Основные направления конкурса – «Классическая музыка», «Народная музыка», «Эстрадный вокал», «Хореография» и «Журналистика». В «Классической музыке» предусмотрены 4 подноминации: деревянные духовые инструменты (флейта, гобой, кларнет, фагот, саксофон), медные духовые инструменты (валторна, труба, тромбон, туба), ударные инструменты и камерный ансамбль. Участники в номинации «Народная музыка» оцениваются в секциях «Кобыз», «Прима-кобыз», «Шертер», «Бас-шертер», «Прима-домбра». В «Хореографии» конкурс проводится среди танцевальных коллективов и сольных исполнителей в направлении «Народный танец». В целях охвата большего количества направлений искусства. По уже сложившейся традиции, номинации меняются ежегодно.

Республиканский конкурс патриотической песни «Елим менин»<sup>4</sup> учрежден Министерством культуры и спорта Республики Казахстан и проводится с 2003 года. Цель конкурса – формирование казахстанского патриотизма и любви к национальной культуре.

---

<sup>1</sup> 10-11 июня 2023 года планируется 10-летие фестиваля. Помимо музыкального наслаждения, в этом году гости The Spirit of Tengri также смогут получить гастрономическое наслаждение: попробовать кухню народов мира, и эстетическое – увидеть работы художников, которые будут творить на глазах у зрителей прямо на фестивале.

<sup>2</sup> В переводе с казахского – молодые крылья.

<sup>3</sup> В переводе с казахского – вдохновение.

<sup>4</sup> В переводе с казахского – Мой народ.

туре через произведения искусства. Конкурс проводится в трех основных номинациях: «Атамекен»<sup>1</sup> (песни о Родине), «Аманат»<sup>2</sup> (песни о духовных ценностях, героических страницах истории страны, «Ән сал, сарбаз!»<sup>3</sup> (песни о Вооруженных силах Республики Казахстан, военнослужащих Президентской Гвардии, Министерства обороны, Министерства внутренних дел, Комитета национальной безопасности, Министерства по чрезвычайным ситуациям Республики Казахстан). Также ежегодно в конкурсе представлена четвертая номинация, которая посвящена разным юбилейным датам. Например в 2020 году данная номинация была посвящена 175-летию Великого Абая.<sup>4</sup>

Вторым крупным проектом Министерства культуры и спорта Республики Казахстан в области композиторского творчества является Республиканский конкурс «Тауелсиздик толғауы».<sup>5</sup> Конкурс проводится с 2009 года. Задачи данного проекта-содействие созданию новых драматических, музыкальных произведений, поддержка отечественных авторов, пополнение репертуаров республиканских театров и концертных организаций, фондов музеев новыми высокохудожественными произведениями. Ежегодно конкурс проводится по следующим номинациям: лучшее музыкальное произведение крупной или малой формы для народных, симфонических и камерных оркестров, хора и балета; лучшая пьеса для театров (музыкально-драматических и музыкальной комедии), посвященная семейным ценностям; лучшее драматическое произведения для кукольных театров. Постановка драматических произведений, победивших в Конкурсе, осуществляется на бесплатной основе в государственных театрах не более двух раз, последующая постановка осуществляется в соответствии с действующим законодательством в области авторского права и смежных прав. Победившие в конкурсе оперные и музыкальные произведения рекомендуются Министерством для включения в репертуар, а работы художников (скульпторов) для пополнения фондов государственных организаций культуры.

Таким образом, при должной поддержке и скоординированных действиях государства, музыкальной общественности и театрально-концертных организаций, музыкальное искусство, несомненно, формирует взгляд, мировоззрение и ценности человека, имеет свойство объединять общество. Искусство, и, в частности, музыка, заставляет человека задуматься о глубинных вопросах бытия, духовного наследия и возможностях его сохранения и перспектив развития.

### ***Литература:***

1. Муқанова Б., Культурный код народа Казахстана [Электронный ресурс]. Режим доступа: <http://ishimochka.kz/index.php/my-kazakhstansy/1415-kulturnyj-kod-naroda-kazakhstan>;
2. Адорно Т., Избранное: Социология музыки. М., Спб.: Университетская книга, 1999;

---

<sup>1</sup> В переводе с казахского – отечество.

<sup>2</sup> В переводе с казахского – наставление.

<sup>3</sup> В переводе с казахского – Пой, солдат!

<sup>4</sup> Абай Кунанбаев – великий поэт казахского народа, философ – гуманист, композитор, ювелирный мастер художественного слова.

<sup>5</sup> В переводе с казахского – песнь независимости.

3. Кугамова А., Особенности казахского традиционного пения [Электронный ресурс].  
Режим доступа: <https://articlekz.com/article/18378> (дата обращения: 2014);
4. Государственные символы [Электронный ресурс].  
Режим доступа: [https://www.akorda.kz/ru/state\\_symbols/kazakhstan\\_anthem](https://www.akorda.kz/ru/state_symbols/kazakhstan_anthem);
5. Иржанов М., «Шабьт» – путь в творчество [Электронный ресурс].  
Режим доступа: <https://kazpravda.kz/n/shabyt-put-v-tvorchestvo> (дата обращения: 7 ноября 2018).

**ტანი აისულუ**  
***მუსიკალური მემკვიდრეობა როგორც კულტურულ-პატრიოტული***  
***აღზრდის ფაქტორი თანამედროვე ყაზახეთში***  
**რეზიუმე**

ნაშრომის თემად არჩეულია კულტურულ-პატრიოტული აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – ყაზახეთის მუსიკალური მემკვიდრეობა. ავტორის მიზანი იყო გაეანალიზებინა და უცხოელი მკითხველისთვის გაეცნო აღნიშნული მიმართულების მდგომარეობა თანამედროვე ყაზახეთში.

**Tany Aisulu**  
***Musical heritage as a factor of cultural and patriotic***  
***education in modern Kazakhstan***  
**Summary**

The musical heritage of Kazakhstan was chosen as one of the important factors of cultural and patriotic education. The purpose of the author is to analyze and present to the foreign reader the current state of this direction in our country.

**ციცინო ბუკია**  
(საქართველო)

**კულტურული მემკვიდრეობის კვლევები – ბრიტანული ავებური (Avebury)  
და ქართული უფლისციხე – კინოლოკუმენტალისტთა ფოკუსში**

**შესავალი**

კაცობრიობამ წარმოშობის დღიდან დღემდე დიდი გზა განვლო და მისი ევოლუციის შედეგი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მრავლადაა წარმოდგენილი. არსებობს უამრავი იდეალებით მოცული ძეგლი, რომლებიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულმა ცივილიზაციებმა შექმნეს. მათი უმეტესობა უნიკალურობასთან ერთად გარკვეულ საერთო კანონზომიერებას ამჟღავნებს. მეცნიერებს, რომლებიც ძეგლებს შეისწავლიან, ვერაფრით აუხსნიათ, თუ როგორ შეძლეს ჩვენმა წინაპრებმა ტექნოლოგიების გარეშე გრანდიოზული ნაგებობების აშენება. გაურკვეველია ისიც, თუ საიდან ფლობდნენ ისინი მზის სისტემისა და პლანეტების განლაგების შესახებ ისეთ დეტალურ ცოდნას, როგორიც კონკრეტული არტეფაქტების შესწავლის შედეგად იკვეთება.

ავებური (Avebury) და უფლისციხე, როგორც სხვადასხვა ცივილიზაციის მიერ შექმნილი ძეგლები, მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია. ორივე მათგანი დაახლოებით ერთ პერიოდში აშენდა. ბრიტანული ძეგლი ჩვ.წ. აღ-მდე IV, ხოლო ქართული – ჩვ.წ. აღ-მდე IV-III საუკუნეებით თარიღდება. ორივე საკულტო დანიშნულების დასახლებას წარმოადგენდა და ორივე შემთხვევაში უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს, თუმცა ბრიტანელები თავიანთ კულტურულ მემკვიდრეობას შეისწავლიან და უფროსილდებიან, საქართველოში კი ამ თვალსაზრისით გარკვეული პრობლემები იკვეთება. მაგალითად, უფლისციხის შესახებ, ძირითადად, არქეოლოგიური და ისტორიული კვლევებია, თუმცა ახალი ამ მიმართულებით კარგა ხანია არაფერი დაბეჭდილია.

სტონჰენჯი და ავებური (Avebury) მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შედის, უფლისციხე კი თავის რიგს ელოდება. მის შესახებ ცნობადობის ამაღლება და მსოფლიოს ყურადღების მიპყრობა ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, თუმცა ამ თემაზე მხოლოდ 2 დოკუმენტური ფილმი და რამდენიმე სიუჟეტი არსებობს. ამიტომ ამ მიმართულებით მედიის გააქტიურება მნიშვნელოვანია.

დაკვირვების ობიექტად ავსტრიელი რეჟისორის, რონალდ ვაუგანის 2010 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმი "Genius and Geometry Traces of Our Enigmatic Ancestors" და, ასევე, თომა ჩაგელიშვილის მიერ 2012 წ. გადაღებული დოკუმენტური ფილმი „უფლისციხე ქურუმთა ქალაქი“ შევარჩიეთ.

ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, თუ როგორ ახერხებენ ძველი ცივილიზაციის შესახებ შემეცნებითი კონტენტის შექმნასა და იდენტური მნიშვნელობის დასახლებების საზოგადოებისთვის გაცნობას სხვადასხვა ქვეყნის დოკუმენტალისტები. რამდენად ღრმა და მრავლისმომცველია მათ მიერ შექმნილი ფილმები და რა აქცენტი კეთდება კულტურათა შორის პარალელების გავლებასა და კულტურათაშორის დიალოგზე.

კვლევის მეთოდებად გამოვიყენეთ შედარებითი ანალიზისა და კონტენტ-ანალიზის მეთოდები.

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

ავებური (Avebury), ბრიტანეთში, კენეტის რაიონში, ვილტშირის ადმინისტრაციულ და ისტორიულ საგრაფოში, სტოუნჰენჯიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 30 კილომეტრში მდებარეობს. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე ცნობილი პრეისტორიული ადგილი ევროპაში. მას Avebury ეწოდა სოფლის გამო, რომელიც იკავებს ტერიტორიის ნაწილს.

„ძველი გვიანდელი ნეოლითის ხანისაა. გარეთა დიდი წრე ცარცის ქანებისგან შედგება, მისი დიამეტრი 425მ., ხოლო სიმაღლე 6 მეტრია. როგორც ჩანს, მას 4 შესასვლელი ჰქონია. შიდა წრის შუაში წრიულადაა განლაგებული 27 სვეტი, რაც თავდაპირველი რაოდენობის მესამედია. თითოეული მათგანი 50 ტონამდე იწონის. ამ წრის შიგნით არის კიდევ ორი მომცრო წრის ნარჩენები, სამხრეთის შიდა წრის ცენტრში მდგარა მაღალი ობელისკი, რომელიც გარშემორტყმული ყოფილა პატარა ლოდებით. ჩრდილოეთის შიდა წრეში U-ს ფორმის ქვის ნაგებობა იდგა. შესაძლოა, ქვების ფორმებსა და განლაგებას, რომლებსაც თითქმის გეომეტრიული სიზუსტე აქვთ, გარკვეული ასტრონომიული მნიშვნელობა ჰქონოდა“ [1].

ძველის დანიშნულების შესახებ მეცნიერებს მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა თუ შეუძლიათ, რადგან ბევრი რამ საიდუმლოებითაა მოცული. თუმცა არქიტექტურული კომპლექსის გაანალიზების შედეგად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ადგილას გარკვეული რიტუალები იმართებოდა. თუ ეს დაშვება სიმართლეს შეესაბამება, ზოგიერთი ნაგებობა შესაძლოა ჩაფიქრებული ყოფილიყო სახალხო „თეატრად“ ცერემონიებისა და რიტუალების ჩასატარებლად. დროთა განმავლობაში ყველაფერი ცვალებადობის კანონს ექვემდებარება, რიტუალების ცვლილება კი შესაძლოა ახალი ძეგლების აშენებისთვის ბიძგი გამხდარიყო, რასაც ნაგებობათა სიმრავლე შეიძლება გამოეწვია [2].

„ბრიტანეთის მთავრობა მთლიანად ემხრობა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის კონვენციას, რომლის თანახმად გარკვეული კულტურული ადგილები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ითვლება საყოველთაო მნიშვნელობის ზონებად და მთავრობები დებენ ფიცს, რომ გააკეთებენ ყოველივეს, რაც კი მათ ხელეწიფებათ, რათა ისინი თაობებს შეუნარჩუნონ, დღესდღეობით ნუსხაში შეტანილია 360 ასეთი ადგილი. ამ ნუსხაში შესულია ბრიტანეთის 14 ღირსშესანიშნაობა, მათგან 11 „კულტურული“ ანუ ადამიანის მიერ შექმნილი“ მათ შორისაა სტოუნჰენჯი და ავებური. მილიონობით ბრიტანელი ზრუნავს ძეგლების დაცვაზე და ბევრი მათგანი უშუალოდ არის ამ პროცესში ჩართული. ასევე, ძეგლებზე პასუხისმგებლობას ინაწილებს დამოუკიდებელი ორგანიზაცია ინგლისის ისტორიული შენობებისა და ძეგლების კომისია, რომელსაც მთავრობა ნიშნავს და რომელიც დახმარებას იღებს ეროვნული მემკვიდრეობის დეპარტამენტისაგან [3, 3-4].

უფლისციხე უძველესი ქართული ძეგლია. მისი მშენებლობის ძირითადი პერიოდი ადრე ელინისტური ხანით განისაზღვრება (ძვ.წ. IV-III საუკუნეები). როგორც მკვლევრები მიიჩნევენ, ის სატაძრო ქალაქი იყო და, ძირითადად, მზეს ეთაყვანებო-

და, თუმცა ამასთანავე ზეცის, ქვესკნელის, მიწისა და წყლის ღვთაებებსაც აღიარებდა.

„უფლისციხე მდებარეობს ქ. გორიდან აღმოსავლეთით, 15 კმ მანძილზე, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. უჭირავს კვერნაქის მთის სამხრეთისაკენ გადმოფენილი, მცირედად დაქანებული, კლდოვანი მასივი, რომელსაც სამკუთხა ფორმა აქვს და წვერით მდინარისაკენ ეშვება. ნაქალაქარის ფართობი შეადგენს 9,5 ჰექტარს“ [4, 8].

„უფლისციხე ადგილობრივ ტომთა ბელადის, უფლის სადარის რეზიდენციას წარმოადგენდა. ასე იმიტომ უწოდებდნენ, რომ ტომის ბელადს დიდი ძალაუფლება ჰქონდა. სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. უფლის სადარის ციხე, ანუ შემოკლებით უფლისციხე.

სახელი უფლისციხე ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემლობის დროს ეწოდა, ამიტომ ტომის ბელადის უფლის სადარობა, ძალაუფლების აღმნიშვნელი ტერმინია და არა რელიგიურის“ [5].

ქალაქი სამი უბნისგან შედგებოდა. სამხრეთის უბანი მონათა, ჩრდილოეთისა – თავისუფალთა, ხოლო ცენტრალური სატაძრო უბანი ქურუმთა სამყოფელს წარმოადგენდა. შემორჩენილია: ქუჩები, მოედნები, წყალსაწრეტი არხები, ოთხი კარიბჭე, მტკვარზე ჩამავალი საიდუმლო გვირაბი და 270 ქვაბულ-ნაგებობა.

„ლეგენდის მიხედვით უფლისციხე მონების მიერ არის აგებული. მონას წვერაქვს აძლევენ, რომლის ნახევარი რკინით იყო დაფარული რითაც გამოქვაბულებს გამოკვეთდნენ და მეორე ნახევარი კი – ოქროთი. მონას ისე უნდა ემუშავა, რომ უბრალო ლითონი გაეცვიოთა, რის შემდეგაც საჩუქრად თავისუფლებას და ძვირფას ლითონს ანუ ოქროს იღებდა“ [5].

„1977-78 წლებში ნაქალაქარის ცენტრალური უბნის ტერიტორიაზე, ხევში, 6მ სიღრმეზე აღმოჩნდა განძი. იგი დამალული ყოფილა თიხატკეპნილი იატაკის მქონე, კრამიტით გადახურულ შენობაში, რომლის კონტურების დადგენა ვერ მოხერხდა. ნივთები დებულა ხის სკივრში. სკივრი ხარის ჩლიქების ფორმის ოთხ ფეხზე (ბრინჯაო) მდგარა და ზემოდან ბამბის სქელი ქსოვილი ჰქონია გადაფარებული“ [4, 201].

ამ ქსოვილზე დაკერებული ძვირფასი ქვები ცის ტატნობს გამოხატავდა. ხსენებულ სკივრში რიტუალური დანიშნულების ნივთები ინახებოდა. მათ შორის, ქაღალთაების, ტერაკოტის მცირე ქანდაკებაც, რომელიც საბერძნეთიდან ყოფილა ჩამოტანილი.

„განძის გვერდით, იმავე შენობაში აღმოჩნდა სრულიად უცნაური რამ: სხვადასხვა დიამეტრის მქონე ოთხი ბორბლის რკინის სალტეები. ბორბლები ერთმანეთზე დებულა და ქვეშ ფიცრები ჰქონია დაგებული“.

უამრავ წრიულ ფორმას უხვად ვხდებით ქალაქის მთელ ტერიტორიაზე, რაც, მკვლევართა ვარაუდით, ციურ სხეულებსა ან მზეს შეიძლება განასახიერებდეს. ზოგადადაც, მათი აზრით, „განძსა და ბორბლებში უფლისციხელთა ურთულესი კოსმოგონიური წარმოდგენებია კოდირებული“ ხსენებულ 4 ბორბალში მზე და სხვა ციური სხეულები მოიაზრება. ყველა ტაძარ-სამლოცველოს თავისი დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ რომელს რა, ეს უფლისციხის საიდუმლოდ დარჩება [4, 203-207].

## დოკუმენტური ფილმი "Genius and Geometry Traces of Our Enigmatic Ancestors"

ავსტრიელი რეჟისორის, რონალდ ვაუგანის 2010 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმი "Genius and Geometry Traces of Our Enigmatic Ancestors" კაცობრიობის მიერ შექმნილ საკულტო ნაგებობებს ეძღვნება. ყურადღებას იქცევს სცენარი, რომელიც ორიენტირებულია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას აგებულ ძეგლებს შორის მსგავსებათა წარმოჩენაზე. ურთიერთკავშირების ძიება წარმოუდგენელ ჰიპოთეზებს წარმოშობს და მეცნიერების წინაშე ახალ გამოწვევებს აყენებს.

ფილმი დაფუძნებულია რეალურ კვლევებზე, არქეოლოგიური მასალისა და არქიტექტურის ანალიზზე. მსგავსება ნაგებობებს შორის, რომელთა დანიშნულების შესახებ შეგვიძლია მხოლოდ ვიმსჯელოთ, ერთ საერთო ნიშანს ატარებს, მათ არქიტექტურაში ხშირად გვხვდება გეომეტრიული ფიგურები. განსაკუთრებით პოპულარულია წრეები, რასაც ხშირ შემთხვევაში ასტრონომიული ორიენტაციაც აქვს. **გერმანიაში, საქსონია-ანჰალტის** მხარეში, ქალაქ **ნებრასთან**, მიტელბერგის მთაზე ზეციური დისკოს აღმოჩენა კიდევ უფრო ამყარებს მეცნიერთა ვარაუდს იმის თაობაზე, რომ უძველესი ძეგლები სწორედ ამ ცოდნის გათვალისწინებით იგებოდა. ზეციურ დისკოზე მზის, მთვარისა და პლანეტების ნიშნებია დატანილი. ესაა **ბრინჯაოს** ფირფიტა **ლქრის** აპლიკაციებით (ბრინჯაოს ხანა), რომლებიც ასტრონომიულ ობიექტებსა და რელიგიური თემატიკის სიმბოლოებს ასახავს.

ფილმში "Genius and Geometry Traces of Our Enigmatic Ancestors" ნაჩვენებია, რომ მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებული ძეგლების გლობალური გეოგრაფია ქაოსური არ არის და გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. ძველ ნაგებობებს თითქოს კავშირი აქვთ და მათი შესწავლისას საერთო ტენდენცია იკვეთება. ისინი ერთმანეთის მიმართ გეომეტრიული სიზუსტითა და გარკვეულ ფორმათა დაცვითაა განლაგებული. ამის ახსნა შეუძლებელია, რადგან იმ ეპოქაში კომპიუტერისა და სხვა ტექნიკური საშუალებების დახმარებით რთული გამოთვლების გაკეთების შესაძლებლობა არ არსებობდა. მაგალითად, სტოუნჰენჯი და ავებური (Avebury) ერთ ხაზზეა გაშენებული (ამ ხაზებს მეცნიერები ლეი ხაზებს ეძახიან). ავებურის ასაშენებლად საკმარისი ღოდების გადასახიდად 20000 სატვირთო მანქანა მაინც იქნებოდა საჭირო. ფილმში ხაზგასმულია, რაოდენ წარმოუდგენელი შეიძლებოდა ყოფილიყო იმ დროს ამ ამოცანასთან გამკლავება. ასევე, აღნიშნულია საინტერესო ფაქტი იმასთან დაკავშირებით, რომ ავებური (Avebury) ინგლისელი მწერლის, ჯონ რონალდ რუელ ტოლკინისთვის „ბეჭდების მბრძანებლის“ შექმნისას ინსპირაციის წყაროდ იქცა, მას ხშირად ხედავდნენ ამ არემარეში.

"Genius and Geometry Traces of Our Enigmatic Ancestors"-ში იკვეთება, რომ ავებურის (Avebury) გეომეტრია ყველაზე რთული და აუხსნელია. გაურკვეველია ასეთი სიზუსტე გეოდეზიური მოწყობილობების არქონის პირობებში. გაუგებარია სტოუნჰენჯისა და ავებურის (Avebury) დანიშნულება, თუმცა მინდვრებში, ამ ძეგლების სიახლოვეს, ხალხი ქვებითა ან სხვა საშუალებებით გაკეთებულ წრეებს დღემდე პოულობს და აეროფოტოგრაფიებითაა დაკავებული.

დოკუმენტურ ფილმში კონკრეტულ თემებზე საუბრობენ: მეცნიერები, არქეოლოგები, ისტორიკოსები, ფოტოგრაფები, კომპეტენტური ადამიანები, რომლებმაც

ცხოვრება სხვადასხვა ნაგებობის შესწავლას მიუძღვნეს. შესაბამისად, ფილმი არა მარტო საინტერესო ფაქტებს გვაწვდის, არამედ ინფორმაცია გადამოწმებული, ზუსტი და ამიტომაც დამაჯერებელია.

გადასაფარ კადრებად გამოყენებულია: არქეოლოგიური გათხრების დროს გადაღებული მასალა, არტეფაქტები, რუკები და სხვა საშუალებები, რომლებიც მაყურებელს რთული კონტენტის გაგებას უადვილებს. კომენტარებს სხვადასხვა რესპონდენტები აკეთებენ, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ დოკუმენტური ფილმის გადაღებისას ბევრი სიღრმისეული ინტერვიუ ჩაიწერა.

ყურადღებას იქცევს ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთდაკავშირების ტენდენცია. ფილმი ძეგლთა მსგავსებაზე ფოკუსირებით საკითხის შესწავლის სამეცნიერო სიახლეს უსვამს ხაზს და აუდიტორიას კულტურათა კომუნიკაციაზე აფიქრებს. ეს კი ახალი კვლევების ინსპირაციის წყაროდ შეიძლება გახდეს. ამ ტიპის დოკუმენტური ფილმების გადაღება და მასობრივი კომუნიკაციის არხებით ფართო აუდიტორიამდე მიტანა მნიშვნელოვანი და აქტუალური ამიტომაც არის.

ამგვარად, ხსენებული მედიაკონტენტი მაყურებლის ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს, ახერხებს იდუმალებით მოცული საკითხები პოპულარულ ენაზე წარმოაჩინოს და აუდიტორია ახალ მეცნიერულ ხედვასა და გამოწვევებზე დააფიქროს.

### **დოკუმენტური ფილმი „ქურუმთა ქალაქი“**

დოკუმენტური ფილმი უფლისციხეზე „ქურუმთა ქალაქი“ გადაღებულია 2012 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით. ავტორი და რეჟისორია თომა ჩაგელიშვილი. ქრონომეტრაჟი 15 წუთსა და 22 წამს წარმოადგენს.

დოკუმენტური ფილმი, ფაქტობრივად, არქეოლოგ თამაზ სანიკიძესთან ინტერვიუზეა აგებული. ფილმის ავტორი და რესპონდენტი ნაქალაქარის ტერიტორიაზე გადაადგილდებიან და მაყურებელს უფლისციხის ისტორიას უამბობენ. გადასაფარ კადრებად გამოყენებულია ნახაზები, რომლითაც რეკონსტრუირებულია კონკრეტული ადგილის პირვანდელი სახე. გარე გადაღების ტექნიკა არცთუ ისე კარგია, არც ჩამწერი მოწყობილობის ხარისხია მოსაწონი – მიკროფონში ქარის ხმა შემოდის.

დოკუმენტური ფილმიდან მაყურებელს შეუძლია გაიგოს, რომ უფლისციხე მზის ქალაქი ყოფილა, თუმცა მისი მცხოვრებნი მზის, წყლის, ქვესკნელისა და მიწის ღვთაებებსაც აღიარებდნენ. თითოეულ მათგანს თავისი დღე და ტაძარი ჰქონდა. რესპონდენტი აცოცხლებს უფლისციხის ერთ ჩვეულებრივ დღეს, რაც, ცხადია, არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე ივარაუდება.

უფლისციხის განძის შესახებ ფილმში მხოლოდ რამდენიმე წინადადებით მოგვითხრობენ: არქეოლოგებმა უფლისციხეში, სკივრში, ერთ-ერთი ცენტრალური ღვთაების ძეგლი იპოვეს. სკივრზე გადაფარებული ქსოვილი 1375 ოქროს ნაწილით ყოფილა შემკობილი. 4 სხვადასხვა ზომის ბორბლის ფრაგმენტებიც აღმოაჩინეს, „მეცნიერთა აზრით, ეს ბორბლები ციურ მნათობთა სიმბოლოებია“. ფილმიდან უმნიშვნელოვანეს აღმოჩენაზე მხოლოდ ამ ინფორმაციას ვიგებთ. გადასაფარ კადრებად ჩანახატებია გამოყენებული.

უფლისციხის განძთან ერთად აღმოჩენილი ბორბლებისთვის ძირითად რესპონდენტს, თამაზ სანიკიძეს თავის წიგნში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი. მისი „უფლისციხე“ ლიტერატურის მიმოხილვაში ამ სტატიაშიცაა გამოყენებული. შესაბამისად, დოკუმენტური ფილმის ავტორსა და რეჟისორს ამ თემაში ჩაღრმავება და გაცილებით საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალის შეკრება შეეძლო.

ფილმში არ არის გამახვილებული ყურადღება იმ დეტალზე, რომ წრე, როგორც გეომეტრიული ფორმა, უფლისციხეში სხვაგანაც მრავლად გვხვდება და ეს განსჯისთვის გარკვეულ საფუძველს იძლევა. დოკუმენტურ მასალაში ყურადღება არც სხვა კულტურებთან პარალელებზე გამახვილებულია, რაც ფილმის უმთავრეს ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს.

ამგვარად, ფილმი „ქურუმთა ქალაქი“, მართალია, ძალიან საინტერესოა, რადგან უნიკალურ ძეგლს ეხება, მაგრამ უკეთესი იქნებოდა მის შემქმნელებს მაყურებლებისთვის უფრო ღრმა კონტენტი შეეთავაზებინათ.

### **დასკვნა**

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მედიის ყურადღების ცენტრში მოქცევა ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ დოკუმენტური ფილმები წარმოადგენს იმ შემეცნებით კონტენტს, რომელიც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით გადაიცემა და რომელთა გამოყენებითაც მედია ფართო მასების განათლებას უწყობს ხელს.

კულტურათა შორის ურთიერთკავშირების ძიებისა და საკუთარი თავის შესაცნობად კაცობრიობამ წინაპართა მიერ დატოვებული კულტურული მემკვიდრეობა კარგად უნდა შეისწავლოს. ამ გზაზე გამოჩენილი ნებისმიერი ძალისხმევა წინ გადადგმული ნაბიჯია.

ავსტრიელი რეჟისორის, რონალდ ვაუგანის 2010 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმი "Genius and Geometry Traces of Our Enigmatic Ancestors" კონკრეტულ ძეგლებს მხოლოდ კი არ აღწერს, არამედ კულტურათა კომუნიკაციის პრობლემას წამოჭრის და სხვადასხვა მეცნიერთა კვლევების შედეგებს პოპულარული ენით გადმოგვცემს.

ქართველი ჟურნალისტი, თომა ჩაგელიშვილი ფილმში „ქურუმთა ქალაქი“ უფლისციხის ისტორიაზე მოგვითხრობს, მაგრამ ეს დოკუმენტური ფილმი ინფორმაციულია, თუმცა არც ამ თვალსაზრისითაა თხრობა დეტალიზებული და წვრილმანებზე ორიენტირებული. უფლისციხეში აღმოჩენილი ბორბლები, წრიული ფორმები და მისი იდუმალება, ისევე, როგორც რესპონდენტის მაღალი კომპეტენცია, უფრო საინტერესო და ანალიტიკური ფილმის ფორმირების რეალურ საშუალებას იძლეოდა. ასევე, სერიოზულ ნაკლად შეიძლება მიიჩნიოთ ის, რომ მასალაში მხოლოდ ერთი რესპონდენტია.

ამგვარად, კინოდოკუმენტალისტიკის წინაშე სერიოზული გამოწვევა დგას – არა მხოლოდ შეფუთონ ამბავი, რომელსაც გვიყვებიან, არამედ თავად იქცნენ მკვლევრებად და დასმულ კითხვებზე პასუხების მოძიებას ეცადონ.

### **ლიტერატურა:**

1. <https://www.britannica.com/place/Avebury-archaeological-site-England>;

2. <https://www.english-heritage.org.uk/visit/places/avebury/history/>;
3. „ძეგლის მეგობარი“, „როგორ შევინარჩუნოთ ბრიტანეთის წარსული ცოცხლად“, N2 (97), 1997;
4. სანიკიძე თ., უფლისციხე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2002;
5. <http://www.ambioni.ge/uflicixe>.

**Tsitsino Bukia**

***Monuments of Cultural Heritage – British Avebury and Georgian Uplistsikhe  
in the Focus of Documentary Filmmakers***

**Summary**

There are many places in the world that fascinate ordinary people and perplex scientists. Many monuments, despite their uniqueness and mystery, also show certain similarities. This circumstance allows us to hypothesize that different civilizations were able to observe space and make certain conclusions even without technology.

British Avebury (4th century BC) and Georgian Uplistsikhe (4th-3rd centuries BC) are settlements of approximately the same period. Avebury is included in the list of world cultural heritage sites, and Uplistsikhe is waiting for its turn.

The circle is the geometric figure on which the architecture of Avebury is based. Its purpose is shrouded in mystery, all that can be said for sure is that rituals were held in this place and the placement of the stones had some astronomical significance. We also encounter the circle, as a form, in Uplistsikhe. Here, archaeologists found 4 wheels of unknown purpose, of different sizes, which were kept in a special place, together with ritual items. There is an opinion that this should have been a model of space.

Cultural heritage sites are often in the focus of the media. The efforts of film documentaries are especially important, because they tell us about scientific research in a language understandable to the public and bring history to life.

In the article, we focus on the documentaries: of the Austrian director Ronald Vaughan ("Genius and Geometry Traces of Our Enigmatic Ancestors") and the Georgian journalist Toma Chagelishvili ("The City of Priests"), in order to find out how these two ancient monuments are presented in the focus of film documentarians.

**Цицино Букия**  
***Памятники культурного наследия – британский Эйвбери и грузинский***  
***Уплисцихе в центре внимания документалистов***  
**Резюме**

В мире есть много мест, которые завораживают простых людей и ставят в тупик ученых. Многие памятники, несмотря на их уникальность и загадочность, также имеют определенное сходство. Это обстоятельство позволяет предположить, что разные цивилизации могли наблюдать космос и делать определенные выводы даже без техники.

Британский Авебури (4 в. до н.э.) и грузинский Уплисцихе (4-3 вв. до н.э.) – поселения примерно одного периода. Эйвбери включен в список объектов всемирного культурного наследия, а Уплисцихе ждет своей очереди.

Круг – это геометрическая фигура, на которой основана архитектура Эйвбери. Его назначение окутано тайной, все, что можно сказать наверняка, это то, что в этом месте проводились ритуалы и расположение камней имело какое-то астрономическое значение. Круг как форму мы встречаем и в Уплисцихе. Здесь археологи нашли 4 колеса неизвестного назначения, разного размера, которые хранились в специальном месте вместе с ритуальными предметами. Есть мнение, что это должна была быть модель космоса.

Объекты культурного наследия часто оказываются в центре внимания средств массовой информации. Усилия кинодокументалистов особенно важны, потому что они рассказывают нам о научных исследованиях на языке, понятном публике, и оживляют историю.

В статье мы сосредоточимся на документальных фильмах: австрийского режиссера Рональда Ваугана («Гений и геометрические следы наших загадочных предков») и грузинского журналиста Тома Чагелишвили («Город жрецов»), чтобы выяснить, как эти два древних памятника представлены в фокусе внимания кинодокументалистов.

ადამ ბ. სელიგმანი  
(აშშ)

**ნდობა, თავდაჯერებულობა და ცოდნა**

ჩემი საუნივერსიტეტო კარიერა დაიწყო სამოქალაქო საზოგადოების შესწავლით, გავაგრძელე წერა ნდობაზე და, დაახლოებით, ბოლო ორი ათწლეულია, თავი განსაკუთრებულად მიუძღვენი განსხვავებულობის პრობლემას.

თუ დაფიქრდებით, ეს ყველაფერი ერთი და იმავე პრობლემის სხვადასხვა ასპექტს წარმოადგენს. ეს პრობლემა არის სხვებთან ერთად თანაცხოვრების პრობლემა; ცხოვრება, საზოგადოების ჩამოყალიბება სხვა ადამიანებთან და ჯგუფებთან ერთად, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან: მიერთმევენ სხვადასხვა საჭმელს, თაყვანს სცემენ სხვადასხვა ღმერთს, ლოცულობენ სხვადასხვა ადგილას, საუბრობენ სხვადასხვა ენაზე, აქვთ განსხვავებული ისტორიული წარსული, იუმორის განსხვავებული ინტერპრეტაცია და ა. შ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ერთი და იმავე პრობლემის განსხვავებული არტიკულაციაა. ეს პრობლემაა ცხოვრება საზოგადოებაში.

ჩემი პირველი დასკვნა ისაა, რომ ამ საკითხის ირგვლივ დიდ პროგრესს ვერ მივაღწიე.

მინდა ვისაუბრო ნდობაზე, თავდაჯერებულობაზე, ცოდნასა და იმ გამოწვევაზე, რომელსაც ცხოვრებაში ვხვდებით განსხვავებული შეხედულებების გამო.

**თავდაჯერებულობა და ნდობა**

დავიწყებ ნ. ლუმანის კრიტიკული განსხვავებით, რომელიც მისი თქმით, არის ნდობასა და თავდაჯერებულობას, როგორც სოციალური ურთიერთობის ორი სხვადასხვა მოდული, შორის: კონტრასტი ნდობას, რომელიც ურთიერთობის უფრო ღია ფორმაა, და თავდაჯერებულობას შორის, რომელიც წინასწარმეტყველებასა და ცოდნას (ან სავარაუდო ცოდნას) ეფუძნება.

ნდობა ითვალისწინებს განსჯისაგან თავშეკავებასა და ახალი გამოცდილებებისადმი ღიაობას; ასევე, ის წარმოადგენს საერთოდ განსხვავებულ მოვლენას, ვიდრე თავდაჯერებულობა, რომელიც ეყრდნობა სანქციებსა და ფამილარობას; ანუ, თავდაჯერებულობა ემყარება განზოგადებულ და აბსტრაქტულ ფორმულას, მაშინ, როდესაც ნდობა ემყარება კონკრეტულსა და კერძო შემთხვევას. მნიშვნელოვანია ის, რომ ნდობას თან ახლავს გარკვეული დისკომფორტი და რისკი, მაგრამ ის, ასევე, იძლევა სოციალური განსხვავებებისა და კრეატიულობის გარკვეულ ხარისხს. თავდაჯერებულობა კი, თავისი არსით, ეწინააღმდეგება ცვლილებებსა და სიახლეს, როგორც სოციალური სტაბილურობისთვის საფრთხის შემცველს.

ლუმანისთვის თავდაჯერებულობა ეფუძნება იმ ცოდნას, თუ რა მოხდება და, შესაბამისად, ჩვენს უნარს, განვსაზღვროთ სხვა ადამიანის ქმედება დადებით ან უარყოფით კონტექსტში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ცოდნა, თავის მხრივ, შეიძ-

ლება დაფუძნებული იყოს არა მხოლოდ სანქციების სისტემაზე, არამედ იმაზეც, რასაც ვუწოდებთ ნაცნობობას ან სიახლოვეს. თუ ჩვენ ვგაერთ ერთმანეთს, ერთნაირები ვართ, მაშინ შემიძლია განვსაზღვრო ჩვენი საქციელიც. ცოდნა იმის შესახებ, თუ რა იქნება, თავდაჯერებულობა და წინასწარი პროგნოზი, დაფუძნებულია არა სანქციებზე, არამედ ერთიანობაზე, ნაცნობობაზე, ან ცოდნაზე იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებს სხვა ადამიანი.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვა შეიძლება არ იყოს „ისეთივე“ ადამიანი, ხშირად გამოვიტანთ გარკვეულ დასკვნებს (მართალს ან მცდარს), მაგალითად, ჩაცმულობაზე, მეტყველებაზე, სკოლაზე, რელიგიაზე და ა.შ. ყოველივე ეს, საშუალებას იძლევა, შევქმნათ ნარატივი იგივეობის შესახებ, რომელიც თავის მხრივ მოგვცემს საშუალებას, ვიყოთ დარწმუნებულები ჩვენს შესაძლებლობაში – განვსაზღვროთ კონკრეტული ქმედება.

თუმცა ნდობა სულ სხვა რამაა – ის საჭიროა ურთიერთობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად, როცა არ არის თავდაჯერებულობის საფუძველი, ანუ როცა ჩვენ არ შეგვიძლია ქმედებისა და შედეგის პროგნოზირება. ნდობა არის ის, რაც გეჭირდება სხვასთან (უცნობთან) ურთიერთობისას, რომელიც არ მიგვაჩნია, რაიმე მიზეზით, საშიშად. ასევე ის, რაც აუცილებელია ინტერაქციის, ურთიერთობის დროს, მაშინ როდესაც სხვა (მეორე) ჩვენთვის უცნობია. სხვა ამოუცნობია იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ არ შეგვიძლია წინასწარი ქმედების გათვლა და პროგნოზირება, იმიტომ, რომ: ა) არაა სისტემა (იურიდიული ან სხვა), რომლის მოქმედების ფარგლებშიც შეიძლება დაწესდეს სანქციები ან: ბ) არ არსებობს საფუძვლიანი აზრი, ან პირობა ცნობის ან მსგავსების შესახებ, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, მსგავსი პროგნოზი გავაკეთოთ.

ნდობა, როგორც ვხედავთ, თავისი არსით ურთიერთობის სარისკო ფორმას წარმოადგენს, ვინაიდან შეუძლებელია „ვიცოდეთ“ სხვა ადამიანი. ლუმანი ამბობს: „ნდობის მოთხოვნა არ შეიძლება, მხოლოდ მისი შეთავაზება და მიღებაა შესაძლებელი“.

შემოთავაზებული გულისხმობს განსჯის უარყოფას და დამთხვევას ჩვენსავე წარმოდგენაზე, რაც განსხვავებული და უცხოა. მზაობას, შევეგუოთ კონტროლის დაკარგვას, თუნდაც ეს იყოს კონტროლის ილუზია. სინამდვილეში ნდობა მზადყოფნაა, შეურიგდე ორაზროვნებასა და ყველაფერს, რაც ჩვენთვის უცხო და მიუღებელია.

მსჯელობისას სხვისი აზრის არცოდნა (არაღიარება) ყოველთვის სარისკო საქმეა, ვინაიდან ჩვენგან მოითხოვს, ვენდოთ ქცევას, რომლის არც განსაზღვრა და არც პროგნოზირება არ შეგვიძლია. ვთანხმდებით იმაში, რომ საკითხის მნიშვნელობა და მისი განხილვა არაა მარტივი. ეს უადრესად რთული და დამძლეული სამუშაოა, რადგან ჩვენ მიერ სიტუაციის გააზრება არასრულყოფილი, საეჭვო და პრობლემატურია. ალბათ დამეთანხმებით, რომ არ გვაქვს სრულყოფილი ცოდნა და კიდევ არ ვაღიარებთ, რომ ვცხოვრობთ სრულ სიბნელეში. სინამდვილეში, ცოდნასა და უცოდინარობას შორის სხვაობის წაშლით, ჩვენ ვქმნით შესაძლებლობას „ჩამოვაყალიბოთ მოქმედების გეგმა“ – ეს ის პროცესია, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში პრაგმატიზმის მამამთავარმა ჯონ დიუიმ აღწერა როგორც მეცნიერული აზროვნების საფუძველი.

მოგვეყავს მისი ციტატა: „რეფლექსური აზროვნება ყოველთვის მეტ-ნაკლებად პრობლემატურია, იმიტომ, რომ გულისხმობს ინერციის გადალახვას და აიძულებს ადამიანს მიიღოს წინადადება როგორც ჭეშმარიტება, რაც გულისხმობს თავის თავში მზადყოფნას, მოითმინოს სულიერი მღელვარება. ორჭოფობა და სისტემური გამოკვლევა – ეს არის აზროვნების ძირითადი შემადგენელი“ [1, 13]. გამოცდილებაზე დამყარებული ეს მოსაზრება განსჯისგან თავშეკავებას გულისხმობს, თუნდაც ვინმემ ახალი წინადადება ჩამოაყალიბოს და გვიბიძგოს ახალი მოქმედების განხორციელებისკენ, რომელიც განსხვავებულია და უცნობია.

კონკრეტულ სფეროში ადამიანთან ურთიერთობისას, რომელსაც ჩვენ ადვილვამთ როგორც განსხვავებულს, ერთსა და იმავე ტერმინს, სხვადასხვა ადამიანთა გაერთიანებაში განსხვავებული გააზრება და ფორმულირება აქვს. რაც, რა თქმა უნდა, უაღრესად რთულია.

### **რისკი, ნდობა და თავდაჯერებულობა**

ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ნებისმიერ სფეროში ან სიტუაციაში, რისკი საზღვრის გარეშე, არის რისკი, რომელსაც ვერავითარი „თავდაჯერებულობა“ ვერ შეზღუდავს. ნებისმიერი სახის ნდობა ვერ იქნება რისკის შემცველი, მაგრამ, ფაქტია, იქნება საფრთხის შემცველი: საფრთხეს წარმოადგენს იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებსაც აქვთ განსხვავებული წარმოდგენა ამა თუ იმ საკითხზე. ასეთ წრეში განსჯისგან თავს ვიკავებთ, ვინაიდან განსჯა რისკის ტოლფასია.

შეიძლება მოგვეჩვენოს ინტერპერსონალური ურთიერთობების სფეროში, რომ რისკი ეფუძნება უფრო ფართო გაგებით „გაურკვეველობას“, ნდობას (სწორი ან არასწორი, უფრო ხშირად არასწორი), რომელიც შეიცავს ჩვენს სარისკო ურთიერთობას. ამრიგად, რისკი ხშირად ჩარჩოშია მოქცეული და შემოფარგლულია უფრო ფართო პერსონალური ურთიერთობებით; მისი შემოფარგვლა წინადადებით, ცოდნით, კატეგორიებით და, ფაქტობრივად, მთლიანად ეპისტემოლოგიური სამყაროთი, რომელშიც ჩვენ დარწმუნებული ვართ (ყოველ შემთხვევაში, შედარებით), რისკისგან თავისუფალია.

ამ გზით ჩვენ ვცდილობთ, შევზღუდოთ ნდობის რისკები მათი ცოდნის კონტექსტში მოთავსებით, რაშიც დარწმუნებული ვართ. ეს ცოდნა, რა საკვირველია, შეიძლება იყოს სრულიად არასწორი, მიკერძოებული, ჩამოყალიბებული იმით, რასაც ფრენსის ბეკონი ტომის, ან ბაზრის იდოლას/ცრურწმენას უწოდებდა (თუნდაც რასაც ბებიები გვიყვებოდნენ ქუჩიდან გაგებულს), მაგრამ ჩვენ ამას ვიღებთ როგორც ცოდნას, მის სიმართლეში დარწმუნებული ვართ და ვმოქმედებთ შესაბამისად. რა თქმა უნდა, ასეთი ცოდნა, მართალი თუ მცდარი, აუცილებელი არაა იყოს დადებითი ან უარყოფითი. ის შეიძლება იყოს რომელიმე ან ორივე ან სულაც არც ერთი. სინამდვილეში, მას არანაირი საერთო არ აქვს ჩვენს ქმედებებთან, თუნდაც ამას ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა რეალურ ურთიერთობაში, რომელსაც ჩვენ ვაყალიბებთ. მეტიც, ის შემოფარგლავს საზღვრებს, რომელსაც ჯ. დიუი უწოდებდა ობიექტებს შორის მოძრაობას „წინ და უკან“.

თუმცა, აქ არის ცოდნის მნიშვნელოვანი ასპექტი, ანუ ზნეობრივად მნიშვნელოვანი ცოდნა, რომელიც ყოველთვის კოლექტიურია და არა ინდივიდუალური. ის, რაც ჩვენ ვიცით, ვიცით ერთობლივად, კოლექტიურად და არა როგორც გარ-

კვეული ჯგუფის ნაწილმა. ჩვენი გაგების გზები, მორალური განსჯა, დასაშვები და აკრძალული საზღვრები, შიშები და სურვილები – ეს ყველაფერი სოციალურია. ჩვენ ვემხრობით საერთო აზროვნებას და არა ინდივიდუალურს. იმის გამო, რომ ცოდნა კოლექტიურია, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ცოდნა დაკავშირებულია იმათთან, ვისაც ჩვენ უკვე ვენდობით. ნებისმიერ სიტუაციაში გასარკვევად, ჩვენ ვემხრობით იმ წყაროებს, რომლებიც თავისი ბუნებით ორაზროვანია. ჩვენ არ შეგვიძლია ვიკამათოთ რაიმე კონკრეტულ „ფაქტზე“ ან „ფაქტების“ ერთობლიობაზე (ქვემო მანკეტენზე მეჩეთის მშენებლობა, იერუსალიმში გეი ადლუმის მიმდინარეობის დროს გეი ატივისტის დაჭრა, პარიზში ებრაელის მკვლელობა, ბირმინგემის მუსლიმურ უბნებში ფარული კამერების დაყენება), თუ არ გვაქვს რაიმე ხელჩასაჭიდი, მოწმეთა ჩვენებები, რათა ავხსნათ კონკრეტული სიტუაცია. შესაბამისად, ირკვევა, რა წარმოადგენს და რა არა რელევანტულს კონკრეტული სიტუაციის განხილვისას.

„ჭეშმარიტი საზოგადოება“ შეიძლება იყოს სასულიერო ან საერო, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „საზოგადოებრივი კუთვნილება“. საზოგადოებრივი კუთვნილება არ არის უნივერსალური, მაგრამ არის შეკრული (ისევე როგორც ოჯახი); მათ აქვთ თავიანთი ისტორია და განვითარების გზა, საკუთარი ენა და ხუმრობები, ვალდებულებები, თავიანთი შეხედულებები სამყაროსა და ოჯახის მიმართ. ისინი შეიძლება იყვნენ მეტ-ნაკლებად ღია, შეღწევადი, მაგრამ მათ აქვთ მკაფიო წარმოდგენა, თუ ვინ ვართ „ჩვენ“ და პირიქით, ვინ არიან „სხვები“.

ამგვარად, საზოგადოება არის რეალური, ცოცხალი, აქტიური, რომელშიც ადამიანები (ინდივიდები) იბადებიან, ვითარდებიან, ცხოვრობენ, კვდებიან და აცნობიერებენ (ან არა) თავიანთ ან სხვათა სამყაროს. შეუძლებელია ვიცხოვროთ ამ გაერთიანების გარეშე და გვერდის ავლით, მიუხედავად ყველა საფრთხისა, რაც მისგან მომდინარეობს. ამგვარად, ვაყალიბებთ რისკებს, რომლის მიღებისთვისაც მზად ვართ და ასევე, მათ მიმართ ნდობის გამოცხადებაზე, ვისაც არ ვიცნობთ.

ჩვენი ურთიერთობა რეგულირდება ცოდნაზე დამყარებული *თავდაჯერებულობით* ან სავარაუდო ცოდნით (უთვალავი ვარაუდით), რომელიც წარმართავს ჩვენს ქმედებებს.

სინამდვილეში, თანამედროვე სამყაროში სხვები, უცხოები, სულ უფრო და უფრო წარმოადგენენ პოტენციურად საშიშს, რაც თავისთავად მოითხოვს უსაფრთხოების ზომების მიღებასა და სამართალდამცავი ორგანოების ჩართულობას. შიში, უფრო სწორად საფრთხის განცდა – არის დომინანტური ჩვენგან განსხვავებულის მიმართ. სწორედ ამ შიშს იყენებენ უფრო ხშირად მაღალი რანგის პოლიტიკოსები მთელ მსოფლიოში ავტოკრატიული რეჟიმების გასამყარებლად (აშშ-ში ყოფილი პრეზიდენტი დ. ტრამპი, ისრაელში ბ. ნეთანიაჰუ, ვ. ორბანი უნგრეთში, ვ. პუტინი რუსეთში და ა.შ.).

მაინც, თუ როგორ უნდა შევქმნათ მინიმალური ნდობა უცნობებთან მიმართებაში – რჩება უზარმაზარ პრობლემად. როგორ გავუზიაროთ ურთიერთობის რაღაც ჩარჩო სხვებს, რომლებიც რჩებიან საზოგადოების სრულიად განსხვავებულ წევრებად, ვინაიდან დაკავშირებულნი არიან სხვა მითებთან და ერთგულნი არიან სხვა მცნებების; როგორ შევძლებთ მისვლას იქამდე, რომ გავინაწილოთ ურთიერთობის საერთო სისტემა. სინამდვილეში, შეგვიძლია კი ჩვენ დავამკვიდროთ საერთო სოციალური ცხოვრება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის? ეს საკით-

ხი, გარკვეულწილად, გვაბრუნებს მე-18 საუკუნეში, სადაც ცხარე დებატები იმართებოდა სამოქალაქო საზოგადოების ირგვლივ და რომელიც კარგადაა წარმოდგენილი ადამ ფერგიუსონისა და დევიდ ჰიუმის ნააზრევში (შოტლანდია, მე-18 საუკუნე).

### **ნდობა და გამოცდილების გაზიარება**

ახლა კი, მსურს გაგაცნოთ ჩამოყალიბებული/მატერიალიზირებული ცოდნის კონცეფცია, რომელიც ერთობლივი მუშაობის შედეგს წარმოადგენს. ასეთი ცოდნა ყოველთვის პირობითია და ყოველთვის ორიენტირებულია კონკრეტულ მიზნებზე: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოცდილება, რომელიც არის განსაკუთრებული, სპეციფიკური და რომელიც სწორედ ამ მიზეზით შეიძლება იყოს გაზიარებული საზოგადოებაში.

ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებულ ასეთ ცოდნას შეუძლია შეცვალოს აბსტრაქტული ცოდნა იმ ზოგადი პრინციპების შესახებ, რაზედაც დამყარებულია ჩვენი ნდობა. თუ ზოგადი პრინციპების აბსტრაქციას შეუძლია შექმნას ნდობის ჩარჩო, მაშინ ერთობლივი მუშაობის შედეგად მიღებულმა ცოდნამ შეიძლება შეცვალოს ზოგადი პრინციპების აბსტრაქტული ცოდნა და განაპირობოს ნდობის წარმოქმნა.

იმისთვის, რომ ნდობა გაჩნდეს და გახდეს ჩვენი ცხოვრების მუდმივი, განუყოფელი ნაწილი, ის უნდა მომდინარეობდეს გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან და არა რომელიმე კონკრეტული იდეოლოგიური ან ინტერპრეტირებული პოზიციიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის უნდა დაიბადოს გამოცდილებიდან და არა რაღაც სტატისტიკიდან ან თუნდაც აღიარებული ცოდნისგან. ამრიგად, საზოგადოებაში ნდობის ჩამოყალიბება, გაჩენა, არ წარმოადგენს რომელიმე პროპაგანდისტული ჯგუფის (პროგრესულის ან კონსერვატიულის) დღის წესრიგს.

ჯონ დიუი ამტკიცებდა, რომ „იდეა, არ არის ნამდვილი, თუ ის არ წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომელიც გამომდინარეობს კვლევებიდან და რომელიც მიზნად ისახავს პრობლემის გადაჭრას“. მსგავს იდეებს ახასიათებს „მოლოდინში საბოლოო არჩევანის გაკეთების სურვილი, [ასევე] სიფხიზლე, მოქნილობა, ცნობისმოყვარეობა“. ამის საპირისპიროდ, „დოგმატიზმი, სიხისტე, ცრურწმენა, ახირება, რუტინიდან გამომდინარე, ვნება და არასერიოზულობა“ [2, 105-106, 109]. მე ვამტკიცებ, რომ პრობლემის გუნდური გადაწყვეტა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმი სოციალური ნდობის განვითარების საქმეში. გასაკვირი არ არის, რომ ლინგვისტური და კოგნიტური ანთროპოლოგების მუშაობამ აჩვენა, რომ სწორედ ესაა ცოდნის მიღების ან გაზიარების რეალური გზა.

სწავლა, თავის მხრივ, წარმოადგენს სოციალური თანამშრომლობის, უფრო ზუსტად კი, თანამონაწილეობის გამოცდილ ფორმას; ასევე, სოციალური პრაქტიკის განსაკუთრებულ სახეობას, როგორცაა – აქტივობა, რომელსაც სხვებთან ერთად ვახორციელებთ და ეს პროცესი ტრანსფორმატულია.

მინდა, ხაზი გაუვსვა პრაქტიკის მნიშვნელოვან ასპექტს – რაღაცის კეთებას და დიდ წილად ერთად კეთების მნიშვნელობას. სხვებთან ამ სახის ურთიერთობას ყოველთვის აქვს პოტენციალი აწარმოოს, გარდაქმნას და შეცვალოს მონაწილე პირთა ვინაობა. მას აქვს პოტენციალი, ერთი მხრივ, შექმნას პრაქტიკული საზოგა-

დოება მკაფიო შედეგებით და, მეორე მხრივ, მთლიანობაში შეცვალოს სოციალური წესრიგი. ის პრაქტიკული საზოგადოება, სადაც წევრებს შორის არის მცირედი ნდობა მაინც, აუცილებლად იმოქმედებს ადამიანსა და მის ქმედებაზე მსოფლიოში.

მოვახდინოთ ამ მნიშვნელოვან საკითხზე ჯ. ლავეს და ე. ვენგერის სიტყვების ციტირება: „მონაწილეობა ყოველთვის ეფუძნება სიტუაციურ მოლაპარაკებებს და აზრს მსოფლიოში, რაც იმას ნიშნავს, რომ გაგება და გამოცდილება მუდმივ ურთიერთქმედებაშია, უფრო მეტიც, ეს ორი ერთმანეთის შემადგენელი ნაწილია“ [3, 51-52]. მე დავამატებდი, რომ დამაკავშირებელი რგოლი, ის, რაც უფლებას აძლევს ჩემს საერთო გამოცდილებას იმოქმედოს ჩემს ცნობიერზე – არის ნდობა, რომელიც ეფუძნება ამ საერთო გამოცდილებას.

ჯონ დიუი გვეუბნება, რომ: „მნიშვნელოვანია ის, რასაც ვაკეთებთ და არა ის, რასაც ვიღებთ“ [4, 106].

აქტიური ჩართულობით, მსოფლიო გვაიძულებს გავიდეთ ჩვენივე საზღვრებიდან და უფლებას გვაძლევს, შევიგრძნოთ მისი „ნამდვილი ღირებულებები“. მხოლოდ უშუალო გამოცდილებით შეგვიძლია აღვადგინოთ თავდაპირველი „უცოდველი თვალები“ დიუის ფრაზაში და მისგან გამომდინარე, დავიწყოთ იმ „ენის“ გაგება, რაც თარგმანში დაიკარგა.

მაგალითად, ჩვენ ისლამური საკითხის შესწავლას დავიწყებდით ისლამური მცნებებითა და აკრძალვებით, მისი იდიომებით, ფორმებით და არა მხოლოდ მისი შინაარსით. მე მჯერა, რომ ლავე და ვენგერი ამას გულისხმობენ, როცა ამბობენ, რომ სწავლა სხვა ადამიანად გახდომის შესაძლებლობას იძლევა სისტემურ ურთიერთობაში.

საერთო, გაზიარებული გამოცდილება, თითქმის, ყოველთვის გვაიძულებს გამოვეყოთ გარკვეული ტიპის ასპექტები იმის შესახებ, რაც, ვფიქრობთ, რომ უკვე ვიცით. ლავე და ვენგერი საერთო გამოცდილებას უწოდებენ „თანამონაწილეობას“: „ადამიანები, მათი მოქმედებები და მთლიანად სამყაროა ჩართული აზროვნებაში, მეტყველებაში, ცოდნასა და სწავლაში“ [3, 52]. ამან შეიძლება წარმოქმნას ახალი შესაძლებლობები; გაგების ახალი ჩარჩოები და, შესაბამისად, ახალი ტიპის ურთიერთობის წარმოშობის შესაძლებლობა. ამით ვიზრდებით როგორც ინდივიდები და როგორც საზოგადოება. აბსტრაქცია არ არის ცოდნის განსაკუთრებული ფორმა, არამედ კონკრეტულად რომ ვთქვათ, შედეგია ცოდნის განსაკუთრებული ორგანიზებისა, რომელიც არაა დაკავშირებული პრაქტიკასთან: აქ განიხილება საზოგადოების ახალი და ერთობლივი მონაწილეობა; პრაქტიკით აიხსნება გაგების ახალი ფორმა, ცოდნა, იდენტობა და, ასევე, ნდობაც.

პირადი გამოცდილებით, ეს პროცესი თითქმის ყოველთვის რთული, მტკივნეული და დისკომფორტის მომგვრელია. ტოლერანტობა აღიქმება როგორც სხვისთვის რაღაცის მიუღებლობა ან ქცევა, რომელსაც ჩვენ არ ვამართლებთ.

მე გთავაზობთ, ტოლერანტობა განვიხილოთ როგორც ჩვენი, პირადი დისკომფორტის თმენა – მზაობა, ვიცხოვროთ ამ დისკომფორტში: სწორედ ესაა „განსჯის შეჩერება“, რომელზეც ზემოთ ჯ. დიუი საუბრობდა. სამეცნიერო კვლევის პროცესი კი არა, მთლიანად ცოდნის ათვისებაა დამოკიდებული მსგავს პროცესებზე.

დავუბრუნდეთ მე-18 საუკუნის შოტლანდიელ მორალისტებს, სამოქალაქო საზოგადოების იმ დამცველებს, რომელთათვისაც საზოგადოების საფუძველი იყო „მორალური გრძნობები“ – „ხალხს აერთიანებდა ინსტიქტი და ისინი საზოგადოებაში მოქმედებდნენ სიკეთის გრძნობითა და მეგობრობით“. სწორედ ამ გზით ცდილობდნენ სოციალური წესრიგის დამყარებას ადამიანთა შორის. მაგალითად, ადამ სმიტი თვლიდა, რომ ურთიერთობებში მნიშვნელოვანია სხვების მხრიდან აღიარება. იყო შესამჩნევი, მისაღები, ყურადღების ცენტრში და იმსახურებდნენ სიმპათიას – წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას „შრომისა და მსოფლიო აურზაურისა“. იმავე აზრს იზიარებს ადამ ფერგიუსონი, რომელიც ამტკიცებს „თვითკმაყოფილების“ (საკუთარი თავის სიყვარულის) მთავარ როლს, როგორც ერთგვარ მედიანურ სოციალურ self avant la letter თვითმმართველობას, როგორც ეთიკურ ასპარეზს, სადაც ინდივიდი ყალიბდება მის ინდივიდუალობაში ალტერ ეგოს აღიარების გზით. თვითკმაყოფილება არის ის, რაც გვაკავშირებს სოციალურ მთლიანობასთან, რადგან ჩვენ ვხდებით ის, როგორი წარმოდგენაც აქვს სხვას ჩვენ შესახებ.

ზემოთ ჩამოთვლილი მოაზროვნეების მიერ გაზიარებული საერთო გამოცდილებამ საფუძველი დაუდო ადამიანური კავშირის იმ ფორმას, რომელსაც ისინი უწოდებდნენ სამოქალაქო საზოგადოებას და რომელსაც ჩვენ ხშირად მოვიხსენიებთ როგორც ნდობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას. ეს არ იყო განზოგადებულ ცოდნაზე დამყარებული ნდობა, მარტივი „ფორმა და წესები“, როგორც მას ფერგიუსონი მოიხსენიებდა და საზოგადოების საფუძველად მიიჩნევდა, არამედ „ჩვეულებრივი მოქმედების სცენა, რომელშიც ყველაზე კარგად გამოიყენებოდა გული და გონება“, რაც შესაძლებელს ხდიდა „ბუნებრივი სიმპათიის“ განცდას.

აქედან გამომდინარე, ფერგიუსონი, ჰიუმთან ერთად, ინტერესების რაციონალურობაში კი არ ეძებს კეთილგანწყობის საფუძველს, არამედ სწორედ გამოცდილების გაცვლაში. ის თვლის, რომ როდესაც საზოგადოება გულანთებულია და გააჩნია ინტერესი, მასში არაფერია გასაღვიძებელი.

### დასკვნა

ნდობა (როგორც დადებით, ასევე უარყოფით შედეგში) უნებურად წარმოიქმნება ცოდნიდან; ნდობა ნებელობითი აქტია.

ის წარმოადგენს ჩვენი ცოდნის პრედიკატს არსებული მდგომარეობის შესახებ; ასევე, ახალი შესაძლებლობებისა და ურთიერთობის წარმოქმნის შესაძლებლობას. თავდაჯერებულობა ანარეკლია არსებობის, ნდობა კი – წარმოიშობა. ნდობა ჩნდება ჩვენი განსჯისგან თავშეკავების უნარით, მაშინ როდესაც ვართ პასიური მიმღები კონკრეტული მოცემულობის, იმ ცოდნაზე დაყრდნობით, რომლის წარმომავლობასაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ. მხოლოდ გამოცდილების საფუძველზე გაჩენილი ნდობა, სამწუხაროდ, მალე ქრება.

ხშირად განსახილველი ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებსა და ჯგუფებში გამოიყენება სხვადასხვანაირად, რაც იწვევს საზოგადოების სეგრეგაციას პოლიტიკური შეხედულებებისა და პოლიტიკური ინტენციების მეთოდით. რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკურ სარკაზმზე, რომელიც გლობალურ ფორუმებზე განიხილება, ეს ყველაფერი სერიოზულად ზღუდავს გამოცდილების გაცვლასა და ნდობის გაჩენას საზოგადოებაში [5].

ავტორიტარული, ისლამოფობიური, ანტიემიგრაციული, რასისტული და ანტიმიგრაციული პოლიტიკური ელიტებისა და მოძრაობების აღზევება მჭიდრო კავშირშია ზოგიერთ ამ ფენომენთან.

ბოლოდროინდელი ინფორმაცია, მკვლევარების მიერ სოციალურ ქსელით გერმანიაში აღმოჩენილი ემიგრანტების მიმართ ჩადენილი ძალადობა, ამის დამადასტურებელი მაგალითია [6].

ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს ემიგრანტების არსებულ პოლიტიკურ მოდელში მოთავსებას და არა მათთან დიალოგის საფუძველზე პრობლემის გადაჭრას [7].

ეს აერთიანებს პოლიტიკურად დაპირისპირებულ ისეთ ფენომენებს, როგორებიცაა „ტრიგერული გაფრთხილება“ და „უსაფრთხო სივრცეები“, რომლებსაც მოითხოვდნენ პროგრესული მემარცხენეები აშშ-ში მემარჯვენე ისლამოფობიისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ. ორივე მხარე გაურბის იმ „რისკს“, რომ ემიგრანტები იყვნენ მათი სრულყოფილი მოქალაქეები.

ნდობის გარეშე, უბრალოდ, ზემდეტია სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბარი, თუმცა ეს ბევრმა სოციოლოგმა და პოლიტოლოგმა მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში გააცნობიერა. რისი ჩამოყალიბებაც მე აქამდე მინდოდა, ისაა, რომ ნდობა ეფუძნება განსჯისგან თავშეკავებასა და იმ გამოცდილების გაზიარებას, რისთვისაც უნდა გადადო გვერდზე ე.წ. „ჭეშმარიტება“ იმისა, რაც ვიცით, ან ვფიქრობთ, რომ ვიცით.

მარტივად რომ ვთქვათ: ნდობა აღიარებს მოქმედების თავისუფლებას, თავდაჯერებულობა კი ცდილობს მის შეზღუდვას. ადამიანის საქმიანობა, თავისუფალი ნება, ადამიანის გონების ონტოლოგიური გახსნილობა ეწინააღმდეგება ნდობის სტრუქტურასა და მის პრეტენზიას ცოდნის მიმართ, რაც ქმნის ნდობის აუცილებლობას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისთვის.

იმის ნაცვლად, რომ მოვეუწოდოთ ერთმანეთს დავიცვათ ჩვენი საზღვრები და დავიმალოთ მათ უკან, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი საკუთარი ნდობის სისტემის საზღვრები არის დასაწყისი რაღაც ახლისა, სხვებისგან განსხვავებულის. ასეთი თავისუფალი გონება მოითხოვს თავისუფლების აქტს და ახალ პოლიტიკურ გათვლას, რომელიც საერთო გამოცდილებით მიღებულ ღირებულებას აღიარებს და არა აბსტრაქტულ ფორმულას სოციალური ნდობის უზრუნველყოფისა. განათლებულობა, თუნდაც ინდივიდუალურად ავტონომიური, მოითხოვს არანაკლებს.

### **ლიტერატურა:**

1. დიუი ჯ., როგორ ვფიქრობთ, ნიუ-იორკი: დოვერის პუბლიკაციები (Dover), 1997;
2. დიუი ჯ., როგორ ვფიქრობთ, ნიუ-იორკი: პრომეთეს წიგნი, 1991;
3. ლავე ჟ. და ვენგერი ე., სიტუაციური სწავლება, ლეგიტიმური პერიფერიული მონაწილეობა, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991;
4. დიუი ჯ., ხელოვნება როგორც გამოცდილება, ლონდონი, 1980;
5. <https://www.nytimes.com/2018/11/18/theater/trigger-warnings-plays-theater.html>;
6. <https://www.nytimes.com/2018/08/21/world/europe/facebook-refugee-attacks-germany.html>;
7. <https://www.nytimes.com/2018/07/01/world/europe/denmark-immigrant-ghettos.html>.

**Adam B. Seligman**  
***On Trust, Confidence and Knowledge***  
**Summary**

The author started university career with the analyzing the problem of civil society, then continued writing about trust and for the past two decades the author devoted itself in different ways to the problem of difference.

It should be noted that despite the sufficient level of export opportunities and self-sufficiency potential of non-oil sectors of the country, the capacity of imports is still quite high. Partly, this is due to the lack of adequate consumer protection policies. Known examples also cause certain violations in the process of bringing their products to the market by promising areas of activity. Another setting that requires active state support in such conditions is that even if high interest rates in the banking sector, which is extremely important for the development of the economy, reduce interest in credit issues, subjects still try to obtain loans due to financial shortages. This, along with their borrowing, causes a large part of their income to be directed to the payment of loan interest.

The dynamics of credit investments in non-oil sectors shows that total credit investments increased by 45.6% in 2017-2021. In particular, there is a 52.4% increase in short-term loans and a 44.1% increase in long-term loans. In the structure of credit investments, short-term loans are at the level of 20%, and long-term loans are at the level of 80% [table 1].

It can be concluded from this that economic activities are trying to obtain loans for a longer period of time due to difficulties in repaying loans.

Table 1.

*Dynamics of credit investments in non-oil sectors (mln.manats) [6]*

| Credit investment to Economy              | 2017            | 2018            | 2019            | 2020            | 2021            |
|---|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| <b>Total</b>                              | <b>11 757,8</b> | <b>13 020,3</b> | <b>15 298,2</b> | <b>14 530,4</b> | <b>17 119,8</b> |
| Short term                                | 2 101,3         | 2 695,1         | 2 918,7         | 2 474,9         | 3 201,9         |
| According to the conclusion, with percent | 17,9            | 20,7            | 19,1            | 17,0            | 18,7            |
| Long term                                 | 9 656,5         | 10 325,2        | 12 379,5        | 12 055,5        | 13 917,9        |
| According to the conclusion, with percent | 82,1            | 79,3            | 80,9            | 83,0            | 81,3            |

Simultaneously, local enterprises have low competitive potential. This is due to a number of reasons: compared to foreign manufacturers, local enterprises import raw materials and materials at high prices; backwardness in the field of technology, lack of personnel, and relevant technological skills adversely affect competitiveness in terms of quality, etc. As a result, the already limited capacity of local enterprises to establish extensive remanufacturing processes is further limited. Such a situation confirms the need for the state to intervene in the credit system as a guarantor or through monetary policy. In addition to the above, the lack of working capital and the low efficiency of the production of local products have a negative impact on the ability to invest in the production of new products. It is true that the Export and Investment Promotion Agency of the Republic of Azerbaijan organizes various international events in foreign countries, promotes foreign buyers about Azerbaijani products, and connects them with local companies, as well as invests, in order to achieve the goals related to the development of the non-oil sector, as well as the promotion of manufactured products in foreign markets aims to solve issues such as providing service and support to interested foreign companies based on the "single window" function [1]. In this aspect, the solution of the problem can be solved only with the support of the state.

It should be emphasized that in order to achieve a positive result in the non-oil sector of the economy, there is a need to create efficient production areas at the expense of state support. In this course, it is absolutely important to take into account the current trends in the world economy. In the international economy, scientific and technical progress is a special factor in the development of non-oil sectors, in other words, the success of any form of production is based on the degree of application of the achievements of science and technology, as well as the constant inclusion of innovations in the production process. At the same time, the only correct and consistent solution to increase the competitiveness and efficiency of local production is through the development of areas aimed at the use of local raw materials and the production of ready products, as well as the application of scientific and technical progress [3, 61]. Based on what has been mentioned, the following directions can be indicated regarding the main measures of state support to ensure the development of areas of economic activity in modern conditions:

demand-supply mechanisms in the preparation and implementation of the economic development strategy of areas of economic activity, state regulation of import-export relations ratios, and methods of development of priority areas, considering determining the level of domestic demand and export of non-oil sector products; direct support to priority areas and products, as well as the formation of economic development through the creation of economic mechanisms that stimulate their production and sale, determination of state assistance in determining development prospects [5, 32]; activation of the state's foreign economic relations in the context of ensuring a surplus of exports over imports and a positive balance of foreign trade activity; providing access to credit resources, extending subsidies, etc.

Among the measures of state support, subsidisation is of particular importance in the development of non-oil sectors, especially agriculture, which is considered a sufficiently risky sector. The dynamics of subsidies paid to agriculture show that in 2018-2021, producers were significantly supported by different types of subsidies. In the corresponding period, the capacity of subsidies increased by 19.8%. One of the main points of attention is the increase in reimbursement of costs incurred by scientific research institutions for the production of original, super-elite, and elite seeds. Although the amount of subsidies allocated in this direction by year is not sufficient, in 2020 there was a 2.4% increase compared to 2018. A similar situation is observed in other directions [table 2].

**Table 2.**

*The dynamics of paid subsidies to agriculture*

| Types of state support   | Amount, thousand AZN |          |          |          |
|--|----------------------|----------|----------|----------|
|  | 2018                 | 2019     | 2020     | 2021     |
| Payment of 50 percent of the cost of fuel and motor oils (50 AZN per hectare)  | 61986.2              | 62600.7  | 235179.0 | 258557.3 |
| 40 AZN support per hectare to wheat and rice producers   | 23330.0              | 22527.7  |          |          |
| Payment of 70 percent of the cost of mineral fertilizers and biohumus  | 102257.0             | 150858.3 |          |          |
| Reimbursement of 70 percent of the cost of pesticides  | 5743.0               | 19141.1  |          |          |
| Subsidies to producers of 1st and 2nd reproduction seeds and seedlings   | 7738.8               | 7425.1   | 4766.1   | 6658.4   |
| Reimbursement of costs incurred for the production of original, super elite and elite seeds to research institutions | 912.6                | 893.2    | 934.2    | -        |
| The extent of the discount applied to the sale of agricultural machinery by leasing                                  | 88000.0              | 59950.0  | 73616.9  | 80000.0  |

|   |                 |                 |                 |                 |
|---|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| Extent of discount applied to the sale of breeding animals                                      | 15970.0         | 9740.0          | 16644.4         | 17000.0         |
| Subsidy of 100 manats to animal owners for each calf purchased through artificial insemination  | 6905.1          | 8254.5          | 8798.6          | 9067.4          |
| Subsidy of 0.1 manat per kg of raw cotton   | 23038.0         | 29551.5         | 29475.1         | 28359.8         |
| Providing a subsidy of 0.05 manat per kg of dry tobacco and 0.05 manat per 10 kg of wet tobacco | 247.4           | 185.5           | 266.8           | 106.4           |
| Subsidy of 5 manat per kg of all types of fresh cocoons   | 2490.5          | 3156.5          | 2172.4          | 2405.1          |
| Subsidy of 4 manat per ton of sugar beet  | 1106.6          | 873.8           | 919.3           | 544.6           |
| Giving beekeepers a subsidy of 10 manat per bee family (hive).                                  | 910.5           | 4265.3          | 5017.5          | 5313.3          |
| <b>Total</b>  | <b>340635.7</b> | <b>379423.2</b> | <b>377790.2</b> | <b>408012.3</b> |

*The table is compiled on request.*

Summarizing what has been mentioned, it is possible to emphasize the significance of the following important directions of state support for the development of the non-oil economy in the current conditions:

- providing or improving access to credit resources by lowering the bank interest rate on loans or paying a certain part of the amount to be paid for interest by the state. In order to obtain a loan, it is enough that the terms of its repayment correspond to the real economic situation, that is, in this process, it should be considered that interest rates are lower than the level of profitability of production;

- strengthening the internal market through the development of foreign economic relations and integration. For this, a state should take into account the economic well-being of economic subjects in its economic strategy;

- determination of state orders for economic subjects, implementation of direct state support to non-oil complexes producing import-substituting or export-oriented products;

- certification of production and management conditions in determining large-scale state orders, stimulation of entrepreneurial activity by using the mechanism of competitive placement of state orders;

- implementation of state financing of scientific-research, technical projects and programs. At this time, the main focus is on ensuring the return of funds;

- creating a favorable investment environment. This requires the adoption of legislative acts that determine state guarantees and investor protection, the degree of responsibility for the implementation of projects. The state's investment policy should ensure not only the attraction of capital, but also its purposeful use in strategically important areas of development. At the current stage, there are two directions: structural restructuring of

existing production facilities; creation of conditions for investments in priority scientific projects and attraction of private capital;

- study of advanced world experience in providing assistance to the expansion of integration processes;

- implementation of state support to local commodity producers not only in domestic but also in foreign markets. In this context, subsidizing local production and export-oriented production is important. In particular, export subsidies are considered one of the most effective state support measures in international practice;

- improvement of institutional reforms aimed at increasing investment attractiveness of non-oil fields for foreign investors, strengthening property rights.

**Literature:**

1. Export and Investment Promotion Agency of the Republic of Azerbaijan - AZPROMO's Statutes. Decree of the President of the Republic of Azerbaijan dated July 23, 2021;
2. Shekaraliyev A. Sh. State Economic Policy: Realities and perspectives (Monography) Baku: "Azerbaijan State University of Economics", 2009;
3. Agha-zade R.V. Problems of innovative development of non-oil industries of Azerbaijan: in the collective monograph "Innovation and investment development of the modern economy"/Edited by M. N. Korosteleva, O. A. Podkopaev, Samara: Etching LLC, 2014;
4. Smirnova I.G. State support of the agro-industrial complex of the region (on the example of the Arkhangelsk region)/Bulletin of SRSTU (NPI), 2011, No.2;
5. Shelkovnikov S.A., Rozhdestvenskaya V.V., Poltarykhin A. L., Kukhtin M. A., Essaulenko D.V. The mechanism of state support for the agricultural sector of the economy in the context of human capital development./Publisher: Rusines, 2021;
6. www.stat.gov.az.

**ნარმინ ეტიბარ ჰასანოვა**  
**სახელმწიფოს მხარდაჭერის მექანიზმის ძირითადი მიმართულებები**  
**არანავთობის ეკონომიკის გასაუფლებლად**  
**რეზიუმე**

გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების გაფართოება სახელმწიფოს წინაშე არაერთ მნიშვნელოვან ამოცანას აყენებს. კერძოდ, არანედლეულის სექტორის მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რომლის ზოგიერთი მიმართულება ძალიან სარისკოა, მოითხოვს ინოვაციების სტიმულირებასა და ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებას. ამ კუთხით აუცილებელია არასანავთობო სფეროებში მთავრობის მხარდაჭერით ეფექტური წარმოების შექმნა. არანავთობის ეკონომიკის განვითარების განსაკუთრებულ ფაქტორს წარმოადგენს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესი, მათ შორის, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების წარმატება, რომელიც დაფუძნებულია წარმოების პროცესში სამეცნიერო და ტექნოლოგიურ მიღწევებსა და ინოვაციების მუდმივ გამოყენებაზე. ამ ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მთავრობის პირდაპირი მხარდაჭერით – დაკრედი-

ტების შერბილებით, სუბსიდირების გაფართოებით, ექსპორტის სტიმულირებით, ინვესტიციების სტიმულირებით და ა.შ.

**Нармин Этибар Гасанова**  
***Основные направления механизма государственной поддержки***  
***развития ненефтяной экономики***  
**Резюме**

Расширение интеграционных процессов в мировой экономике ставит перед государством ряд важных задач. В частности, обеспечение устойчивого экономического роста несырьевого сектора, отдельные направления которого являются весьма рискованными, требует стимулирования инноваций и экспортно-ориентированного производства. В связи с этим возникает необходимость создания эффективных производств за счет государственной поддержки в ненефтяных областях. Особым фактором развития ненефтяной экономики является научно-технический прогресс, включающий успех экспортно-ориентированного производства, основанного на применении достижений науки и техники, постоянном применении инноваций в производственном процессе. Реализация указанных задач возможна за счет прямой государственной поддержки – смягчения кредитования, расширения субсидирования, стимулирования экспорта, стимулирования инвестиций и т. д.

# პედაგოგია და მეთოდოლოგია – PEDAGOGY AND METHODOLOGY – ПЕДАГОГИКА И МЕТОДИКА

ნანა პარინოსი  
(საქართველო)

სწავლების თანამედროვე მეთოდები ინგლისური ენის სწავლებისას:  
მოსმენის უნარ-ჩვევების გამომუშავება

## შესავალი

ყველასთვის ცნობილია, რომ სახელმძღვანელოების გადახალისება საკმაოდ რთული პროცესია, ვინაიდან სახელმძღვანელოები ზოგჯერ 10, 15 ან სულაც 20 წლის ინტერვალით ახლდება (მაგ.: Oxford English for Careers: Tourism 1: Student's Book, 2009; English File 4th Edition: Intermediate Plus, 2019; English Accents and Dialects: An Introduction to Social and Regional Varieties of English in the British Isles, Fifth Edition, 2013). ახლა სწავლების მეთოდებში აქტიურად გამოჩნდა გრაფიკული დიზაინი, სადაც სტუდენტებს თავად შეუძლიათ ააწყონ მულტიპლიკაციები, კლიპები, გააკეთონ საინტერესო პრეზენტაციები, ჩაწერონ პოდკასტები, რომლებსაც ატვირთავენ youtube-ზე. აღნიშნული სწავლების მეთოდოლოგიაში გამოყენებულია უშუალოდ ჩემ მიერ შემოშავებული სრულიად ახალი მეთოდოლოგია, რომელსაც გაცილებით სწრაფი ტემპით მიჰყავს მოსწავლე შედეგამდე. მეთოდოლოგია მოიცავს ოთხ უნარს: მოსმენის, საუბრის, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევებს, თუმცა ამ კვლევაში აქცენტი გაკეთებულია მოსმენის უნარ-ჩვევებზე.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისას გამოყენებულია ფოკუს ჯგუფი, ექსპერიმენტი და case study. კვლევაში მონაწილე იყო სტუდენტთა 3 სამიზნე ჯგუფი:

1. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (პროფესიული ინგლისური ტურიზმისთვის);
2. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (პროფესიული ინგლისური საერთაშორისო ურთიერთობების);
3. მედიცინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ზოგადი ინგლისური).

აღნიშნულ სტუდენტებთან, პროგრამით გათვალისწინებული მასალის პარალელურად, ხდებოდა ახალი მეთოდოლოგიის ამ მასალებზე მორგება ან სრულიად ახალი მიდგომების დანერგვა.


**1. Youtube-ის** როლი ძალიან მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მისი როლი პოდკასტებით სწავლებისას. ინგლისური ენის სწავლება პოდკასტებით კარგად უვითარებს მოსწავლეს არა მხოლოდ მოსმენის უნარ-ჩვევებს, არამედ მეტყველების უნარ-ჩვევებსაც. კურსის დაწყებისას მოხდა სტუდენტების მოსმენის უნარების შემოწმება. შერჩეულ იქნა British Council-

ის აპლიკაცია პოდკასტების მოსასმენად. შერჩეული პოდკასტი იყო "Society's phone addiction". აღმოჩნდა, რომ სამივე სამიზნე ჯგუფში აღქმადობის დონემ, დაახლოებით, 2% შეადგინა (იგულისხმება – რა დონეზე გაიგო სტუდენტთა ჯგუფმა, თუ რას ეხებოდა თემატური ბლოგი).


შედეგები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (პროფესიული ინგლისური ტურიზმისთვის) – 1.1%;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (პროფესიული ინგლისური საერთაშორისო ურთიერთობების) – 2.3%;
- მედიცინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ზოგადი ინგლისური) – 1.4%.





მსგავსი შედეგის მიღების შედეგად, მოსმენის უნარების გაუმჯობესება გაგრძელდა სამივე სამიზნე ჯგუფთან სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოებით. ორკვირიანი ინტერვალის შემდეგ სამივე სამიზნე ჯგუფი ხელახლა გაიტესტა. შედეგები გადანაწილდა შემდეგნაირად:



როგორც აღმოჩნდა, აუდიო მასალის აღქმადობის დონემ აიწია, თუმცა მაჩვენებელი არც იმდენად მაღალია, რომ შედეგი მიღწეულად ჩავთვალოთ:

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (პროფესიული ინგლისური ტურიზმისთვის) – იყო 1.1%, გახდა 1.5% (აღქმადობა გაიზარდა 0.4 %-ით, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული ჯგუფი ქვეჯგუფებად იყოფოდა, რაც საშუალებას მაძლევდა გამომეყოფა აღქმადობის კოეფიციენტი);
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (პროფესიული ინგლისური საერთაშორისო ურთიერთობების) – იყო 2.3%, გახდა 2.82% (გაიზარდა 0.52%-ით);

- მედიცინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ზოგადი ინგლისური) – იყო 1.4%, გახდა 1.6 (გაიზარდა 0.2 %-ით).

ამის შემდგომ მეთოდთა მკვეთრად შეიცვალა და დაენერგეთ სრულიად ახალი მეთოდი, რომელიც საქართველოში აქამდე დანერგილი არ ყოფილა – პოდკასტური სწავლება. Youtube-მა წამყვანი როლი ითამაშა. მოელი სემესტრის განმავლობაში სტუდენტები დაკავებული იყვნენ პოდკასტური მუშაობის მეთოდით სხვა მეთოდებთან კომბინაციაში, რომლებზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ. კერძოდ, ამისათვის გამოვიყენე რამდენიმე საინტერესო პლატფორმა:

- <https://www.podcastinsights.com/best-podcast-recording-software/>
- Audio: Teaching Students How to Produce Their Own Podcasts.  
<https://www.nytimes.com/2018/04/19/learning/lesson-plans/project-audio-teaching-students-how-to-produce-their-own-podcasts.html>
- Teaching Podcasting: A Curriculum Guide for Educators.  
<https://www.npr.org/2018/11/15/662116901/teaching-podcasting-a-curriculum-guide-for-educators>

პოდკასტური დავალებები 2 ტიპის იყო:

1. სტუდენტთა ჯგუფები იყოფოდა ქვეჯგუფებად ისე, რომ თითოეულ ქვეჯგუფში 5 ადამიანზე მეტი არ იყო. მათ დაურიგდათ კონვერტები, რომლებშიც იყო მოცემული თემატიკა:

**ნაბიჯი 1:** სტუდენტები მართავდნენ დისკუსიას, თუ როგორ აგოთ სიუჟეტი;

**ნაბიჯი 2:** სიუჟეტის მოფიქრების შემდეგ, ისინი აწვობდნენ დიალოგს; დიალოგში გამოყენებული იყო განვლილი მასალის ლექსიკური მარაგი;

**ნაბიჯი 3:** როლების გადანაწილების შემდეგ, სტუდენტები იწვრდნენ საკუთარ დიალოგს ჩამწერ მოწყობილობაზე (ტელეფონზე ან იყენებდნენ ვოცაფის ან მესინჯერის აპლიკაციებს);

**ნაბიჯი 4:** შემდეგ ისინი ტვირთავდნენ სრულ დიალოგს (Youtube-ზე), ხოლო ამობეჭდილ ვერსიას გამოტოვებული ადგილებით აწვდიდნენ ჯგუფის სხვა წევრებს, რათა მათ მოსმენის შედეგად ჩაესვათ გამოტოვებული სიტყვები.

2. დავალების მეორე ტიპი მოიცავდა სტუდენტებისთვის კონკრეტული ლექსიკის მიწოდებას, სადაც ისინი უკვე თემატიკას თავად ირჩევდნენ.

|   |  |
|---|--|
| <p><b>Vocabulary:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• Snob</li> <li>• Contemptuous</li> <li>Superior</li> <li>• High opinion</li> <li>• Conceited</li> <li>• Boast</li> <li>• Vain</li> <li>• Thick skinned</li> </ul> |  |
|---|--|

**ნაბიჯი 1:** სტუდენტები მართავდნენ დისკუსიას, თუ როგორ აეგოთ სიუჟეტი;

**ნაბიჯი 2:** სიუჟეტის მოფიქრების შემდეგ ისინი აწვობდნენ დიალოგს; დიალოგში გამოყენებული იყო კონვერტში მოცემული სიტყვები და განვლილი მასილის ლექსიკური მარაგი.

**ნაბიჯი 3:** როლების გადანაწილების შემდეგ, სტუდენტები იწვრდნენ საკუთარ დიალოგს ჩამწერ მოწყობილობაზე (ტელეფონზე ან იყენებდნენ ვოცაფის ან მესინჯერის აპლიკაციებს).

**ნაბიჯი 4:** შემდეგ ისინი ტვირთავდნენ სრულ დიალოგს (Youtube-ზე), ხოლო ამობეჭდილ ვერსიას გამოტოვებული ადგილებით აწვდიდნენ ჯგუფის სხვა წევრებს, რათა მათ მოსმენის შედეგად ჩაესვათ გამოტოვებული სიტყვები.

You will hear some friends talking about a girl named Helen. Answer the questions one to three. You can't hear the recording for the second time:

**According to the conversation Helen is among the guys:**

1. True
2. False
3. Not given

**According to the recording the guys are judging Helen:**

1. True
2. False
3. Not given

**According to the recording**

1. Helen thinks she is better than others
2. Helen thinks she is worse than others
3. Helen is a friendly girl

A: Who does she think she is?

B: She thinks she is ....., high class.

C: A real ..... Who is always very proud of herself.

A: and very .....of others, erm... ordinary people.

B: Ouh, I've heard her ..... to neighbors about her lovely house.

C: She is pretty .....A: Helen is always admiring herself in the mirror.

B: Shut the front door! She is not an absolute looker at all.

C: Don't say so! Helen has a .....of herself.

A: Is she that .....

B: She fakes it before she makes it.


C: I don't think she will make it.

A: Totally .....one!



B: Remember! Pride comes before a fall!


საბოლოოდ მივიღე ძალიან კარგი პროდუქტი:

იხ. ბმული [https://www.youtube.com/watch?v=mfcxCbJ\\_xPg](https://www.youtube.com/watch?v=mfcxCbJ_xPg)



ასევე, სტუდენტები მუდმივად უსმენდნენ ბრიტანელი პოდკასტერების არხებს, ხოლო ზემოსსენებული აქტივობები გაგრძელდა სემესტრის დასრულებამდე.  
ამის შემდგომ ისევ გადაწყვიტეთ სტუდენტთა მოსმენის უნარ-ჩვევების შემოწმება, რამაც სრულიად სხვა სურათი მოგვცა.





**შედეგის თანახმად.**

- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (პროფესიული ინგლისური ტურიზმისთვის) – იყო 1.5%, გახდა 40% (აღქმადობა გაიზარდა 38.5 %-ით, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული ჯგუფი ქვეჯგუფებად იყოფოდა, რაც საშუალებას მაძლევდა გამომეთვალა აღქმადობის კოეფიციენტი);
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (პროფესიული ინგლისური საერთაშორისო ურთიერთობების) – იყო 2.3%, გახდა 20% (გაიზარდა 17 %-ით);
- მედიცინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ზოგადი ინგლისური) – იყო 1.4%, გახდა 20.2% (გაიზარდა 18.8%-ით).

არსებულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ პოდკასტური სწავლების მეთოდი მეტად პროდუქტიული გამოდგა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე. სტუდენტები, თავდაპირველად, ეჩვენებოდათ საკუთარი თანატოლების ინტონაციებსა და აქცენტს, შემდეგ კი უკვე მათ ინტონაციებს, ვისთვისაც ინგლისური ენა მშობლიურია. ამასთან, ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ყველა ჯგუფს:

1. თუკი მათ მიერ წარმოთქმული სიტყვა არასწორად იყო წარმოთქმული, მეორე ჯგუფი ვერ გამოიცნობდა სიტყვას (ამაში ჯგუფს აკლდებოდა ქულა; ეს მექანიზმი დამუშავდა სტუდენტების მოტივაციის ამაღლებაში; კერძოდ, ყველა სიტყვის ტრანსკრიპციის გადამოწმების მეთოდით);

2. თუკი სიტყვა სწორად იყო წარმოთქმული, ხოლო ოპონენტი-ჯგუფი სიტყვას ვერ იგებდა, ე.ი. მათ ამ სიტყვის სხვაგვარი „საკუთარი“ (არასწორი) ვერსია ჰქონდათ (შესაბამისად, სიტყვის ტრანსკრიპციული გადამოწმება ისევ წინა პლანზე რჩებოდა);

3. მესამე და ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მეთოდი მუშაობისას, რომელიც სტუდენტებს გამოეუმუშავეთ, იყო „პროგნოზის“ მეთოდი. სტუდენტი ცდილობს, წინასწარ განსაზღვროს, თუ რომელი მეტეკვლევის ნაწილი აკლია ამა თუ იმ წინადადებას.

აღნიშნული აქტივობის შესრულებისას მეტად საინტერესო იყო მეტეკვლევის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. სიუჟეტის აგებისას სტუდენტები იყენებდნენ სხვადასხვა გრამატიკულ აპექტებს, იდომებითა თუ ფრაზული ზმნებით გაჯერებულ ლექსიკას. შემდეგ, სანამ ყოველივე უკვე youtube-ზე აიტვირთებოდა, სტუდენტები შესამოწმებლად მიგზავნიდნენ მათ მიერ შექმნილ ისტორიებსა თუ დიალოგებს, რომელთაც ვასწორებდი იქამდე, სანამ მათ ოპონენტი ჯგუფები იხილავდნენ. შესაბამისად, სტუდენტები ხედავდნენ მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს.


2. **მსოფლიო ჰიტები** – სწავლების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ცნობილ ჰიტებზე დაყრდნობით მოსმენის უნარ-ჩვევების დახვეწა. ამ აქტივობის შემუშავებისას მოვისმინე 100-მდე მსოფლიო ჰიტი, რომლებიც დამეხმარებოდნენ ამა თუ იმ თემატიკისადმი ან გრამატიკული ასპექტისადმი სტუდენტების მოტივაციის ამაღლებაში. მაგ., თუკი თემატური ბლოკი იყო „ამინდი“ ჯერი ჰალიველის ცნობილი ჰიტით "It's raining men". აღნიშნული სავარჯიშო კარგად მოქმედებს სტუდენტთა განწყობაზე და, ამავდროულად, ეხმარება საინტერესო ლექსიკის შესწავლისას, ხოლო შემდგომ ამ ლექსიკის მეშვეობით საშინაო დავალების სახით მორიგი პოდკასტის მომზადებაში.

"Humidity is rising (Mm rising), barometer's getting low (How low, girl?)  
According to all sources (What sources now?)  
The street's the place to go (You better hurry up)  
'Cause tonight for the first time (First time)  
Just about half-past ten (Half-past ten)  
For the first time in history  
It's gonna start raining men (Start raining men)".  
It's raining men! Hallelujah!  
It's raining men! Amen!  
I'm gonna go out to run and let myself get  
Absolutely soaking wet!  
It's raining men! Hallelujah!  
It's raining men! Every specimen!  
Tall, blonde, dark and lean  
Rough and tough and strong and mean" (Gery Halliwell, It's raining man).


3. **ფილმები** – შემდგომი მეთოდი კონკრეტული ფილმების სორტირება იყო და მათი 2-3 წუთიანი ხანგრძლივობით ამოჭრა, ხოლო შემდგომ სტუდენტებისთვის ჩვენება. ფილმები მოიცავდა სხვადასხვა ჟანრს: სათავგადასვლო (რომელიც საინტერესო აღმოშნდა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის), მულტიპლიკაცია, საშინელებათა, პოლიტიკურ თემატიკაზე აგებული ფილმები (რომლებმაც საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისგან განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს). ეკრანზე

ფილმის ამონარიდის ჩვენებამდე სტუდენტებს ვეუბნებოდით ქართულ ენაზე იმ სიტყვას თუ ფრაზას, რომელიც მათ ინგლისურად უნდა ეპოვათ.

პირველი ცდა (ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა):




მეორე ცდა (ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა),  
ორკვირიანი ინტერვალი:




პირველსა და მეორე ტესტს შორის სხვაობამ 12% შეადინა. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ სტუდენტების აღქმადობის დონემ ორ კვირაში 12%-ით მოიმატა.

პირველი ცდა (საერთაშორისო ურთიერთობების  
საბაკალავრო პროგრამა):




მეორე ცდა (საერთაშორისო ურთიერთობების  
საბაკალავრო პროგრამა) ორკვირიანი ინტერვალი:




პირველსა და მეორე ტესტს შორის სხვაობამ 27% შეადინა. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ სტუდენტების აღქმადობის დონემ ორ კვირაში 27%-ით მოიმატა.

პირველი ცდა (მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა):



მეორე ცდა (მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა),  
ორკვირიანი ინტერვალი:



პირველსა და მეორე ტესტს შორის სხვაობამ 12% შეადინა. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ სტუდენტების აღქმადობის დონემ ორ კვირაში 12%-ით მოიმატა.

### დასკვნა

ინგლისური ენის სწავლების ზემოხსენებულმა მეთოდმა მოსალოდნელზე უკეთესი შედეგი მოგვიტანა:

1. სტუდენტმა გაიუმჯობესა მოსმენის უნარ-ჩვევები:

- მას იოლად ესმის ის, რის ვიზუალიზაციას მოკლებულია (რადიო, პოდკასტი);

- სტუდენტს კარგად ესმის სუბარარ ვიზუალიზაციის დროს (ფილმები; მულტიპლიკაცია);

- სტუდენტი იოლად განარჩევს ენის მატერებლისა და სხვათა საუბარს.

2. სტუდენტმა გაიუმჯობესა მეტყველების უნარ-ჩვევები:

- პოდასტების შექმნის პროცესში სტუდენტი ითვისებს ახალ ლექსიკას ან არსებული სწორ კონტექსტში გამოყენებას.

შესაბამისად, მოსმენის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების პროცესში ავტომატურად უმჯობესდება მეტყველების უნარ-ჩვევები, ხოლო ზემოხსენებული მეთოდიკით შედეგზე გაცილებით სწრაფად გავლივართ.

პოდასტური სწავლების შედეგი

ხანგრძლივობა: 4 თვე

აღქმადობის პროცენტული მაჩვენებელი:

ტურიზმი – 38.5%-იანი ზრდა;

საერთ. ურთ. – 17%-იანი ზრდა;

მედიცინა – 18.8%-იანი ზრდა.

მსოფლიო პიტები

ტურიზმი – 12%-იანი ზრდა;

საერთ. ურთ. – 27%-იანი ზრდა;

მედიცინა – 12%-იანი ზრდა.

#### **ლიტერატურა:**

1. British council, Society's phone addiction, podcast, 2020;
2. Thomas B.J., Intermediate vocabulary (Pride), 2022;
3. Geri Halliwell, It's raining man, song, 2004;
4. Learn ho to start a podcast, <https://www.podcastinsights.com/best-podcast-recording-software/> Teaching Students How to Produce Their Own;
5. Podcasts. <https://www.nytimes.com/2018/04/19/learning/lesson-plans/project-audio-teaching-students-how-to-produce-their-own-podcasts.html> Teaching Podcasting: A Curriculum Guide for Educators <https://www.npr.org/2018/11/15/662116901/teaching-podcasting-a-curriculum-guide-for-educators>.

**Nana Parinos**

#### ***Modern Methods of Teaching English: Developing Listening Skills***

#### **Summary**

Teaching English seems to be a great challenge of the 21st century. Previously teachers were mostly focused on course books but nowadays they have to keep up with the new challenges. In the usual frame of high competition it is getting increasingly tough to maintain a competitive edge and to stand out in a competitive job market. In the paper you will see a teaching plan with the newly introduced methods which received approval in the United States.

**Нана Паринос**

***Современные методы обучения английскому языку: Развитие навыков слушания***  
**Резюме**

Преподавание английского языка кажется большим вызовом 21-го века. Раньше учителя были в основном сосредоточены на учебниках, но теперь им приходится идти в ногу с новыми вызовами. В обычной обстановке высокой конкуренции становится все труднее сохранять конкурентное преимущество и выделяться на конкурентном рынке труда. В статье вы увидите план обучения с недавно введенными методами, получившими одобрение в США.

**მაია აღაია**  
(საქართველო)

**ინგლისური ენის სწავლების პროცესში დავალებასზე ორიენტირებული  
მეთოდის გამოყენების აქტუალურობის შესახებ**

უდავო ფაქტია, რომ ინგლისური ენის სწავლა საკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალურია, რადგანაც მის გარეშე წარმოდგენელია თანამედროვე განათლების სივრცეში ინტეგრირება და პიროვნული შესაძლებლობებისა და უნარების სრულფასოვანი რეალიზება. ინგლისური ენა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და გავლენიანი ენაა მსოფლიოში, რადგან ის წარმოადგენს საერთაშორისო კომუნიკაციების ენას. აქედან გამომდინარე, დღევანდელ დღეს ინგლისური ენის სწავლების სხვადასხვა მეთოდის მოდიფიცირება და გაუმჯობესება შეიძლება ჩაითვალოს მისი სწავლა/სწავლების პროცესის აქტუალურ საკითხად. ინგლისური ენის სწავლება უნდა ეფუძნებოდეს პრაქტიკულ მიზანს, რაც თავისთავად გულისხმობს ენის კომუნიკაციურ ფუნქციაზე ყურადღების გამახვილებას. უდავო ფაქტია, რომ ენის სრულფასოვანი გამოყენება ხორციელდება სწორედ მეტყველების მეშვეობით. ზოგადად, ინგლისური ენის სწავლა/სწავლება საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცესია. მისი სრულყოფილად დაუფლება დიდ ძალისხმევას მოითხოვს როგორც ენის შემსწავლელის/სტუდენტის, ასევე მასწავლებლის მხრიდანაც. ამ პროცესის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს სწავლების სწორი და ეფექტური მეთოდების შერჩევა.

წინა წლებთან შედარებით, როცა ინგლისური ენის სწავლების ძირითადი აქცენტი მეტწილად გრამატიკული წესებისა და სხვადასხვა თემატური ტექსტის დაზეპირებაზე იყო გამახვილებული, ამჟამად დიდი ყურადღება ეთმობა ენის შესწავლის კომუნიკაციურ და დავალებასზე ორიენტირებულ მეთოდებს. დღევანდელი სწავლების მეთოდების მიხედვით მასწავლებელი სასწავლო პროცესის დომინანტის ნაცვლად მრჩევლისა და ფასილიტატორის როლს ასრულებს. ნებისმიერი ენის სწავლა/სწავლება შემოქმედებითი პროცესია და აქედან გამომდინარე, კომუნიკაციური ენის სწავლებამ [CLT] და დავალებასზე ორიენტირებულმა სწავლებამ [TBL] შეცვალა და გააუმჯობესა ინგლისური ენის სწავლა/სწავლების პროცესი. სწორედ ეს მეთოდები ესმარება ინგლისური ენის შემსწავლელებს/სტუდენტებს სრულად გამოიყენონ თავიანთი ლინგვისტური ცოდნა და გაიდრმონ ინგლისურ ენაზე საუბრისა და კრიტიკული აზროვნების უნარები.

ჩვენ ვეთანხმებით ელისის [2003] გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დავალებასზე ორიენტირებული სწავლება არის ენის სწავლების კომუნიკაციური მიდგომა, რომელიც სხვადასხვა დავალებების მეშვეობით ენის შემსწავლელებს/სტუდენტებს უადვილებს ენის დაუფლებას. ის მოიცავს ბევრ ისეთ დავალებას, რომელიც ორიენტირებულია ენის შემსწავლელების/სტუდენტების ინტერაქციასა და მათ ჩართულობასზე. ინტერაქცია, უდავოდ, ძალიან დიდ როლს ასრულებს ენის საფუძვლიანად დაუფლების პროცესში. ეს მეთოდი ენის შემსწავლელებს/სტუდენტებს საშუალებას აძლევს, თვითონ შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები. ქვემოთ გთავაზობთ ამ მეთოდის მეშვეობით ჩვენ მიერ სასწავლო პროცესში უფრო ხშირად გამოყენებულ ეფექტურ და საინტერესო აქტივობას:

1. **ინფორმაციის გაზიარების აქტივობა** – ამ ტიპის დავალება ენის შემსწავლელებს/სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გაცვალონ ინფორმაცია და უფრო მეტი გაიგონ ერთმანეთის შესახებ. მაგალითად, მათ წყვილებში შეუძლიათ ერთმანეთს დაუსვან და უპასუხონ კითხვებს, რათა გაიგონ ერთმანეთის ყოველკვირეული განრიგი და საერთო ინტერესები.

2. **მსჯელობის აქტივობა** – ამ ტიპის დავალების დროს ენის შემსწავლელებს/სტუდენტებს შეუძლიათ მოაწონონ დებატები მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ აქტუალურ სოციალურ თემატიკაზე. ასეთი დავალების შესასრულებლად უნდა მოხდეს ენის შემსწავლელების/სტუდენტების წახალისება იმუშაონ წყვილებში ან პატარა ჯგუფებში. ასეთი აქტივობა წახალისებს მათ თვითონ დაეუფლონ სასწავლო პროცესს.

3. **პრობლემის გადაჭრის აქტივობა** – ამ ტიპის დავალების დროს შესაძლებელია ენის შემსწავლელებს/სტუდენტებს გავაცნოთ სხვადასხვა ყოველდღიური პრობლემები, რომლებსაც ისინი შეიძლება წააწყდნენ და წავახალისოთ წყვილებში ან პატარა ჯგუფებში იმსჯელონ მათი მოგვარების გზებზე.

4. **სიუჟეტის/ამბავის დასრულება** – ამ ტიპის დავალების დროს შესაძლებელია ენის შემსწავლელებს/სტუდენტებს შევთავაზოთ რაიმე ისტორიის დასაწყისი და მივცეთ რამდენიმე წუთი, რათა პატარა ჯგუფებში მოიფიქრონ მისი დასასრული. შემდეგ ყველა ჯგუფს მივცეთ გარკვეული დრო საკუთარი მოსაზრების გასაცნობად და ერთმანეთის იდეების მოსმენისა და განხილვის შემდეგ მათ უნდა შეარჩიონ ერთი საბოლოო კონკრეტული დასასრული.

ჩვენი სტატია ყურადღებას ამახვილებს დავალებაზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე, მახასიათებლებსა და უპირატესობებზე. ჩვენს სტატიაზე მუშაობის დროს გავეცანით ისეთი ავტორების სამეცნიერო ნაშრომებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ინგლისური ენის სწავლა/სწავლების საკითხში და მასზე დაყრდნობითა და პირადი გამოცდილების საფუძველზე დაგაფიქსირეთ საკუთარი მოსაზრება. ჩვენი აზრით, დღეისათვის არ დასტურდება ინგლისური ენის სწავლა/სწავლების რომელიმე ერთი მეთოდის აბსოლუტური უპირატესობა და უნივერსალურობა. თუმცა, ჩვენ ვემხრობით ინგლისური ენის სწავლა/სწავლების პროცესში დავალებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის უფრო მეტ ინტეგრირებას დღევანდელ სასწავლო პროცესში, რადგან ამ მეთოდის ძირითადი აქცენტი გადატანილია მეტყველებასა და კომუნიკაციაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დავალებაზე ორიენტირებული სწავლება არის ინგლისური ენის სწავლების ერთ-ერთი ეფექტური და პროდუქტიული მეთოდი. ის ორიენტირებულია ენის აუთენტურ გამოყენებაზე. დავალებაზე ორიენტირებული სწავლების დროს ცენტრალურ როლს სწორედ ენის შემსწავლელი/სტუდენტი ასრულებს. აქედან გამომდინარე, ეს მეთოდი ინგლისური ენის დაუფლების პროცესში ენის შემსწავლელებს/სტუდენტებს ახალისებს და შესაბამისად, ზრდის მათ მოტივაციას, თავდაჯერებულობასა და ამბიციასაც. ენის სწავლება მიმდინარეობს ბუნებრივ, რელევანტურ, რეალურ და პრაქტიკულ გარემოში, რის შედეგადაც ენის შემსწავლელი/სტუდენტი ბუნებრივად და სპონტანურად მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში წყვილებში ან პატარა ჯგუფებში და არ არიან დაძაბულები. სასწავლო პროცესის დროს, ძირითადად, აქცენტი არა მარტო დავალებების შინაარსზე, არამედ მათი შესრულების დროს ენის შემსწავ-

ღეღეღების/სტუდენტების აქტიურ ინტერაქციასა და ინტენსიურ ჩართულობაზე გამახვილებული.

დავალებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს მასწავლებლის კრეატიულობას, რადგან სწორედ მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს ისეთი დავალებები და რესურსი, სადაც გათვალისწინებული იქნება ენის შემსწავლელთა/სტუდენტთა ინტერესები. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს გახადოს სასწავლო პროცესი უფრო აქტუალური, პროდუქტიული და საინტერესო. აქვე გვსურს, ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მიუხედავად იმისა, რომ TBLT პრიორიტეტს ანიჭებს კომუნიკაციის უნარებს და ენის სრულყოფილად დაუფლებას, ეს არ ნიშნავს გრამატიკის ან სხვა უნარების უგულვებელყოფას. სინამდვილეში, TBLT გთავაზობს შესაძლებლობას, ვასწავლოთ გრამატიკა კონტექსტში, რაც უფრო საინტერესო იქნება ჩვენს შემთხვევაში ინგლისური ენის შემსწავლელთათვის/სტუდენტებისთვის.

მიგვაჩნია, რომ დავალებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის მეშვეობით შესაძლებელია შემდეგი რამ:

- სამიხნე ენის შესწავლისას კომუნიკაციის მნიშვნელობაზე ხაზგასმა, რაც ინტერაქციის საშუალებით მიიღწევა.

- აუთენტური ტექსტების გაცნობა სასწავლო სიტუაციების ფარგლებში.

- ჩვენ ვეთანხმებით ნუნანის (Nunan, 2004) მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა უნდა იყოს კავშირში გარე სამყაროში მიმდინარე პროცესებთან. მიღებული ცოდნა უნდა იყოს გამოსადეგარი, სასარგებლო ენის შემსწავლელთათვის/სტუდენტებისთვის ყოველდღიურ სიტუაციებთან გასამკლავებლად.

ჩვენ ვეთანხმებით შავერდაშვილის მოსაზრებას იმაზე, რომ დავალებაზე ორიენტირებული მეთოდის ფარგლებში დავალებებს უფრო პრაგმატული ხასიათი აქვს ისეთი საგარჯიშოებისაგან განსხვავებით, სადაც ძირითადად სემანტიკურ მნიშვნელობაზე გამახვილებული ყურადღება. დავალებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებისას, მასწავლებელი ენის შემსწავლელებს/სტუდენტებს აყენებს სხვადასხვა რეალურ სიტუაციაში, რომელშიც ისინი მომავალში შეიძლება აღმოჩნდნენ. ენის შემსწავლელების/სტუდენტების ამოცანას წარმოადგენს ენის ადეკვატური გამოყენებით (კომუნიკაციით) დასახულ მიზანს მიაღწიონ [1, 63].

ცხადია, რომ დროთა განმავლობაში ინგლისური ენის სწავლების მეთოდები იცვლება სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებიდან გამომდინარე. ამ ეტაპზე არ არსებობს ინგლისური ენის სწავლების უნივერსალური მეთოდი, მაგრამ სტატიაში გამოვყავით დავალებაზე ორიენტირებული მეთოდი, რომელიც შემსწავლელის/სტუდენტის ინტერაქციასა და კომუნიკაციურ ასპექტზეა უფრო მეტად ორიენტირებული. თუმცა ამით არ ვაკნინებთ არც ერთ მეთოდს, რადგან მიგვაჩნია, რომ ინგლისური ენის სრულფასოვანი დაუფლების საუკეთესო გამოსავალი სხვადასხვა მეთოდის მონაცვლებით ან ერთმანეთთან შეთავსებით სწავლებაა. ჩვენი აზრით, თანამედროვე ტიპის გაკვეთილზე მასწავლებელმა ნაკლები უნდა ილაპარაკოს და ძირითადი აქცენტი გადაიტანოს შემსწავლელის/სტუდენტის ინტერაქციასა და აქტიურობაზე. აშკარაა, რომ სწავლების პროცესში დავალებაზე ორიენტირებული მეთოდის გამოყენებისას მასწავლებლის როლი არაა დომინანტური. ის მხოლოდ დამხმარის როლში გვევლინება. სწორედ ამ მეთოდის მეშვეობით ენის

შემსწავლელები/სტუდენტები ეჩვევიან წყვილებში და ჯგუფურად მუშაობას. ეს ყოველივე კი დაეხმარება მათ ლაპარაკის უნარ-ჩვევის უფრო ინტენსიურად გამოყენებაში. გარდა ამისა, სწორედ დავალებაზე ორიენტირებული მეთოდი აძლევს მათ საშუალებას ენა უფრო ეფექტურად გამოიყენონ ინფორმაციის გადაცემის, გაზიარებისა და ურთიერთგაგების საშუალებად. კომუნიკაცია თავისთავად მოიცავს როგორც ლაპარაკს, ასევე მოსმენას და სხვა უნარ-ჩვევასაც. შესაბამისად, რეალურ ცხოვრებაში ლაპარაკი არ გამოიყენება სხვა უნარ-ჩვევებისგან იზოლირებულად. ლაპარაკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ფონეტიკა (გამოთქმა, ინტონაცია), გრამატიკა და გარკვეულწილად წერაც. სწორი გამოთქმა და ინტონაცია აუცილებელია, რადგან არასწორმა გამოთქმამ შეიძლება კომუნიკაციის შეფერხება გამოიწვიოს და ის შეიძლება ზოგჯერ დაცინვისა და უხერხულობის მიზეზიც გახდეს.

როგორც უკვე ავლინშნეთ, ინგლისური ენის სწავლების მეთოდები მუდმივად იცვლება. თანამედროვე მიდგომის შესაბამისად, უფრო და უფრო აქტუალური ხდება, რომ მასწავლებელმა უფრო მეტი ავტონომიურობა მიანიჭოს ენის შემსწავლელს/სტუდენტს და სწავლების პროცესში მრავალფეროვანი და საინტერესო სასწავლო მასალების გამოყენებით გააკეთილოს ფორმატი უფრო ეფექტური და პროდუქტიული გახადოს. აქედან გამომდინარე, მან უნდა შეარჩიოს ისეთი მასალები, რომლებიც დაეხმარება ენის შემსწავლელს/სტუდენტებს მიღებული ცოდნა ნაყოფიერად გამოიყენონ პრაქტიკაში. მან უნდა შეუქმნას მოსწავლეებს სასიამოვნო და ადეკვატური ატმოსფერო ლაპარაკისთვის. წინასწარ აუხსნას მათ, რომ შეცდომების დაშვება ენის სწავლის განუყოფელი ნაწილია.

ინგლისური ენის სწავლა/სწავლების პროცესში დავალებაზე ორიენტირებული მეთოდის ეფექტურად გამოყენება გულისხმობს: შევაჩვიოთ ენის შემსწავლელს/სტუდენტს ინგლისური ენის დამოუკიდებლად გამოყენებას, მივცეთ საკმარისი დრო საკუთარი აზრებისა და შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად და გასაზიარებლად, სწავლების პროცესში გამოვიყენოთ აქტუალური და საინტერესო სასაუბრო თემები და ტექსტები, მოვასმენინოთ შინაარსობრივად საინტერესო პოდკასტები, ვაჩვენოთ საინტერესო სურათები და წავახალისოთ მათზე საუბრითა და დახასიათებით, ან ჩავატარებინოთ დისკუსია საგაზეთო სტატიებისა და სატელევიზიო ახალი ამბების განხილვაზე. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ენის შემსწავლელის/სტუდენტის უფრო აქტიურ ჩართვას დისკუსიაში, რათა მათ შეძლონ კომუნიკაციის დამყარება ერთმანეთთან ან წყვილებში ან ჯგუფურად, ან როლური თამაშების მეშვეობით. ამ დროს მასწავლებელმა უნდა მოახერხოს მორცხვი და ზედმეტად აქტიური ენის შემსწავლელის/სტუდენტის აქტიურობისა და მონაწილეობის დაბალანსება.

### **ლიტერატურა:**

1. შავერდაშვილი ე., უცხოური ენების სწავლების მეთოდები, ნაწილი პირველი, თბ., 2014;
2. Ellis R., Task-based language learning and teaching. Oxford: Oxford University Press, 2003;

3. Leaver B. L. and Willis J., Task-based instruction in foreign language education: practices and programmes. Washington, DC: Georgetown University Press, 2005;
4. Lin Z., Task-based Approach in Foreign Language Teaching in China: A Seminar Paper Research Presented to the Graduate Faculty, University of Wisconsin-Platteville, 2009;
5. Nunan D., Task-based Language Teaching. New York: Cambridge University Press, 2004.

**Maia Aghaia**

***About the Relevance of Using the Task-based Method in the  
Process of Teaching English Language  
Summary***

Our article focuses on the principles, characteristics and benefits of task-based learning. From our point of view, the absolute superiority and universality of any method of learning/teaching the English language is not proven. However, we advise for more integration of task-based teaching method in English language learning/teaching process as the main focus of this method is focused on speaking and communication. We do believe that task-based method is one of the effective and productive methods of teaching English language. It focuses on the authentic use of language. During task-oriented teaching, the central role is played by the language learner/student. Through this method increases their motivation, self-confidence and ambition. Language teaching takes place in a natural, relevant, real and practical environment, so that language learners/students naturally and spontaneously participate in different activities in pairs or small groups and they are not stressed. During the learning process, the focus is not only on the content of the tasks, but also on the active interaction and intensive involvement of language learners/students during their learning process.

Task-oriented teaching requires the creativity of the teacher, because it is the teacher who must select such tasks and resources that will take into account the interests of the language learners/students. All this will help to make the learning process more relevant, productive and interesting. We would also like to emphasize the fact that although TBLT prioritizes communication skills and language fluency, this does not mean that grammar or other skills are neglected. In fact, TBLT offers an opportunity to teach grammar in context, which in our case will be more interesting for English language learners/students.

**Майа Агаиа**

***Об актуальности использования задачного метода в процессе  
обучения английского языка  
Резюме***

Статья посвящена принципам, характеристикам и преимуществам обучения, основанного на задачах. С нашей точки зрения, абсолютное превосходство и универсальность какого-либо метода изучения/преподавания английского языка не доказана. Тем не менее,

мы советуем более активно интегрировать метод обучения, основанный на задачах, в процесс изучения/преподавания английского языка, поскольку основное внимание в этом методе уделяется разговорной речи и общению. Мы считаем, что метод задач является одним из эффективных и продуктивных методов обучения английскому языку. Основное внимание уделяется аутентичному использованию языка. При целенаправленном обучении центральную роль играет изучающий язык/студент. Благодаря этому методу повышается их мотивация, уверенность в себе и амбиции. Обучение языку происходит в естественной, актуальной, реальной и практической среде, так что изучающие язык/студенты естественным и спонтанным образом участвуют в различных видах деятельности в парах или небольших группах и не испытывают стресса. В процессе обучения основное внимание уделяется не только содержанию заданий, но и активному взаимодействию и интенсивному вовлечению изучающих язык/студентов в процесс обучения.

Целенаправленное обучение требует творческого подхода учителя, поскольку именно учитель должен выбирать такие задачи и ресурсы, которые будут учитывать интересы изучающих язык/студентов. Все это поможет сделать процесс обучения более актуальным, продуктивным и интересным. Мы также хотели бы подчеркнуть тот факт, что, хотя TBLT отдает приоритет коммуникативным навыкам и свободному владению языком, это не означает, что грамматикой или другими навыками пренебрегают. Фактически, TBLT предлагает возможность преподавать грамматику в контексте, что в нашем случае будет более интересно для изучающих английский язык.

**მარინა ჭურდულია-შურღაია**  
(საქართველო)

**ნაცარი ზობიერთ მემქნიან და ბუნძოვან მცენარეზე**

**შესავალი**

**ნაცარი** – მცენარეთა სოკოვანი დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია მიკროსკოპული სოკოებით. ნაცრის გამომწვევი პათოგენი ვიწრო სპეციალიზაციის პარაზიტია, სხვადასხვა მცენარის ნაცროვანი დაავადება გამოწვეულია გარკვეული სახეობის მიკრომიცეტით. იგი აზიანებს მცენარის ფოთლებს, ღეროებს, ყვავილებსა და ნაყოფებს. გვხვდება მერქნიან, ბუჩქოვან და ბალახოვან კულტურულ, ასევე ველურად მოხარდ მცენარეებზე. დაავადების ხელშემწყობი პირობებია თბილი ზამთარი, წვიმიანი თბილი გაზაფხული ტემპერატურით +20-25°C, ჰაერის ტენიანობით 95-99%, დღელამური ტემპერატურის ცვალებადობით. დაავადების ინტენსიური განვითარება აღინიშნება ვეგეტაციის დაწყებისა და ბუტონიზაციის პერიოდში. თავიდან ჩნდება ფოთლებსა და ყლორტებზე თეთრი ნაფიფქი, რომელიც ფქვილს მოგვაგონებს, საბოლოოდ იგი ნაცრისფერს ღებულობს. ნაცარი ერთ-ერთი საშიში დაავადებაა, რომელიც საქართველოში მრავალ მცენარეზე გვხვდება. ვეგეტაციის ბოლოს დასნებოვნებულ ფოთლებზე ჩნდება შავი წერტილები – სოკოს ნაყოფსხეულები. სოკოს უსქესო გამრავლების კონდიები – სპორები ადვილად ვრცელდება ჰაერით. დაავადების გამომწვევი იზამთრებს მძინარე კვირტების ქერქლებზე, ტოტების ნახეთქებში, ძირნაყარ ფოთლებზე, ნიადაგში.

**მასალა და მეთოდი**

კვლევის პროცესში, ძირითადად, ვიყენებდით სოკოების იდენტიფიკაციის კლასიკურ მეთოდს, რომელიც ეფუძნება გარეგნული და სტრუქტურულ-მორფოლოგიური (მიკრომორფოლოგიური) ნიშნების აღწერას. იდენტიფიკაციის პროცესში ვიყენებდით სპეციალურ მეთოდურ წყაროებს, ასევე – კლასიკურ სარკვევებთან ერთად, თანამედროვე სარკვევებს.

მასალა მოიცავს, ძირითადად, თბილისში, 2022-2023 წლების განმავლობაში ვარდებზე – *Rosa* sp., ნეკერჩხლებზე – *Acer negundo*, ჭადრებზე – *Platanus occidentalis*, *P. acerifolia*, *P. orientalis*, მუხებზე – *Quercus* sp. შეგროვილ ნიმუშებს.

იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სოკოების სუფთა კულტურების გამოყოფა; თუმცა ცნობილია, რომ ნაცროვანი და ჟანგა სოკოები საკვებ არეებზე არ იზრდებიან. გარდა იმისა, რომ სიმპტომები მკვეთრად არის გამოკვეთილი, მათი შესწავლა შესაძლებელია მიკროსკოპირებით.

**კვლევის შედეგები**

ცნობილია, რომ სოკოების, როგორც ჰეტეროტროფული ორგანიზმებისათვის, მცენარე არის გარემო, უფრო ზუსტად, ადგილსამყოფელი და საკვები სუბ-

სტრავი, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ედაფურ და კლიმატურ (მიკროკლიმატურ) პირობებთან.

ნაცრის ინტენსიური გავრცელება აღინიშნა 2022-23 წწ.-ში ვარდებზე, მუხებზე, ამერიკულ ნეკერჩხალზე, ჭადრებზე თბილისის სხვადასხვა უბანში, კერძოდ, დიდმის მასივში, ლუბლიანას, პაიჭაძის, ბელიაშვილის, გელოვანის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე, დიდმის პარკში და სხვ.

**ვარდის ნაცარი – *Podosphaera pannosa* (Wallr.) de Bary**

*Podosphaera pannosa*, ძველი კლასიფიკაციით, ლიტერატურაში გვხვდება როგორც *Sphaerotheca pannosa* f. *Rosae* [1, 6]

ვარდის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სოკოვანი დაავადებაა ნაცარი. მისი გამოწვევი მიზეზია სოკო *Sphaerotheca pannosa* v. *rosae* [1]. აავადებს ფოთლებს, ყვავილს, კოკორსა და ახალგაზრდა ყლორტებს. დაავადება იწყება უმნიშვნელო თეთრი წვრილი ფქვილისებრი ნაფიფქით, ხოლო როცა სოკო ვითარდება, ნაფიფქი ვრცელდება. ნაცრისფერი ფიფქი სოკოს კონიდიური ნაყოფიანობაა. იგი შედგება მიცელური ძაფებისაგან და ძეწკვისებრ განლაგებული კონიდიუმებისაგან. დასენიანებულ მცენარეზე ჩნდება მიცელიუმის თეთრი ნაფიფქი, სპორების მომწიფების შემდგომ სითხის წვეთები აღინიშნება. დაავადებულ ფოთლებზე ჩნდება ლაქები, ისინი ჭკნება და ცვიცა. ზაფხულის ბოლოს დაავადებულ ზედაპირზე სოკოს ჩანთიანი ნაყოფიანობა ვითარდება მუქი ყავისფერი ან შავი წერტილების სახით (კლვისტოკარპიუმები), რომელშიც ჩანთებია ასკოსპორებით. სოკო იზამთრებს ჩანთიანი ნაყოფიანობით. სპორები ვრცელდება დიდ მანძილზე და ასენიანებს სხვა მცენარეებს. მისთვის დამახასიათებელია ფოთლების შეჭმუხვნა და დაგრეხვა, ხოლო ნორჩი ყლორტების – ხმობა და ცვენა. ხშირად კოკრები გაუშლელი ხმება. ნაცრით დაავადებული ნაწილები აღარ იზრდება, სქელდება, უხეშდება და ხმება.

გამომწვევია: *Podosphaera pannosa* (*Sphaerotheca pannosa*), რომელსაც გააჩნია კონიდიური (მარტივი კონიდიოთმტარები ძეწკვისებრ განლაგებული კონიდიუმებით) და ჩანთიანი (კლვისტოკარპიუმები მარტივი ჩანთებით და ასკოსპორებით) ნაყოფიანობა.



ვარდის ნაცარი – *Podosphaera pannosa* Rosa sp., თბილისი, დიდოში, 10.05.2022



ვარდის ნაცარი – *Podosphaera pannosa* Rosa sp., თბილისი, დიდოში, 10.05.2022

**მუხის ნაცარი (ერიზიფოზი) – *Erysiphe alphitoides* (GRIFFON et MAUBL) U. BRAUN et S. TAKAM [4].**



**ვარდის ნაცარი – *Podosphaera pannosa* Rosa sp., თბილისი, დიდობი, 10.05.2022**

დიდობის პარკში მუხის ფოთლებზე აღინიშნა თეთრი ფქვილისებრი ნაფიფქი, რომელიც კონიდიურ ნაყოფიანობას წარმოადგენს. ძირითადად ზიანდება ახალგაზრდა მცენარეების ფოთლები და ყლორტები; ზრდასრული მცენარეების ფოთლების დასენიანება მას დიდ ზიანს ვერ აყენებს. შემოდგომაზე ნაფიფქი მკვრივდება, მის ზედაპირზე წარმოიქმნება ნაყოფსხეულები – კლეისტოტეციუმები, რომლებიც თავიდან მოთეთრო-მოყვითალო შეფერილობისაა, მოგვიანებით ისინი შავი წერტილების სახით მოჩანს ფოთლებზე. კლეისტოტეციუმები სოკოს ჩანთიანი სტადიაა, ჩანთებში სპორები წარმოიქმნება. ჩანთიანი სტადიით სოკო იზამთრებს.

დაავადების ხელშემწყობი პირობებია ტემპერატურისა და ტენიანობის მკვეთრი მერყეობა.

**მუხის ნაცარი – Oak mildew** მუხის ნაცრის გამომწვევი ორგანიზმია *Microspheera alphitoides*. პირველად ეს დაავადება ინგლისში, 1809 წელს, აღმოაჩინეს.

დაავადების გამომწვევია ერიზიფეს გვარის სოკო *Erysiphe alphitoides*.

XX საუკუნის დასაწყისში სოკო შემოტანილ იქნა ევროპიდან და გავრცელდა მუხებზე. მანამდე იგი არ პარაზიტობდა ამ მცენარეზე. ბოლო წლებში ზემოთ აღნიშნული დაავადება ხშირად გვხვდება მუხებზე.

2023 წლის ზაფხულის დასაწყისში



**მუხის ნაცარი – *Erysiphe alphitoides*. Querqus sp. თბილისი, დიდობი, 12.09.2023**

**ჭადრის ნაცარი – *Erysiphe platani* (Howe) Braun & Takamatsu**

**ჭადრის ნაცარი** გამოწვეულია ნაცროვანი სოკოთი – *Erysiphe platani* (Howe) Braun & Takamatsu = *Microsphearia platani* Howe. პირველად იგი აღწერილ იქნა აშშ-ში დასავლურ ჭადარზე 1874 წელს [3] (Braun, 1987). შემდგომ ჭადრის ნაცარი გავრცელდა კანადაში, ევროპასა და ავსტრალიაში [3]. დღეისათვის დაავადება გავრცელებულია საფრანგეთში, საბერძნეთში, იტალიაში, თურქეთში, პორტუგალიაში, უკრაინაში, რუსეთში (სოჭი), ჩინეთში, პორტუგალიაში და სხვ.

საქართველოში, კერძოდ თბილისში ზემოთ აღნიშნული დაავადება პირველად დაფიქსირდა მ. გვრიტიშვილის მიერ, 2002 წელს, ჭადრის ფოთლებსა და ყლორტებზე [2].

დაავადება ვითარდება ფოთლის ორივე, მეტწილად, ზედა მხარეს ნაცროვანი სოკოებისთვის დამახასიათებელი ნაცრისფერი ნაფიფქით. განსაკუთრებით ზიანდება ნორჩი ფოთლები, რასაც თან სდევს წვეროს ფოთლებისა და ყლორტების დეფორმაცია.

ნაცრის ინტენსიური განვითარება 2002 წელს აღინიშნა დასავლურ ჭადარზე – *Platanus occidentalis*, უფრო იშვიათად ჰიბრიდულ – *Platanus acerifolia* და აღმოსავლურ ჭადარზე – *P. orientalis*-ზე [2, 5].

2023 წელს დაავადების გავრცელება აღინიშნა დასავლურ ჭადარზე – *Platanus occidentalis* და აღმოსავლურ ჭადარზე – *P. orientalis*-ზე თბილისში, კერძოდ, დიღომში, პაიჭაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, დიღმის პარკში (სავარაუდოდ, ნაცარი ჭადარზე თბილისის სხვა უბნებშიც გავრცელდა, თუმცა კვლევის ობიექტს წარმოადგენდა დიღმის ტერიტორია).

აღსანიშნავია, რომ 2022-2023 წლების გაზაფხული თბილი და ნესტიანი იყო, ასევე, ხასიათდებოდა დღეღამური ტემპერატურის ცვალებადობით, რაც ხელშემწყობი პირობაა ნაცრის განვითარებისთვის.

**ამერიკული ნეკერჩხლის ნაცარი – *Sawadaia bicornis* (Wallr.) Homma**

**ნეკერჩხლის ნაცრის** გამომწვევია ერიზიფეს გვარის მიკროსკოპული სოკო *Sawadaia bicornis* (Wallr.) Homma = *Uncinula bicornis* = *Erysiphe aceris* DC.

დაავადების მასიური გავრცელება აღინიშნა თბილისის ყველა უბანში. მაისის ბოლოს მცენარის ფოთლების ორივე მხარეს დაფიქსირდა თეთრი ნაფიფქი, რომელიც კონიდიურ სპორიანობას წარმოადგენს. ივნისის შუა რიცხვებისთვის ფოთლის ფირფიტები მთლიანად დაიფარა თეთრი ფქვილისებრი ფიფქით.



ზაფხულის პერიოდში კონიდიუმების რამდენიმე გენერაცია წარმოიქმნება, რომლებიც ადვილად ვრცელდება ქარით.

ზაფხულის ბოლოს მიცვლიუმზე წარმოიქმნება დაავადების აღმძვრელის ჩანთიანი სტადიის ნაყოფსხეულები – კლეისტოტეციუმები შავი წერტილების სახით. ისინი იზამთრებენ დასენიანებულ ძირნაყარ ფოთლებზე, ასევე, ნიადაგში. გაზაფხულზე, როცა ასკოსპორები მომწიფდება, ხდება ფოთლების დასენიანება.

**ამერიკული ნეკერჩხლის ნაცარი – *Sawadaia bicornis* (Wallr.) Homma**  
***Acer negundo*, თბილისი, დიღომი, 04.09.2023.**



**ნეკერჩხლის ნაცარი – *Sawadaia bicornis* (Wallr.) Homma**  
***Acer negundo*, თბილისი, დიღომი, 10.08.2022.**

ნაცრის გამომწვევი სოკო წარმოადგენს აგრესიულ პათოგენს. აღნიშნული მიკრომიცეტი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ მცენარეზე გავრცელების შემთხვევაში ირღვევა მისი ფიზიოლოგიური პროცესები, ზრდის მარეგულირებელი მექანიზმი, რაც განპირობებულია იმ ნივთიერებებით, რომლებსაც წარმოქმნის პათოგენი, ან მცენარე.

მიუხედავად წარმოდგენილი, ანალიზისთვის საჭირო, საკმაოდ დიდი იდენტიფიცირებული მასალისა, იგი სრულად არ ასახავს რეალურ მდგომარეობას.

**ლიტერატურა:**

1. გვრიტიშვილი მ., ყაჭეიშვილი-თავართქილაძე ქ., ახალი მონაცემები საქართველოში ასკილებზე (*Rosa* sp.) გავრცელებული მიკროსოკოების შესახებ, თბ., ბოტანიკური ბაღის შრომები, 91, 2002;
2. გვრიტიშვილი მ., ჭადრის ნაცარი – ახალი სოკოვანი დაავადება საქართველოში [თბილისის რაიონში და კერძოდ, ბოტანიკურ ბაღში ჭადრის ახალი სოკოვანი დაავადება არსებობს] // მ. გვრიტიშვილი, ჯ. კერესელიძე, თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომები, 92, 2002;
3. Braun U., Cook R.T.A., Taxonomic manual of the Erysiphales (powdery mildews). CBS Biodiversity Series 11, 2012;
4. Braun U., Kiehr M., Delhey R., Some new records of powdery mildew fungi from Argentina. Sydowia 53 (1), 2000;
5. Gvritishvili M.N., On fungal diseases of cultivated and wild woody plants new to Georgia. Abstract of 1st International Transcaucasus conference on plant pathology, Tbilisi, 2008;
6. Kacheishvili-Tavartkiladze K., Gvritishvili M., New records of fungi on *Rosa* spp. in Georgia. Bull. Georg. Acad. Sci. 166 (1), 2002;
7. Kavak H., Erysiphe platani, an anamorphic powdery mildew on *Platanus orientalis* in Turkey. Plant Pathol, 89 (2), 2007;
8. Liang C., Lu G.Z., Shin H.D., First report of powdery mildew of *Platanus orientalis* caused by *Erysiphe platani* in China. New Disease Reports 15, 2007;

9. Pastirčáková K., Pastirčák M., Erysiphe platani causing powdery mildew of London plane in Hungary. Acta Phytopathol. Entomol. Hung. 43 (1), 2008.

**Marina Churghulia-Shurghaia**  
***Powdery Mildew on the Some Woody and Shrubby Plants***  
**Summary**

Powdery mildew is a plant fungal disease, which caused by microscopic fungi. The pathogen that causes powdery mildew is a parasite of narrow specialization. Various powdery mildew disease on the plants is caused by different species of micromycetes. In 2022-2023 Tbilisi, intensive spread on the Roses (*Rosa* sp.) disease was observed on maples (*Acer negundo*), on the American secamory – Planetrees (*Platanus occidentalis*, *P. Acerifolia*, *P. orientalis*), on the oaks (*Quercus* sp).

**Марина Чургулия-Шургая**  
***Мучнистая роса некоторых древесных и кустарниковых растений***  
**Резюме**

Мучнистая роса – грибное заболевание растений, вызываемое микроскопическими грибами из порядка эризифовых, или мучнисторосяных (Erysiphales). Мучнистая роса – это узкоспециализированный паразит, т.е. у каждого вида растений существует свой возбудитель мучнистой росы. В 2022-23 г. на розах-*Rosa* spp. – ***Podosphaera pannosa* (Wallr.) de Bary**, платанах – *Platanus occidentalis*, *P. orientalis* – ***Erysiphe platani* (Howe) Braun & Takamatsu = *Microsphaeria platani* Howe**, кленах – *Acer negundo* – ***Sawadaia bicornis* (Wallr.) Homma**, дубах – ***Quercus* sp. – *Erysiphe alpithoides* (GRIF-FON et MAUBL) U. BRAUN et S. TAKAM.** обнаружено интенсивное распространение данного заболевания во многих районах города Тбилиси.

**შორენა შარია**  
(საქართველო)

**ბენეტიკური (გენური) ინჟინერიის მიღწევები**  
**ბენეტიკურ ღარღვევათა აღმოფხვრავში**

გენეტიკური (გენური) ინჟინერია თანამედროვე გენეტიკის ინტენსიურად განვითარებადი ახალი მიმართულებაა, რომლის მიზანს წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით ახალი გენეტიკური პროგრამისა და სტრუქტურის მქონე ორგანიზმთა შექმნა, გენეტიკური ინფორმაციის ერთი ორგანიზმიდან მეორეში გადატანის გზით. გენური ინჟინერია, ფართო გაგებით, მეცნიერებას არ წარმოადგენს, მაგრამ იგი ბიოტექნოლოგიის მძლავრი იარაღია, რომელიც იყენებს ბიოლოგიური დისციპლინების – მოლეკულური და უჯრედული ბიოლოგიის, გენეტიკის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის მეთოდებს. გენურ ინჟინერიაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა მეცნიერებს საშუალება მისცა მოეხდინათ პროგნოზირება, თუ რას მისცემდა კაცობრიობას მისი შემდგომი განვითარება.

გენური ინჟინერიის მეთოდები დამუშავდა XX საუკუნის 60-70-იან წლებში. დღესდღეობით ცნობილია, რომ თუ გენის ნუკლეოტიდების თანმიმდევრობა მთლიანად არის გაშიფრული, მაშინ მისი მიღება შესაძლებელია ქიმიური გზითაც. პირველად ალანინის ტრანსპორტული რნმ-ის გენის ხელოვნური სინთეზი, რომელიც 77 ნუკლეოტიდისგან შედგებოდა, განხორციელებულ იქნა ინდოელი მეცნიერის ქორანას მიერ. 1976 წელს სინთეზირებულ იქნა სტრუქტურული და რეგულატორული (პრომოტორი და ტერმინატორი) ნაწილების შემცველი თიროზინის ტრანსპორტული გენი, რომელიც ბაქტერიულ უჯრედში ჩანერგვისას ნორმალურად ფუნქციონირებდა. მაგრამ აღნიშნული ხერხი გამოიყენება მხოლოდ პროკარიოტების მცირე ზომის გენების მიმართ. რთული გენების სინთეზს კი აწარმოებენ შებრუნებული ტრანსკრიპციის (უკუტრანსკრიპციის) პროცესების მეშვეობით, რომლებსაც საფუძვლად უდევს ფერმენტული სინთეზის მეთოდი. აღნიშნული პროცესის დასაწყისში გამოყოფენ ი-რნმ-ს და მასზე, როგორც მატრიცაზე, ფერმენტ რევერტაზას (უკუტრანსკრიპტაზას) საშუალებით ასინთეზებენ მის კომპლემენტარულ დნმ-ის ძაფს, ხოლო შემდეგ, ამ უკანასკნელის რეპლიკაციით დებულობენ კომპლემენტარულ ჯაჭვს. იმ გენებს, რომლებიც ფერმენტ რევერტაზით სინთეზირდება, არ აქვთ რეგულატორული უბანი და პრომოტორი, რის გამოც არ შეუძლიათ ცხოველურ უჯრედში ფუნქციონირება. ბაქტერიაში გადატანისას კი, სტრუქტურულ გენს აერთებენ მიკრობული უჯრედის პრომოტორთან, რომლის შემდეგ ტრანსკრიპტონი იწყებს მუშაობას. განსხვავებული ხერხით მიღებული გენები უერთდებიან ვექტორულ მოლეკულებს, უფრო ხშირად – ბაქტერიის პლაზმიდებს. პლაზმიდების გარდა ვექტორებად გამოიყენება ფაგები და ვირუსები, რომლებსაც გენეტიკური ინფორმაცია გადააქვთ ტრანსდუქციის გზით. პლაზმიდის რგოლური დნმ-ის მოლეკულის გაწყვეტა და ამოჭრა ხდება იმავე ფერმენტებით – რესტრიქტაზებით, რომლითაც გენს გამოყოფენ. გაწყვეტის ადგილას წარმოქმნილ წებოვან ბოლოებს, რომლებიც გადასატანი გენის წებოვანი ბოლოების კომპლემენტარულია, ფერმენტ ლიგაზას საშუალებით ხდება გენისა და პლაზმიდის წებოვანი ბოლოების „გაკერვა“ და დებულობენ დნმ-ის რეკომბინანტულ მოლეკულას. დნმ-ის რეკომბინანტულ მო-

ლეკულას გააჩნია უჯრედ-რეციპიენტში შეღწევის უნარი. რადგანაც დნმ-ის რეკომბინანტული მოლეკულების მიღება ყველა უჯრედში ვერ ხერხდება, ამიტომ სპეციალური მეთოდებით (ძირითადად, სელექციურ საკვებ არეზე) ახდენენ ტრანსფორმირებული უჯრედების შერჩევას გადატანილი გენით. შემდგომ ატარებენ კლონირებას – უჯრედების გამრავლებას რეკომბინანტული დნმ-ით და ღებულობენ უჯრედების კლონს [4; 2].

გენური ინჟინერიის მეთოდებით მიღებულია ნაწლავის ჩხირის უჯრედების კლონი, რომელთაც ინსულინის (კუჭქვეშა ჯირკვლის) და სომატოტროპინის (ჰიპოფიზის) სინთეზის უნარი გააჩნიათ. აღნიშნულ პრეპარატებს, ჩვეულებრივ, ღებულობენ ცხოველების კუჭქვეშა და ჰიპოფიზის ჯირკვლებიდან. ამ გზით მიღებული პრეპარატების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელი ხდება მათი სინთეზირება საკმარისი რაოდენობით და ასევე, ხერხდება ბიოქიმიურად სუფთა და აბსოლუტურად სტერილური პრეპარატების მიღება [7].

გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით შექმნილია მცენარე, რომელსაც შეუძლია ატმოსფერული აზოტის შეთვისება, აგრეთვე, ისეთი მიკროორგანიზმები, რომელთაც შესწევთ ნავთობის ნახშირწყალბადების დაშლისა და მათგან საკვები ცილების სინთეზირების უნარი. შემუშავებულია პათოგენური ვირუსების ბაქტერიულ უჯრედში გადატანისა და მათგან სინთეზირებული ცილებისგან ვირუსების საწინააღმდეგო შრატების დამზადების მეთოდები [7].

აღსანიშნავია, რომ უცხო გენების ერთ უჯრედში გაერთიანების შემთხვევაში მიღებული შედეგები საშიშროებას მოკლებული არ არის. პლაზმიდებს გააჩნიათ სახეობრივი და იმუნოლოგიური ბარიერისგან დამოუკიდებლად, ნებისმიერი კომბინაციებით გაერთიანების უნარი. დაავადების გამომწვევი ბაქტერიების ახალმა ნაირგვარობამ, რომლებიც მდგრადია სამკურნალო პრეპარატების მიმართ, შესაძლებელია გამოიწვიოს სერიოზული ეპიდემიები.

საყურადღებო ფაქტია, რომ 1973 წელს ჩატარებულ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე განხილულ იქნა საკითხი გენური ინჟინერიის საშიშროებით გამოწვეული შედეგების შესახებ და ცდები დროებით აიკრძალა.

1975 წელს რ. კერტისის მიერ მიღებულ იქნა ნაწლავის ჩხირის მუტანტი, რომელიც ბუნებრივ პირობებში გარსის სინთეზის დაზიანების გამო, არასიცოხლისუნარიანი აღმოჩნდა. ადამიანებისა და ცხოველებისათვის არასაშიშ ბაქტერიას არსებობა შეუძლია მხოლოდ ლაბორატორიულ პირობებში. ამის შემდეგ გაგრძელდა ცდები გენურ ინჟინერიაში. დღესდღეობით ყველა გამოკვლევა ტარდება გარემომცველი გარემოსგან მკაცრად იზოლირებულ სპეციალურ ლაბორატორიებში, უსაფრთხოების ზომების დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით [3; 4];

თანამედროვე გენეტიკის ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვარს, რომელიც სამრეწველო მიზნით გამოიყენება, წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზმებიდან გენების გადანერგვით, ახალი ორგანიზმების შექმნის შესაძლებლობა. ამგვარად, მცენარეებისა და ცხოველების გენომის შეცვლა შეიძლება დნმ-ის განსაკუთრებული, კლონირებული მოლეკულების დამატების საშუალებით, რომლის წყალობით ორგანიზმი იძენს ახალ ნიშან-თვისებებს. დამატებული გენი ცნობილია ტრანსგენის, ხოლო თვით ორგანიზმი კი, ტრანსგენური ორგანიზმის სახელწოდებით. ამ პროცესის აღმნიშვნელი ზუსტი ტერმინები – „გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები“ და „გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტები“ სავსებით შეესაბამება ტრან-

სგენურ ორგანიზმებს. ტრანსგენური მოდიფიკაცია ხასიათდება სისწრაფით, ახალი დნმ-ის დამატება შესაძლებელია რამდენიმე საათში ან დღეში. გენმოდიფიცირებული ორგანიზმი ზრდისთვის საჭიროებს რამდენიმე კვირას ან თვეს. სელექციის ტრადიციული მეთოდების დროს კი, ახალი გენის გადანერგვა ხდება რამდენიმე თაობის შემდეგ და შერჩევა გრძელდება ათეული წლების განმავლობაში. ტრანსგენუზი ძალზე მძლავრი იარაღია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის. მისი საშუალებით შესაძლებელია საკვების ხარისხის გაუმჯობესება. რიგი მკვლევრები მუშაობენ იმაზე, რომ სასოფლო-სამეურნეო მცენარეებს ჰქონდეთ საკუთარი გენები აზოტის ფიქსაციისათვის. მცენარეებს ახასიათებთ მხოლოდ ფიქსირებული (ამიაკში არსებული) აზოტის შეთვისების უნარი. ამიაკი წარმოიქმნება ქიმიური რეაქციის შედეგად, როგორც წესი, აზოტმაფიქსირებელი ბაქტერიის საშუალებით. ამიაკის მიღება შესაძლებელია, აგრეთვე, სამრეწველო ხერხითაც, მაგრამ ასეთი სახის ფიქსაცია დიდ ენერჯიას საჭიროებს. გარდა ამისა, ნიადაგში ქიმიური დანამატების შეტანით, ზიანდება ეკოსისტემა და ადგილი აქვს გარემომცველი გარემოს დაბინძურებას. ბაქტერიებში *Klebsiella pneumonia* – აზოტის მაფიქსირებელი გენები წარმოქმნიან დაჯგუფებებს, რომელთა გადატანა მცენარეების უჯრედებში საეხებით შესაძლებელია. მცენარეებში შესაძლებელია მდგრადობის გაზრდა მავნე მწერებისა და სოკოვანი დაავადებების მიმართ. ამ მიზნით მცენარეებზე (სიმინდი) ჩატარებულ ექსპერიმენტებში, მეცნიერებმა გამოიყენეს ბაქტერიიდან – *Bacillus thuringensis* ტოქსინების შემცველი Bt-გენი. ამგვარად მოდიფიცირებულ მცენარეებს გამოუმუშავდათ საკუთარი დამცავი სისტემა მწერების საწინააღმდეგოდ. ტრანსგენური მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია მცენარეებში კვებითი ღირებულების გაუმჯობესება. ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს ვაქცინის მასინთეზირებელი მცენარის შექმნას, რაც გააადვილებდა მოსახლეობის ვაქცინაციას.

ტრანსგენური მიკრობები წარმოადგენს სხვადასხვა ცილების მაწარმოებელ პოტენციურ „ფაბრიკებს“. როგორც ცნობილია, ამჟამად ადამიანის ინსულინის გენი გადანერგილია ზოგიერთ ბაქტერიაში, რომელიც გაცილებით ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ადრე გამოყენებულ ძროხისა და ღორის ინსულინთან შედარებით [6].

აღსანიშნავია ტრანსგენურ გამოკვლევათა მომხრეების მტკიცებულება, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ტრანსგენური დნმ ჩვეულებრივი დნმ-ია და მისი როლის შესახებ დიდი ხანია გენეტიკოსებისათვის ბევრი რამ არის ცნობილი. ტრანსგენური კვლევებისას აწარმოებენ ერთი სახეობის დნმ-ის გადატანას მეორე სახეობის უჯრედებში, ამიტომ საფუძველს მოკლებული იქნებოდა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ასეთ შემთხვევაში გადატანილი დნმ-ის მოქმედება მხოლოდ ერთი სახეობის ფარგლებში არსებული დნმ-ის მოქმედებას ავლენდეს. ამ საკითხის სირთულის გასარკვევად, საჭიროა ყურადღების გამახვილება გენომის ფუნქციონირებაზე. გენომი ფუნქციონირებს, როგორც საუკეთესოდ რეგულირებადი მექანიზმი და წარმართავს ორგანიზმის განვითარებას ერთი სტადიიდან მეორეში. გენი თავის მოქმედებას ცალკე, სხვა გენებისგან დამოუკიდებლად არასდროს არ ავლენს. მცენარეთა და ცხოველთა ტრადიციულ სელექციაში ჩატარებული ექსპერიმენტებით ცნობილი გახდა, რომ სულ რამდენიმე გენის ცვალებადობამ შესაძლებელია ძლიერი გავლენა მოახდინოს მთლიანი ორგანიზმის განვითარებაზე. ტრადიციულ სელექციაში

არსებულ მუტაციათა უმრავლესობა პლეოტროპულია, ე.ი. გავლენას ახდენენ რამდენიმე ნიშანზე და მრავლობითი ეფექტით ხასიათდებიან. მათ შეუძლიათ გამოიწვიონ გარეგნული ნიშნების ცვალებადობა, თუმცა იშვიათად წარმოქმნიან სიმახინჯეებს, მაგრამ უცხო დნმ-ის ნაწილის ახალ უჯრედში მოთავსებისას, მის მიერ შესრულებული ფუნქციების ბოლომდე წარმოდგენა შეუძლებელია. ტრანსგენური გამოკვლევების პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ დნმ-ის მანიპულაციებიდან პოტენციური სარგებლიანობის წინასწარმეტყველება შესაძლებელია გენების შესახებ თანამედროვე ცოდნის საფუძველზე, მაგრამ ყველა პოტენციური, ნეგატიური შედეგის გათვალისწინება კი, დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. პირველი ტრანსგენური ცხოველი გახდა თაგვი, ვირთაგვის ზრდის ჰორმონის გენით, რომელიც ზომით თავის დაძმებს აღემატებოდა და გარეგნულად თავის ჰგავდა, მაგრამ მას ჯანმრთელობის მხრივ პრობლემა არ აღენიშნებოდა. ციციანთელას გენები გადატანილ იქნა მცენარეებში, რომლებიც სიბნელეში ანათებდნენ. ზუსტად ასევე, მედუზის გენები შეიძლება გადატანილ იქნეს თაგვებში იმისათვის, რომ ისინი სიბნელეში ანათებდნენ. ბაქტერიის გენების გადატანით დროზოფილასა და მცენარეებში, ტრანსგენის ექსპრესიის ადგილებში, ქსოვილი იძენდა ცისფერ შეფერილობას. აღნიშნული გენოტიპები მიღებული იყო მიზნობრივი და კონტროლირებადი ექსპერიმენტების შედეგად [1; 6].

ადამიანისა და სხვა ორგანიზმების გენომის სექვენირებამ ცხადყო, რომ მათი გენომი შეიცავს სხვა ორგანიზმთა მრავალ გენს, სახელდობრ, ბაქტერიების გენებს. ეს უკანასკნელები ჩართული იყო ადამიანთა დნმ-ში გაურკვეველი სახით, შესაძლებელია შემოტანილი ყოფილიყო ვირუსებითაც. აღნიშნული მოვლენა ცნობილია გენების ჰორიზონტალური გადაცემის სახელწოდებით, განსხვავებით გენების ვერტიკალური გადაცემიდან-მშობლებიდან შთამომავლებში.

ტრანსგენური ტექნოლოგიების გამოყენების მრავალფეროვან ხერხებს შორის გენურ თერაპიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საინტერესოა, თუ შესაძლებელია მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების მოდიფიცირება, მაშინ რა უშლის ხელს ადამიანებში იგივე მეთოდები გამოყენებულ იქნეს მემკვიდრული დაავადებების სამკურნალოდ?

რეკომბინანტული დნმ-ის ტექნოლოგია თავდაპირველად დიდ იმედებს იძლეოდა გენეტიკური დარღვევების აღმოსაფხვრელად, რაც შესაძლებელი იყო დეფექტური გენის ნორმალური გენით ჩანაცვლების საშუალებით. როგორც კი გამოყოფილ იქნა კისტოზური ფიბროზის (მუკოვისციდოზის) განვითარებაზე პასუხისმგებელი გენი – (CFTR) და დადასტურებულ იქნა მისი ფუნქცია, მაშინათვე დაიწყო კისტოზური ფიბროზით დაავადებულ პაციენტთათვის მკურნალობის საშუალებათა დამუშავება გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით. დასაწყისში საჭირო იყო გაერკვიათ, შეიძლებოდა თუ არა ცალკეული უჯრედიდან ნორმალური – CFTR გენის გამოყოფა, რაც განხორციელდა ძროხის „ყვავილის“ ვირუსის საშუალებით. ამ ვირუსში გადაინერგა ფაგ T7-ის რნმ-პოლიმერაზას გენი, ხოლო შემდგომ CFTR გენის კლონი მოთავსებულ იქნა პლაზმიდაში პრომოტორის შემდეგ, რომლის ამოცნობა მხოლოდ ამ პოლიმერაზით იყო შესაძლებელი. როდესაც ვირუსი და პლაზმიდა შეკვავდათ კისტოზური ფიბროზით დაავადებულ პაციენტთა უჯრედებში, მაშინ ეს უჯრედები, რომლებშიც ადრე არ არსებობდა რეგულატორი აუცილე-

ბელი იონების ტრანსპორტირებისათვის, იძენდნენ ნორმალური რეგულაციის მექანიზმის უნარს.

დღესდღეობით გენური თერაპიის მრავალი ცენტრი ყველაზე ხშირად ატარებს გამოკვლევებს ზრდასრულ პაციენტებში, რომლებიც იტანჯებიან სწორედ კისტოზური ფიბროზით. მათ ლაბორატორიებში იკვლევენ ათეულობით სხვადასხვა ვექტორს, მაგრამ არც ერთი მათგანი ჯერჯერობით არ ფლობს ყველა სასურველ მახასიათებელს. ზოგიერთ შემთხვევაში გენების გადატანა ხორციელდება ბრონქოსკოპის საშუალებით (ხელსაწყო ფილტვების გამოსაკვლევადა), ან როგორც მოცემულ შემთხვევაში, მათში საჭირო მასალის გადასანერგად. სხვა ცენტრებში უპირატესობას ანიჭებენ გენეტიკური მასალის ცხვირში შეყვანას, ვინაიდან აღნიშნული უფრო ადვილად მისაწვდომია და ასეთ შემთხვევაში შეცდომების გასწორება ადვილად არის შესაძლებელი.

რ. კრისტლმა და კოლეგებმა პირველებმა შენიშნეს, რომ CFTR გენის ფილტვებში გადატანა შეუძლია ადენოვირუსს. რადგანაც ეს ვირუსი ადამიანის გენომში ვერ ერთვება, საჭირო ხდება დოზის რეგულარული შეტანა, მაგრამ ამ მეთოდის რეგულარული გამოყენება განაპირობებს მისი ეფექტურობის დაქვეითებას და ანთებითი პროცესების განვითარებას. კონტრსაწინააღმდეგო ზომების განსახორციელებლად, ადენოვირუსის დნმ-ს მუდმივად ამოკლებენ იმ იმედით, რომ მიღებულ იქნეს ისეთი ვექტორი ვირუსული გენომის პროდუქტების გარეშე, რომლებშიც დარჩენილი იქნება მხოლოდ აუცილებელი გენები CFTR დნმ-ის გადასატანად და განსათავსებლად. სხვა ლაბორატორიებში ტარდება ექსპერიმენტები CFTR-ის გადატანის რეტროვირუსებზე, რადგანაც მათ შეუძლიათ საკუთარი გენომის ჩართვა მასპინძლის უჯრედში.

არსებობს იმედისმომცემი საფუძველი იმის შესახებ, რომ გენური ინჟინერია შეძლებს ცილა CFTR-ის ნორმალური სინთეზის შემთხვევაში, ფილტვების განთავისუფლებას ბაქტერიული ინფექციებისაგან, რომელთა მიზეზით დაავადებისა და სიკვდილიანობის 90% არის აღრიცხული. საქმე მდგომარეობს შემდეგში: ფილტვებში არსებული ცილა, რომლის ფუნქცია უცხო უჯრედების განადგურებაა, ვერ აქტივიზირდება მარილთა მომატებული კონცენტრაციისას, სწორედ ეს ახასიათებს კისტოზურ ფიბროზს. როგორც კი CFTR იწყებს საკუთარი პროდუქტის გამომუშავებას, მარილის კონცენტრაცია ქვეითდება და ცილა აქტივიზირდება [6].

ყველა ზემოწამოთვლილი ფაქტი სომატური გენური თერაპიის მაგალითებს წარმოადგენს, ე.ი. გამოიყენება პაციენტის სხეულის (სომის) შესაბამისად იმ იმედით, რომ მიღებული იქნება ნორმალური ფუნქციონირების მქონე უჯრედთა საკმარისი რაოდენობა. პაციენტს შეუძლია განიკურნოს, მაგრამ შთამომავლებში არასასურველი გენების გადაცემის რისკი მაინც რჩება, რადგანაც სასქესო უჯრედები ამგვარად არ მოდიფიცირდებიან. სასქესო უჯრედების თერაპია გამიზნულია მთელი ორგანიზმის მოდიფიკაციაზე იმ ჯირკვლების ჩათვლით, რომლებიც გამოიმუშავებენ სასქესო უჯრედებს. უმარტივეს თეორიულ ხერხს წარმოადგენს განაყოფიერებული კვერცხუჯრედის მოდიფიცირება მასში შესაბამისი ტრანსგენის შეყვანით. ასეთი პროცედურა წარმატებულადაა განხორციელებული საცდელ ცხოველებში, კერძოდ, თაგვებში [2; 6].

ამჟამად ადამიანებში 4000 დაავადებაზე მეტია კლასიფიცირებული, როგორც გენეტიკური დაავადება, რომელთა შორის კარტირებულია დაავადებათა მხოლოდ მცირედი ნაწილი. ზემოთგანხილული კისტოზური ფიბროზი (მუკოვისციდოზი) ვლინდება, როდესაც დაზიანებულია CFTR-გენის ორივე ალელი. არსებობს მონაცემები, როდესაც მუკოვისციდოზით დაავადებული ადამიანის ორგანიზმში, ფილტვებში შეჰყავდათ ადენოვირუსული ვექტორი კ-დნმ-თან ერთად, რომლის შედეგად პაციენტს განუვითარდა ანთებითი პროცესი, თუმცა თავებში 1000-ჯერ მეტი დოზების შეყვანის შემთხვევაში, ტოქსიკურობა არ შეინიშნებოდა. დომინანტური აუტოსომური დაავადებების შემთხვევაში, დეფექტური გენის ეფექტი მაშინაც კი გამომჟღავნდება, თუ მეორე ალელი არ არის დაზიანებული, ხოლო X-ქრომოსომასთან შეჭიდული დაავადებები მხოლოდ მამაკაცებში გამოვლინდება.

ადამიანის კლონირების პრობლემა რთული და მრავალკომპონენტოვანია, ამიტომ საჭიროებს ძალზე ფართო განხილვას საზოგადოების ყველა ფენაში. ადამიანში კლონირების ტექნოლოგიის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგი სახით: დონორის რომელიმე მუდმივად განახლებადი ქსოვილი (მაგ., ეპიდერმისის მცირე ნაწილი) ნაწვევდება ცალკეულ უჯრედებად, რომელთა კულტივირება ხდება შუშის ჭურჭელში *in vitro*. ამ კულტურებიდან ცდილობენ დეროვანი უჯრედების გამოყოფას, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ ტოტიპოტენტურობა. მათი ბირთვები ცალცალკე გადააქვთ ადამიანის უბირთვო კვერცხუჯრედში. შემდგომ ხდება მათი იმპლანტირება იმ წინასწარ შერჩეულ რეციპიენტი ქალების საშვილოსნოში, რომლებთანაც შესაბამისი შეთანხმება აქვთ დადებული. 9 თვის შემდეგ იბადება რამდენიმე ტყუპი, რომლებიც ერთმანეთის და, აგრეთვე, ექსპერიმენტში ჩართული დონორი ადამიანის იდენტურებია.

აღწერილი რთული მეთოდური პროცედურის ცალკეული ნაწილები დიდი ხნის წინაა შემუშავებული. ლაბორატორიებში მუდმივად არსებობს ადამიანების ასეული უჯრედების კულტურები. გასანაყოფიერებლად მომზადებული კვერცხუჯრედის გამოყოფა წარმატებულად ხორციელდება ხელოვნურ განაყოფიერებაზე ჩატარებულ ექსპერიმენტებში.

ადამიანის კლონირების მეთოდოლოგია ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი და სამომავლო საკითხია, რომლის შედეგად გენურ-ინჟინერული მეთოდებით კლონირებული იქნება ინდივიდუალის ბიოლოგიური ასლი, ადამიანის, როგორც პიროვნების კლონირება შეუძლებელია. ამიტომ ასეთი პროცედურის ჩასატარებლად საჭიროა მკაცრი საკანონმდებლო და ეთიკურ-სამართლებრივი კრიტერიუმების შემუშავება. ამასთან დაკავშირებით, ადამიანის კლონირებაზე ექსპერიმენტები აკრძალულია ევროპულ სახელმწიფოებში და მაღალგანვითარებული ქვეყნებში.

ეჭვსგარეშეა, რომ ადამიანების კლონირების განხილული პროცედურა 21-ე საუკუნეში ტექნიკურად განხორციელდება. საეჭვოა მხოლოდ ზოგიერთი ეთიკური და იურიდიული ასპექტი. მაგალითად: ჩაითვლება თუ არა მსგავსი კლონირებული ჩვილები დონორის შვილებად, ან მის ერთკვერცხიან ტყუპებად, რომლებიც მოველინენ სამყაროს დიდი დაგვიანებით? შეუძლია თუ არა კვერცხუჯრედის დონორ ქალს თავისი უფლებების წამოყენება იმ მოვლინებულ ბავშვზე, რომლის უჯრედებში არც ერთი მისი ქრომოსომა არ არის? ეს პრობლემა იურისტების გადასაწყვეტია. თანამედროვე პერიოდში რეპროდუქციის პრობლემის შესწავლისას ფართო გამოყენება აქვს ხელოვნურ განაყოფიერებას სპერმის ბანკის გამოყენებით,

ამასთან, დონორი მამაკაცისგან უფლების გარეშე, ამგვარად ისინი ხდებიან ათეული ბავშვების ანონიმური მამები. აქდან გამომდინარე, პლანეტაზე შეიძლება ცხოვრობდეს საერთო სისხლის მქონე სამი ათეული ბავშვი, რომელთა შესახებ ჩვენ არაფერი არ ვიცით. ზოგიერთი მორალის მექომაგების აზრით, თუ სომატური გენური თერაპია ეთიკურია, ადამიანის გენომთან თამაში და შთამომავლებში გენური ნაკრების შეცვლა დაუშვებელია ეთიკური თვალსაზრისით.

თანამედროვე გენეტიკამ შექმნა ორგანიზმთა გამოსაკვლევად ახალი შესაძლებლობები: ინდუცირებული მუტაციების საშუალებით შესაძლებელია ნებისმიერი ფიზიოლოგიური პროცესების ჩართვა და გამორთვა, უჯრედში ცილების ბიოსინთეზის შეწყვეტა, განვითარების გარკვეულ სტადიაზე შეჩერება [2].

გენური ინჟინერიით შესაძლებელია ონკოლოგიური, რევმატული, ინფექციური დაავადებების, ასევე, ნერვული სისტემის მკურნალობის ეფექტურობის ამაღლება, რომლებიც მიზნობრივად ორიენტირებული პრეპარატების, მათ შორის, დნმ-ვაქცინების შექმნასთან არის დაკავშირებული [2].

ამგვარად, გენეტიკური ტექნოლოგიების გამოყენებამ ადამიანების მიმართ წამოჭრა ძალზე საინტერესო და სამომავლოდ გადასაწყვეტი საკითხები. უკანასკნელ პერიოდში დაშვებულ იქნა ზოგიერთი სახის ჩარევა რეპროდუქციულ სისტემაში და ადამიანის გენომში – ამნიოცენტეზი, სინჯარაში განაყოფიერება, სომატური გენური თერაპია და სუროგატული დედობა. სხვა პროცედურების მიმართ, როგორცაა კლონირება, მეცნიერთა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს, მით უმეტეს ჯერჯერობით სრულად შესაფასებლად რჩება ისეთი ტექნოლოგიების სოციალური ზეგავლენა, როგორცაა სომატური გენური თერაპია.

#### **ლიტერატურა:**

1. Иванов В. И., Барышникова Н.В. и др. Генетика. М., 2006;
2. Афонькин С. Ю., Секреты наследственности человека. Санкт-Петербург, 2002;
3. Альбертс Б., Брей Д. И др. Молекулярная биология клетки. М., 1994;
4. Заяц Р. Г., Бутвиловский В. В. И др. Общая и медицинская генетика. Минск, 2004;
5. <https://www.yourgenome.org/facts/what-is-genetic-engineering/>;
6. Гутман Б., Гриффитс Э. И др. Генетика. М., 2004;
7. ლეჟავა თ., უჯრედის გენეტიკა, გამომც. თსუ, თბ., 2004;
8. <https://phys.org/tags/genetic+engineering/>.

### **Shorena Sharia**

#### ***Achievements of Genetic Engineering in Eradicating Genetic Disorders*** **Summary**

The article discusses the possibility of obtaining transgenic organisms using genetic engineering methods. Currently, genetic engineering provides programming of various genotypes based on the "switching on" and "switching off" of certain genes, including in humans, which is associated with a number of difficulties. At the same time, almost all

discoveries have made a positive contribution to the alimination of genetic disorders. Today, about ten diseases are known that can be cured by means of transgenesis.

**Шорена Шария**

*Достижения генной инженерии в искоренении генетических нарушений*

**Резюме**

В статье рассматривается возможность получения трансгенных организмов методами генной инженерии. В настоящее время генная инженерия обеспечивает программирование различных генотипов на основе «включения» и «выключения» определённых генов, в том числе и у человека, что связано с рядом трудностей. В тоже время почти все открытия внесли положительный вклад в устранение генетических нарушений. На сегодняшний день известно около десяти заболеваний излечимых средствами трансгенеза.

|   |    |
|---|----|
| <b>ვენტა კოცერე</b> .....   | 3  |
| <i>იანის ენძელისი (1873-1961) და გიორგი ახვლედიანი (1887-1973)</i>  |    |
| <b>Venta Kocere</b>   |    |
| <i>Jānis Endzelīns (1873-1961) and George Akhvlediani (1887-1973)</i>   |    |
| <b>Вента Коцере</b>   |    |
| <i>Янис Эндзелинс (1873-1961) и Георгий Ахвледуани (1887-1973)</i>  |    |
| <b>მადონა შელია</b> .....   | 10 |
| <i>თანამედროვე ინგლისური ენის წარმოქმნის აქტუალური პრობლემები</i>   |    |
| <b>Madona Shelia</b>  |    |
| <i>Actual problems of Modern English Pronunciation</i>  |    |
| <b>Мадона Шелия</b>   |    |
| <i>Насущные проблемы современного английского произношения</i>  |    |
| <b>მაია მარღანია</b> .....  | 15 |
| <i>ომთან დაკავშირებული ლექსიკა და მედიისეული შეფასებები<br/>(რუსეთ-უკრაინის ომის ამხახველი საგაზეთო მასალების მიხედვით)</i> |    |
| <b>Maia Marghania</b>   |    |
| <i>Lexis Related to War and Media Evaluations<br/>(Based on the Newspaper Materials of the Russian-Ukrainian War)</i>       |    |
| <b>Майя Маргания</b>  |    |
| <i>Лексика, связанная с войной и оценки СМИ<br/>(по газетным материалам русско-украинской войны)</i>                        |    |
| <b>მაია აღაია</b> .....   | 20 |
| <i>ინგლისური ნეოლოგიზმები და მათი როლი ენაში</i>  |    |
| <b>Maia Aghaia</b>  |    |
| <i>English Neologisms and their Role in the Language</i>  |    |
| <b>Майя Агаиа</b>   |    |
| <i>Английские неологизмы и их роль в языке</i>  |    |
| <b>მანანა ღამბაშიძე</b> .....   | 25 |
| <i>ნაწილაკთა საკითხისათვის გერმანულ პროზაში</i>   |    |
| <b>Manana Ghambashidze</b>  |    |
| <i>To the Issue of Particles in German Prose</i>  |    |
| <b>Манана Гамбашидзе</b>  |    |
| <i>К вопросу частиц в немецкой прозе</i>  |    |
| <b>ეკატერინე არველაძე</b> .....   | 50 |
| <i>ინგლისურენოვანი საყვედურის წერილის ლინგვო-სტილისტური სპეციფიკა</i>   |    |
| <b>Ekaterine Arveladze</b>  |    |
| <i>English Letters of Reprimand and Its Lingo-Stylistic Features</i>  |    |
| <b>Екатерине Арвеладзе</b>  |    |
| <i>Лингвостилистическая специфика письма-выговора на английском языке</i>   |    |

|   |           |
|---|-----------|
| <b>სოფიო მუჯირი, მადონა შელია</b> .....   | <b>55</b> |
| <i>გერმანული, ქართული, ინგლისური და რუსული ენების პროსოდიული სტრუქტურა</i>                                |           |
| <b>Sophie Mujiri, Madona Shelia</b>   |           |
| <i>Prosodic Structure of German, Georgian, English and Russian Languages</i>                              |           |
| <b>Софио Муджири, Мадона Шелия</b>  |           |
| <i>Просодический строй немецкого, грузинского, английского и русского языков</i>                          |           |
| <b>ქრისტინე თოფურია</b> .....   | <b>63</b> |
| <i>პოლიტიკური დისკურსი – მსმენელზე ორიენტირებული მანიპულაციური ხელოვნება</i>                              |           |
| <b>Kristine Tophuria</b>  |           |
| <i>Political Discourse – Audience Oriented Rhetorical Art</i>   |           |
| <b>Кристина Топурия</b>   |           |
| <i>Политический дискурс – риторическое искусство, ориентированное на аудиторию</i>                        |           |
| <b>კობა წურწუმია</b> .....  | <b>67</b> |
| <i>შერვუდ ანდერსონის ნოველების კომპოზიცია და მხატვრული თავისებურებანი</i>                                 |           |
| <b>Koba Tsurtsunia</b>  |           |
| <i>Composition and Artistic Features of Sherwood Anderson's Novels</i>                                    |           |
| <b>Коба Цурцумия</b>  |           |
| <i>Композиция и художественные особенности романов Шервуда Андерсона</i>                                  |           |
| <b>ლალა ახმედოვა</b> .....  | <b>76</b> |
| <i>პიროვნებისა და საზოგადოების პრობლემები და სოციალურ-პოლიტიკური გარემო წინგიზ აიტმატოვის რომანებში</i>   |           |
| <b>Lala Akhmedova</b>   |           |
| <i>Problems of Personality and Society and Socio-Political Environment in Chingiz Aitmatov's Novels</i>   |           |
| <b>Лала Ахмедова</b>  |           |
| <i>Проблемы личности, общества и социально-политическая среда в романах Чингиза Айтматова</i>             |           |
| <b>მანანა შელია, მაია მარღანია</b> .....  | <b>84</b> |
| <i>ავხაზეთის ნოსტალგია</i>  |           |
| <b>Manana Shelia, Maia Marghania</b>  |           |
| <i>Nostalgia for Abkhazia</i>   |           |
| <b>Манана Шеля, Майя Маргания</b>   |           |
| <i>Ностальгия по Абхазии</i>  |           |
| <b>აზა ქადარია</b> .....  | <b>91</b> |
| <i>ილია ჭავჭავაძის წერილები უცხოეთზე, მწერლის ლიტერატურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური შეხედულებანი</i>      |           |
| <b>Aza Qadaria</b>  |           |
| <i>Iliа Chavchavadze's Letters About Abroad, the Writer's Literary and Political Economic Views</i>       |           |
| <b>Аза Кадария</b>  |           |
| <i>Письма Ильи Чавчавадзе о зарубежных странах, литературных связях и политико-экономических взглядах</i> |           |

|   |     |
|---|-----|
| ნანა ოლქიშვილი.....                     | 110 |
| <i>ევზევიტიკის დარგობრივი სახეობანი</i> |     |
| <b>Nana Olkishvili</b>                  |     |
| <i>Field Types of Exegetics</i>         |     |
| <b>Нана Олкишвили</b>                   |     |
| <i>Отраслевые виды Экзегетики</i>       |     |

---

**კულტუროლოგია – CULTUROLOGY – КУЛЬТУРОЛОГИЯ**

---

|   |     |
|---|-----|
| ხათუნა ამაღლობელი, თამუნა ლიპარტელიანი .....  | 118 |
| <i>ქართული კინო, როგორც სოციალური ცვლილებების ილუსტრაცია საქართველოში – „ნატურის ხიდან“ ჩვდ-მდე</i>                               |     |
| <b>Khatuna Amaglobeli, Tamuna Liparteliani</b>  |     |
| <i>Georgian Cinema as an Illustration of Social Changes in Georgia – from the "Wishing Tree" to the MWF ("My Wife's Friends")</i> |     |
| <b>Хатуна Амаглобели, Тамуна Липартелиани</b>   |     |
| <i>Грузинское кино, как иллюстрация социальных изменений в Грузии (от «Древо желания» до сериала «Подружки моей жены»)</i>        |     |

|  |     |
|--|-----|
| ტანი აისულუ .....  | 123 |
| <i>მუსიკალური მემკვიდრეობა როგორც კულტურულ-პატრიოტული აღზრდის ფაქტორი თანამედროვე ყაზახეთში</i>      |     |
| <b>Tany Aisulu</b>   |     |
| <i>Musical heritage as a factor of cultural and patriotic education in modern Kazakhstan</i>         |     |
| <b>Тани Айсулу</b>   |     |
| <i>Музыкальное наследие как фактор культурно-патриотического воспитания в современном Казахстане</i> |     |

|   |     |
|---|-----|
| ციცინო ბუკია.....   | 134 |
| <i>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები – ბრიტანული ავებური (Avebury) და ქართული უფლისციხე – კინოდოკუმენტალისტთა ფოკუსში</i> |     |
| <b>Tsitsino Bukia</b>   |     |
| <i>Monuments of Cultural Heritage – British Avebury and Georgian Uplistsikhe in the Focus of Documentary Filmmakers</i> |     |
| <b>Цицино Букия</b>   |     |
| <i>Памятники культурного наследия – британский Эйвбери и грузинский Уплисцихе в центре внимания документалистов</i>     |     |

---

**სოციოლოგია – SOCIOLOGY – СОЦИОЛОГИЯ**

---

|   |     |
|---|-----|
| ადამ ბ. სელიგმანი.....                    | 142 |
| <i>ხდობა, თავდაჯერებულობა და ცოდნა</i>    |     |
| <b>Adam B. Seligman</b>                   |     |
| <i>On Trust, Confidence and Knowledge</i> |     |
| <b>Адам Б. Селигман</b>                   |     |
| <i>О доверии, уверенности и знаниях</i>   |     |

|   |     |
|---|-----|
| შორენა კორტავა.....                                   | 151 |
| <i>ქილ ფერეოლი და მისი გზამკვლევი სოციოლოგიაში</i>    |     |
| <b>Shorena Kortava</b>                                |     |
| <i>Gilles Ferreol and his Guide to Sociology</i>      |     |
| <b>Шорена Кортава</b>                                 |     |
| <i>Жиль Ферреоль и его путеводитель по социологии</i> |     |

**საერთაშორისო ურთიერთობები – INTERNATIONAL RELATIONS –  
МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ**

---

|   |     |
|---|-----|
| სურა გუსეინოვა.....   | 158 |
| <i>საერთაშორისო ინფორმაციული უსაფრთხოების გამოწვევების პოლიტიკური შეფასების საკითხისთვის</i>  |     |
| <b>Sura Guseinova</b>   |     |
| <i>For the Issue of Political Assessment of International Information Security Challenges</i> |     |
| <b>Сура Гусейнова</b>   |     |
| <i>К вопросу о политической оценке вызовов международной информационной безопасности</i>      |     |

**ეკონომიკა და ბიზნესი – ECONOMICS AND BUSINESS –  
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС**

---

|  |     |
|--|-----|
| ნარმინ ეტიბარ ჰასანოვა.....  | 167 |
| <i>სახელმწიფოს მხარდაჭერის მექანიზმის ძირითადი მიმართულებები არანავთობის ეკონომიკის გასაუიარეღად</i> |     |
| <b>Narmin Ehtibar Hasanova</b>   |     |
| <i>The Main Directions of a State-Supported Mechanism for a Non-Oil Economy Development</i>          |     |
| <b>Нармин Этибар Гасанова</b>  |     |
| <i>Основные направления механизма государственной поддержки развития ненефтяной экономики</i>        |     |

**პედაგოგიკა და მეთოდოლოგია – PEDAGOGY AND METHODIC –  
ПЕДАГОГИКА И МЕТОДИКА**

---

|   |     |
|---|-----|
| ნანა პარინოსი.....  | 174 |
| <i>სწავლების თანამედროვე მეთოდები ინგლისური ენის სწავლებისას: მოსმენის უნარ-ჩვევების გამომუშავება</i> |     |
| <b>Nana Parinos</b>   |     |
| <i>Modern Methods of Teaching English: Developing Listening Skills</i>                                |     |
| <b>Нана Паринос</b>   |     |
| <i>Современные методы обучения английскому языку: Развитие навыков слушания</i>                       |     |

|   |            |
|---|------------|
| <b>მაია აგაია</b> .....   | <b>187</b> |
| <i>ინგლისური ენის სწავლების პროცესში დავალებზე ორიენტირებული მეთოდის გამოყენების აქტუალობის შესახებ</i> |            |
| <b>Maia Aghaia</b>  |            |
| <i>About the Relevance of Using the Task-based Method in the Process of Teaching English Language</i>   |            |
| <b>Майя Агаиа</b>   |            |
| <i>Об актуальности использования задачного метода в процессе обучения английского языка</i>             |            |

**ბიოლოგია – BIOLOGY – БИОЛОГИЯ**

---

|  |            |
|--|------------|
| <b>მარინა ჭურღულია-შურღაია</b> .....   | <b>193</b> |
| <i>ნაცარი ზოგიერთ მერქნიან და ბუჩქოვან მცენარეზე</i>                             |            |
| <b>Marina Churghulia-Shurghaia</b>   |            |
| <i>Powdery Mildew on the Some Woody and Shrubby Plants</i>                       |            |
| <b>Марина Чургулия-Шургая</b>  |            |
| <i>Мучнистая роса некоторых древесных и кустарниковых растений</i>               |            |
| <b>შორენა შარია</b> .....  | <b>199</b> |
| <i>გენეტიკური (გენური) ინჟინერიის მიღწევები გენეტიკურ დარღვევათა აღმოფხვრაში</i> |            |
| <b>Shorena Sharia</b>  |            |
| <i>Achievements of Genetic Engineering in Eradicating Genetic Disorders</i>      |            |
| <b>Шорена Шария</b>  |            |
| <i>Достижения генной инженерии в искоренении генетических нарушений</i>          |            |

**ჟურნალის ელექტრონული ვერსია:**

**<http://www.nplg.gov.ge>**

E-mail: [indiradzagania5@gmail.com](mailto:indiradzagania5@gmail.com)

Tel.: (+ 995 32) 2 54 14 49

Mob.: (+995 93) 93 20 91

**ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალაზე  
პასუხისმგებელია ავტორი.**

**Ответственность за содержание публикации  
в журнале несет автор.**

**Authors are solely responsible for the content  
of published materials.**



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაის №4. ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)



9 771512 436007